

# **სასამართლო და სამართლი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო  
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის  
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა  
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-  
გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2014, №5**

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Civil Cases  
(in Georgian)  
2014, №5**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Zivilsachen  
(in der georgischen Sprache)  
2014, №5**

**Решения Верховного Суда Грузии  
по гражданским делам  
(на грузинском языке)  
2014, №5**

**ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

## პირადი არაერთობის უფლებები

### განვითარება

№ას-335-319-2013

24 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. როინიშვილი,  
პ. ალავიძე

**დავის საგანი:** მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. დ-მა მოპასუხებ გ. ნ-ის მიმართ და მოითხოვა:

1. მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ მოგების სახით მიღებული 50 ლარის დაკისრება;
2. გ. ნ-ან მორალური ზიანის – 1950 ლარის ანაზღაურება;
3. სასამართლოში გაკეთებული არასწორი და არარეალური ფაქტის მოპასუხის მიერ უარყოფა.

სარჩელის თანახმად:

გ. ნ-მა სასამართლოს წინაშე გ-ის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით. შედეგად, მოსარჩელეს მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი. კერძოდ, 2011 წლის 13 სექტემბერს გ. ნ-მა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს სხდომაზე განაცხადა, რომ იგი შუამდგომლობდა საქმეზე მოწმებად დ. ნ-ის, გ. გ-ის და მ. ჩ-ის დაკითხვას. მისი მითითებით, ისინი დაადასტურებდნენ, რომ საცხოვრებელ სახლში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, დენი იყო და მათ არანაირი პრობლემა არ შექმნიათ, შესაბამისად, გადაბმა გ-ბის მხრიდან არ განხორციელებულა და ეს მანამდე მოხდა, სანამ გ-ი იქ შესახლდებოდა. მოსარჩელის მოსაზრებით, ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის უსწორობას ადასტურებდა დასახელებულ ოქმში ასახული მ. ჩ-ის ჩვენება, რა დროსაც ამ უკანასკნელმა მიუთითა, რომ ხსენებულ სახლში მათი ჩასახლებისას დენი არ ყოფილა. მოპასუხის ამგვარი ქმედებით შეილახა მოსარჩელის ღირსება, პირადი ცხოვრება, რეპუტაცია.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ იგი, როგორც ადვოკატი, ვალდებული იყო დაეცვა თავისი კლიენტის ინტე-

რესეპტი და, შესაბამისად, ასრულებდა კანონიერ მოქმედებებს. დედოფლისწყაროს მაგისტრატი სასამართლოს 2012 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ 2011 წლის 4 ოქტომბერს დედოფლისწყაროს რაიონულმა სასამართლომ გ. დ-ის სარჩელით აღძრულ სამოქალაქო საქმეზე მოპასუხე დ. გ-ის მიმართ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. აღნიშნულ სამოქალაქო საქმეზე, როგორც მოპასუხის წარმომადგენელი, მონაწილეობდა გ. ნ-ი.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხემ შელახა მისი ღირსება, პირადი ცხოვრება, რეპუტაცია და მისი ქმედებით განიცადა მატერიალური და მორალური ზიანი, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარუდგენია, რისი ვალდებულებაც მას გააჩნდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების თანახმად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარეს მის სასარგებლოდ დაეკისრებოდა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით, ამასთან, მასვე დაევალებოდა 2011 წლის 13 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე გაკეთებული არასწორი და ცილისმნამებლური ფაქტის უარყოფა და სასამართლო ხარჯების გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 თებერვლის განჩინებით გ. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი:

კერძო პირის ცილისნამებისათვის სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, რომლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისნამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარ-

ჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული და არა მოპასუხე, ამტკიცოს შემდეგი: ა. მოპასუხებ მის შესახებ გაავრცელა სადაცო განცხადება; ბ. სადაცო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ. სადაცო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა და საქმიანრეპუტაციას.

კონკრეტულ შემთვევაში, აპელანტი მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას უკავშირებდა მოპასუხის ქმედებას, კერძოდ, მისი მტკიცებით, მოპასუხებ 2011 წლის 13 სექტემბერს დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოში გამართულ სხდომაზე მის მიმართ გაავრცელა ცრუ და ცილისწამებლური ინფორმაცია, როდესაც სასამართლოს განუმარტა, რომ 2007 წლის აგვისტოში, როდესაც სახლის დამქირავებლები გ. დ-ის სახლში ჩასახლდნენ, სახლში იყო დენი, მათ არანაირი პრობლემა არ შექმნიათ და ამდენად, გადაბმაც არ მომხდარა მათ მიერ, რითაც მან განიცადა, როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის მიერ დასახელებულ სამოქალაქო საქმეზე, მოპასუხე წარმომადგენდა და დ. გ-ის ინტერესებს, იყო მისი საპროცესო წარმომადგენელი. სააპელაციო სასამართლომ შენიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ყველა მოქალაქეს გარანტირებული აქვს უფლება რომ საქმე ანარმოოს სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. ის გარემოება, რომ მხარე უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე გამოხატავს ნებას, მიანიშნებდა სწორედ მის მიერ გამოხატული ნების ფარგლებში წარმომადგენლის ვალდებულებაზე, მარწმუნებლის სახელით და მისი ინტერესებისათვის, ენარმოებინა საქმე სასამართლოში. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2011 წლის 13 სექტემბერს დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში გამართულ სხდომაზე, როდესაც მოპასუხის წარმომადგენელმა, მარწმუნებლის სახელით, მარწმუნებლისგან მიღებული ინფორმაცია გააცნო სასამართლოს, იგი მოქმედებდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ შემთვევაშიც კი, თუ დადასტურდებოდა, რომ მის მიერ სასამართლო სხდომაზე გაუდერებული ინფორმაცია იყო მცდარი და არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, არ შეიძლებოდა განხილული ყო მართლსანინალმდეგო ქმედებად. მით უფრო, რომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებდა მოპასუხის მხრიდან ცრუ და ცილისწამებლური ცნობების გავრცელებას,

რაც, მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა. მოსარჩელის მტკიცება შემოიფარგლა სხვა დავაზე მოწმის სახით დაკითხული გ. ჩ-ის ჩვენებაზე მითითებით, რომელიც, როგორც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დგინდებოდა, იმ საფუძვლით, რომ არ შეიცავდა საკმარის მონაცემებს სადავო ფაქტობრივი გარემოების (დ. გ-მა განახორციელა მრიცხველის გვერდის ავლით არალეგალური ხაზის შეყვანა გ. დ-ის ბინაში) დადასტურებულად მიჩნევისათვის, არ იქნა გაზიარებული.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხის მხრიდან მოსარჩელისათვის პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტობრივ გარემოებას და შესაბამისად მისთვის მორალური ზიანის მიყენების შესახებ გარემოებას. მოსარჩელემ, ასევე, ვერ დაადასტურა მოპასუხის ქმედებით მისთვის მატერიალური ზიანის მიყენების შესახებ ფაქტობრივი გარემოება.

სააპელაციო სასამართლომ იხელდდლვანელა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით, 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-18 მუხლით და განმარტა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კონკრეტულ შემთხვევაში დაკავშირებულია არაქონებრივ უფლებათა დარღვევასთან. არაქონებრივი უფლებები წარმოადგენენ სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს მორალური ზიანის არსებობა. მორალური ზიანის ქვეშ იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, მორალური ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი და სხვა მატერიალური გამოხატულება მას არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, პირს პასუხისმგებლობა პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის შეიძლება დაეკისროს იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ადგილი აქვს მსგავსი ცნობების შემცველი ინფორმაციის გავრცელებას. განსახილველ შემთხვევაში, რამდენადაც არ დაადასტურდა მოპასუხის მხრიდან მართლსანინალმდებორ ქმედების და ამ ქმედებით გ. დ-ის ზიანის მიყენების არსებობის შესახებ გარემოებები, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, პირველი ინსტანციის სასამართლომ

სარჩელი სწორად მიიჩნია დაუსაბუთებლად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გა-ასაჩივრა გ. დ-მა. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩი-ნების გაუქმებას და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღე-ბას, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარეს მის სასარგებლოდ და-ეკისრება მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით, ამასთან, მასვე დაევალება სასამარ-თლო სხდომაზე გაკეთებული არასწორი ფაქტის უარყოფა და სასამართლო ხარჯების (275 ლარის) გადახდა.

კასატორის მოსაზრებით, მოპასუხემ, თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა და პი-რადი გამორჩენის მიზნით, 2011 წლის 13 სექტემბრის სასამარ-თლო სხდომაზე განზრას გაავრცელა აშკარად არასწორი ფაქ-ტი. ამ ფაქტის გავრცელებით მოსაზრებლეს მიადგა მატერიალუ-რი და მორალური ზიანი. დედოფლისწყაროს და თბილისის საა-პელაციო სასამართლოებმა საქმე განიხილეს კანონდარღვევე-ბით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო სა-ჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ დედოფ-ლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 13 სექტემბრის სხდომაზე მოპასუხე დ. გ-ის ადვოკატმა გ. ნ-მა იშუამდგომლა რამდენიმე პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე, რომლებიც, ად-ვოკატის მოსაზრებით, დაადასტურებდნენ იმ გარემოებას, რომ საცხოვრებელ სახლში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, ელექტრო-ენერგია იყო და მათ არანაირი პრობლემა არ შექმნიათ, შესაბა-მისად, ელსადენების გადაპმა მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს არ განუხორციელებია, ეს მოხდა მანამდე, ვიდრე ეს უკანასკნელი იქ შესახლდებოდა.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ადვოკატის (მოპასუხის) მიერ გავრცელებული ზმოხსენებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, ე.ო. ცილისწამებაა, რაც ლახავს მის პატივსა და ლირსებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ საკითხის გარ-კვევამდე, წარმოადგენს თუ არ სადაც განცხადება ცილისწა-მებას, უპირველესად, უნდა შემოწმდეს, ხომ არ არსებობს ცი-ლისწამებისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი რომე-

ლიმე გარემოება. ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი დააკმაყოფილოს ცილის-ნამების თაობაზე აღძრული სარჩელი, თუნდაც სადაც განცხა-დება სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქარ-თველოს კანონის მე-5 მუხლის შეიცავს იმ გარემოებათა ჩამო-ნათვალს, რომლებიც გამორიცხავენ ცილისწამებისათვის პასუ-ნისმგებლობას, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწი-ლის მიხედვით ცილისწამებისათვის პასუნისმგებლობას არ იწ-ვევს განცხადება, რომელიც გაკეთებულია: а) პოლიტიკური დე-ბატების ფარგლებში, აგრეთვე პარლამენტის ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირე-ბით; ბ) წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე, სახალხო დამცველის წინაშე, პარლამენტის ან საკრებულოს, აგრეთვე მათი კომიტეტის სხდომაზე, პირის მიერ თავისი უფლებამოსი-ლების განხორციელების ფარგლებში; გ) უფლებამოსილი ორგა-ნოს მოთხოვნით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ნორმა ეხება წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე პირის მიერ გაკეთებულ არა ნებისმიერ განცხადებას, არამედ მხოლოდ ისეთ განცხადებას, რომელიც პირის მიერ გაკეთებულია თავი-სი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, რაც უშუ-ალიდ უკავშირდება მისი, როგორც პროცესუალური მხარის უფ-ლებამოსილებას. ასეთი განცხადება ცილისწამებისათვის პასუ-ნისმგებლობას არ იწვევს (საკასაციო სასამართლოს ზემოხსე-ნებული მსჯელობა შესაბამისობაშია მსგავსი კატეგორიის და-ვებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან; იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინე-ბა, საქმეზე №ას-268-591-09).

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადაც გან-ცხადება გაკეთებულია სასამართლო პროცესზე ადვოკატის მი-ერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, შესაბამისად, ასეთი განცხადება ვერ გამოიწვევს ცილისწამე-ბისათვის პასუნისმგებლობას. აქედან გამომდინარე, მართებუ-ლია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მო-სარჩელის მოთხოვნა სადაც განცხადების უარყოფისა და მო-რალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოა და არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელია ასევე მოსარჩელის მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების

თაობაზე, ვინაიდან, როგორც მართებულად მიუთითა სააპელაციო სასამართლომ, მოსარჩელემ ვერ შეძლო მისთვის ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურება, რაც მის მოვალეობას წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: а) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმის, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცელელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# თანხმობა გარიგებაში

## პათილი გარიგება

### განხილვა

№ას-76-72-2013

24 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ა. თ-მა და სს „ტ. ი-მა“ თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ს. ტ-სა“ და შპს „მ-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს. მო-სარჩელები მოთხოვნაა:

1. შპს „ს. ტ-სა“ და შპს „მ-ს“ შორის 2009 წლის 26 მარტს და-დებული ლიცენზიების გადაცემის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

2. შპს „ს. ტ-სა“ და შპს „მ-ს“ შორის 2009 წლის 31 მარტს და-დებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

მოსარჩელების მითითებით, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 28 თებერვლის საოქმო განჩინებით დამტკიცდა მორიგებს სს „ს-ა“ (რომლის უფლებამონაცვლეა „ტ. ი-ი“) და მის მოვალე შპს „ს. ტ-ს“ შორის. მორიგების თანახმად შპს „ს. ტ-მა“ აღიარა სს „ს-ოს“ წინაშე 2 734 649,14 აშშ დოლარის დავალიანება. მო-რიგების მე-11 მუხლის საფუძველზე, მოვალემ იკისრა ვალდე-ბულება, რომ დავალიანების სრულად დაფარვამდე არ განკარგავდა თავის უძრავ-მოძრავ ქონებას სს „ს-ოს“ წინასწარი თან-ხმობის გარეშე. გამონაკლისს შეადგენდა სამეურნეო ფუნქცი-ონირებისათვის საჭირო ფულადი თანხების განკარგვა. სს „ს-სა“ და ა. თ-ს შორის 2004 წლის 27 აპრილს გაფორმდა ხელშეკ-რულება, რომლის თანახმადაც სს „ს-ომ“ ა. თ-ს დაუთმო მოთხოვნის უფლება შპს „ს. ტ-ის“ მიმართ, რომელიც გამომდინარე-ობდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 28 თებერვლის განჩინე-ბით დამტკიცებული მორიგებიდან. მითითებული ხელშეკრულე-

ბის საფუძველზე, 2006 წლის 14 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლმს ა. თ-ის სასარგებლოდ სააღსრულებო ფურცელი გასცა. სააღსრულებო ფურცელში მითითებულია, რომ დავალი-ანების სრულ გადახდამდე შპს „ს. ტ-ს“ სს „ს-ოს“ წინასწარი თან-ხმობის გარეშე ეკრძალებოდა კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქო-ნების განკარგვა. ამ პირობის დარღვევით, შპს „ს. ტ-მა“ შპს „მ-ს“, რომელიც მასთან დაკავშირებული კომპანიაა, გადასცა სა-კუთარი აქტივები. 2009 წლის 26 და 31 მარტის ხელშეკრულე-ბები მიზნად ისახავდა ა. თ-ის წინაშე არსებული დავალიანების გადახდის თავიდან აცილებას.

მოსარჩელე სს „ტ. ი-ის“ წარმომადგენელმა 2012 წლის 12 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო მოთხოვ-ნის დაზუსტების მოთხოვნით მიმართა და მოითხოვა მოპასუ-ხეებისათვის სოლიდარულად 1 088 815,9 აშშ დოლარის, ასევე მიუღებელი შემოსავლის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით ა. თ-სა და სს „ტ. ი-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2012 წლის 28 წლის განჩინებით სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტი-ლება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლო დადგენილად შემდეგი ფაქტობ-რივი გარემოებები მიიჩნია:

1. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამე-ნარჩეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 28 თებერვლის განჩინე-ბით დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება. მითითებული გან-ჩინებით, მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შედეგად შპს „ს. ტ-ის“ დავალიანება სს „ს-ოს“ მიმართ შეადგენს 2 734 649,14 აშშ დოლარს. ამავე განჩინებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ აღ-ნიშნული დავალიანება დაფარულიყო მომსახურების სახით, რო-მელსაც შპს „ს. ტ-ი“ მომავალში გაუწევდა სს „ს-ოს“ საერთაშო-რისო ელექტროკავშირით მომსახურების გაწევის გზით. თუ რა-იმე მიზეზით სს „ს-სა“ და შპს „ს. ტ-ს“ შორის საერთაშორისო ელექტროკავშირი შეწყდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სს „ს-ო“ უშუალოდ, უსაფუძვლოდ ამბობს უარს შპს „ს. ტ-ან“ თა-ნამშრომლიბაზე, მაშინ როცა შპს „ს. ტ-ის“ დავალიანება ჯერ კიდევ არ იქნება სრულად ამონტურული, მაშინ შპს „ს. ტ-ი“ კის-რულობს უპირობო ვალდებულებას დაუყოვნებლივ გადაუხა-

დოს სს „ს-ოს“ საერთაშორისო ელექტროკავშირით მომსახურების შეწყვეტის მომანტისათვის დარჩენილი დავალიანება;

2. განჩინების მე-11 პუნქტის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით და დავალიანების სრულად ამონურვამდე შპს „ს. ტ-ი“ არ განკარგავდა (არ დატვირთავს, არ გაასხვისა) თავის უძრავ-მოძრავ ქონებას სს „ს-ოს“ წინასწარი თანხმობის გარეშე. გამონაკლის წარმოადგენდა ფულადი თანხების განკარგვა, რაც აუცილებელია ჩვეულებრივი სამეურნეო ფუნქციონირებისთვის;

3. მორიგების აქტით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული შეზღუდვა სს „ტ. ი-ის“ თანხმობის გარეშე ქონების გასხვისების თაობაზე, რამეტ ფორმით რეგისტრირებული არ ყოფილა;

4. 27.04.2004 წლის სს „ს-ოს“ (მოთხოვნის დამთმობს) და ა. თ-ს (მოთხოვნის მიმღებს) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც სს „ს-ომ“ ა. თ-ს დაუთმო მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობდა თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 28 თებერვლის განჩინებით დამტკიცებული მორიგებიდან;

5. 14.04.2006 წლის თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 28 თებერვლის განჩინებაზე კრედიტორ ა. თ-ის სასარგებლოდ გაიცა სააღსრულებო ფურცელი მოვალე შპს „ს. ტ-ის“ მიმართ;

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.07.2008 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ალიარებული იქნა შპს „ს. ტ-ის“ ფულადი ვალდებულების არარსებობა 1521406,27 აშშ დოლარის ოდენობით თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 28 თებერვლის განჩინების საფუძველზე კრედიტორ ა. თ-ის სასარგებლოდ 2006 წლის 14 აპრილს სააღსრულებო ფურცელში მითითებული 2 734 649, 14 აშშ დოლარის ფულადი ვალდებულებიდან;

7. 15.01.2002 წლის №2/1-191-2001 სააღსრულებო ფურცლის თანახმად, შპს „ს. ტ-ს“ გააჩინია დავალიანება ასევე სს „ს-ოს“ (ამჟამინდელი საფირმო სახელმიწოდება „ტ. ი-ის“) წინაშე;

8. სააღსრულებო ბიუროს 10.12.201206. განკარგულებით კრედიტორ ა. თ-ის სასარგებლოდ ყადაღა დაედო მოვალე შპს „ს. ტ-ის“ ფულადი ხასიათის მოთხოვნის უფლებას შპს „ა-ის“ მიმართ დარიცხული აღსასრულებელი თანხის ფარგლებში. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 14.01.20116. განჩინებით დამტკიცდა სააღსრულებო მორიგება ა. თ-სა და შპს „ა-ს“ შორის, რომლის თანახმადაც ა. თ-ს

გადაეცა შპს „ა-ის“ ქონება და მისი დავალიანება ძირითადი მოვალის შპს „ს. ტ-ის“ მიმართ დარჩენილი აღსასრულებელი მოთხოვნის ნაწილში განისაზღვრა 663 981,08 აშშ დოლარით;

9. ა. თ-ის სასარგებლოდ დაწყებულ სააღსრულებო წარმოების პროცესში ასევე რეალიზებულ იქნა შპს „ს. ტ-ის“ კუთვნილი ავტომანქანები;

10. 31.03.2009 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილებაშპს „ს. ტ-სა“ და შპს „მ-ს“ შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №53 ლიცენზიის სრულად და №21 ლიცენზიის ნაწილობრივ გადაპირების შესახებ;

11. 26.03.2009 წელს შპს „ს. ტ-სა“ (გამყიდველი) და შპს „მ-ს“ (მყიდველი) შორის გაფორმდა ლიცენზიების გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „მ-მა“ შეიძინა №53 ლიცენზია (სატელეფონო (სასადგურო) ინდექსით ... სარგებლობის უფლება) სრულად და №21 ლიცენზია ნაწილობრივ, სამნიშნა ნუმერაციის რესურსის 8-10-ის ნაწილში;

12. 4.8. 31.03.2009 წელს. შპს „ს. ტ-სა“ (გამყიდველი) და შპს „მ-ს“ (მყიდველი) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „მ-მა“ შეიძინა 2 355 606.22 აშშ დოლარის ლირებულების ქონება;

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 04.01.2011 წლის განაჩენით დამტკიცდა საქართველოს მთავარი პროკურატურის, ფინანსთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროს პროკურორს და განსასჯელებს გ. გ-სა და ა. ა-ეს შორის სასაჯელზე დადგებული საპროცესო შეთანხმება. განაჩენით შპს „ს. ტ-ის“ დამფუძნებლის, „ი. ტ-ის“ წარმომადგენელი გ. გ-ი და შპს „ს. ტ-ის“ დირექტორი ა. ა-ე ცნობილი იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის III ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე. განაჩენის თანახმად, პრალდებულებს პრალი დაედოთ შემდეგ გარემოებებში ჩადენილი დანაშაულისათვის: შპს „ს. ტ-ის“ დირექტორმა ა. ა-ემ და შპს „ს. ტ-ის“ დამფუძნებლის, „ი. ტ-ის“ წარმომადგენელმა გ. გ-მა, წარმომადგენდნენ რა ურთიერთდამოკიდებული პირების ინტერესებს, 28.02.2003წ. მორიგების აქტისა და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, განიზრახეს სს „ტ. ი-ის“ მიკუთვნებული 654730 აშშ დოლარის და ა. თ-ის მიკუთვებული 1213242,9 აშშ

დოლარის გადახდისაგან თაღლითურად თავის არიდება. ანდრია აბაშიძისთვის და გ. გ-ის ცნობილი გახდა რა თბილისის საქალაქო სასამართლოს 24.11.2008წ. გადაწყვეტილების საფუძველზე 19.03.2009წ. საარსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ, რის შედეგადაც მოხდებოდა შპს „ს. ტ-ის“ ქონებაზე იძულების ღონისძიებების განხორციელება, განიზრახეს შპს „ს. ტ-ის“ კუთვნილი არამატერიალური აქტივების სატელეფონო (სასადგურო) ინდექსი ... და 8-10 ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების, მატერიალურ აქტივებთან ერთად, საზოგადოებასთან ურთიერთდამოყიდებულ შპს „მ-ის“ დაქვემდებარებაში გადატანა და ამით კომპანია სს „ტ. ი-ის“ და ა. თ-ის მიკუთვნებული თანხების გადახდისაგან თავის არიდება;

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 04.01.2011წ. განაჩენით დადგენილია სადავო გარიგებების მხოლოდ ერთი მხარის – შპს „ს. ტ-ის“ (გამყიდველის) ხელმძღვანელი პირების მართლსაწინაღმდეგო ქმედება სადავო გარიგებების დადებისას. რაც შეეხება გარიგების მეორე მხარეს – შპს „მ-ს“ (მყიდველს), ზემოაღნიშნული განაჩენით არ დასტურდება ის გარემოება, რომ სადავო გარიგებების დადებისას კომპანიის ხელმძღვანელების ქმედება წარმოადგენდა მართლსაწინაღმდეგო, ბრალეულ ქმედებსა და რომ გარიგების დადების მიმართ მისი მიზანი აპელანტებისათვის ზიანის მიყენება იყო;

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი 01.07.2012წ – 23.08.2012წლის ამონანერებით შპს „ს. ტ-ის“ ანგარიშიდან დგინდება, რომ აღსრულება მიმდინარეობს კრედიტორ ა. თ-ის სასარგებლოდ 2006 წლის 14 აპრილს გაცემულ №2/ა-44-03 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე;

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ სს „ტ. ი-მა“ საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრების შემდგომ მოპასუხეთა წინასწარი თანხმობის გარეშე შეცვალა სარჩელის საგანი და საფუძველი. სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უწდა აცნობოს მოპასუხეს. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, საქმის წინასწარი სასამართლო

განხილვისათვის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო სხდომის გადადება სხვა დროსათვის. სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება. 01.03.2011 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს სს „ტ. ი-მა“ და ა. თ-მა მოპასუხეების შპს „ს. ტ-ის“ და შპს „მ-ის“ მიმართ. მოსარჩელები სარჩელით ითხოვდნენ შპს „ს. ტ-ს“ და შპს „მ-ს“ შორის 2009 წლის 26 და 31 მარტს გაფორმებული გარიგებების ბათილად ცნობას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 18.05.2011 წ. განჩინებით სარჩელი მიღებული იქნა წარმოებაში და დაიწყო საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.08.2011 წლის განჩინებით საქმე მიჩნეული იქნა მომზადებულად და საქმის არსებითად განსახილველად სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 07.10.2011 წელს. ამავე სასამართლოს 31.10.2011 წლის საოქმო განჩინებით საქმის განხილვა გადაიღო და დადგინდა, რომ საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე გაგრძელდებოდა 21.11.2011 წელს. ამდენად, დადგენილია, რომ განსახილველი საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების ეტაპი დასრულდა ჯერ კიდევ 19.08.2011 წელს და საქმის განსახილველად ჩატარდა კიდეც სასამართლოს მთავარი სხდომა 31.10.2011 წელს. საქმის მასალებით დგინდება, რომ 12.03.2012 წელს. სს „ტ. ი-მა“ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქოს საქმეთა კოლეგიას სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების მიზნით და მოითხოვა: 1) შპს „მ-ს“ და შპს „ს. ტ-ს“ სს „ტ. ი-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 1 088 815,9 აშშ დოლარი. 2) შპს „მ-ს“ და შპს „ს. ტ-ს“ სს „ტ. ი-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 1 088 815,9 აშშ დოლარის წლიური 10% 2009 წლის 26 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 12.03.2012 წელს წარდგენილი განცხადება სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შესახებ, ფაქტობრივად, წარმოადგენდა სს „ტ. ი-ის“ ახალ სარჩელს, რომლითაც მოსარჩელემ შეცვალა სარჩელის საგანი, სარჩელის საფუძველი და აღნიშნული ვერ გაიხილება მოსარჩელის

მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტებად, დაკონკრეტებად ან სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირებად.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზოგჯერ გარიგების მონაწილეთა ნების გამოვლენა ნამდვილად რომ ჩაითვალოს, იმავდროულად საჭიროა მესამე პირთა ნების გამოვლენაც, ე. ი. თანხმობა. ამ თანხმობის მიზანი შეიძლება იყოს როგორც გარიგების მონაწილეთა, ისე მესამე პირთა ინტერესების დაცვა. მესამე პირის თანხმობა საჭიროა ყველგან, სადაც ამას მოითხოვს კანონი. ერთ შემთხვევაში კანონის წორმა იმპერატიულ ფორმაში მოითხოვს მესამე პირის თანხმობას, მაგალითად როგორიცაა წარმომადგენლის თანხმობა შეზღუდული ქმედუნარიანობისას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 15-ე მუხლი), მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა საწარმოს გაძლილის ნებართვაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-3 ნაწილი), წარმოდგენილი პირის თანხმობა წარმომადგენლის მიერ დადებულ გარიგებაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლი), უფლებამოსილი პირის თანხმობა არაუფლებამოსილის მიერ განხორცილებული განკარგვის მიმართ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლი). სხვა დროს კი, კანონის წორმა დისპოზიციურია და გარიგების მონაწილეთა ნებით წყდება მესამე პირის თანხმობის საჭიროება. მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რომელიმე კლასის აქციის (გარდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო ფასიანი ქაღალდისა) გადაცემა შეიძლება დამოკიდებული იყოს საზოგადოების თანხმობაზე. აქციითა გადაცემაზე საზოგადოების თანხმობის გაცემის წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით, აქციების განთავსებამდე. ამრიგად, გარიგების ბათილად ცნობას იწვევს ისეთი თანხმობის არარსებობა, რომლის აუცილებლობა გათვალისწინებულია კანონის იმპერატიული ან დისპოზიციური დანაწესით. მოცემულ შემთხვევაში, სს „ს-სა“ (უფლების მიმღება. თ-სა) და შპს „ს. ტ-ს“ შორის მორიგების აქტით გათვალისწინებული „თანხმობა“ არ გამომდინარეობს კანონის დანაწესიდან, არამედ იგი მხარეებმა გაითვალისწინეს მორიგების აქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ ყოველგვარი თანხმობა არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 99-102-ე მუხლების მოწესრიგების საგნად. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ერთმა მხარემ მესამე პირთან დადებული

გარიგების პირობად დათქვა, რომ მისი თანხმობის გარეშე არ დადებს ხელშეკრულებას, თუმცა გარიგება მესამე პირის თანხმობის გარეშეც ნამდვილია, ასეთ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლის წესები. ხელშეკრულების დარღვევა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას გამოიწვევს და საფუძვლად ვერ დაედება თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ბათილად ცნობას. ის გარემოება, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 28 თებერვლის განჩინებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით და დავალიანების სრულად ამონურგამდე შპს „ს. ტ-ი“ არ განკარგავდა (არ დატვირთავს, არ გაასხვისებს) თავის უძრავ-მოძრავ ქონებას სს „სოს“ (უფლებამონაცვლე ა. თ-ი) წინასწარი თანხმობის გარეშე, შპს „ს. ტ-სა“ და შპს „მ-ს“ შორის გაფორმებულ 26.03.2009წ. და 31.03.2009წ. ხელშეკრულებებს ვერ აქცევს თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებებად და სადაც გარიგებები ნამდვილია ა. თ-ის წინასწარი თანხმობის გარეშეც. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ როგორც დადგენილი იქნა, მორიგების პირობით გათვალისწინებული შეზღუდვა რაიმე ფორმით რეგისტრირებული არ ყოფილა და არც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 04.01.2011წ. განაჩენით არ დგინდება ის გარემოება, რომ მყიდველისათვის შპს „მისათვის“ (ცნობილი იყო ასეთი შეზღუდვის თაობაზე).

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ა. თ-მა საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

1. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ შპს „ს. ტ-სა“ და შპს „მ-ს“ შორის 2009 წლის 26 მარტს დადებული ლიცენზიების გადაცემის ხელშეკრულება და 2009 წლის 31 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ნამდვილია და მისი დადება არ ყოფილა დამოკიდებული მესამე პირის თანხმობაზე.

2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 59-ე და 99-ე მუხლები. თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ბათილობა და ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული სამართლებრივი შედეგები განსხვავებული იურიდული კატეგორიაა;

3. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონის მოთხოვნებს, 99-ე მუხლით მიხედვით კი, თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებუ-

ლია მესამე პირის თანხმობაზე, მაშინ როგორც თანხმობა, ისე მასზე უარი შეიძლება გამოიხატოს როგორც ერთი, ისე მეორე მხარის წინაშე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შესწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ა. თ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 28 თებერვლის განჩინებით დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება. მითითებული განჩინებით, მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შედეგად შპს „ს. ტ-ის“ დავალიანება სს „ს-ოს“ მიმართ შეადგენს 2 734 649,14 აშშ დოლარს. ამავე განჩინებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ აღნიშული დავალიანება დაფარულიყო მომსახურების სახით, რომელსაც შპს „ს. ტ-ი“ მომავალში გაუწევდა სს „ს-ოს“ საერთაშორისო ელექტროკავშირით მომსახურების განვის გზით. თუ რაიმე მიზეზით სს „ს-სა“ და შპს „ს. ტ-ს“ შორის საერთაშორისო ელექტროკავშირი შეწყდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სს „ს-ო“ უშუალოდ, უსაფუძვლოდ ამბობს უარს შპს „ს. ტ-ან“ თანამშრომლობაზე, მაშინ როცა შპს „ს. ტ-ის“ დავალიანება ჯერ კიდევ არ იქნება სრულად ამონურული, მაშინ შპს „ს. ტ-ი“ კისრულობს უპირობო ვალდებულებას დაუყოვნებლივ გადაუხადოს სს „ს-ოს“ საერთაშორისო ელექტროკავშირით მომსახურეობის შეწყვეტის მომანტისათვის დარჩენილი დაგალიანება;

2. განჩინების მე-11 პუნქტის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველ

ყოფის მიზნით და დავალიანების სრულად ამონურგამდე შპს „ს. ტ-ი“ არ განკარგავდა (არ დატვირთავს, არ გაასხვისებს) თავის უძრავ-მოძრავ ქონებას სს „ს-ოს“ წინასწარი თანხმობის გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენდა ფულადი თანხების განკარგვა, რაც აუცილებელია ჩვეულებრივი სამეურნეო ფუნქციონირებისთვის;

3. მორიგების აქტით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული შეზღუდვა სს „ტ. ი-ის“ თანხმობის გარეშე ქონების გასხვისების თაობაზე, რაიმე ფორმით რეგისტრირებული არ ყოფილა;

4. 27.04.2004 წლის სს „ს-ოს“ (მოთხოვნის დამთმობს) და ა. თ-ს (მოთხოვნის მიმღებს) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც სს „ს-ომ“ ა. თ-ს დაუუთმო მოთხოვნა, რომელიც გამომდინარებდა თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 28 თებერვლის განჩინებით დამტკიცებული მორიგებიდან;

5. 14.04.2006 წლის თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 28 თებერვლის განჩინებაზე კრედიტორ ა. თ-ის სასარგებლოდ გაიცა სააღსრულებო ფურცელი მოვალე შპს „ს. ტ-ის“ მიმართ;

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.07.2008 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, აღიარებული იქნა შპს „ს. ტ-ის“ ფულადი ვალდებულების არარსებობა 1521406,27 აშშ დოლარის ოდენობით თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაგონტრების საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 28 თებერვლის განჩინების საფუძველზე კრედიტორ ა. თ-ის სასარგებლოდ 2006 წლის 14 აპრილს სააღსრულებო ფურცელში მითითებული 2 734 649, 14 აშშ დოლარის ფულადი ვალდებულებიდან;

7. 15.01.2002 წლის №2/1-191-2001 სააღსრულებო ფურცლის თანახმად, შპს „ს. ტ-ს“ გააჩნია დავალიანება ასევე სს „ს-ოს“ (ამჟამინდელი საფირმო სახელწოდება „ტ. ი-ის“) წინაშე;

8. სააღსრულებო ბიუროს 10.12.201206. განკარგულებით კრედიტორ ა. თ-ის სასარგებლოდ ყადაღა დაედო მოვალე შპს „ს. ტ-ის“ ფულადი ხასიათის მოთხოვნის უფლებას შპს „ა-ის“ მიმართ დარიცხული აღსასრულებელი თანხის ფარგლებში. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 14.01.20116. განჩინებით დამტკიცდა სააღსრულებო მორიგება ა. თ-სა და შპს „ა-ს“ შორის, რომლის თანახმადაც ა. თ-ს გადაეცა შპს „ა-ის“ ქონება და მისი დავალიანება ძირითადი მოვალის შპს „ს. ტ-ის“ მიმართ დარჩენილი აღსასრულებელი მოთხოვნის ნაწილში განისაზღვრა 663 981,08 აშშ დოლარით;

9. ა. თ-ის სასარგებლოდ დაწყებულ სააღსრულებო წარმოე-

ბის პროცესში ასევე რეალიზებულ იქნა შპს „ს. ტ-ის“ კუთვნილი ავტომანქანები;

10. 31.03.2009 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილებაშპს „ს. ტ-სა“ და შპს „მ-ს“ შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის №53 ლიცენზიის სრულად და №21 ლიცენზიის ნაწილობრივ გადაპირების შესახებ;

11. 26.03.2009 წელს შპს „ს. ტ-სა“ (გამყიდველი) და შპს „მ-ს“ (მყიდველი) შორის გაფორმდა ლიცენზიების გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „მ-მა“ შეიძინა №53 ლიცენზია (სატელეფონო (სასადგურო) ინდექსით ... სარგებლობის უფლება) სრულად და №21 ლიცენზია ნაწილობრივ, სამნიშნა ნუმერაციის რესურსის 8-10-ის ნაწილში;

12. 4.8. 31.03.2009 წელს. შპს „ს. ტ-სა“ (გამყიდველი) და შპს „მ-ს“ (მყიდველი) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „მ-მა“ შეიძინა 2 355 606.22 აშშ დოლარის ღირებულების ქონება;

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 04.01.2011წლის განაჩენით დამტკიცდა საქართველოს მთავარი პროკურატურის, ფინანსთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებს სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროს პროკურორს და განსასჯელებს გ. გ-სა და ა. ა-ეს შორის სასჯელზე დადებული საპროცესო შეთანხმება. განაჩენით შპს „ს. ტ-ის“ დამფუძნებლის, „ი. ტ-ის“ წარმომადგენელი გ. გ-ი და შპს „ს. ტ-ის“ დირექტორი ა. ა-ე ცნობილი იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის III ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე. განაჩენის თანახმად, ბრალდებულებს ბრალი დაედოთ შემდეგ გარემოებებში ჩადენილი დანაშაულისათვის: შპს „ს. ტ-ის“ დირექტორმა ა. ა-ემ და შპს „ს. ტ-ის“ დამფუძნებლის, „ი. ტ-ის“ წარმომადგენელმა გ. გ-მა, წარმომადგენერნენ რა ურთიერთდამოკიდებული პირების ინტერესებს, 28.02.2003წ. მორიგების აქტისა და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, განიზრახეს სს „ტ. ი-ის“ მიკუთვნებული 654730 აშშ დოლარის და ა. თ-ის მიკუთვებული 1213242,9 აშშ დოლარის გადახდისაგან თაღლითურად თავის არიდება. ა. ა-ის და გ. გ-ის ცნობილი გახდა რა თბილისის საქალაქო სასამართლოს 24.11.2008წ. გადაწყვეტილების საფუძველზე 19.03.2009წ. სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ, რის შედეგადაც მოხ-

დებოდა შპს „ს. ტ-ის“ ქონებაზე იძულების ღონისძიებების განხორციელება, განიზრახეს შპს „ს. ტ-ის“ კუთვნილი არამატერიალური აქტივების სატელეფონო (სასადგურო) ინდექსი ... და 8-10 წუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების, მატერიალურ აქტივებთან ერთად, საზოგადოებასთან ურთიერთდამოკიდებულ შპს „მ-ის“ დაქვემდებარებაში გადატანა და ამით კომპანია სს „ტ. ი-ის“ და ა. თ-ის მიეუთვნებული თანხების გადახდისაგან თავის არიდება;

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 04.01.2011წ. განაჩენით დადგენილია სადავო გარიგებების მხოლოდ ერთი მხარის – შპს „ს. ტ-ის“ (გამყიდველის) ხელმძღვანელი პირების მართლსაწინაღმდეგო ქმედება სადავო გარიგებების დადებისას. რაც შეეხება გარიგების მეორე მხარეს – შპს „მ-ს“ (მყიდველს), ზემოაღნიშნული განაჩენით არ დასტურდება ის გარემოება, რომ სადავო გარიგებების დადებისას კომპანიის ხელმძღვანელების ქმედება წარმოადგინდა მართლსაწინაღმდეგო, ბრალეულ ქმედებას და რომ გარიგების დადების მიმართ მისი მიზანი აპელანტებისათვის ზიანის მიყენება იყო;

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი 01.07.2012წ – 23.08.2012წ ლის ამონაწერებით შპს „ს. ტ-ის“ ანგარიშდან დგინდება, რომ აღსრულება მიმდინარეობს კრედიტორ ა. თ-ის სასარგებლოდ 2006 წლის 14 აპრილს გაცემულ №2/ა-44-03 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე;

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ გარიგების ბათილობას მხოლოდ კანონით გათვალისწინებული მესამე პირის თანხმობის არარსებობა იწვევს.

სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, მაშინ როგორც თანხმობა, ასევე მასზე უარი შეიძლება გამოითქვას როგორც ერთი, ისე მეორე მხარის წინაშე.

იმავე კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული ნორმა შეეხება როგორც კანონით დადგენილ, ისე მხარეთა მიერ შეთანხმების საფუძველზე დაწესებულ სავალდებულო თანხმობას. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კანონით დადგენილი

სავალდებულო თანხმობის (ნებართვის) არ არსებობისას გარიგების ნამდვილობა კონტრაპენტის მოქმედებაზე დამოკიდებული არაა და იგი ცალსახად ბათილია, ხოლო თუ მესამე პირის თანხმობა ხელშეკრულების ან სხვა ვალდებულებით სამართლებრივი ინსტრუმენტის მეშვეობითაა გათვალისწინებული, ამგვარი თანხმობის გარეშე დადგებული გარიგების ნამდვილობა კონტრაპენტის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, ანუ იმ გარემოებაზე, იცოდა თუ არა მან გარიგების დადებისას მისი ხელშემკვრელი მხარის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე. იურიდიული პირის შემთხვევაში, ამგვარი შეზღუდვა რეგისტრირებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, ან მესამე პირმა, რომლის თანხმობის გარეშეც დაიდო გარიგება, უნდა დაამტკიცოს, რომ ხელშემკვრელი მხარეები არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ და თანხმობის აუცილებლობის თაობაზე მათვის ცნობილი იყო. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ ნორმის სწორად განმარტება სამენარმეო სუბიექტებთან მიმართებით იძენს, ვინაიდან, კონკრეტულ საზოგადოებას თავისი წესდებით შეუძლია დააწესოს საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან ყველა პარტნიორის თანხმობის აუცილებლობა ისეთ საკითხებზეც, რომლებზეც კანონით ასეთი თანხმობა საჭირო არ არის. სააპელაციო სასამართლოს ლოგიკით, ამგვარი შეზღუდვის დაწესება შედეგს ვერც ერთ შემთხვევაში გამოიღებს. საკასაციო სასამართლო კი მიუთითებს, რომ მესამე პრებისათვის ამგვარ შეზღუდვას ძალა აქვს, თუ იგი სამენარმეო რეესტრშია რეგისტრირებული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მორიგების აქტით გათვალისწინებული შეზღუდვა სს „ტ. ი-ის“ თანხმობის გარეშე ქონების გასახვისების დაუშვებლობის თაობაზე, რაიმე ფორმით რეგისტრირებული არ ყოფილა. ა. თ-ი კი, სათანადო მტკიცებულებებით ვერ ადასტურებს შპს „მ-ის“ მოქმედების არაკეთილსინდისიერებას. კასატორი მიუთითებს შხოლოდ 04.01.2011 წლის განაჩენზე (იხ. პუნქტი 13) და ამტკიცებს, რომ შპს „ს. ტ-ი“ და შპს „მ-ი“ ერთმანეთთან დაკავშირებული იურიდული პირები არიან, ამდენად, მოპასუხისათვის შეზღუდვის თაობაზე ცნობილი იყო. ამ ნაწილში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ზემოაღნიშნული განაჩენით დადგენილია ხელშეკრულების მხოლოდ ერთი მხარის – შპს „ს. ტ-ის“ (გამყიდველის) ხელმძღვანელი პირების მართლსაწინაღმდეგო ქმედება სადაც გარიგებების დადებისას. რაც შეეხება შპს „მ-ს“ (მყიდველს), ზემოაღნიშნული განაჩენით არ დასტურდება ის გარემოება, რომ

სადავო გარიგებების დადებისას კომპანიის ხელმძღვანელები არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ და გარიგების დადების მიზანი მოსარჩელეებისათვის ზიანის მიყენება იყო. სხვა მტკიცებულება, რომელიც შპს „მ-ის“ არაკეთილსინდისიერებას დაადასტურებდა, საქმეში წარმოდგენილ არ არის. საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ა. თ-ს მოცემულ შემთხვევაში, შპს „ს. ტ-ის“ მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნია, რაც მას არ მოუთხოვია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო გარიგებების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არსებითად სწორია, ნაწილობრივ მცდარი სამართლებრივი დასაბუთების მიუხედავად, შესაბამისად, ა. თ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე, მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. თ-ის საკასაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდეს;
  2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ნოემბრის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## გარიგების პათილად ცხობის მოთხოვნის სალიზაციულობის ვადა

### გადაცევის დრო საქართველოს სახელით

№ას-495-471-2013

25 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** მიღება-ჩაბარების აქტების ბათილად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

რეგისტრირებულმა კოოპერატივმა „ქ. ქ-მა“ სარჩელი აღმრა  
სასამართლოში კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ ყოფილი დირექტორის - ა.  
პ-ის, შპს „ა-ას“ მეანაბრების: ნ. გ-ის, ზ. ნ-ის, ნ. ბ-ის, ნ. მ-ის (შ.  
ხ-ის უფლებამონაცვლე), ა. პ-სა და ო. ლ-ის მიმართ კოოპერა-  
ტივ „ქ. ქ-ის“ დირექტორ ა. პ-სა და კოოპერატივ „ქ-ის“ უფლება-  
მონაცვლე შპს „ა-ას“ მეანაბრეთა რწმუნებულ ნ. გ-ეს შორის  
გაფორმებული 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარე-  
ბის აქტების ბათილად ცნობისა და დავალიანების ურთიერ-  
თმოთხოვნათა გაქვითვის მოთხოვნით.

რეგისტრირებულ კოოპერატივ „ქ. ქ-სა“ და ნ. გ-ეს შორის გა-  
ფორმებული ზემოაღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტების ბა-  
თილად ცხობის მოთხოვნით, ასევე, მიმართეს სასამართლოს  
დამოუკიდებელი სასაჩრელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებ-  
მა: სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ (თელავის საგადასახადო  
ინსპექციის უფლებამონაცვლე) და ლ. ა-მა (იგივე ლ. გ.ა.).

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე  
უარის თქმა მოითხოვეს.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30  
დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე კოოპერატივ „ქ. ქ-  
ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნო-  
ბილი 1999 წლის 12-14 ოქტომბრის ქონების მიღება-ჩაბარების  
აქტები, რომლითაც კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორმა ა. პ-მა  
კორპორაცია „ქ-ის“ მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებულ ნ. გ-ეს  
გადასცა კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ ბალანსზე რიცხული ქონება, კო-  
ოპერატივ „ქ. ქ-ს“ უარი ეთქვა კორპორაცია „ქ-სა“ და კოოპერა-

ტივ „ქ. ქ-ს“ შორის არსებულ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვაზე უსაფუძვლობის გამო, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების: შემოსავლების სამსახურისა და ლ. ა-ის სარჩელები დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 1999 წლის 12-14 ოქტომბრის ქონების მიღება-ჩაბარების აქტები, რომლითაც კონკრეტულივ „ქ. ქ-ის“ დირექტორმა ა. პ-მა კორპორაცია „ქ-ის“ მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებულ ნ. გ-ეს გადასცა კონკრეტულივ „ქ. ქ-ის“ ბალანსზე რიცხული ქონება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ბ-ებ და ა. პ-ებ (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 1 ივნისისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 ივლისის განჩინებები).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 მარტის განჩინებით ნ. ბ-სა და ა. პ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა დედოფლის სწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 1997 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით დედოფლის სწყაროს რაიონის კომერციულ სასოფლო-სამეურნეო საწარმო „ქ. ქ-ს“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ა-ას“ (კორპორაცია „ქ-ის“ სამართალმემკვიდრე) სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანება 74 879 ლარი. 1999 წლის 30 აპრილს კორპორაცია ქ-ის სამართალმემკვიდრე შპს „ა-ას“ მეანაბრეთა რწმუნებულ ნ. გ-ის სასარგებლოდ დედოფლის სწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა და დედოფლის სწყაროს რაიონის სასამართლოს 1999 წლის 16 აპრილის განჩინების საფუძველზე ამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც „ქ. ქ-ის“ დაკისრებული თანხა – 74 879 ლარი განისაზღვრა მყარი ვალუტით გადახდევინების პერიოდში არსებული კურსით – 57 687,98 აშშ დოლარით. დედოფლის სწყაროს რაიონის სასამართლოს 1999 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით განიმარტა, რომ 1999 წლის 30 აპრილის სააღსრულებო ფურცელი ამოიწერა 12 მეანაბრის: მ. ჯ-ის, გ. ჩ-ის, ე. ბ-ის, რ. ბ-ის, რ. ჩ-ის, ნ. გ-ის, კ. ლ-ის, ზ. ლ-ის, მ. ბ-ის, მ. ს-ის, გ. ა-სა და ა. ა-ის ერთობლივი განცხადების საფუძველზე. საქმეში წარმოდგენილი იყო კონკრეტულივ „ქ. ქ-ის“ დირექტორ ა. პ-სა და კორპორაცია „ქ-ის“ მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებულ ნ. გ-ეს შორის გაფორმებული, 1999 წლის 12-14 ოქტომბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტების

იდენტური შინაარსის რამდენიმე ეგზემპლარი, მათ შორის იმ-გვარი ვარიანტები, რომლებზეც მხარეთა ხელმოწერები დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ. 1999 წლის 12 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორმა ა. პ-მა „ქ-ის“ მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებულ ნ. გ-ეს საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა და დედოფლისნებაროს რაიონის სასამართლოს 1999 წლის 16 აპრილის განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის, ასევე 1999 წლის 7 ოქტომბრის განჩინების თანახმად, გადასცა კოოპერატივის ბალანსზე რიცხული 135 ჰა ფართობი ვენახი. მიღება-ჩაბარების აქტს კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორი ა. პ-ი და კორპორაცია „ქ-ის“ შპს „ა-ას“ მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებული ნ. გ-ე ხელს აწერს 1999 წლის 14 ოქტომბრის თარიღით. აღნიშნულ აქტზე 2001 წლის 25 აპრილის თარიღით დასმულია ნოტარიუსის შტამპი, სადაც მითითებულია, რომ ხელმოწერები ნამდვილია და შესრულებულია ნოტარიუსის თანდასწრებით.

1999 წლის 12 ოქტომბრის ქონების გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორმა ა. პ-მა კორპორაცია „ქ-ის“ მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებულ ნ. გ-ეს საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა და დედოფლისნებაროს რაიონის სასამართლოს 1999 წლის 16 აპრილის განჩინების საფუძვლზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის, ასევე 1999 წლის 7 ოქტომბრის განჩინების თანახმად, გადასცა კოოპერატივის ბალანსზე რიცხული შემდეგი ქონება: 1. კომპლექსი საძროხეები; 2. შიდა მოწყობილობა; 3. სამშობიარო შენობა; 4. კორმის ცენტო; 5. მაცივარი ოთახი; 6. საცხოვრებელი სახლი; 7. სან.გამტარი; 8. კაჩეგარია; 9. ხელოვნური დათესვის ოთახი; 10. სასენაჟე ტრანშეები; 11. ელ.მოტორის შენობა; 12. ბინების ფურნე; 13. წყლის გაყვანილობა; 14. სასენაჟე; 15. სასენაჟე; 16. სასენაჟე; 17. წყლის ნავი.

მიღება-ჩაბარების აქტს კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორი ა. პ-ი და კორპორაცია „ქ-ის“ შპს „ა-ას“ მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებული ნ. გ-ე ხელს აწერენ 1999 წლის 14 ოქტომბრის თარიღით. აღნიშნულ აქტზე 2001 წლის 25 აპრილის თარიღით დასმულია ნოტარიუსის შტამპი, სადაც მითითებულია, რომ ხელმოწერები ნამდვილია და შესრულებულია ნოტარიუსის თანდასწრებით.

1999 წლის 12 ოქტომბრის ქონების გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ დი-

რექტორმა ა. პ-მა კორპორაცია „ქ-ის“ მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებულ ნ. გ-ეს საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების, დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს 1999 წლის 16 აპრილის განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლისა და 1999 წლის 7 ოქტომბრის განჩინების თანახმად, გადასცა კოოპერატივის ბალანსზე რიცხული შემდეგი ქონება: 1. ვენახი ალაზანზე - 135 ჰა; 2. აგურის ქარხანა: ა) აგურის ქარხნის საცხოვრებელი სახლი; ბ) აგურის ქარხნის საცხოვრებელი სახლი; გ) აგურის ქარხნის საცხოვრებელი სახლი; დ) ქურა აგურის ქარხნის; დ) საშრობი ფარდული; ე) საშრობი ფარდული; ვ) თიხის ამრევი მოწყ. დაზგა; ზ.) რეზერვუარები 25 და 12 ტ; თ) საშრობი ფარდული.; 3. ავტომანქანა კმზ; 4. ავტომანქანა კმზ; 5. ავტომანქანა კმზ; 6. ავტომანქანა კმზ; 7. ტრაქტორი ტ-76; 8. ტრაქტორი მტზ-80; 9. ტრაქტორი მტზ-80; 10. კომბაინი ნივა; 11. კომბაინი „ნივა“; 12. კომბაინი „ნივა“; 13. საწყობი; 14. მელორეობის ფერმა; 15. საცხოვრებელი სახლი; 15. მელორეობის ფერმა, საცხოვრებელი სახლი; 16. მელორეობის ფერმა, საცხოვრებელი სახლი; 17. ტრაქტორი ტ-25; 18. ტრაქტორი ტ-25; 19. ტრაქტორი ტ-25; 20. ტრაქტორი ტ-25; 21. მზესუმზირის სათესი; 22. კულტივატორი; 23. ხორბლის სათესი; 24. ტრაქტორი მტზ-80; 25. სათესი; 26. ტრაქტორი ტ-54; 27. ნისქვილთან მდებარე საწყობი; 28. საწყობის შენობის ნარჩენი; 29. აფთიაქი; 30. ტრაქტორი მტზ-80; 31. ტრაქტორი მტზ-80; 32. ტრაქტორი მტზ-80; 33. ტრაქტორი დტ-70; 34. ტრაქტორი დტ-75; 35. ტრაქტორი იუმზ-80; 36. ხორბლის სათესი; 37. ტრაქტორი მტზ. 80; 38. ლაფეტი ორლერძიანი; 39. მზესუმზირის სათესი; 40. სამჭედლო სადურგლო; 41. ტრაქტორი მტზ-80; 42. გუთანი; 43. ავტომანქანა გაზ. 53; 44. ავტომანქანა ზილ. 130; 45. ავტომანქანა ზილ. 130; 46. ავტომანქანა ზილ. 130; 47. ავტობუსი; 48. სათესი; 49. მეცხოველეობის კომპლექსი იზოლატორი.

აღნიშნულ აქტზე 2001 წლის 25 აპრილის თარიღით დასმულია ნოტარიუსის შტამპი, სადაც მითითებულია, რომ ხელმოწერები ნამდვილია და შესრულებულია ნოტარიუსის თანდასწრებით.

პალატამ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოში პელანტების წარმომადგენლის ახსნა-განმარტებაზე, სადაც ნ. გ-ე უთითებდა, რომ სადაცო, 1999 წლის 12-14 ოქტომბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტები მხარეთა შორის გაფორმდა რამდენიმეჯერ, თუმცა, საბოლოო შინაარსზე მხარეები შეჯერდნენ მაშინ, როდესაც მხარეთა ხელმოწერები დაამოწმა ნო-

ტარიუსმა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კი, პალატამ მიიჩნია, რომ სადაც 1999 წლის 12-14 ოქტომბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტების საბოლოო ვარიანტები მხარეთა შორის დაიდო ნოტარიუსის მიერ ხელმოწერების დადასტურების დღეს – 2001 წლის 25 აპრილს.

1999 წლის 7 ოქტომბრის დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაქმაყოფილდა დედოფლისწყაროს რაიონის საგადასახადო ინსპექციის სასარჩელო მოთხოვნა და კოოპერატივ „ქ. ქ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 287 850 ლარის გადახდა. დავალიანების დაფარვის მიზნით, 2000 წლის 19 მაისს დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს აღმასრულებელმა ზ.ბ-მა დააყადაღა კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ ქონება.

თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით საფინანსო-სატრასტო კომპანია „ქ-ს“ ლ. გ-ას (ლ. ა-ი) სასარგებლოდ დაეკისრა 2 332 000 რუსული რუბლისა და 6 999 აშშ დოლარის გადახდა. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი. დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 1999 წლის 10 სექტემბრის განჩინებით დამტკიცდა მხარეებს: ლ. ა-სა და დედოფლისწყაროს რაიონის კოოპერატივ „ქ. ქ-ს“ შორის დადგებული მორიგების ხელწერილი სხვადასხვა დასახელების უძრავ-მოძრავი ქონების (ლირებულებით 16050 ლარი) გადაცემის შესახებ, კერძოდ, ლ. ა-ს გადაეცა შემდეგი ქონება: 1. მექროხეობის კომპლექსში მდებარე ერთი ფერმა; 2. სახბორე; 3. ავტომანქანა გაზ.66; 4. ხორბლის სათესი; 5. აგურის ქარხანა; 6. ავტობუსი კავზი; ტრაქტორი ტ. 25; 7. მტზ. 80 და მისი მისაბმელი; 8. რძის მიმღები მაცივრი.

გაზიარებულ იქნა აპელანტების მოსაზრება, რომ 1999 წლის 12-14 ოქტომბრით დათარიღებული სადაც მიღება-ჩაბარების აქტები წარმოადგენდა არა აღსრულების პროცესში დადებულ მორიგებას, არამედ სააღსრულებო წარმოებათა მიღმა დადებულ გარიგებებს.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქლაქო კოდექსის 428-ე მუხლით და ჩათვალა, რომ კოოპერატივ „ქ. ქ-ს“ კორპორაცია „ქ-ის“ მეანაბრეთა სასარგებლოდ დაკისრებული ჰქონდა თანხის გადახდა, რის სანაცვლოდაც კოოპერატივის დირექტორმა ნებაყოფლობით განახორციელა სხვა შესრულების გადაცემა კრედიტორისთვის.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა რეგისტრირებული კოპერატივი „ქ. ქ-ის“ წესდების 6.20 პუნქტზე, რომლის თანახ-

მადაც, გამგეობას კონპერატივის წევრთა შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით ხმის უმრავლესობით ირჩევდა რწმუნებულთა წარმომადგენელთა კრება 7 წევრის შემადგენლობით 4 წლის ვადით. წესდების 6.24 პუნქტის მიხედვით კი, გამგეობა სხდომაზე გადაწყვეტილებებს იღებდა ხმის უმრავლესობით. სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, რომელიც ადგენდა, რომ კონპერატივის გამგეობა შედგებოდა არანაკლებ ორი დირექტორისაგან (გამგეობის წევრები), სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ სასოფლო-სამეურნეო კონპერატივი „ქ. ქ-ის“ საერთო კრების 1997 წლის 5 მარტის №2 ოქმის ამონაწერის თანახმად, კონპერატივის საერთო კრებამ წება დართო, კონპერატივის გამგეობას თავისი შეხედულებისამებრ გაეყიდა კონპერატივის ქონება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქლაქო კოდექსის 50-ე, 54-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ 1999 წლის 12-14 ოქტომბრით დათარიღებული სადაცო მიღება-ჩაბარების აქტები კონპერატივის სახელით დადგებული იყო კონპერატივის დირექტორის მიერ ერთპიროვნულად. საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა კონპერატივის გამგეობის გადაწყვეტილება, სადაცო მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადაცო გარიგებები წარმოადგენდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დადებულ გარიგებებს. ამდენად, 1999 წლის 12-14 ოქტომბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტების დადებისას ქონების მესაკუთრე კონპერატივ „ქ. ქ-ს“ მისი კუთვნილი ქონების გასხვისებაზე წება არ გამოუვლენია, რის გამოც სადაცო გარიგებები იყო ბათილი, არღვევდა კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ენინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტების პოზიცია კონპერატივ „ქ. ქ-ის“ სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 130-ე მუხლის საფუძველზე და მიუთითა დადგენილ გარემოებაზე, რომ 1999 წლის 12-14 ოქტომბრით დათარიღებული სადაცო მიღება-ჩაბარების აქტების საბოლოო, შეჯერებული ვარიანტები სასოფლო-სამეურნეო კონპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორ ა. პ-სა და კორპორაცია „ქ-ის“ მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებულ 6. გ-ეს შორის გაფორმდა 2001 წლის 25 აპრილს – იმ დროს, როდესაც მხარეებმა ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერეს მიღება-ჩაბარების აქტებს. კონპერატივმა „ქ. ქ-მა“ სარჩე-

ლი სასამართლოში აღდრა 2003 წლის ოქტომბერში, შესაბამისად, მოსარჩევეს სასამართლო ხანდაზმულობის ვადები არ დაურღვევია.

ამავე საფუძვლით არ იქნა გაზიარებული აპელანტების მოსაზრება ლ. ა-სა და სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარჩელო მოთხოვნების ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის, ასევე 102-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, განმარტა, რომ იმ ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი, რომ ლ. ა-სა და სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარჩელო მოთხოვნები ხანდაზმული იყო, ეკისრებოდათ აპელანტებს, რომლებმაც სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით ვერ დაასაბუთეს, თუ როდის გახდა ცნობილი მოწინააღმდეგე მხარეებისთვის მათი უფლებების დარღვევის შესახებ ცნობილი, შესაბამისად, აპელანტებმა ვერ უზრუნველყველ მათი მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება. ამასთან, საავტორული პალატამ მიუთითა დედოფლისნყაროს საგადასახადო ინსპექციის 2002 წლის 6 დეკემბრის წერილზე, რომლითაც დასტურდებოდა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ქ. ქ-ს“ დედოფლისნყაროს საგადასახადო ინსპექციაში ბოლო ბალანსი წარდგენილი ჰქონდა 1997 წლის 1 ივლისის მდგომარეობით და საგადასახადო ინსპექციისთვის ცნობილი არ იყო კოოპერატივის კუთვნილი ქონების ბალანსიდან მოხსნის შესახებ. გარდა ამისა, დადგენილი იყო, რომ 1999 წლის 7 ოქტომბრის დედოფლისნყაროს რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2000 წლის 19 მაისს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ყადაღა დაედო კოოპერატივ „ქ. ქ-ს“ ქონებას. აღნიშნული ყადაღა არ გაუქმდებულა და კვლავ ძალაშია, რაც, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, გამორიცხავდა ეჭვს, რომ საგადასახადო ინსპექციამ იცოდა, ან შესაძლოა სცოდნოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ქ. ქ-ს“ მიერ ქონების განკარგვის ფაქტი.

დაუსაბუთებლობის გამო არ დაქმაყოფილდა ასევე აპელანტების მოთხოვნა, დედოფლისნყაროს რაიონული სასამართლოს საოქმო განჩინებების (დამატებითი მტკიცებულებების საქმეზე დართვაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინება; მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინება; მტკიცებულებათა გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინება; მოსამართლის აცილებაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინება) გაუქმების თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული არ იყო არც ფაქტობრივი

და არც სამართლებრივი საფუძვლები გასაჩივრებული საოქმო განჩინებების უსწორობებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება, ასევე საქმეზე მიღებული ყველა შუალედური (საოქმო) განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ბ-ემ და ა. პ-ემ, მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების მონინააღმდეგ მხარეებისათვის დაკისრება (ასევე იხილეთ საკასაციო სასამართლოს 2013 წლის 17 მაისის განჩინება) შემდეგი საფუძვლებით:

კასატორთა მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი კანონის არასწორი განმარტების შედეგად საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების არასრული გამოკვლევა და არასარწმუნობა, კერძოდ, საქმეში არსებული 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით დადგენილია, რომ ეს აქტი გაფორმდა ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის ნდობით აღჭურვილი პირის – ნ. გ-სა და კოოპერატივ ქ. ქ-ის დირექტორ ა. პ-ს შორის კანონიერ ძალაში შესული დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 1999 წლის 16 აპრილის განჩინების და ამ განჩინების საფუძველზე 1999 წლის 30 აპრილს გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რომელ განჩინებებსაც საფუძვლად უდევს 12 კრედიტორისთვის ცალ-ცალკე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებები და სააღსრულებო ფურცლები კორპორაცია „ქ-სა“ და შპს „ა-ის“ სასარგებლოდ თანხის დაკისრების თაობაზე, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ კი, კოოპერატივ „ქ. ქ-ს“ 1997 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაეკისრა თანხის გადახდა, რაზეც 12 კრედიტორი სასამართლომ ცნო უფლებამონაცვლებად. 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტი კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორ ა.პ-სა და „ქ-ის“ მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებულ ნ. გ-ეს შორის არ გაფორმებულა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის საფუძველზე, მას შემდეგ რაც აღმასრულებლებმა უკანონოდ გააჭიანურა სააღსრულებო წარმოება და, ფაქტიურად, უარი განაცხადა კანონიერი აღსრულების მოთხოვნაზე, კრედიტორებმა უარი განაცხადეს იძულებით აღსრულებაზე და, სამოქალაქო კოდექსისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გააფორმეს მორიგება კოოპერატივ „ქ. ქ-ის“. კოოპერატივმა „ქ. ქ-მა“ სასამართლო გადაწყვეტილება ნებაყოფლობით აღასრულა და თანხის სანაცვლოდ კრედიტორებს გა-

დასცა კოოპერატივის ბალანსზე რიცხული ქონების ნაწილი იმ ფასად, რაც დედოფლისნყაროს რაიონული სასამართლოს მიერ დანიშნული აუდიტის მიერ იყო შეფასებული, ე.ი მხარეთა შორის შედგა გარიგება სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების თაობაზე და არა იძულებითი აღსრულების პროცესში მორიგება.

კოოპერატივმა „ქ. ქ-მა“ 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით გადმოცემული ქონება მოხსნა კოოპერატივის ბალანსიდან და აღნიშნულზე 1999 წლის 17 ნოემბერს გაიცა ცნობა, ამასთან, დედოფლისნყაროს რაიონულ სასამართლოში 2002 წლის მაისს, საგადასახადო ინსპექციის მიერ სასამართლოში განმეორებით შეტანილი სარჩელის განხილვისას, რომლითაც საგადასახადო ინსპექცია მოითხოვდა კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ გაკოტრებულად ცნობას, კოოპერატივმა წარადგინა თავის ბალანსზე რიცხული ქონების ნუსხა, სადაც დადასტურებულია, რომ 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული ქონება კოოპერატივის ქონებაში არ არის შეტანილი და ეს ქონება 1999 წლის 17 ნოემბრიდან აღარ წარმოადგენდა მის საკუთრებას.

კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ 1996 წლის 29 ნოემბრის წესდებით დადასტურებულია, რომ კოოპერატივს ჰყავდა ერთი დირექტორი და გამგეობაში შედიოდა ერთი პირი, ანუ კოოპერატივის დირექტორი ა.პ-ი, რომელსაც ერთპიროვნულად ჰქონდა გადაწყვეტილებების მიღების უფლება, ამასთან, კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ საერთო კრებამ 1998 წლის 5 მარტს მიიღო გადაწყვეტილება და დაავალა კოოპერატივის დირექტორ ა. პ-ს, განეკარგა კოოპერატივის ქონება. წესდების 6.20 მუხლის თანახმად, გამგეობას ამტკიცებს წარმომადგენელთა კრება 7 წევრის შემადგენლობით, კოოპერატივის გამგეობა კი, ამ წესდებით წარმოდგენილია ერთი წევრით, ანუ კოოპერატივის დირექტორით რომელსაც აქვს უფლება, ერთპიროვნულად წარმოადგინოს კოოპერატივი და ეს ასახულია წესდების 6.24 მუხლში. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის თანახმად, კოოპერატივს უნდა ჰყოლოდა 2 დირექტორი და ყოფილ დირექტორს არ ჰქონდა ქონების გაყიდვის უფლება, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კოოპერატივის საერთო კრების 1999 წლის 5 მარტის №2 ოქმი. საყურადღებოა, რომ სააპელაციო პალატამ კოოპერატივ „ქ. ქ-ის სახელით სს „მ-ან“ დადგებული მიღება-ჩაბარების აქტი კანონიერად ცნო, რომელსაც ხელს ერთპიროვნულად აწერს დირექტორი ა.პ-ი. ა.პ-ის მიერ „ქ-ის“ მეანაბრეთა ჯგუფისათვის ქონების გადა-

ცემა კანონიერად ცნო კახეთის სამხარეო პროკურატურამ 2005 წლის 24 თებერვლის დადგენილებაში, როდესაც მიიღო სიახლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილებები, დადგენილებების თანახმად, აღმასრულებელი და ღ. ა-ი უჩიოდნენ კოოპერატივ „ქ. ქ-ს“ მეანაბრეთა ჯგუფისათვის ქონების ნატურის გადაცემის გამო. გამოძიებამ დაადგინა, რომ ა.პ-ს უფლება ჰქონდა, ერთპიროვნულად მიეღო გადაწყვეტილება და სასამართლო გადაწყვეტილებით კოოპერატივისათვის დაკისრებული თანხის გადახდის ნაცვლად გადაეცა მეანაბრებისათვის კოოპერატივის ბალანსზე რიცხული ქონება ერთპიროვნულად. 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით ქონების ნაწილის ვალში გადმოცემა, არა უგვიანეს 2000 წლის 19 მაისისა, ცნობილი იყო საგადასახადო ინსპექციისათვის, რაც დადასტურებულია საგადასახადო ინსპექციის მუშავის მონაწილეობით ხელმონერილი ყადაღის აქტით. ამ დროიდან საგადასახადო ინსპექციისთვის ცნობილი იყო ფაქტები და ისიც, რომ ეს ქონება მოხსნილი იყო კოოპერატივის ბალანსიდან, მაგრამ ნლების შემდეგ საგადასახადო ინსპექციისა და კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ მოლაპარაკებით, სს „მ-ას“ ინტერესების გათვალისწინებით, 6. გ-ის მიკუთვნებული ქონება, რაც დედოფლისწყაროს ტექ.ბიუროში რეგისტრირებული სწორედ ამ უკანასკნელის საკუთრებად იყო, კვლავ კოოპერატივის ბალანსზე აღირიცხა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა საქმის მასალები, რასაც ადასტურებს პროკურატურის დადგენილებები და ამ დადგენილებაზე წარდგენილი საჩივრების გამო, თელავის სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის დადგენილებები, რაც სასამართლოს მიერ არ შეფასებულა.

ლ. ა-მა სარჩელი სასამართლოში 2006 წელს შეიტანა, რომლითაც ითხოვა 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტის გაუქმება, ამასთან არ მიუთითებით აღიარებით სარჩელის იურიდიული ინტერესი. საქმის მასალებით დადგენილია, რომ, სადაც მიღება-ჩაბარების აქტის გამო, მან საჩივრით პროკურატურას 1999 წელსვე მიმართა და გამოძიება ნლები მიმდინარებდა. ლ. ა-ის ამ აქტების არსებობა 12-14 ოქტომბერსვე იყო ცნობილი და ამ აქტებზე შეტანილი სარჩელი სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის საფუძველზე იყო ხანდაზმული. ლ. ა-ს მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა. იგი არასათანადო მოსარჩელეა, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს ამავე საქმეში 2006 წლის 23 მარტს მიღებული აქვს განჩინება ლ. ა-ის კერძო საჩივრის დაუშვებლად ცნობაზე, სადაც აღნიშნულია, რომ კერ-

ძო საჩივრის ავტორს არ აქვს აღძრული მიკუთვნებითი სარჩელი, არ არის დასაბუთებული და მითითებული აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესი, ამის შემდეგ მთავარ სხდომაზე ლ. ა-ი ვერ დააზუსტებდა მოთხოვნას და ვერც შეცვლიდა მოპასუხის თანხმობის გარეშე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ლ. ა-ს შემოსავლების სამსახურსა და „ქ. ქ-ს“ აქვთ მოთხოვნის უფლება კოოპერატივის მიმართ და 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტების გაუქმებით მათ შეუძლიათ დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნა, ეს მაშინ, როდესაც არც ერთ მოსარჩელეს აღიარებითი სარჩელის იურიდიულ ინტერესზე არ მიუთითებია, ამასთანავე, დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ განხილული სარჩელები არ იყო წარმოებაში მისაღები სამოქალაქო საპროცესო კანონის 177-178-ე და 180-ე მუხლების საფუძველზე.

რაიონულმა სასამართლომ არა ერთი მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხეს არ გადასცა სასამართლო სხდომის ოქმები, რის გამოც მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა, არსებობის შემთხვევაში, დაშვებული შეცდომების გასწორება მოეთხოვა. სააპელაციო პალატის მითითებით კი, ნ. გ-ემ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტები რამდენჯერმე შედგა და საბოლოოდ იგი შეჯერდა 2001 წელს, როცა ნოტარიუსმა დაამოწმა მხარეთა ხელმოწერები, რაც უკანონოა. სააპელაციო სასამართლო ადგენს, რომ 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტი 2001 წლის 25 აპრილს, ნოტარიუსთან დამოწმების დროს, დაზუსტდა, მაშინ, როდესაც 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტების კოოპერატივის არაწევრი და დაინტერესებული პირებისგან სადავოდ გახდომის შემდგომ, „ქ. ქ-ის“ დირექტორმა განმეორებით დაადასტურა გარიგების ნამდვილობა ნოტარიუსთან ამ აქტებზე ხელმოწერით, რისი უფლებაც მას სამოქალაქო კოდექსის 50-61-ე მუხლების საფუძველზე გააჩნდა.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად აღნიშნა, რომ აპელანტებმა ვერ დაასაბუთეს, რომელი მოსარჩელისათვის როდის გახდა ცნობილი 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტის არსებობა, მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მითითებულია, რომ 1999 წლის 7 ოქტომბრის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც გამოცემულ იქნა საგადასახადო ინსპექციის სასარგებლოდ, აღმასრულებელმა ზ.ბ-მა 2000 წლის 19 მაისს ყადაღა დაადო კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ ქონებას და თუ ეს აქტი მოთავსებულია განჩინებაში მითითებულ საქმის ფურცელზე, მაშინ სასამართლო

არასწორ შეფასებას აძლევს მას, რადგან ყადაღის აქტზე ხელს აწერს საგადასახადო ინსპექციის მუშავი რაც ადასტურებს, რომ მისთვის, არა უგვიანეს 2000 წლის 19 მაისსა, ცნობილი გახდა 1999 წლის 12-14 ოქტომბერს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე კრედიტორებისათვის ქონების გადაცემის თაობაზე. 1999 წელს საგადასახადო ინსპექციამ მიმართა პროგურატურას კომპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორსა და კასატორებს ამ გარიგებისთვის, რაც ასახულია პროკურატურისა და სასამართლოს დადგენილებებში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლის საფუძველზე კომპერატივის დირექტორმა სხვა შესრულების გადაცემით ნებაყოფლობით აღასრულა გადაწყვეტილება, რასაც კასატორები ეთანხმებიან, მაგრამ აღნიშნული გარემოება ეწინააღმდეგება სასამართლოს მიერ მითითებულ სხვა გარემოებებს, კერძოდ, რომ კომპერატივის დირექტორი ა. პ-ი არის არაუფლებამოსილი პირი, კომპერატივის დირექტორის ერთპიროვნული გადაწყვეტილება სს „მ-ას“ მიმართ სააპელაციო სასამართლომ მიჩნია უფლებამოსილი პირის მიერ დადებულ გარიგებად და კასატორების მიმართ დირექტორი არაუფლებამოსილ პირად მიჩნია გარიგების დადებისას. სიღნაღლის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა საოქმო განჩინება, რომლითაც სს „მ-ა“ 135 ჰა ვენახზე ცნობილ იქნა არაუფლებამოსილ პირად, რაც დადასტურებულია ასევე დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 1999 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით, აღსანიშნავია ისიც, რომ სააპელაციო პალატამ 2006 წლის 25 სექტემბრის განჩინებით სს „მ-ა“ 135 ჰა ვენახზე ცნო არაუფლებამოსილ პირად, ხოლო მოცემულ დავაში სს „მ-ა“ უფლებამოსილ პირადა მიჩნეული.

დედოფლისწყაროს რაიონულმა სასამართლომ სულ სხვა გარემოებებზე მითითებით დაკამაყოფილა სასარჩელო მოთხოვნები, სააპელაციო სასამართლომ კი, სხვა გარემოებები მიუთითა სააპელაციო საჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად და არ იმსჯელა საქმეში მტკიცებულების სახით დართულ დოკუმენტზე, რაც არასწორია. სააპელაციო პალატას პასუხი არ გაუცია სააპელაციო საჩივარში მითითებულ არგუმენტებზე, რომლებიც შექხებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 3.2.1; 3.2.2 და 3.2.3 პუნქტებს. ლ. ა-ი არ ყოფილა კომპერატივ „ქ. ქ-ის“ კრედიტორი, საპირისპირო ვითარებაშიც კი, უკანონოა იმაზე მითითება, რომ ამ დავის მიმართ ერცელდებოდა ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა და მოსარჩელების მოთხოვნა არ არის ხანდაზმული. არასწორია ასევე სასამართლოს მო-

საზრება, რომ კასატორებს ქონება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით გადაეცათ, რადგან მათ აღსრულება არ უნარმოებიათ, არამედ გარიგება გააფორმეს მოვალესთან მას შემდეგ, როცა აღმასრულებელმა უარი უთხრა გადაწყვეტილების აღსრულებაზე. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიუთითა გადაწყვეტილებაში ფაქტორივი გარემოებები და არასწორად დააკმაყოფილა სარჩელები, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება მხარეთა შორის გარიგების და არა მორიგების გაფორმების თაობაზე, თუმცა სხვა გარემოებებზე მითითებით არასწორად არ დააქმაყოფილა სააპელაციო საჩივარი.

კანონიერ ძალაში შესული დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 28 მარტისა და თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებებით კასატორები ცნობილი არიან 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღებაზაბარების აქტში მითითებული ქონების მესაკუთრებად და სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 170-172-ე მუხლების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება, უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის თაობაზე, ხოლო აღმასრულებელმა გამოსცა განკარგულება 2005 წლის 25 აპრილს და მხარეს გადაეცა 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტში ჩამოთვლილი ქონება საკუთრებაში, ეს ღოკუმენტები სასამართლოს არ შეუფასებია, ასევე არ შეფასებულა ის გარემოება, რომ შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ აღსრულების დაწყების დროისათვის – 1999 წლის დეკემბრისათვის, კრედიტორებს სადაც აქტებით ქონება უკვე გადმოცემული ჰქონდათ და კომპერატივ „ქ. ქ-ს“ იმ დროს იმდენი ქონება გააჩნდა, რაც სრულად დააკმაყოფილებდა ასევე საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნას. გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის მითითებული, თუ რის საფუძველზე უარყოფს სასამართლო საქმეში არსებულ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის დავებზე მიღებულ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს, ასევე ის, თუ რა საფუძვლითაა უგულებელყოფილი გამოძიებით დადგენილი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 442-ე მუხლების მოთხოვნები. უგულებელყოფილია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის იმპერატიული მოთხოვნა გარიგების ბათილად ცნობის ვადებზე, რომლითაც დადგენილია 2-თვიანი ვადა კრების

ოქმისა და 18-თვიანი ვადა გარიგების ბათილად ცნობის მოხსენისათვის, უგულებელყოფილია, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლით დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების სავალდებულობა, საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დანაწესებით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს უფლება.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის გამოკვლეული საქმეში წარმოდგენილი აღმასრულებლის განკარგულებები და მიღება-ჩაბარების აქტები, გამოცემული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2002 წლის 28 მაისის, 4 დეკემბრისა და 2003 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილების აღსასრულებლად. უდავო მტკიცებულებად არ არის მიჩნეული ის, რომ საქმეში ჩართულ მესამე პირებს: ს. ი-ეს, თ-სა და სხვებს არ გააჩნიათ სასამართლო გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელი კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ მიმართ თანხის გადახდევინებაზე, არაა გამოკვლეული ის გარემოება, რომ მორიგება არ გაფორმებულა კოოპერატივის დირექტორის მიერ, რაც დადასტურებულია გამომდიებლისა და სასამართლოს დადგენილებებით. უდავო მტკიცებულებებში მითითებული არ არის დედოფლისწყაროს ტექ.ბიუროს უფროს გ.ბ-ის ცნობა, კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ 1997 წლის 5 მარტის საერთო კრების №5 ოქმი, რომლითაც უფლება მიეცა კოოპერატივის დირექტორს, განეკარგა კოოპერატივის ქონება კოოპერატივის ვალების გასასტუმრებლად, დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ მიერ 2002 წლის 21 აპრილს წარდგენილი წერილი და ქონების ნუსხა, სადაც აღარ არის შეტანილი ის ქონება, რომელიც 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცა „ქ-ის“ მეანაბრეთა 12-კაციან ჯგუფს იმ მოტივით, რომ კოოპერატივმა „ქ. ქ-მა“ აღნიშნული ქონება მოხსნა კოოპერატივის ბალანსიდან. რაიონულ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ მიუთითებია ის გარემოება, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებაზე „ქ. ქ-ის“ მიერ შეტანილ საჩივარზე მხარედ ჩაბმული იყო 1999 წლის 16 აპრილის განჩინების საფუძველზე 30 აპრილს გამოწერილი სააღსრულებო ფურცელში კრედიტორად მითითებული კორპორაცია „ქ-ის“ შპს „ა-ას“ მეანაბრეთა ჯგუფის წარმომადგენელი ნ.გ-ე და არა ყველა მეანაბრე. მოთხოვნის უფლება კოოპერატივის მიმართ წარმოგვეშვა 12 ფიზიკურ პირს და არა ზოგადად მეანაბრეებს, რაც არის ასევე უდავო მტკიცებულება იმის დასადგენად, რომ მესამე პირად ჩართული ს. ი-ე და სხვები არიან არა-

უფლებამოსილი პირები, ხოლო ლ. ა-ი – არასათანადო მოსარჩევა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2006 წლის 25 სექტემბრის განჩინებით დაადგინა, რომ 135 ჰა ვენახის გადარჩენილი ნაწილი – 75 ჰა ვენახი შეტანილია კოოპერატივ „ვაზის“ საწყლებო კაპიტალში და, რომ სს „მ-ა“, რომელსაც ამ დავაში 135 ჰა ვენახზე აქვს პრეტენზია, უფლებამოსილი პირი არც ფორმალურად და არც იურიდიულად არ არის. აღნიშნული უდავოდ ადასტურებს, რომ სს „მ-ა“ და მისი დირექტორი ვ. კ-ი არაუფლებამოსილი პირები არიან. საქმეში წარმოდგენილია აღმასრულებელ მ. ხ-ის 2005 წლის 25 ივნისის განკარგულებები და სხვადასხვა დროის მიღება-ჩაბარების აქტები, რომელიც შეეხება 2002 წლის 28 მაისისა და 4 დეკემბრის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსასრულებლად ქონების 6. გ-ის ჩაბარებას, ასევე შეეხება სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების აღსრულებას, რომელთა გამოც გაფორმდა სადაცვო მიღება-ჩაბარების აქტები. საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომელიც საშუალებს მისცემდა სასამართლოს, მიღება-ჩაბარების აქტები ბათილად მიეჩინა იმ საფუძვლით, რომ კოოპერატივს გააჩნდა მხოლოდ მორიგებისა და არა გარიგების უფლება.

გარდა იმისა, რომ საქმეში წარმოდგენილ სარჩელებში არ იყო მითთებული მოთხოვნის იურიდიული ინტერესი, კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ სარჩელს ხელს აწერენ არაუფლებამოსილი დირექტორები. სასამართლოს სასარჩელო განცხადება საერთოდ არ უნდა მიეღო წარმოებაში და მასზე წარმოება უნდა შეწყვეტილიყო. ამ კუთხით სასამართლომ არ შეაფასა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 28 მაისის წინასწარი გადაწყვეტილება და საოლქო სასამართლოს 2002 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება.

კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორებს სარჩელი აღძრული აქვთ 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტის გაუქმებაზე ანუ დაახლოებით 112000 ლარის ქონებაზე, თუმცა მათ არასრულყოფილად აქვთ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამ შემთხვევაში სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის საფუძველზე, წარმოება უნდა შეეწყვიტა. სარჩელზე თანდართული ე.წ ახსნა-განმარტებები შედგენილია გაუნათლებელი პირის კარნახით და ამ ახსნა-განმარტებას იურიდიული ძალა არ აქვს, ხოლო საქმეში არსებული დოკუმენტაციებით დადგენილია, რომ, სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 51-ე მუხლების საფუძველზე, 1999 წლის 12-14 ოქტომბერს შედგა მხარეთა ორმხრივი შეთანხმება, რომელიც 2001 წელს სანოტა-

რო წესით დადასტურდა.

აღსანიშნავია, რომ კომპერატივ „ქ. ქ-ის“ კრედიტორი კორპორაცია „ქ-ი“ და მისი მეასაბრეთა ჯგუფი 1997 წლის 30 ოქტომბრიდანაა. საგადასახადო ინსპექციის სარჩელის საფუძველზე კომპერატივი „ქ. ქ-ი“ გაკოტრებულად გამოცხადდა და ჯერ კიდევ გაკოტრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლომ გაყიდა ქონება.

1999 წლის 25 ივნისის №69 ნერილით, საალსრულებლო კანონის 28-ე მუხლის თანახმად, კასატორების სასარგებლოდ კომპერატივ „ქ. ქ-ს“ 5 დღის ვადაში ნებაყოფლობით დაევალა 57687,98 აშშ დოლარის გადახდა, რაც ვერ შესრულდა. კომპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორი ა.პ-ი იძულებული იყო, ნატურით გადაეცა ქონება იმ ფასად, რაც სასამართლოს მიერ დანიშნული აუდიტით იყო შეფასებული და ასე აღსრულებინა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. კომპერატივმა „ქ. ქ-მა“ 2000 წლის 14 სექტემბრის №1-ით ოქმი გააუქმა 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტები, აღნიშნული არაერთხელ იქნა ნარდგენილი სასამართლოში, მაშინაც კი, როდესაც იხილებოდა სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვაზე, თუმცა სასამართლოს ეს უკანონო მტკიცებულება არ გაუზიარებია. სიღნალის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 24 აპრილის საოქმო განჩინებით სს „მ-ას“ 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობასა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი, ამ პროცესში, როგორც მხარე, მონანილეობდა კომპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორი ა. პ-ი და იგი არ იყო ფიზიკური პირი. ერთსა და იმავე დავაზე, ერთსა და იმავე მხარეებს შორის დავა არ დაიშვება, ეს დავა ნარმოებით უნდა შეწყვეტილიყო.

კომპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორებად ა.ხ-ი და თ.კ-ი არჩეულ იქნენ 2003 წლის 26 სექტემბერს. სარჩელი მათ მიერ ხელმოწერილია 2003 წლის 26 ოქტომბერს, მოსამართლეს სარჩელზე რეზოლუცია დადებულია აქვს 2010 წლის 6 ოქტომბერს, ხოლო რიცხვი გადასწორებულია 2003 წლის 6 ოქტომბრად.

თელავის საგადასახადო ინსპექციამ დედოფლის სამსახულ სასამართლოს სარჩელით 2005 წლის 17 მაისს მიმართა მოპასუხეების: კომპერატივ „ქ. ქ-ის“ ყოფილი დირექტორისა და კორპორაცია „ქ-ის“ მეანაბრეთა ჯგუფის ნარმომადგენელ ნ. გ-ის მიმართ მიღება-ჩაბარების აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით, როდის გახდა საგადასახადო ინსპექციისთვის ამ გარემოების არსებობა ცნობილი სარჩელში მითითებული არ არის.

კონპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორ ა.ხ-ს დაზუსტებული სარჩელი აქვს წარდგენილი სასამართლოში, რომლითაც მოითხოვს კორპორაცია „ქ-ის“ მიმართ არსებული დავალიანების გადაფარვას, სხვა მოთხოვნა დაზუსტებულ სარჩელში, არ არის. რა მოთხოვნაზე იხილება სარჩელი და რას ნიშნავს დავალიანების გადაფარვა, რა იგულისხმება ამაში, სასამართლოს არ დაუდგენია, ისე უთხრა უარი მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. კონპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორ ა.ხ-ს 2003 წლის 6 აპრილს მიმართული აქვს განცხადებით სასამართლოსათვის სადაც კვლავ სასარჩელო მოთხოვნას აყალიბებს, თუმცა სასამართლოს არც ამჯერად დაუდგენია მოსარჩელის მოთხოვნა, ისე განიხილა იგი. მხოლოდ 2003 წლის 1 ივნისს, ა. ხ-ის მიერ ხელმოწერილ დაზუსტებულ სარჩელში დაზუსტდა მოთხოვნა, თუმცა სასამართლოს არ გაურკვევია ის გარემოება, რომ მოსარჩელე სადაც მიღება-ჩაბარების აქტის ბათილად ცნობასთან ერთად აქტში მითითებული ქონების უკან დაბრუნებას მოითხოვდა, რაც შემდეგ აღარ უთხოვია და ე.წ. ქონების უკან დაბრუნებაზე სასამართლოს საქმე არ განუხილავს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2006 წლის 23 მარტის განჩინებით ამ საქმეზე კონპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორები: ხ-ი და კ-ი ცნო არაუფლებამოსილ პირებად იმ საფუძვლით, რომ მათი დირექტორად არჩევა არ იყო სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებული. აღნიშნულის შემდეგ სარჩელი თავიდან არ შეტანილა და დედოფლისწყაროს რაიონულმა სასამართლომ არაუფლებამოსილი პირების შეტანილი სარჩელი განიხილა, ეს ფაქტი სასამართლოს არ შეუფასებია. ასევე არაა შეფასებული ის გარემოება, რომ კონპერატივ „ქ. ქ-ის“ სარჩელი ხანდაზმულია, როგორც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული 18-თვიანი ვადის დარღვევის, ისე, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი 3-წლიანი და 6-წლიანი ვადის დარღვევის გამო, რაც შეეხება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლს, თუ 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტი მორიგებად იქნებოდა მიჩნეული, მაშინ მორიგების შედავების ვადა განსაზღვრულია 1 თვით.

შემოსავლების სამსახურის სარჩელის განხილვისას სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ გაუთვალისწინებია გაკოტრების საქმის წარმოებს მასალები, არ გაითვალისწინა, რომ იგი სადაც გარიგების მხარეს არ წარმოადგენს და ხანდაზმულობასთან ერთად, არ გააჩნდა მოთხოვნის უფლება, ისევე, როგორც ლ.ა-ს.

კასატორებმა მოითხოვეს საქმეში არსებული ზემოთ მითი-

თებული მტკიცებულებების გამოკვლევა, ამასთანავე, მიიჩნევენ, რომ სასამართლომ უნდა იმსჯელოს ყველა იმ განჩინების კანონიერებაზე, რომელიც გასაჩივრებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე. კასატორთა მოსაზრებით, აღსანიშნავია ისიც, რომ სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში თვითონ მიუთითა, თუ რა იყო მოსარჩელების აღიარებითი სარჩელი, რითაც არა თუ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, გასცდა მოთხოვნის ფარგლებსაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 თებერვლის განჩინებით ნ. ბ-სა და ა. პ-ის საკასაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიჩნეულ იქნა დასაშენებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, მხარეთა საკასაციო პრეტენზიები და მიიჩნევს, რომ ნ. ბ-სა და ა. პ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშენები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1997 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით დედოფლისწყაროს რაიონის კომერციულ სასოფლო-სამეურნეო სანარმო „ქ. ქ-ს“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ა-ას“ (კორპორაცია „ქ-ის“ სამართალმემკვიდრე) სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი დავალიანება 74 879 ლარი;

1999 წლის 30 აპრილს კორპორაცია „ქ-ის“ სამართალმემკვიდრე შპს „ა-ას“ მეანაბრეთა რწმუნებულ ნ. გ-ის სასარგებლოდ დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლომ საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა და დედოფლისწყაროს რაიონის სასამარ-

თლოს 1999 წლის 16 აპრილის განჩინების საფუძველზე ამონე-რა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც სს „ქ. ქ-ის“ დაკისრე-ბული თანხა 74 879 ლარი განისაზღვრა მყარი ვალუტით გადახ-დევინების პერიოდში არსებული კურსით 57 687.98 აშშ დოლა-რით;

დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს 1999 წლის 7 ოქ-ტომბრის განჩინებით განიმარტა, რომ 1999 წლის 30 აპრილის სააღსრულებო ფურცელი ამონერა 12 მეანაბრის: მ. ჯ-ის, გ. ჩ-ის, ე. ბ-ის, რ. ბ-ის, რ. ჩ-ის, ნ. გ-ის, კ. ლ-ის, ზ. ლ-ის, მ. ბ-ის, მ. ს-ის, გ. ა-სა და ა. ა-ის ერთობლივი განცხადების საფუძველზე;

საქმეში წარმოდგენილია კომპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორი ა. პ-სა და კორპორაცია „ქ-ის“ მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებულ ნ. გ-ეს შორის გაფორმებული, 1999 წლის 12-14 ოქტომბრით და-თარიღებული მიღება-ჩაბარების აქტების იდენტური შინაარ-სის რამდენიმე ეგზემპლარი, მათ შორის იმგვარი ვარიანტები, რომელიც მხარეთა ხელმოწერები დამოწმებულია ნოტარი-უსის მიერ;

1999 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარე-ბის აქტებით კომპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორმა ა. პ-მა „ქ-ის“ მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებულ ნ. გ-ეს საარბიტრაჟო სასა-მართლოს 1997 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა და დე-დოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს 1999 წლის 16 აპრილის განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის, ასევე, 1999 წლის 7 ოქტომბრის განჩინების თანახმად, გადასცა კომპერატივის ბალანსზე რიცხული როგორც უძრავი, ისე მოძ-რავი ქონება;

აღნიშნულ აქტზე 2001 წლის 25 აპრილის თარიღით დასმუ-ლია ნოტარიუსის შტამპი, სადაც მითითებულია, რომ ხელმოწე-რები ნამდვილია და შესრულებულია ნოტარიუსის თანდასწრე-ბით;

სანოტარო დადასტურებისა და პირველი ინსტანციის სასა-მართლო სხდომაზე მოპასუხეთა წარმომადგენელ ნ.გ-ის მიერ მიცემული განმარტების გათვალისწინებით სააპელაციო პალა-ტამ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ 1999 წლის 12-14 ოქტომბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტების საბო-ლოო ვარიანტები მხარეთა შორის დაიდო ნოტარიუსის მიერ ხელმოწერების დადასტურების დღეს – 2001 წლის 25 აპრილს;

1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტებად წო-დებული აქტები არა აღსრულების პროცესში დადებული მორი-გება, არამედ სააღსრულებო წარმოებათა მიღმა დადებულ გა-რიგებებია, რომელთა დადებაც განაპირობა კომპერატივ „ქ. ქ-

ის“ კორპორაცია „ქ-ის“ მეანაბრეთა სასარგებლოდ დაკისრებულმა დავალიანებამ. თანხის გადახდის სანაცვლოდაც კოოპერატივის დირექტორმა განახორციელა სხვა შესრულების გადაცემა კრედიტორისთვის;

სადავო მიღება-ჩაბარების აქტები კოოპერატივის სახელით დადებულია კოოპერატივის დირექტორის მიერ, ერთპიროვნულად. საქმეში წარმოდგენილი არ არის კოოპერატივის გამგეობის გადაწყვეტილება სადავო მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კოოპერატივის დირექტორი არ იყო უფლებამოსილი, ერთპიროვნულად დაედო სადავო გარიგებები, სწორედ ამ ფაქტობრივ საფუძველს ემყარება საქმეში წარმოდგენილი, როგორც კოოპერატივ „ქ. ქ-ის“, ისე, დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლების მქონე მესამე პირების: სსიპ „შემოსავლების სამსახურისა“ და ლ. ა-ის (ლ. გ.ა) სარჩელები.

კასატორები არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს ამ დასკვნას იმ საფუძვლით, რომ, საქმეში წარმოდგენილი წესდების თანახმად, კოოპერატივის გამგეობა შედგებოდა ერთი დირექტორისაგან და ის უფლებამოსილი იყო, ერთპიროვნულად დაედო გარიგება ქონების განკარგვაზე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების ამ მოსაზრებას და ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, კოოპერატივის გამგეობა შედგება არანაკლებ ორი დირექტორისაგან (გამგეობის წევრები). საქმეში წარმოდგენილი კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ წესდების 6.20 პუნქტის თანახმად, გამგეობას კოოპერატივის წევრთა შემადგენლობიდან ფარული კერძისცემით ხმის უმრავლესობით ირჩევს რწმუნებულთა წარმომადგენელთა კრება 7 წევრის შემადგენლობით 4 წლის ვადით. წესდების 6.24 პუნქტის მიხედვით კი, გამგეობა სხდომაზე გადაწყვეტილებებს იღებს ხმის უმრავლესობით.

საქმეში წარმოდგენილია და თავად კასატორები მიუთითებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ საერთო კრების 1997 წლის 5 მარტის №2 ოქმის ამონაწერზე, რომლითაც განისაზღვრა შემდეგი: საზოგადოების დაგროვებული დავალიანების გასტუმრების მიზნით, კოოპერატივის საერთო კრებამ ნება დართო კოოპერატივის გამგეობას თავისი შეხედულებისამებრ განეხორციელებინა კოოპერატივის ქონების ნაწილის გაყიდვა.

საკასაციო პალატა შენიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა რომ სადაც ვო გარიგებების დადების დროისათვის კონკრეტული „ქ. ქ-ის“ გამგეობა შედგებოდა მხოლოდ ერთი დირექტორის – ა. პ-ან, რომელიც უფლებამოსილი იყო, განეკარგა საზოგადოების ქონება, ამდენად, კასატორთა არგუმენტი სააპელაციო პალატის მიერ ზემოაღნიშნული მტკიცებულებების არასწორი შეფასების თაობაზე უსაფუძვლოა.

გარდა აღნიშნულისა, პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კასატორებს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენიათ იმ კუთხით, რომ გარიგების დადების დროისათვის კონკრეტივის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე მათვის უცნობი იყო.

დასაბუთებულ შედავებად ვერ იქნება მიჩნეული და გაზიარებული საკასაციო სასამართლოს მიერ ნ. ბ-სა და ა. პ-ის მოსაზრება სარჩელების წარმოებაში არასწორად მიღების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ „ქ. ქ-ის“ სახელით სარჩელი არაუფლებამოსილი დირექტორების მიერაა აღძრული, მათ სახელმწიფო ბაჟი არ გადაუხდიათ სრულყოფილად, როგორც ძირითად, ისე მესამე პირების სარჩელში არ არის დადასტურებული იურიდიული ინტერესი, რაც აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტისათვის უმნიშვნელოვანესი გარემოებაა, ასევე იმ გარემოებას, რომ საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები ამავე მხარეებს შორისაა გამოტანილი და არსებობს საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემული საქმის არსებითად განხილვამდე პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მომზადების ეტაპი საკმაოდ ხანგრძლივი იყო, რა დროსაც როგორც პირველი, ისე ზემდგომი – თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საპელაციო პალატის მიერ საქმის განხილვის შედეგად დაზუსტდა ზემოაღნიშნული გარემოებები, მათ შორის მხარეთა უფლებამოსილება თუ მოთხოვნის (სარჩელების) იურიდიული ინტერესი, ხოლო ის გარემოება, რომ, სარჩელის გამო, სახელმწიფო ბაჟი, შესაძლოა, არ იყოს სრულყოფილად გადახდილი, არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საპროცესო ნორმის იმგვარ დარღვევას, რასაც არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყება, ამსათანავე ამ გადაცდომის გამოსწორებისათვის, თუ იგი დავის გადაწყვეტისათვის არსებითი ხასიათის აღმოჩნდება, არსებობს საპროცესო-სამართლებრივი ბერკეტები (მაგ:

სსსკ 42-ე, ასევე 55-ე მუხლი).

რაც შეეხება კასატორთა მითითებას საქმეში წარმოდგენილი სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო სამართლის საქმეზე ამავე მხარეებს შორის მიღებული იმ გადაწყვეტილებებსს საპელაციო სასამართლოს მიერ არასრულყოფილად გამოკვლევას, რომელთაც წინამდებარე დავის მიმართ პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნია, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით მსგავსი გარემოებები არ დასტურდება, კერძოდ, სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები გამოტანილია დაზარალებულ მეანაბრებსა და სხვა ფიზიკურ პირებს შორის, მათ საკალდებულო ძალა წინამდებარე საქმეზე არ გააჩნიათ, თავის მხრივ, არ შეიცავენ იმგვარ მითითებას, რაც უტყუარად დაადასტურებდა მიღება-ჩაბარების აქტების ნამდვილობასა და მოპასუხეთა საკუთრებაში ქონების რეალურად გადაცემას, ასევე ტექ.ბიუროში მათ სახელზე სადაცო ქონების რეგისტრაციის ფაქტს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასევე საქმეში წარმოდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 დეკემბრის №ას-1523-1530-2011 განჩინება, რომლითაც დაუშვებლად იქნა მიჩნეული დაზარალებულ მეანაბრეთა საკასაციო საჩივარი კონკერატივ „ქ. ქ-სა“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ, ქონების ყადალისაგან გათავისუფლების თაობაზე. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ დასტურდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე ან 272-ე მუხლების შემადგენლობა, თავის მხრივ, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ასევე არ გააჩნიათ პრეიუდიციული მნიშვნელობა სამოქალაქო საქმის მიმართ, უფრო მეტიც, სანინააღმდეგო ვითარების არსებობის შემთხვევაშიც კი, საქმეში წარმოდგენილი სასამართლო განკარგულებებით სადაცო ქონება გამოთხოვილია იმ ფიზიკური პირების მფლობელობიდან, რომელიც მოცემულ საქმეში მოსარჩელედ ან მოპასუხედ არ არიან ჩაბმული, ხოლო წინასწარი გამოძიების შეწყვეტისა თუ სხვა დადგენილებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესბამისად შესწავლით ირკვევა, რომ ეს მტკიცებულებები არ შეიცავენ ისეთ დადასტურებად ფაქტებს, რაც კასატორთა პოზიციას, მათ საკუთრებად ქონების რეგისტრაციისა თუ სადაცო გარიგებების ნამდვილობის თაობაზე, დაადასტურებდა.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ დაადგი-

ნა, რომ კონპერატივ „ქ. ქ-ის“, ასევე ლ. ა-სა და სსიპ „შემოსავ-ლების სამსახურის“ სარჩელები არ იყო ხანდაზმული, სააპელაციო პალატის ეს დასკვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლებს.

კასატორები არ ეთანხმებიან განჩინების ზემოაღნიშნულ დასკვნას და მიიჩნევენ, რომ სასამართლომ დაარღვია კანონი, კერძოდ, არასწორად არ იხელმძღვანელა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით, რომლითაც განსაზღვრული იყო გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნისათვის სპეციალური – 18-თვიანი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლო კასატორთა ამ პრეტენზიის შემოწმების შედეგად მიდის დასკვნამდე, რომ შინაარსობრივად ის დასაბუთებული შედავებაა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქებულქტებით კანონმდებელი სამართლის ნორმის დარღვევად განიხილავს შემთხვევას, როდესაც სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა და/ან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა.

კასატორები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეებმა დაარღვიეს გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებებიც დარღვეულია, შეუძლია, მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა, იგი უფლების განხორციელების ვადაა და იგულისხმება, რომ კანონმდებლის მიერ დადგენილია ზღვრული ვადები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. ამდენად, მოპასუხის შესაგებელი სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, ის აბსოლუტურ გავლენას ახდენს მატერიალური უფლების გადაწყვეტაზე.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 1999 წლის 12-14 ოქტომბრით დათარიღებული სადაც მიღება-ჩაბარების აქტების საბოლოო, შეჯერებული ვარიანტები სასოფლო-სამეურნეო კონპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორ ა. პ-სა და კორპორაცია „ქ-ის“

მეანაბრეთა ჯგუფის რწმუნებულ ნ. გ-ეს შორის გაფორმდა 2001 წლის 25 აპრილს – იმ დროს, როდესაც მხარეებმა ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერეს მიღება-ჩაპარების აქტებს.

კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ მიერ სარჩელი სასამართლოში აღძრულია 2003 წლის ოქტომბერში.

დადგენილია, რომ საზოგადოების დირექტორი არ იყო უფლებამოსილი, ერთპიროვნულად გაესხვისებინა ქონება.

მისი უფლებამოსილების ამგვარი შეზღუდვის თაობაზე კონტრაპენტის არაინფორმირებულობის ფაქტი სასამართლოს არ დაუდგენია და ამ კუთხით დასაბუთებულ შედავებას საკასაციო საჩივარი არ შეიცავს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი სპეციალური მოწესრიგების ფარგლებში უნდა იქნას განხილული, რადგანაც, სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავისი შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სადაცო პერიოდში მოქმედი რედაქციის 9.5 მუხლის თანახმად, თუ გარიგების კონტრაპენტისათვის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, ნარმომადგენელ საზოგადოებას შეუძლია ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობა.

დასახელებული ნორმა გარიგების დამდები საზოგადოებისათვის მის მიერ დადებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას – 18 თვეს აწესებს და განსაზღვრავს ამ ვადის დენის დასაწყისს, კერძოდ, საზოგადოებას, რომელმაც დადო ესა თუ ის გარიგება და მოითხოვს მის ბათილობას, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა ნორმით გათვალისწინებული ობიექტური ფაქტორიდან – გარიგების დადებიდან ეწყება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 მუხლის შესაბამისად საზოგადოებას ხელმძღვანელობს დირექტორი. დირექტორი არის „მენარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ სანარმოთა აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს სანარმოს მიმდინარე საქმიანობას და უფლებამოსილია მესამე პირების წინაშე

მინდობილობის გარეშე წარმოადგინოს საწარმო, ე.ი დადოს სა-  
წარმოს სახელით ხელშეკრულება. სადაც პერიოდში მოქმედი  
რედაქციის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.4  
მუხლის შესაბამისად დირექტორი საზოგადოებას წარმართავს  
მესამე პირებთან ურთიერთობაში. მისი წარმომადგენლობითი  
უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძ-  
ლება შეიზღუდოს. ეს იმას ნიშნავს, რომ დირექტორებს არ შე-  
იძლება აეკრძალოთ ამა თუ იმ გარემოებათა გამო გარიგებათა  
დადება, გარდა იმ გარიგებებისა, რომლებზეც თანხმობის გა-  
ცემა კანონით სხვა ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (ძველი რედაქ-  
ციის) 9.5 მუხლის შესაბამისად გათვალისწინებული იყო საზო-  
გადოების დაცვის მექანიზმიც. იმ შემთხვევაში, როცა დირექ-  
ტორმა დადო ისეთი გარიგება, რომლის დადების უფლებაც მას  
არ ჰქონდა და ამის შესახებ იცოდა კონტრაპენტმა, საზოგადო-  
ებას შეეძლო, გარიგების დადებიდან 18 თვის განმავლობაში გა-  
ნეცხადებინა გარიგება ბათილობის შესახებ.

სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის „მეწარმეთა შესა-  
ხებ“ საქართველოს კანონის 9.3 მუხლის მეორე აბზაცის შესა-  
ბამისად, საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს  
დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად მართვის  
უფლებამოსილებას, მაგრამ საზოგადოების ხელმძღვანელობის  
უფლებამოსილება შესაძლოა, შეიზღუდოს სამეთვალყურეო  
ორგანოს აუცილებელი თანხმობის დაწესებით. ხელმძღვანელო-  
ბის ეს წესი შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე საზოგადოების  
შინაგანანესით. ასეთ შემთხვევაში კონტრაპენტი ხელშეკრუ-  
ლების დადებისას უნდა დაინტერესდეს, დირექტორს აქვს თუ  
არა ამ ხელშეკრულების დადების უფლება და თუ დარჩმუნდე-  
ბა, რომ ასეთი ხელშეკრულების დადების უფლება არა აქვს,  
მოსთხოვოს შესაბამისი თანხმობა. ეს საკითხი ხელშეკრულე-  
ბის სანოტარო წესით დამოწმების დროს უნდა გაითვალისწი-  
ნოს ნოტარიუსმაც ნორმის ამგვარი განმარტება დამკვიდრე-  
ბულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი  
პრაქტიკით (იხ. სუსგ №3-1492-02, 19 მარტი, 2003 წელი).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წინამდებარე დავის სპე-  
ციალური ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში მოწესრიგებისათ-  
ვის დამაპრკოლებელი ვერ გახდება საქართველოს საკონსტი-  
ტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის №1/1/543 გადაწ-  
ყველილება, რომლითაც შპს „მ-ის“ №543 კონსტიტუციური სარ-  
ჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ დაკმაყოფილ-  
და და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „მეწარმეთა შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვები – „ასეთი ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში“ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, ვინაიდან სადაცო ურთიერთობა წარმოიშვა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმებამდე, ამასთანავე, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. გარდა აღნიშნულისა, ჰალატა მოიხმობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის 1-ლ პუნქტსა და 25 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლებითაც დადგენილია არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობა საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. ამდენად, ნინამდებარე გადაწყვეტილებაში კანონის ზე-მოაღნიშნული ნორმის გამოყენება დასამვება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ კონპერატივ „ქ. ქ-ის“ მოთხოვნის ნაწილში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია ამ ნაწილში თავად მიიღოს გადაწყვეტილება დავაზე და, ხანდაზმულობის გამო, უარი უთხრას კონპერატივს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, დასტურდება სპეციალური კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობა („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.5 მუხლი), რაც კონპერატივ „ქ. ქ-ს“ გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლებას 2001 წლის 25 აპრილს, მიღება-ჩაბარების აქტებზე მხარეთა მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით ხელმოწერის მომენტიდან წარმოუშობს და ეს ვადა ამოიწურა 2002 წლის 25 ოქტომბერს, საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ კონპერატივ „ქ. ქ-მა“ სარჩელი სასამართლოში 2003 წლის ოქტომბერში აღდრა. აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კონპერატივ „ქ. ქ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

რაც შეეხება დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლების მქონე მესამე პირების: ლ. ა-სა და სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ სარჩელების ხანდაზმულობის საკითხს, საკასაციო პალატა მი-იჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამარ-თლომ სწორად გამოიყენა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო კო-დექსის 129-ე და 130-ე მუხლები. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას, რომ ლ. ა-სა და სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მოთხოვნების მი-მართ ვრცელდება 3-ნლიანი და 6-ნლიანი ხანდაზმულობის ვა-დები, თუმცა ამ შემთხვევაში სასამართლომ არასწორად გაანა-ნილა ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მტკიცების ტვირ-თი.

დამკავიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასარჩელო ხანდაზ-მულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შე-იტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, ამასთან, ივარაუდება, რომ მან დარღვევის განხორცილების-თანავე შეიტყო აღნიშნულის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკი-ცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სადავო გარიგე-ბები (მიღება-ჩაბარების აქტები) მხარეთა შორის გაფორმდა 2001 წლის 25 აპრილს, დადგენილია ის გარემოებაც, რომ თელავის საგადასახადო ინსპექციამ (უფლებამონაცვლე სსიპ „შემოსავ-ლების სამსახური“) სასამართლოს სარჩელით 2005 წლის 17 ივ-ნისს მიმართა, ხოლო ლ. ა-მა (ლ. გ.ამ) – 2005 წლის 3 ივნისს, ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ კუთხით გასა-ჩივრებული განჩინება არ შეიცავს საქმარის დასაბუთებას და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, ამასთა-ნავე, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ლ. ა-სა და სსიპ „შემო-სავლების სამსახურის“ სარჩელები აღიარებითი სარჩელებია, რომლებიც მიმართულია მოსარჩელთა მიმართ არსებული და-ვალიანების რეალურად აღსრულებისაკენ.

დასაბუთებული საკასაციო პრეტენზის არარსებობის გამო წინამდებარე გადაწყვეტილებისათვის სავალდებულო ძალის მა-ტარებელია გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ის ფაქ-ტორივი გარემოება, რომ დედოფლისწყაროს რაიონის სასამარ-თლოს 1999 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დედოფლის-წყაროს რაიონის საგადასახადო ინსპექციის სარჩელის გამო „ქ. ქ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 287 850 ლარის გადახდა;

თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1995 წლის

15 დეკემბრის გადაწყვეტილებით საფინანსო-სატრასტო კომპანია „ქ-ს“ ლ. გ.ას (ლ. ა-ი) სასამარგებლოდ დაეკისრა 2 332 000 რუსული რუბლისა და 6 999 აშშ დოლარის გადახდა. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი;

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 1999 წლის 10 სექტემბრის განჩინებით დამტკიცდა მხარეებს: ლ. ა-სა და დედოფლისწყაროს რაიონის კოოპერატივ „ქ. ქ-ს“ შორის დადებული მორიგების ხელწერილი სხვადასხვა დასახელების უძრავ-მოძრავი ქონების (ლირებულებით 16050 ლარი) გადაცემის შესახებ, კერძოდ ლ.ა-ს გადაეცა შემდეგი ქონება: 1. მეძროხეობის კომპლექსში მდებარე ერთი ფერმა; 2. სახბორე; 3. ავტომანქანა გაზ.66; 4. ხორბლის სათესი; 5. აგურის ქარხანა; 6. ავტობუსი კავზი; ტრაქტორი ტ. 25; 7. მტზ. 80 და მისი მისაბმელი; 8. რძის მიმღები მაცივარი.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლზე და განმარტავს, რომ გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მსჯელობას მესამე პირების სარჩელის იურიდიული ინტერესის ფარგლების თაობაზე, რამდენადაც მესამე პირებს სადაცო გარიგებების ბათოლად ცნობის იურიდიული ინტერესი მხოლოდ მათი მოთხოვნის ოდენობით შეიძლება გააჩნდეთ, ამ კუთხით კი საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს საპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მესამე პირების მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოება სასარჩელო მოთხოვნათა (სადაცო გარიგებებით მოძრავი ნივთების გადაცემის ნაწილში 3-წლიანი, ხოლო უძრავი ნივთების გადაცემის ნაწილში 6-წლიანი) ვადის დენის დასაწყისი; ამ გარემოების დადგენის შემდეგ სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესის ფარგლებს და ამ გზით გადაწყვიტოს დავა (სსსკ 412.2 მუხ.).

რაც შეეხება კასატორთა მოთხოვნას, საქმეზე მიღებული

ყველა შუალედური (საოქმო) განჩინებების გაუქმების თაობაზე, საკასაციო პალატა დაუსაბუთებლობის გამო ვერ გაიზიარებს მას და აღნიშნავს, რომ საოქმო განჩინებების გაუქმების მოთხოვნა იმგვარად, რომ მხარე არ მიუთითებს არც კონკრეტულ განჩინებაზე და არც მისი გაუქმების ფაქტობრივ საფუძვლებზე, სასამართლოს არ აძლევს უფლებას, საკუთარი შეხედულებით გადაწყვიტოს მათი უსწორობის საკითხი, ამგვარი მიღებობა არ გამომდინარებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებიდან, რაც ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით კი, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ კოოპერატივმა „ქ. ქ-მა“ საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 30 ლარი, საახელმწიფო და საკასაციო საჩივრების გამო, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ კასატორები (აპელანტები) სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან.

საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით კოოპერატივ „ქ. ქ-ს“ უარი ეთქვა მიღება-ჩაბარების აქტების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში არ არის სადაც მიღება-ჩაბარების აქტების საბაზო ლირებულების განმსაზღვრელი უტყუარი მტკიცებულება, თუმცა ვალდებულება, რომლის გამოც გაფორმდა ზემოაღნიშნული აქტები, განსაზღვრულია 74879 ლარით (უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება), ამდენად დავის საგნის ღირებულება სწორედ ამ თანხით უნდა იყოს გამოთვლილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ განვითარებული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო მოპასუხე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განვითარებული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდება მოსარჩელეს, რომელიც არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასარჩელო მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომლის დაკმაყოფილებაზედაც მას უარი ეთქვა.

ზემოაღნიშნული ნორმის დისპოზიციის, დავის საგნის ღი-

რებულებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით (მათ შორის სარჩელის აღძვრის დროს მოქმედი რედაქციის), პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 1871,975 ლარია (2,5%), სააპელაციო წესით განხილვისათვის – 2995,16 ლარი (4%), ხოლო საკასაციო წესით განხილვისათვის – 3743,95 ლარი (5%). ამდენად, კოოპერატივ „ქ. ქ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოს უნდა დაეკისროს ამ თანხების ჯამი, მის მიერ სარჩელზე გადახდილი 30 ლარის გათვალისწინებით, სულ 8581,085 ლარი.

რაც შეეხება მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხს, პალატა ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ კასატორები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან, შესაბამისად, არ არსებობს მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების წინაპირობა, სასამართლოს გარეშე ხარჯების დაკისრების მოთხოვნის გამო კი, კასატორებს არ წარმოუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მათ მიერ განეული ხარჯების ოდენობას, შესაბამისად, არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შემადგენლობა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. ბ-სა და ა. პ-ეს უნდა დაუბრუნდეთ მათ მიერ, ასევე სხვა განმცხადებელთა მიერ 2013 წლის 29 ივლისის №ა-2526-13, 2013 წლის 30 დეკემბრის №ა-4014-13 და 2014 წლის 22 იანვრის №ა-205-14, 2014 წლის 6 მარტის №ა-756-14, 2014 წლის 10 მარტის №ა-797-14 განცხადებებზე დართული მტკიცებულებები, ხოლო ლ. ა-ს – 2014 წლის 21 მარტის №ა-985-14 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულება ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი. აღნიშნული გარემოება საკასაციო პალატის მიერ მტკიცებულების საქმისათვის დართვაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორებს უნდა დაუბრუნდეთ მათ (ასევე სხვა განმცხადებლების მიერ ერთობლივად წარმოდგენილი) 2013 წლის 29 ივლისის №ა-2526-13 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 28 ფურცლად, 2013 წლის 30 დეკემბრის №ა-4014-13 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 119 ფურცლად, 2014 წლის 22 იანვრის №ა-205-14 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 8 ფურცლად, 2014 წლის 6 მარტის №ა-756-14 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 27 ფურცლად, 2014 წლის 10 მარტის №ა-797-14 განცხადებებზე დართული მტკიცებულებები 6 ფურცლად, ხოლო ლ. ა-ს – 2014 წლის 21 მარტის №ა-985-14 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 118 ფურცლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 412-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. 6. ბ-სა და ა. პ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 19 მარტის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

2.1 რეგისტრირებულ კონპერატივ „ქ. ქ-ის“ სარჩელი კოოპერატივ „ქ. ქ-ის“ დირექტორ ა.პ-სა და კონპერატივ „ქ-ის“ უფლებამონაცვლე შპს „ა-ას“ მეანაბრეთა რწმუნებულ ნ. გ-ეს შორის გაფორმებული 1999 წლის 12-14 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტების ბათილად ცნობისა და დავალიანების ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ არ დაემაყოფილდეს.

2.2 სსიპ „შემოსავლების სამსახურისა“ და ლ. ა-ის მოთხოვნის ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. 6. ბ-სა და ა. პ-ეს უარი ეთქვათ საოქმო განჩინებების გაუქმების მოთხოვნაზე.

4. კასატორები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან.

5. რეგისტრირებულ კოოპერატივ „ქ. ქ-ს“ სახელმწიფო ბიუ-ჯეტის სასამართლოდ (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბან-კის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზი-ნო კოდი 300773150) დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 8581,085 ლარის გადახდა.

6. 6. ბ-სა და ა. პ-ის მოთხოვნა სასამართლოს გარეშე ხარჯე-ბის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებ-ლობის გამო.

7. კასატორებს დაუბრუნდეთ 2013 წლის 29 ივლისის №ა-2526-13 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 28 ფურ-ცლად, 2013 წლის 30 დეკემბრის №ა-4014-13 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 119 ფურცლად, 2014 წლის 22 იან-ვრის №ა-205-14 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 8 ფურცლად, 2014 წლის 6 მარტის №ა-756-14 განცხადებაზე დარ-თული მტკიცებულებები 27 ფურცლად, 2014 წლის 10 მარტის №ა-797-14 განცხადებებზე დართული მტკიცებულებები 6 ფურცლად, ხოლო ლ. ა-ს – 2014 წლის 21 მარტის №ა-985-14 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 118 ფურცლად.

8. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასარჩელო სადაზმულობის შეწყვეტა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელი

№ას-1586-1489-2012

22 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სესხის ძირითადი თანხისა და პირგასამტებ-ლოს დაკისრება, იპოთეკის საგნის რეალიზაცია

#### აღწერილობითი ნაწილი:

თ. მ-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოში მ. და დ. ქ-ების წინააღმდეგ სარჩელი აღძრა სესხის ძირითადი თანხის, 17000

აშშ დოლარისა და პირგასამტებლოს, 58140 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების, ასევე იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლის 20 ნოემბერს მას და მოპასუხე მ. ქ-ეს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანხმადაც, თ. მ-ემ მსესხებელ მ. ქ-ეს გადასცა 17 000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხა სამპროცენტიანი ყოველთვიური სარგებლით უნდა დაბრუნებულიყო 2007 წლის 20 თებერვალს. სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტების უზრუნველაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის კუთვნილი თბილისში, ს-ის შესახევევის №11-ში მდებარე უძრავი ქონება, იპოთეკით ასევე უზრუნველყოფილია შესაძლო ზიანი. ხელშეკრულებით დადგინდა მესაკუთრის მიერ იპოთეკის საგნის განკარგვის შესაძლებლობა, მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში კი, გარიგებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი იპიოთეკის საგნის მიმართ უცვლელი რჩებოდა. ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ბრალეულ მხარეს უნდა გადაეხადა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.2% პირგასამტებლოს სახით. დავის წარმოშობის შემთხვევაში მხარეებს სადაცო საკითხები უნდა გადაეწყვიტათ კერძო არბიტრაჟისათვის მიმართვის გზით ან სასამართლოს წესით. მსესხებლის მიერ ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის გამო თ. მ-ემ 2009 წლის 6 ნოემბერს საარბიტრაჟო პრეტენზიით მიმართა კერძო არბიტრაჟს. არბიტრაჟის კომპეტენცია სადაცო გახდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 13 ივლისის №2/4662-10 გადაწყვეტილებით კი, უარი ეთქვა არბიტრაჟის დანიშვნაზე. 2010 წლის 18 მარტს მ. ქ-ემ გასახვისა იპოთეკის საგანი დ. ქ-ის სახელზე, შესაბამისად ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება- მოვალეობანი გადავიდა შემძენზე.

დ. ქ-ემ 2012 წლის 10 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შესაგებელი წარადგინა. შესაგებელში აღნიშნულია, რომ იგი არასათანადო მოპასუხეა, ვინაიდან მასზე არ გადასულა სასესხო ვალდებულები.

მ. ქ-ემ 2012 წლის 31 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შესაგებელი წარადგინა. მოპასუხე მიუთიობებს, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან მოსარჩელემ სასამართლოს მიმართა კანონით დადგენილი სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ. ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2007 წლის თებერვალში, ხოლო სარჩელი

სასამართლოში აღძრულია 2011 წლის 7 ნოემბერს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით თ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. ქ-ეს მოსარჩელის სასამარგებლოდ დაეკისრა 22 814 აშშ დოლარის გადახდა, დავალიანების დაფარვის მიზნით, სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკით დატვირთული დ. ქ-ის კუთვნილი ქ. თბილისში, ს-ის შესახვევის № 111-ში მდებარე უძრავი ქონება, მ. ქ-ისათვის 52 326 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ქ-ემ. აპელანტის განმარტებით, თ. მ-ის მიერ 2009 წლის 6 ნოემბერს კერძო არბიტრაჟისათვის მიმართვა არ ნარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 139-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხების მიმართ არ იყო ხანდაზმული შემდეგ გარემოებათა გამო: ვინაიდან 2006 წლის 20 ნოემბერს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო სამი თვის ვადით, შესაბამისად, მ. ქ-ეს ვალდებულება უნდა შეესრულებინა 2007 წლის 20 თებერვლისთვის. ამდენად, სასამართლოს მითითებით, ამავე თარიღიდან ნარმოებვა მოსარჩელეს სესხის სახით გაცემული თანხის მოთხოვნის უფლება და სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტად სწორედ ეს თარიღი უნდა მიჩნეულიყო.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. ამავე კოდექსის 138-ე მუხლით, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში,

მოსარჩელემ ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, 2009 წლის 6 ნოემბერს მიმართა საარბიტრაჟო სასამართლოს, პრეტენზია მიღებული იყო წარმოებაში, თუმცა საქმის განხილვა შეჩერდა მოსარჩელის მოთხოვნით. საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით, თ. მ-ის საარბიტრაჟო პრეტენზიასთან დაკავშირებით საქმის წარმოება შეწყდა. ამავე დროს მოსარჩელეს განემარტა, რომ, საკუთარი მოთხოვნის დაკამაყოფილების მიზნით, უნდა მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის.

სასამართლოს შეფასებით, თ. მ-ის მიერ არბიტრაჟისადმი მიმართვამ გამოიწვია სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის დინების შეწყვეტა.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.

სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან თ. მ-ემ სასარჩელო განცხადებით სასამართლოს მიმართა 2011 წლის 7 დეკემბერს, სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის გათვალისწინებით, სასარჩელო მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული, რადგან სამოქალაქო კოდექსის დასახელებული ნორმის დანაწესით, ხანდაზმულობის ვადის დინება არბიტრაჟის მიერ საქმისწარმოების შეწყვეტის შედეგად დაიწყო თავიდან.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება მ. ქ-ემ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლი, ასევე არასწორად მიიჩნია, რომ თუნდაც არაუფლებამოსილი არბიტრაჟისათვის მიმართვა უთანაბრდება სასამართლოში სარჩელის წარდგენას. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ არბიტრაჟში საქმე დარჩა განუხილველად და მ-ეს არ წარუდგენია სარჩელი სასამართლოში არბიტრაჟში საქმის დასრულებიდან, 2010 წლის 20 სექტემბრიდან, 6 თვეის ვადაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა მ. ქ-ის საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩევესა და მოპასუხეს შორის 2006 წლის 20 ნოემბერს სამი თვეის ვადით დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, შესაბამისად, მ.ქ-ეს ვალდებულება უნდა შეესრულებინა 2007 წლის 20 თებერვლისთვის. ამავე თარიღიდან წარმოეშვა მოსარჩევეს სესხის სახით გაცემული თანხის მოთხოვნის უფლება და, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტად სწორედ ეს თარიღი უნდა მიჩნეულიყო. მოსარჩელემ ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, 2009 წლის 6 ნოემბერს, მიმართა საარბიტრაჟო სასამართლოს, რომლის 2010 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით, თ. მ-ის საარბიტრაჟო პრეტენზიასთან დაკავშირებით საქმის წარმოება შეწყდა. სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლი და მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო პრეტენზის განუხილველად დატოვებიდან ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან დაიწყო.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მტკიცებას და მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე საკუთარი მოთხოვნის დაცვის ნებას ავლენს და გარკვეულ ორნისძიებებს მიმართავს დარღვეული უფლების აღსადგენად, ამასთან, აღნიშნული ნორმის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტისათვის აუცილებელია, რომ მხარის მიერ არჩეული საშუალება ვარგისი იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად. ხანდაზმულობის ვადის დენას უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი სარჩელი (განცხადება) წყვეტს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს. სხვა სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვისას აუცილებელია, რომ აღნიშნული ორგანო კომპეტენტური იყოს, ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ამ ორგანოსადმი მიმართვის გზით უნდა შეიძლებოდეს. თითოეულმა მხარემ თავად უნდა შეარჩიოს საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სწორი და ეფექტური საშუალება, ამ პირობის დარღვევით გამოწვეული შედეგი კი, თავად მხარის რისკია.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-13 მუხლი ითვალისწინებდა ზოგად მითითებას, რომ დავა უნდა გადაწყვეტილიყო არბიტრაჟის ან სასამართლოსადმი მიმართვის გზით, ანუ მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმება არასრულფასოვანი იყო და იურიდიულ შედეგებს არ ნარმოშობდა, ამ გარემოების გათვალისწინებით, როდესაც თ. მ-ემ საკუთარი არჩევანის შესაბამისად მიმართა შპს „ჯ. მ-ის“ მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს, მან სარჩელის განსჯადობის წესები დაარღვია, არაუფლებამოსილ ორგანოს მიმართა, რაც იმთავითვე გამორიცხავდა მხარის იურიდიული ინტერესის დაცვას და სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თ. მ-ემ არაუფლებამოსილ საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა, საკასაციო სასამართლო მიმჩნევს, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყვეტილა, რაც სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს თუნდაც მიეჩნია, რომ არბიტრაჟისადმი მიმართვით ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვდა, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის გამოყენების თაობაზე.

აღნიშნული მუხლის მიხედვით, სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „ჯ. მ-ის“ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2010 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით თ. მ-ის საარბიტრაჟო პრეტენზიის განხილვა შეწყდა. მხარეს განემარტა, რომ საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მას თბილის საქალაქო სასამართლოსათვის უნდა მიემართა.

მართალია, სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლში მითითებულია სარჩელის განუხილველად დატოვების და არა საქმის განხილვის შეწყვეტის თაობაზე, მაგრამ საკასაციო სასამართლო მიმჩნევს, რომ წორმა განმარტებულ უნდა იქნეს მისი დანიშნულების გათვალისწინებით და არა გამოყენებული ტერმინების სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საპროცესო კა-

ნონმდებლობის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის ან განუხილველად დატოვების შემთხვევაში, პირს შეუზღუდავად შეუძლია ახალი სარჩელის აღძვრა, თუ აღმოიფხვრება სარჩელის წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელი გარემოებები. სწორედ ასეთი შემთხვევისათვის ადგენს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლი, რომ სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყდება, მაგრამ, თუ პირი განუხილველად დატოვებიდან 6 თვის განმავლობაში აღძრავს ახალ სარჩელს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიღებს და განიხილავს, ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის წარდგენის მომენტიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო სარჩელს არ მიიღებს წარმოებაში, თუ ეს საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის. სარჩელის განუხილველად დატოვებიდან 6 თვის ვადაში განსჯადი სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად პირველი სარჩელის წარდგენიდან ითვლება. იმავე კოდექსის 187-ე მუხლის მიხედვით კი, სარჩელის განუხილველად დატოვება წარმოებაში მიღების შემდეგადაც დაიშვება, თუ შესაბამისი საფუძვლი მოგვიანებით გამოვლინდა.

ამავე პრინციპით, განსახილველ შემთხვევაში, თ. მ-ეს განემარტა, რომ მისი საქმე არბიტრაჟის განსჯადი არ იყო და მას საერთო სასამართლოებისადმი მიმართვის გზით უნდა დაეცვა საკუთარი სადავოდ გამხდარი უფლება, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არბიტრაჟის დადგენილების მიღებიდან 6 თვის გამავლობაში სარჩელის აღძვრის შემთხვევაში შეიძლებოდა, მიჩნეულიყო, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენისას შეწყდა, მოსარჩელეს კი, პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი ამ ვადის დაცვით არ აღუძრავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი და არ გამოიყენა 140-ე მუხლი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საა-

პელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ვინაიდან მოცემული დავის გადაწყვეტისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაადგინა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკანონობა მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასებითაა განპირობებული, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. მ-ის სარჩელი ხანდაზმულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავსუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, თუ საპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. მ-ემ მ. ქ-ეს უნდა აუნაზღაუროს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 3410 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ლ ე ბ ა :**

1. მ. ქ-ის საკასაციო საჩიგარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ოქტომბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. თ. მ-ეს მ. ქ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 3410 ლარი;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# არაკეთილსიცდისირი გვლობელის მოვალეობაზე ხადაზოულობა

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-472-448-2013

5 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
პ. ალავიძე

**დავის საგანი:** სხვა პირის ქონებაზე განეული ხარჯების  
ანაზღაურება (ძირითადი სარჩელით), თანხის დაკისრება (შე-  
გებებული სარჩელით)

### აღწერილობითი ნაწილი:

ი. კ-ემ სარჩელი აღდრა სასამართლოში ნ. ა-ის წინააღმდეგ  
და მოითხოვა მოპასუხისათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, 15  
059.21 ლარის გადახდის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით:  
სარჩელის თანახმად, ი. კ-ე 1990 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვ-  
რობს ქ. თბილისში, მ-ის ქ. №26-ში მდებარე საცხოვრებელი სახ-  
ლის სარდაფის სართულზე არსებულ ფართში, რომელიც „თბილ-  
მეტრომშენის“ ადმინისტრაციამ, მოსარჩელის მეუღლეს, რო-  
გორც ორგანიზაციის თანამშრომელს, გამოუყო. მიუხედავად  
იმისა, რომ ზემოაღნიშნულ ფართს მოსარჩელე ფლობდა უკა-  
ნასენე მომენტამდე და 2006 წლის 29 დეკემბრამდე აღნიშ-  
ნულ მფლობელობას სადავოდ არავინ ხდიდა, მასზე არ გავ-  
რცელდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმომო-  
ბილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგე-  
ნილი გარანტიები და უძრავი ქონების მესაკუთრის მიერ აღ-  
ძრული სარჩელის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2007 წლის 18 დე-  
კემბერს გამოტანილი გადაწყვეტილებით მას შეუწყდა მფლო-  
ბელობა ზემოხსენებულ მისამართზე დაკავებულ ფართზე. გა-  
დაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. ქ. თბილისის გლდა-  
ნი-ნაძალადევნის სამმართველოს პოლიციის შესაბამისი განყო-  
ფილების ინსპექტორის მიერ 2011 წლის 1 დეკემბერს გამოცე-  
მული წერილობითი გაფრთხილებით დაევალა ზემოხსენებული

ფართის გამოთავისუფლება. იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნულ ფართს მოსარჩელე ფლობდა წლების განმავლობაში და აღნიშნულის თაობაზე მას არავინ ედავებოდა, დაკავებულ ფართში მეუღლესთან ერთად განახორციელა მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოები, რამაც არსებოთად შეცვალა ფართის, როგორც კონსტრუქცია, ისე ფუნქცია. ამის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ სხენებული ფართი თავიდან წარმოადგენდა სარდაფის დანიშნულების მქონე ობიექტს, ხოლო რეკონსტრუქციის შედეგად იქცა საცხოვრებელ ფართად, რამაც არსებითად პოზიტიური გახადა მისი ფუნქციური დანიშნულება და, შესაბამისად, გაიზარდა ქონების საბაზო ღირებულება. მოსარჩელის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 15 059.21 ლარს.

მოპასუხე 6. ა-ემ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს ოჯახთან ერთად თვითნებურად ჰქონდა დაკავებული ქ. თბილისში, მ-ის ქ. 2/6-ში მდებარე, კ. ა-ის საკუთრებაში არსებული სახლის სარდაფის სართული. ვინაიდან მოსარჩელეები ნებაყოფლობით არ ტოვებდნენ ბინას, სარჩელის შეტანის გზით დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა. სახლი დღესაც ისეთივეა, როგორც თავდაპირველად, მასზე რაიმე სახის რეკონსტრუქცია, რაც შიდა ფართის მოცულობას გაზრდიდა არ ჩატარებულა. მოპასუხის განმარტებით, ფართზე რაიმე ისეთი სახის სარემონტო სამუშაო, რაც მისი ღირებულების გაზრდასა და მესაკუთრის უსაფუძვლო გამდიდრებას გამოიწვევდა, არ შესრულებულა. ამასთან, 6. ა-ემ ი. კ-ის მიმართ აღძრა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა ი. კ-ის, მის სასარგებლოდ, 11 640 ლარისა და 90.88 ლარის გადახდის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით: ი. კ-ეს რამდენიმე წელი თვითნებურად ჰქონდა დაკავებული 6. ა-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი, 2006 წლის 1 დეკემბრიდან 2011 წლის 1 დეკემბრამდე მესაკუთრე ვერ სარგებლობდა კუთვნილი უძრავი ქონებით, ამ პერიოდში მისადები სარგებელია 11 640 ლარი, ამასთან, ი. კ-ემ გადაუხდელი დატოვა მის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური, რომელიც შეადგენს 80.48 ლარს, მიერთების საფასურია 10.4 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. კ-ის სარჩელი, მოპასუხე 6. ა-ის მიმართ ქონების გასაუმჯობესებლად გაღებული ხარჯის ანაზღაურების შესახებ, დაკმაყოფილად, 6. ა-ეს, ი. კ-ის სასარგებლოდ, დაეკისრა 15 059.21 ლარის

გადახდა. მოპასუხე 6. ა-ეს მოსარჩელე ი. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 452 ლარის გადახდა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად; მოპასუხე 6. ა-ეს, მოსარჩელე ი. კ-ის სასარგებლოდ, დაეკისრა 843.30 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ ექსპერტიზის მომსახურების ხარჯის ასანაზღაურებლად; 6. ა-ის შეგებებული სარჩელი, მოპასუხე ი. კ-ის მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ი. კ-ეს მოსარჩელე 6. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა 11 640 ლარისა და 90.88 ლარის გადახდა. მოპასუხე ი. კ-ეს, მოსარჩელე 6. ა-ის სასარგებლოდ, დაეკისრა 352 ლარის გადახდა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად. მოპასუხე ი. კ-ეს, მოსარჩელე 6. ა-ის სასარგებლოდ, დაეკისრა 177 ლარის გადახდა სასამართლოსგარეშე ხარჯის ასანაზღაურებლად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ი. კ-ემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ნ. ა-ემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით 6. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ი. კ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 22.10.2012 წლის გადაწყვეტილება ი. კ-ის, 6. ა-ის სასარგებლოდ, 11 640 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, შეგებებულ სარჩელში მოპასუხე ი. კ-ეს, 6. ა-ის სასარგებლოდ, დაეკისრა 6 984 ლარის ანაზღაურება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი; 6. ა-ეს ი. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 186.24 ლარის ანაზღაურება.

პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. თბილისში, მ-ის ქ. №2/6-ში მდებარე №2 შენობიდან სარ-

დაფის სართულს 1990 წლიდან 2011 წლის დეკემბრამდე ფლობდა მოსარჩევე ი. კ-ე, რაც მხარეთა შორის სადაც არ გამხდარა და საქმის მასალებითაც დადასტურდა;

2011 წლის დეკემბერშივე ი. კ-ემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს;

ქ. თბილისში, მ-ის ქ. №2/6-ში მდებარე №2 შენობიდან სარდაფის სართული საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირიცხება ნ. ა-ის სახელზე;

ი. კ-ის მიერ ნ. ა-ის კუთვნილი სარდაფის სართულზე ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შედეგად გაიზარდა ქონების ღირებულება;

ი. კ-ე სარჩელით ითხოვს ნ. ა-ის იმ თანხის დაკისრებას, რითიც გაიზარდა მოპასუხის სახელზე რიცხული ქონების ღირებულება მოსარჩელის მიერ ამ ქონების გასაუმჯობესებლად შესრულებული სამუშაოების ჩატარების შედეგად, შესაბამისად, პალატის აზრით, სარჩელი კონდიქციური ხასიათისაა. ი. კ-ე კონდიქციური მოთხოვნის ოდენობას განსაზღვრავს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 23.12.2011 წლის დასკვნის საფუძველზე 15059.21 ლარით, ნ. ა-ე კი, ეყრდნობა თავად მის მიერვე წარმოდგენილ შპს „კ-ის“ 02.05.2012 წლის დასკვნას, რომლითაც შესრულებული სამუშაოების საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განსაზღვრულია 10 420.24 ლარით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონდიქციური ვალდებულების ოდენობის განსაზღვრისას თბილისის საქალაქო სასამართლო მართებულად დაეყრდნო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 23.12.2011 წლის დასკვნას, რომელიც ზუსტად, სრულყოფილად და დასაბუთებულად პასუხობდა ექსპერტის წინაშე დასმულ შეკითხვას საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტთან დაკავშირებით და ამასთან, აღნიშნული დასკვნისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, მართებულად მიიჩნია დადგენილად, რომ ი. კ-ის მიერ ფართში განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შედეგად შეიცვალა ფართის კონსტრუქცია, მისი ფუნქცია და, შესაბამისად, გაიზარდა ქონების ღირებულება. ამდენად, პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მართებულად დაკმაყოფილდა ი. კ-ის სარჩელი ნ. ა-ის მიმართ კონდიქციური ვალდებულების (უსაფუძვლო გამდიღრებიდან წარმოშობილი ვალდებულების) – 15059.21 ლარის დაკისრების თაობაზე.

პალატამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლო იყო ნ. ა-ის მითითება ი.

კ-ის მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. აღნიშნულთან მიმართებით პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ ი. კ-ეს არ ჰქონდა ფართის ფლობის უფლება და დაემაყოფილდა მოთხოვნა მის გამოსახლებასთან დაკავშირებით, კანონიერ ძალაში შევიდა 25.07.2011 წელს, ხოლო გამოასახლეს მხოლოდ 2011 წლის დეკემბერში და დეკემბერშივე აღიძრა სარჩელი კონდიქციური მოთხოვნით, რაც ცხადყოფდა, რომ მისი სარჩელი ხანდაზმული არ იყო.

პალატის მითითებით, ნ. ა-ე შეგებებული სარჩელით ითხოვს ი. კ-ის 2006 წლის 1 დეკემბრიდან სადაც უძრავი ნივთის მფლობელობის შეწყვეტამდე პერიოდში მისი კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ი. კ-ე გამოასახლეს და მან სარჩელი სასამართლოში წარადგინა 2011 წლის დეკემბერში. შეგებებული სარჩელის მოსარჩელის განმარტებით, ი. კ-ე უკანონოდ ფლობდა მის საკუთრებას, რითიც მას მოესპონ ქონებით შემოსავლის მიღების – გაქირავების, შესაძლებლობა. იმ ფაქტს, რომ ი. კ-ე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (ანუ მართლსანინააღმდეგოდ) და ბრალეულად ფლობდა სადაც უძრავ ქონებას, ადასტურებს თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.12.2007წ. გადაწყვეტილება. იკვეთება მიზეზობრივი კავშირი (ფართის გაუქირავებლობით შემოსავლის მიუღებლობა) და ზიანი. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მოსარჩელე ეყრდნობა შპს „კ-ის“ 02.05.2012წ. აუდიტორული დასკვნას, რომლითაც 2006 წლის 1 დეკემბრიდან 2011 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში ქ. თბილისში, მ-ის ქ. №2/6-ში მდებარე სადაც უძრავი ქონების გაქირავების შემთხვევაში საგარაუდო შემოსავალი განსაზღვრულია 11 640 ლარით, შესაბამისად, ერთი თვის საიჯარო ქირად მითითებულია 194 ლარი. რაიმე სხვა მტკიცებულება, რაც სადაც უძრავი ქონების ერთი თვის საიჯარო ქირის მოდენიბას განსაზღვრავდა, საქმეში წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზიანის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო შპს „კ-ის“ დასკვნისა და უძრავი ქონების საიჯარო ქირის განსაზღვრის ანგარიშის მიხედვით.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1008-ე და აღნიშნა, რომელ ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით დასტურდებოდა, რომ სადაც უძრავი ქონების მესაკუთრე კ. ა-ე (სწორედ მისი უფლებამონაცვლეა ამჟამინდელი მესაკუთრე ნ. ა-ე, რომელიც იმა-

ვე საქმეში იყო ჩაბმული უფლებამონაცვლედ) ვერ სარგებლობდა კუთვნილი ფართით წლების მანძილზე, რადგან ი. კ-ე შეჭრილი იყო ფართში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. შესაბამისად, მან იცოდა როგორც ზიანის, ისე, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლზე მითითებით, პალატამ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის სადაცო არ იყო და საქმის მასალებითაც დგინდებოდა, რომ ი. კ-ემ გადაუხდელი დატოვა მის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური, რამაც შეადგინა 80.48 ლარი. დავალიანების გამო ბუნებრივი აირის მიწოდება შეწყდა და მიერთების საფასურმა შეადგინა 10.4 ლარი. შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, არსებობდა მისი მხრიდან ნ. ა-ის სასარგებლოდ 90.88 ლარის გადახდის საფუძვლი და ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 987-ე, 991-ე, 979-ე მუხლებით და იმ დადგენილი გარემოების გათვალისწინებით, რომ ი. კ-ის მიერ ნ. ა-ის კუთვნილი სარდაფის სართულზე ჩატარებული, 15 059.21 ლარად ღირებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შედეგად, გაიზარდა ქონების ფასი, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა ი. კ-ის სარჩელი სადაცო უძრავი ნივთის მესაკუთრისითვის 15 059.21 ლარის დაკისრების თაობაზე და არ არსებობდა ნ. ა-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 408.1-ე, 411-ე, 412-ე მუხლებზე მითითებით, მიაჩნია, რომ, ვინაიდან მოპასუხეს 1990 წლიდან 2011 წლის დეკემბრამდე საფუძვლის გარეშე, მოსარჩელის ნების სანინაალმდეგოდ ეკავა ნ. ა-ის საკუთრება, აღნიშნულით მოსარჩელეს მიადგა ზიანი, რაც გამოიხატება, მისი საკუთრების გამოყენების ხელშეშლის გამო, მიუღებელ შემოსავალში. ამასთან, მოპასუხეს, რომელიც მესაკუთრის ნებართვის გარეშე აგრძელებდა ნივთით სარგებლობას, უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მოსარჩელე ვერ ისარგებლებდა მის საკუთრებაში არსებული ფართით და მისი გაქირავებით (იჯარით გაცემით) შემოსავალს ვერ მიიღებდა. ზიანი, რაც გამოიხატება, ქონების გამოუყენებლობის გამო, მიუღებელ შემოსავალში, ზიანის მიმეურნებლისათვის წინასწარ სავარაუდო იყო. მოსარჩელისთვის ზიანის მიყენება გამოწვეულია მოპასუხესის მართლსანიალმდეგო ბრალეული ქმედებით.

ვინაიდან დადგენილი იყო, რომ ნ. ა-ის შეგებებულ სარჩელ-

ზე უნდა გავრცელებულიყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ სამი წლის მიუღებელი შემოსავლის ნაწილში, პალატამ მიიჩნია, რომ ი. კ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.11.2012 წლის გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო ი. კ-ის 6. ა-ის სასარგებლოდ 11 640 ლარის დაკისრების ნაწილში და ი. კ-ეს 6. ა-ის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 6 984 ლარის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამინქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ი. კ-ებ საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით 6. ა-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის აზრით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობა განსაკუთრებით იკვეთება იმ ნაწილში, რომლითაც, მართალია, ნ. ა-ის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ უარყოფილ იქნა და მოთხოვნა მხოლოდ ი. კ-ის გამოსახლებამდე განვდილი სამი წლის ფარგლებში დაკამაყოფილდა, მაგრამ, სააპელაციო სასამართლომ ეს სამწლიანი პერიოდიც არასწორად გამოთვალა, კერძოდ, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. კ-ე გამოსახლდა 2011 წლის დეკემბერში და ნ. ა-ის მოთხოვნაც სწორედ 2011 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავდა, თუმცა მან შეგებებული სარჩელი 2012 წლის ივნისში აღმრა, ანუ გამოსახლებიდან 6 თვის შემდეგ, მაშინ, როდესაც შეგებებული სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, ნ. ა-ე მიყენებული ზიანის გამომნვევ ერთადერთ მიზეზად სადაც ბინაში ი. კ-ის უკანონოდ ცხოვრების ფაქტს მიიჩნევდა. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება 2011 წლის დეკემბერში უკვე აღარ არსებობდა და, შესაბამისად, ნ. ა-ის მოთხოვნაც 2011 წლის 1 დეკემბრამდე განვლილ დროს მოიცავდა, ხოლო შეგებებული სარჩელი 2012 წლის ივნისში აღმრა, სააპელაციო სასამართლოს ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა სწორედ სარჩელის აღდერის მომენტამდე განვლილი პერიოდის ფარგლებში უნდა გამოეთვალა, ანუ ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი 2009 წლის ივნისიდან უნდა განსაზღვრულიყო.

კასატორის განმარტებით, სასაპელაციო სასამართლომ არას-ნორად დაადგინა შეკვებული სარჩევის ალქარის მომენტი, რა-

მაც ხანდაზმულობის ვადის ათველის საწყისი არამართებულად განსაზღვრა, კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი აღიძრა 2011 წლის დეკემბერში, თუმცა აღნიშნულ ეტაპზე ი. კ-ებმ აღიძრა სარჩელი და არა ნ. ა-ემ, რომელმაც შეგებებული სარჩელი 2012 წლის ივნისში წარადგინა, სასამართლომ კი, ნ. ა-ის მოთხოვნის შეფასებისას შეცდომით ი. კ-ის სარჩელის აღძრის მომენტი გამოიყენა.

6. ა-ემ საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 172-ე მუხლები, მაგრამ არასწორად განმარტა ისინი. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიანიჭა უპირატესობა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 23.12.2011 წლის დასკვნას და არ გაიზიარა შპს „კ-ის“ 02.05.2012 წლის დასკვნა. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა არ ადასტურებს ქონების ლირებულების გაზრდის ფაქტს. დასკვნის მიხედვით, შეფასებულია ობიექტში არსებული სარემონტო სამუშაოების ლირებულება 2011 წლის IV კვარტლის ფასებით. დადგენილია, რომ ამ პერიოდში რაიმე რემონტი არ ჩატარებულა (მოწინააღმდეგებ მხარის მოწმეებმა დაადასტურეს, რომ რემონტი 10 წლის წინ ჩატარდა). ამის გამო სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა ექსპერტიზის დასკვნა. არსებითად სხვა საკითხია უსაფუძვლო გამდიდრება და ასეთ შემთხვევაში სხვა სახის ექსპერტიზა უნდა ჩატარებულიყო, კერძოდ, ექსპერტისთვის უნდა დასმულიყო კითხვა, 10 წლის წინ ჩატარებული რემონტის გამო, უძრავი ნივთის გადაცემის მომენტში რამდენად გაიზარდა ნივთის ლირებულება, რაც არ განხორციელებულა. შპს „კ-ის“ დასკვნა ზუსტად ასახავდა რემონტის ლირებულებას ჩატარების დროის მითითებით.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 987-ე და 991-ე მუხლები. სასამართლომ ი. კ-ეს მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე მან ქონებაზე განია. ამდენად, არსებობს ნ. ა-ის გამდიდრების ფაქტი, რაც 15 059.21 ლარით განისაზღვრა. ამდენი ედირებოდა ახალი რემონტი 2011 წელს, მაგრამ ი. კ-ებმ გამოსახლების მერე შელაბული რემონტი დატოვა, რომელიც მან 10 წლის წინ ჩატარა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო არას-

ნორად იყენებს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლს. მოცემული საქმე არ არის უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევა, რადგან არ იკვეთება სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლით განსაზღვრული სათანადო წინაპირობები. მხარის მოთხოვნა პირველი ინსტანციის სასამართლოზე ფორმულირებული იყო, როგორც განვითარებული სარემონტო ხარჯების ანაზღაურება. სწორედ ამის გამო მიეთითა შესაგებელში და შემდგომ სააპელაციო საჩივარში, რომ, რემონტის შესრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნა იყო ხანდაზმული.

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოიყენებინა. დადგენილია, რომ ი. კ-ე ოჯახთან ერთად 1990 წლიდან ცხოვრობდა კ. ა-ის სახლში, თბილისში, მ-ის ქ. №26-ში მას შემდეგ, რაც იგი ნებაყოფლობით არ ტოვებდა სახლს, 2006 წელს დაიწყო სასამართლო პროცესი უძრავი ნივთზე საკუთრების ხელყოფისა და სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით. ნივთის დაბრუნება 2011 წლის დეკემბერში მოხერხდა. მოწმეების მითითებით, მან რემონტი 10 წლის წინ ჩაატარა. რემონტი მიზნად ისახავდა მისი საყიდაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და არა ვინმესათვის სარგებლის მოტანას. აქედან გამომდინარე, მისი შესრულება ზნეობრივ ნორმებს შეესაბამება და დანახარჯების მოთხოვნა დაუშვებელია, ასევე, გასულია ყოველგვარი ხანდაზმულობის ვადა რემონტის შესრულებიდან – 10 წელი.

კასატინის აზრით, სააპელაციო სასამართლო არასწორად იყენებს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე და 144-ე მუხლებს და ნ. ა-ის სარჩელს ზიანის ანაზღაურების ნაწილში აკმაყოფილებს მხოლოდ 3 წელზე, ხოლო დანარჩენ პერიოდზე აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას. უნდა აღინიშნოს, რომ ხანდაზმულობა არის ფაქტობრივი გარემოება და ამის შესახებ შეგებებულ სარჩელზე წარმოდგენილი შესაგებლით მოპასუხეს (ი. კ-ეს) არ მიუთითებია. გარდა ამისა, ზიანი მოთხოვნილ იქნა სწორედ 2006 წლიდან, როდესაც დაიწყო სასამართლო დავა გამოსახლებაზე და არა 1990 წლიდან, რა პერიოდიდანაც უნებართვოდ ცხოვრობდა მოწინააღმდეგე მხარე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ა-ის საკასაციო საჩივარი ხანილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ი. კ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება ი. კ-ის, ნ. ა-ის სასარგებლოდ 6984 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

ისმის კითხვები: შეუძლია თუ არა მოითხოვოს მესაკუთრებ (ნ. ა-ემ) ი. კ-ან ზიანის ანაზღაურება? შეუძლია თუ არა ი. კ-ემ ნ. ა-ან მოითხოვოს ამ უკანასკნელის საკუთრებაზე განული სარემონტო ხარჯის ანაზღაურება?

პირველ კითხვას უნდა გავცეთ დადგებითი პასუხი.

ი. კ-ის საკასაციო საჩივარი ეხება მხოლოდ სამი წლის ფარგლებში ნ. ა-ის მოთხოვნის დაკამაყოფილების მართებულობას, კერძოდ, საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიანგარიშა ეს სამი წელი, მაგრამ კასაცია არ შეიცავს ნ. ა-ის მოთხოვნის დაკამაყოფილების გამომრიცხავ პრეტენზიას. საპირისპიროდ ამისა, ნ. ა-ის საკასაციო პრეტენზიაში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მისი მოთხოვნა უნდა დაკამაყოფილდეს მხოლოდ სამი წლის განმავლობაში.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ნ. ა-ის მოთხოვნაზე, კერძოდ, ნ. ა-ებ მოითხოვა ი. კ-ის 2006 წლის 1 დეკემბრიდან სადაც უძრავი ნივთის მფლობელობის შეწყვეტამდე პერიოდში მისი კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ის გარემოება, რომ ი. კ-ე უკანონოდ ფლობდა მის საკუთრებას, რითიც მას მოესპონ ქონებით შემოსავლის მიღება-გაქირავების შესაძლებლობა. ფაქტობრივად ნ. ა-ე ი. კ-ან ითხოვს ზიანის ანაზღაურებას ამ უკანასკნელის ამ ფართში ცხოვრების გამო. მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნ. ა-ის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა დელიქტური ხასიათისაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაზე არ ვრცელდება დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტი, რადგან ი. კ-ის მიერ უკანონო მფლობელობის პერიოდში ბინის გამოყენებას ნ. ა-ის (მესაკუთრეს) ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის სახით რამე ზიანი არ მიუყენებია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ უკანონო მფლობელობით ამ უკანასკნელის ქონება არ შემცირებულა, რასაც გულისხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი,

კერძოდ, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი, შესაბამისად, ი. კ-ის სადავო ბინაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრებით ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი მესაკუთრეს არ მოულია.

ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, იმის გამო, რომ ნ. ა-ის მოთხოვნა უკავშირდება ი. კ-ის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მფლობელობას, სადაცო შემთხვევაზე უნდა გავაკრცელოთ ხელყოფის კონდიქციის სპეციალური წესი, რომელიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლით, კერძოდ, განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.

განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსალებია, რომ განსახილველი ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა.

აქედან გამომდინარე, ამ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ლირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან. ამდენად, სადაცო ფაქტობრივი სიტუაცია არ ითვალისწინებს ზიანის ინსტიტუტს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ ი. კ-ის მიერ ნ. ა-ის საკუთრებაში არსებული ბინის უკანონო მფლობელობის გამო, ამ უკანასკნელმა დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლებას აძლევს, ამოიღოს ეს ქონება ხელმყოფისაგან. აღნიშნული ქონებრივი წონასაწორობის აღდგენას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე

პირს მის უფლებაში ჩარევა.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გათანაბრების ოდენობის განსაზღვრის საკითხი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ მხრივ საყურადღებოა შესრულების კონდიქციის რეგულირების მექანიზმი, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანხმად, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. იმის გათვალისწინებთ, რომ „შესრულების დაბრუნება“ (ი. კ-ის მიერ უკანონო სარგებლობით მიღებული სიკეთე) შეუძლებელია, ზემომითითებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების მქონე პირმა (ნ. ა-ემ) შეიძლება, გამოიყენოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, რაც შეიძლება დადგინდეს მსგავსი ბინის ქირის ოდენობით. კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას ნ. ა-ე ყყრდნობა შპს „კ-ის“ 02.05.2012წ. აუდიტორულ დასკვნას, რომლითაც 2006 წლის 1 დეკემბრიდან 2011 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში ქ. თბილისში, მ-ის ქ. №2/6-ში მდებარე სადავო უძრავი ქონების გაქირავების შემთხვევაში სავარაუდო შემოსავალი განსაზღვრულია 11 640 ლარით, შესაბამისად, ერთი თვის საიჯარო ქირად მითითებულია 194 ლარი.

ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებისას, ინტერესს იწვევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი, რომლის თანახმად, არაკეთილსინდისირმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს, როგორც ნივთი, ასევე, მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნ. ა-ის მოთხოვნასთან მიმართებით არ იკვეთება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის გამოყენების უპირატესობა, რადგან „მიღებული სარგებლის“ დაბრუნება შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში „მიღებულ სარგებელს“ ნარმოადგენს ამ ფართით სარგებლობა, რაც შესაძლებელია გამდიდრების გათანაბრების ოდენობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დანაწესების გამოყენებით, რომლის თაობაზეც ზემოთ უკვე აღინიშნა.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა იზიარებს ნ. ა-ის საკასაციო პრეტენზიას იმ ნაწილში, რომლითაც იგი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი მოთხოვნა არასწორად დააკმაყოფილა მხოლოდ ბოლო სამი წლის პერიოდის ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ნ. ა-ის შეგებებულ სარჩელზე უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა და შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ სამი წლის ნაწილში, რადგან შეგებებული სარჩელის ავტორი ითხოვს ზიანს მიუღებელი შემოსავლის სახით. მასთან ერთად სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებულ მოსაზრებას.

ზემოთ უკვე აღნიშნა, რომ ამ ურთიერთობაზე ვრცელდება არა დელიქტური ვალდებულებების, არამედ – უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი. ამდენად, ამ ურთიერთობაზე გამოყენებულ უნდა იქნას ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. ეს ვადა დადგენილია კველა იმ ურთიერთობებისათვის, რომელიც არ ითვალისწინებენ სპეციალურ ვადას, მაგალითად, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი. საკასაციო პალატა კი-დევ ერთხელ დასძენს, რომ ი. კ-ის მიერ ნ. ა-ის საკუთრებაში არსებულ ბინაში ცხოვრებით ამ უკანასკნელმა არ მიიღო ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი, ამდენად, ამ ურთიერთობაზე არ გავრცელდება 992-1008-ე მუხლები, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების 2006 წლიდან ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან დაკავშირებით, გაზიარების შემთხვევაშიც 10-წლიანი ვადა ჯერ არ არის გასული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი).

ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. ა-ის შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ სამი წლის მიუღებელი შემოსავლის ნაწილში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე და 411-ე მუხლების გამოყენების შემთხვევაშიც ნ. ა-ის მოთხოვნა სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა შეგებებული სარჩელის მხოლოდ სამი წლის მიუღებელი შემოსავლის ნაწილში დაკმაყოფილების განპირობებული სამართლებრივი საფუძვლები. უნდა ვივარაუდოთ, რომ სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში ჰქონდა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობის ინსტიტუტი.

გასათვალისწინებელია, რომ 1990 წლიდან 2011 წლამდე ი.

კ-ე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდა ნ. ა-ის საკუთრებაში არსებულ ფართს. უდავო ფაქტს წარმოადგენს, რომ ნ. ა-ემ ი. კ-ის უკანონო ფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის პროცესი დაიწყო 2006 წელს. ი. კ-ის გამოსახლება განხორციელდა მხოლოდ 2011 წლის დეკემბერში, შესაბამისად, ნ. ა-ის უფლების დარღვევა გრძელდებოდა 2011 წლამდე. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმას თუ, როდის შეიტყონ. ა-ემ თავისი უფლების დარღვევის თაობაზე, არამედ, ასევე იმას, თუ როდის დასრულდა მისი უფლების დარღვევა, რამაც შემდეგ განაპირობა ამით დაკარგული სარგებლის მოთხოვნის დაყენება.

გასათვალისწინებელია, რომ ნ. ა-ის მოთხოვნა (ი. კ-ის 2006 წლის 1 დეკემბრიდან სადავო უძრავი ნივთის მფლობელობის შეწყვეტამდე პერიოდში მისი კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას) უკავშირდება მის მოთხოვნას ი. კ-ის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას (კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.12.2007 წლის გადაწყვეტილება). შესაბამისად, ნ. ა-ის მიერ თავისი საკუთრების, როგორც აპსოლუტურ უფლების დაცვაზე ხანდაზმულობის ინსტიტუტი არ ვრცელდება. ხოლო მიუღებელი სარგებელის თაობაზე მოთხოვნის წარმოშობა და მოცულობა განპირობებულია საკუთრების უკანონო ხელშეშლის ხანგრძლივობით. ხანდაზმულობა წარმოადგენს ვადას, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა (კონკრეტულ დავაში ხელმყოფისაგან უფლების მქონე პირისათვის მის უფლებაში ჩარევის გათანაბრების მოთხოვნა). შესაბამისად, ი. კ-ეს მიერ 2011 წლამდე სხვისი საკუთრების უკანონო ხელშეშლის ფაქტის გამო წარმოშობილი ვალდებულება არ შეიძლება, შეფასდეს, როგორც პერიოდულ შესასრულებელი ვალდებულება (პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოდგენს ვალდებულება, რომელიც კანონით ან ხელშეკრულებით გარკვეული დროის მონაკვეთში უნდა შესრულდეს განსაზღვრული პერიოდულობით, რა დროსაც თითოეული დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას). განსახილველ სადავო ურთიერთობის გათვალისწინებით საკუთრების უფლების ხელყოფის შედეგად დაკარგულმა სიკეთემ წარმოშო არა პერიოდულად შესასრულებელი, არამედ ერთიანი ვალდებულების შესრულება, ხოლო მიუღებელი ქირა წარმოადგენს მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმს.

აქედან გამომდინარე საკასაციო პალატა არ იზიარებს ი. კ-ის საკასაციო საჩივრის მოტივებს, ხოლო ნ. ა-ის საკასაციო პრეტენზიას ამ ნაწილში იზიარებს და ასკვინის, რომ ნ. ა-ის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს სრულად.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა არ იზიარებს ნ. ა-ის საკასაციო პრეტენზიას ი. კ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებაში დასმული მეორე კითხვასთან დაკავშირებით (შეუძლია თუ არა ი. კ-ებ ნ. ა-ან მოითხოვოს ამ უკანასკნელის საკუთრებაზე განული სარემონტო ხარჯის ანაზღაურება?) უნდა გავცეთ დადებითი პასუხი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ი. კ-ის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლების შემოწმებასთან მიმართებით წარმოიშობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 987-ე და 164-ე მუხლებს შორის კონკურენცია.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწინია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავის დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა.

განსახილველი ნორმა წარმოადგენს ე.ნ. დანახარჯების კონდიციას, რომლითაც განისაზღვრება იმ პირის უფლებები ვინც სხვის ქონებაზე გასწინია ხარჯები, მაგრამ ამ ნორმის გამოყენებისას მნიშვნელობა ენიჭება განსახილველ ფაქტობრივ სიტუაციას, რომლის თანახმად, არა მარტო ი. კ-ებ შეგნებულად თუ შეცდომით სხვის ქონებაზე განია ხარჯი, არამედ თავის მხრივ ნივთის უკანონო მფლობელობით სარგებელი მიიღო. ამ ფაქტობრივ სიტუაციაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენებას გამორიცხავს ამავე კოდექსის 984-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, ხელმყოფი პირის მიერ გამოყენებული სიკეთის მიმართ განეული ხარჯები არ ამცირებს მისი გამდიდრების ოდენობას. ჩარევის კონდიციის განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, თუ ხელმყოფი პირი გამდიდრდა გამოყენებული სიკეთით, ამ გამდიდრების ოდენობა ვერ შემცირდება მის (ხელმყოფი პირი) მიერ გამოყენებული სიკეთის მიმართ განეული ხარჯებით, ანუ განსახილველი ნორმა ითვალისწინებს არა მარტო იმ შემთხვევას, როდესაც სხვისი სიკეთის მიმართ ხდება ხარჯების განევა, არამედ, ასევე შემთხვევას, როდესაც ამით ხელმყოფი პირი მდიდ

## რდება.

ამდენად, ჩვენ მიერ განსახილველი ურთიერთობის გათვალისწინებით ი. კ-ის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 987-ე, არამედ 164-ე მუხლი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი სუბსიდიარული ხასიათისაა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ ინსტიტუტის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს ურთიერთობის სპეციალური მომწერლი ნორმა, როდესაც იკვეთება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის გამოყენების უპირატესობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ი. კ-ის მოთხოვნასთან მიმართებით იკვეთება სანივთო-სამართლებრივი ინსტიტუტის გამოყენება, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალეულად არ მიიღო. ნივთზე განეული ხარჯები და გაუმჯობესებანი მას შეუძლია, მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად. სხვა მოთხოვნები არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ უცვლელი რჩება.

განსახილველი ნორმის გამოყენების ნინაპირობას წარმოადგენს ის, რომ ნივთის მფლობელი, რომელმაც გასწია ხარჯები და გაუმჯობესებანი, უნდა იყოს არაუფლებამოსილი და არაკეთილსინდისიერი ნივთის მფლობელობის მიმართ (არაუფლებამოსილი, მაგრამ კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ გამოიყენება 163-ე მუხლი, რაც 164-ე მუხლისაგან განსხვავებულ წესებს ითვალისწინებს).

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად, იმ ფაქტს, რომ ი. კ-ე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (ანუ მართლსანინააღმდეგოდ) და ბრალეულად ფლობდა სადაც უძრავ ქონებას, ადასტურებს თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.12.2007 წლის გადაწყვეტილება. ამ ფაქტის სანინააღმდეგო პრეტენზია ი. კ-ეს არ წარმოუდგენია, საკასაციო საჩივარი მოიცავს მხოლოდ ხანდაზმულობის საკითხის განხილვას, რაც ზემოთ იქნა განხილული. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს ფაქტების სავალდებულოა საკასაციო

სასამართლოსათვის.

აღნიშნული ფაქტები მიუთითებენ იმაზე, რომ ი. კ-ე წარმო-ადგენდა არაკეთილსინდისიერ მფლობელს საქართველოს სა-მოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის მიხედვით. განსახილველი ნორმის თანახმად უფლებამოსილი პირისაგან ნივთზე გაწეული ხარჯები და გაუმჯობესებანი არაკეთილსინდისიერმა მფლო-ბებმა შეუძლია მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამ-დიდრება მოჰყვა შედეგად, კერძოდ, სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ დადგენილია, რომ ი. კ-ე კონდიქციური მოთხოვნის ოდენობას განსაზღვრავს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელო-ბის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 23.12.2011წ. დასკვნის საფუძველზე 15059.21 ლარით, ნ. ა-ე კი ეყრდნობა თავად მის მიერვე წარმოდგენილ შპს „კ-ის“ 02.05.2012 წლის დასკვნას, რომლითაც შესრულებული სამუშა-ოების საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება გან-საზღვრულია 10 420.24 ლარით.

ამის სანინაალმდეგოდ კასატორი ნ. ა-ე უთითებს იმაზე, რომ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტი-ზის ეროვნული ბიუროს“ 23.12.2011 წლის დასკვნით არ დას-ტურდება ქონების გაზრდის ფაქტი. კასატორი აღნიშნავს, რომ დასკვნიდან არ ირკვევა 10 წლის წინ ჩატარებული რემონტის შემდეგ, უძრავი ქონების გადაცემის მომენტში რამდენად გაი-ზარდა მისი ლირებულება, რომლის თაობაზე ინფორმაცია აისა-ხა შპს „კ-ის“ 02.05.2012წ. დასკვნაში.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული პრეტენ-ზია დაუსაბუთებელია.

ზემოაღნიშნული ფაქტებთან მიმართებით, საკასაციო პალა-ტა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრე-ტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ წარმოდ-გენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემ-თხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულის-ხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის გან-ხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა.

გასათვალისწინებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლის საწინააღმდეგოდ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია, კერძოდ, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები, ექსპერტიზის დასკვნის კვლევითი ნაწილი და, შესპამისად, დასკვნა შინაარსობრივად მოწმობს, მისი ღირებულების გაზრდას.

ექსპერტის დასკვნის მიხედვით ქ. თბილისში, მ-ის ქ. №2/6-ში დამკვეთის მიერ მითითებული ფართი არის 55.36 კვ.მ, ნაცვლად წარმოდგენილ საინვენტარიზაციო გეგმაში დაფიქსირებული 40.22 კვ.მ-ისა.

ქ. თბილისში, მ-ის ქ. №2/6-ში ჩატარებულია სხვადასხვა სახის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, ასევე შეყვანილია ცენტრალური საკომუნიკაციო სისტემა.

ქ. თბილისში, მ-ის ქ. №2/6-ში განმცხადებლის მიერ მითითებული შესრულებული სამუშაოების საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება სამშენებლო ნორმებისა და წესების გამოყენებით, სამშენებლო რესურსების ფასების 2011 წლის IV კვარტლის მონაცემების მიხედვით და სათანადო ნორმატიული დარიცხვებით შეადგენს 15059.21 ლარს.

აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობდა ექსპერტისათვის დასმულ კითხვებიდან, კერძოდ, რა სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოებია ჩატარებული ქ. თბილისში, მ-ის ქ. №2/6-ში მდებარე სახლის ნახევარსარდაფის სართულზე არსებულ საცხოვრებელ ფართში, მათ შორის, საკომუნიკაციო ქსელების აღდგენითი სამუშაოები და აღნიშნული სამუშაოების განხორცილების შედეგად შეიცვალა თუ არა არქიტექტურა აღნიშნულ ფართში 1990 წლამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით და თუ შეიცვალა რანაირად (შედარებისთვის განცხადებას ერთვის ტენიცური ინვენტარიზაციის საარქივო დოკუმენტაცია).

ქ. თბილისში, მ-ის ქ. №2/6-ში მდებარე სახლის ნახევარსარდაფის სართულზე არსებულ საცხოვრებელ ფართში რა სახის სარემონტო სამუშაოები შესრულდა.

რას შეადგენს ზემოაღნიშნული სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების საბაზრო ღირებულება.

რაც შეეხება შპს „კ-ის“ 02.05.2012 წლის აუდიტორული დასკვნას სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ აუდიტორული დასკვნით დგინდება, რომ შეფასების პროცესში შემფასებელს არ ევალებოდა და არ ჩაუტარებია შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა და ეყრდნობოდა დამკვეთის მიერ მოწმდებულ ინფორმაციას (დამკვეთის განცხადება ანგა-

რიშს თან ერთვის) ჩატარებული სარემონტო სამუშაოების მოცულობის შესახებ. ამდენად, შპს „კ-ის“ 02.05.2012 წლის აუდიტორული დასკვნა არ აქარნყლებს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 23.12.2011 წლის დასკვნას.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ნ. ა-ეს არა აქვს ნარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც უტყუარად დაადასტურებდა ამ სამუშაოების ჩატარებას ი. კ-ის ფართის გადაცემამდე. ამ ფაქტზე არც კასაციაში არ უთითებს.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ის, რომ ნ. ა-ე არ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლითაც გამოირიცხებოდა მისი, როგორც მესაკუთრის ინტერესები ამ გაუმჯობესებების მიმართ. არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს ნ. ა-ის მოსაზრება ი. კ-ის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ი. კ-ის მოთხოვნაზეც ვრცელდება ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ეს ვადა უნდა აითვალის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

როგორც უკვე აღინიშნა ი. კ-ის მოთხოვნას წარმოადგენს ნ. ა-ის საკუთრებაზე განული სარემონტო ხარჯის ანაზღაურება. სასამართლოს გადაწყვეტილებით ი. კ-ე გამოასახლეს 2011 წლის დეკემბერში. შესაბამისად, გამოითავისუფლებული ფართი მასზე განხორციელებული გაუმჯობესებებით, მითითებულ პერიოდში გადაეცა მესაკუთრეს (ნ. ა-ეს). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის მიხედვით, არაკეთილსინდისიერ მფლობელს, მის მიერ ნივთზე განეული ხარჯებთან და გაუმჯობესებებთან მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მხოლოდ მაშინ თუ ამ ხარჯებმა და გაუმჯობესებებმა ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება გამოიწიეს.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ნ. ა-ემ მიიღო გაუმჯობესებული ფართი. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ ნ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ეს ხარჯები არ გაღებულა ანდა ის, რომ მესაკუთრის ინტერესებით არ იყო გათვალისწინებული ეს გაუმჯობესებები. შესაბამისად, ამ გაუმჯობესებებით ფართის მიღება მიუთითებს მესაკუთრის გამდიდრება-

ზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ი. კ-ის მოთხოვნა წარმოიშვა 2011 წლის დეკემბერში, საიდანაც იწყება ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა.

არ შეიძლება, ასევე გაზიარებულ იქნეს კასატორ ნ. ა-ის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ი. კ-ის მიერ ნივთზე გაწეული გაუმჯობესებანი შეესაბამებოდა ზნეობრივ ნორმებს და ამდენად, მისი უკან დაბრუნება გამორიცხულია. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად კასატორი უთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველი სიტუაცია (ი. კ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით) არ შეიძლება, შეფასდეს, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა უსაფუძვლო გამდიდრების ხელყოფის კონდიქციას და სანივთოსამართლებრივი ურთიერთობის მომნესრიგებელ ნორმებს შორის კონკურენციისას, საკასაციო პალატამ სადაც ურთიერთობაზე გაავრცელა ეს უკანასკნელი ინსტიტუტი. რაც შეეხება კასატორის მიერ მითითებულ ნორმას, იგი წარმოადგენს შესრულების კონდიქციას, რომელიც მიუთითებს შეგნებულად და მიზანმიმართულად განხორციელებულ მოქმედებას, რაც ინვეცია შესრულების მიმღების „ვითომ კრედიტორის“ მიერ ქონებრივი შეღავათის მიღებას (გამდიდრებას). იმ შემთხვევაში, თუ ეს მოქმედებები არ არის გააზრებული და მიზანმიმართული (ანუ, როდესაც ეს მოქმედებები შეგნებულად და მიზანმიმართულად არ ხორციელდება „ვითომ კრედიტორის“ მიმართ), მაშინ შესრულების კონდიქცია არ იარსებებს და, ამდენად, არ გამოიყენება მითითებული ნორმა. მოცემულ შემთხვევაში ი. კ-ებ ეს ხარჯი გასწია არა ნ. ა-ის, არამედ სათავისოდ, რაც გამორიცხავს შესრულების კონდიქციის ინსტიტუტს, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გამოყენებას. ზუსტად ამიტომ ნორმათა შორის კონკურენცია წარმოიშვა არა შესრულების, არამედ ხელყოფის კონდიქციის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი) და სანივთოსამართლებრივი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი) ნორმებს შორის, რაზეც ზემოთ იყო ნამსჯელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ი. კ-ის მოთხოვნა სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გა-

თავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საკასაციო საჩივრისათვის შეადგენს სადაცო საგნის ღირებულების 5%-ს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან 6. ა-ე საკასაციო საჩივრით ასაჩივრებდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორც მისთვის, ი. კ-ის სასარგებლოდ დაკისრებულ 15059 ლარის, ისე ი. კ-ის, თავის სასარგებლოდ 4656 ლარის არდაკისრების ნაწილში, შესაბამისად, საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება შეადგენდა  $15059,21 + 4656 = 19715.21$  ლარს, რის გამოც სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება აღნიშნული თანხის 5%-ით – 985.77 ლარით. 6. ა-ემ კი, საკასაციო საჩივრზე გადაიხადა მხოლოდ 753 ლარი, შესაბამისად, ვინაიდან 6. ა-ეს შეგებებულ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს 352 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივრზე დაკმაყოფილებულ ნაწილში სახელმწიფო ბაჟი გადახდილი არ არის, შესაბამისად, მონიალმდევე მხარე ი. კ-ეს, 6. ა-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 352 ლარის გადახდა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ – (985.77 - 753=232.77) ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:**

1. 6. ა-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება ი. კ-ის, 6. ა-ის სასარგებლოდ 6984 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. 6. ა-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ი. კ-ეს, 6. ა-ის სასარგებლოდ, დაეკისროს 11 640 ლარისა და 90.88 ლარის გადახდა;
5. ი. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
7. ი. კ-ეს 6. ა-ის სასარგებლოდ, დაეკისროს შეგბებულ სარ-

ჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 352 ლარის გადახდა;

8. ი. კ-ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 232.77 ლარის გადახდა;

9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საპოლოოა და არ გასაჩივრდება.

## შემპენის ინტერესების დაცვა

### კეთილსიცისიერი შემპენი

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-189-182-2013

16 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, საკუთ-  
რების უფლების აღდგენა

#### აღნერილობითი ნაწილი:

მ. მ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. ბ-სა და ა. ყ-ის მი-  
მართ და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი 2008 წლის 17 სექ-  
ტემბერსა და 2009 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული ნასყიდო-  
ბის ხელშეკრულებები, აღდგეს მ. მ-ას საკუთრების უფლება  
ქ. თბილისში, მ-ის II მკ/რ-ის №2 კორპუსში მდებარე №38 ბინა-  
ზე შემდეგ გარემოებათა გამო:

ქ. თბილისში, მ-ის II მკ/რ-ის №2 კორპუსში მდებარე №38 ბი-  
ნა ნარმოადგენდა მ. მ-ას საკუთრებას.

2008 წლის 17 სექტემბერს ა. ყ-მა გაყალბებული ნასყიდო-  
ბის ხელშეკრულების საფუძველზე მ. მ-ას კუთვნილი ბინა აღ-  
რიცხა თავის სახელზე, ხოლო 2009 წლის 7 აგვისტოს სესხისა  
და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე იპოთეკით დატ-  
ვირთა იგი.

2009 წლის 14 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულების სა-  
ფუძველზე ა. ყ-მა სადაც უძრავი ნივთი მიჰყიდა კ. ბ-ეს. ნივ-

თის განკარგვა განხორციელდა ისე, რომ აღნიშნულის თაობაზე ნივთის მესაკუთრე მ. მ-ას ნება არ გამოუვლენია.

კ. ბ-ე არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კეთილსინდისიერ შემძენად, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე უძრავი ნივთის დამქირავებლის მიერ გაფრთხილებული იყო, რომ ა. ყ-ი ნივთის მესაკუთრეს არ წარმოადგენდა.

მოპასუხე ა.ყ-ს შესაგებელი არ წარუდგენია, ხოლო კ.ბ-ემ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ სადაცო ნივთის კეთილსინდისიერი შემძენია და სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2011 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციი წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. მ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მ. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მ. მ-სა და ა. ყ-ს შორის 2008 წლის 17 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ისევე, როგორც ა. ყ-სა და კ. ბ-ეს შორის 2009 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, მ. მ-ას სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხა ქ.თბილისში, მ-ის II მკ/რ-ის №2 კორპუსში მდებარე 55.00 კვ.მ №38 ბინა შემდეგ გარემოებათა გამო:

2008 წლის 8 სექტემბერს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ.თბილისში, მ-ის II მკ/რ-ის №2 კორპუსში მდებარე 55.00 კვ.მ №38 ბინაზე რეგისტრირებული იყო მ. მ-ას საკუთრების უფლება.

2008 წლის 17 სექტემბერს შედგენილი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, მ. მ-ამ ა. ყ-ს 30 000 ლარად მიჰყიდა ქ.თბილისში, მ-ის II მიკრო/რაიონის №2 კორპუსში მდებარე 55.00 კვ.მ №38 ბინა.

2009 წლის 6 აგვისტოს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ.თბილისში, მ-ის II მიკრო/რაიონის №2 კორპუსში მდებარე 55.00 კვ.მ №38 ბინაზე რეგისტრირებული იყო ა. ყ-ის საკუთრების უფლება.

2009 წლის 7 აგვისტოს დადებული იპოთეკის ხელშეკრულების თანახმად, 2009 წლის 7 აგვისტოს კ. ბ-ის მიერ ა. ყ-ის სახელზე გაცემული სესხის – 23 000 აშშ დოლარის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა ქ.თბილისში, მ-ის II მიკრო/

რაიონის №2 კორპუსში მდებარე 55.00 კვ.მ №38 ბინა.

2009 წლის 14 აგვისტოს შედგენილი უძრავი ქონების ნასყი-დობის ხელშეკრულების მიხედვით, ა. ყ-მა ზემოხსენებული ბი-ნა 30 000 ლარად მიჰყიდა კ. ბ-ეს. 2009 წლის 8 აგვისტოს საჯა-რო რეესტრის ამონაწერის თანახმად, უძრავ ნივთზე რეგისტრი-რებულია კ. ბ-ის საკუთრების უფლება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2008 წლის 17 სექტემბერს შედგენილი ხელშეკრულება გაყალბებულია. მითი-თებული გარემოება დგინდება თბილისის საქალაქო სასამარ-თლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგის 2010 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით, რომლის თანახმადაც ა. ყ-მა განიზრახა მოტყუებით დაუფლებოდა მ. მ-ას კუთვნილ ქ.თბილისში, მ-ის II მიკრო/რაიონის №2 კორპუსში მდებარე 55.00 კვ.მ №38 ბინას, რისთვისაც ა. ყ-მა გაყალბა მ. მ-ას კუთვნილი საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება.

სააპელაციო პალატამ საჯარო რეესტრის ამონაწერის სა-ფუძველზე დამატებით დაადგინა, რომ ა. ყ-ის საკუთრების უფ-ლების დამადასტურებელი დოკუმენტის – 2008 წლის 17 სექ-ტემბერს დამონტებული 1/7929 ნასყიდობის ხელშეკრულების პირველადი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში განხორციელდა 2009 წლის 6 აგვისტოს, ანუ, კ. ბ-ან იპოთეკის ხელშეკრულების დადებამდე ერთი დღით ადრე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავის სწორად გადაწ-ყვეტისათვის მნიშვნელოვანია, იურიდიულად შეფასდეს, რამ-დენად გააჩნდა 2009 წლის 14 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკ-რულების დადების დროს გამყიდველ ა. ყ-ს ბინის გასხვისების უფლება და რა სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს სხვისი სა-კუთრების უნებართვო განკარგება. თუკი ა.ყ-ს ბინის განკარგვის უფლება არ გააჩნდა, გასარკვევია, ასეთ შემთხვევაში იცავს თუ არა კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი მყიდველ მესამე პირს – კ. ბ-ეს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ა. ყ-მა მ. მ-ას ბინა შეიძინა გაყალბებული ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ მესაკუთრე მ. მ-ას ბინის გასხვისების ნება არ გამოუვლე-ნია. ასეთ შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრაციით ა. ყ-ს საკუთრების უფლება სადავო ბინაზე არ წარმოშობია, რადგან ამ რეგისტრაციას საფუძვლად არ ედო გარიგება – წამდვილი ნების საფუძველზე დადებული ხელშეკრულება, რაც აუცილე-ბელი წინაპირობაა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარ-მოშობისათვის, ხოლო უცილოდ ბათილი გარიგება, სამოქალა-ქო კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივ შედეგებს

არ წარმოშობს. ამდენად, 2008 წლის 17 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია სამოქალაქო კოდექსის 477-ე, 183-ე და 54-ე მუხლების საფუძველზე.

პალატის განმარტებით, ვალდებულებით სამართალში შესაძლებელია, ნივთის გასხვისება მოხდეს არამესაკუთრის მიერ, ძირითადად საუბარია მოძრავ ნივთებზე, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში განხილვის საგანს წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთი გარიგება – ნასყიდობის ხელშეკრულება. სასამართლომ მიიჩნია, რომ, რადგან იგი დადგებულია უძრავ ნივთზე, მასზე საკუთრების წარმოშობის პრინციპებს განსაზღვრავს სწორედ სანივთო-სამართლებრივი ნორმები.

სამოქალაქო კოდექსის ფუნდამენტურ ნორმას წარმოადგნს 183-ე მუხლი, რომელიც შეტება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობას. ხსენებულ ნორმას ალტერნატივა არ მოეპოვება. უძრავი ნივთის შესაძლებად აუცილებელია წერილობითი გარიგება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამავე დროს, ამ ნორმის ლოგიკური და ოპეროლოგიური (მიზნიდან გამომდინარე) განმარტება უდავოდ გულისხმობს შემძენის მიერ გარიგების წერილობითი ფორმის დადებას მესაკუთრესთან, რომელშიც უდავოდ მოიაზრება ნამდვილი მესაკუთრე, ანუ, საკუთრების ნამდვილი უფლების მქონე პირი. სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად კი საჯარო რეესტრში შეიტანება საკუთრება და სხვა სანივთო უფლებები, რომლებიც უკვე არსებობს.

ამავე კოდექსის 312-ე მუხლის შესაბამისად, ნათელია, რომ საჯარო რეესტრს, როგორც უძრავ ნივთებზე უფლებათა მარეგისტრირებელ ორგანოს, გააჩნია სანდობის მაღალი ხარისხი, რაც გამოხატება კანონისმიერ პრეზუმუციაში. ამ კონტექსტში მნიშვნელოვნია განიმარტობა, რას მოიცავს კანონით გათვალისწინებული პრეზუმუცია, იცავს იგი შემძენს საჯარო რეესტრის ჩანაწერის ნებისმიერ უსწორობის შედეგისაგან, თუ ასეთი დაცვა არ ვრცელდება დანაშაულებრივი გზით განხორციელებული არასწორი ჩანაწერის მიმართ, რომელიც შემძენს შესაძლოა, ეჩვენებოდეს კიდეც სწორად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის ინტერპრეტაცია ხდება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებთან ორგანულ კავშირში, რომლებიც მისთვის საფუძველსა და გასაღებს წარმოადგენს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 312-ე და სხვა მუხლებთან ერთად.

პალატამ მიზანშენილად მიიჩნია, სისტემურად განმარტოს 185-ე მუხლით დაცული ინსტიტუტი – შემძენის კეთილ-

სინდისიერება და მისი გავრცელების არეალი. მოცემული ნორმა ითვალისწინებს უძრავი ნივთის შემძენის დაცვის მექანიზმს საჯარო რეესტრის ჩანაწერის არსებობიდან გამომდინარე. ნორმის დაცვითი ფუნქცია გამომდინარეობს სწორედ რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმეციიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მოძრავ და უძრავ ნივთებზე კანონმდებელი კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის განსხვავებულ წინაპირობებს ითვალისწინებს. ამავე კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კანონმდებლის ნება მოძრავი ნივთების გასხვისებასთან მიმართებით სრულიად ნათელია, კანონმდებელი არ ანიჭებს ლეგიტიმაციას იმგვარ შენაძენს, თუნდაც იგი კეთილსინდისიერების ფარგლებში იყოს განხორციელებული, როდესაც მესაკუთრეს ნივთი მოპარეს, ან მისი ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი მფლობელობიდან.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოძრავ ნივთებთან მიმართებით, შემძენის კეთილსინდისიერება ვერ გადაფარავს საჯარო წესრიგით განმტკიცებულ ქცევის წესებს, რომ ნებისმიერი გასხვისება-განკარგვა უნდა მოხდეს თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე, ხოლო დანაშაულებრივი გზით ნივთის გასვლა მესაკუთრის მფლობელობიდან არ იცავს ნივთის შემძენს სავინდიქაციო სარჩელისა თუ არარა გარიგების შედეგებისაგან. ამდენად, კანონმდებლის ნება ცალსახა და ცხადია – სამოქალაქო ბრუნვა უნდა განხორციელდეს ლეგიტიმურ საფუძვლებზე.

პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მსგავსი ფართო რეგულაცია, უძრავი ნივთების გასხვისების შემთხვევაში (სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი) არ გვაქვს. აღნიშნული განსხვავება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კანონმდებლმა უძრავ ნივთებზე უფლებათა სარეგისტრაციო ორგანოდ დააწესა საჯარო რეესტრი იმ მიზნით, რომ ქონებაზე სანივთო უფლებების არსებობა სამართლებრივი ბრუნვის გამჭვირვალობისთვის შესამჩნევი იყოს ამ ბრუნვის მონაწილეთათვის და, რაც მთავარია, საჯარო რეესტრს გააჩნია სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, კერძოდ, მესაკუთრეს, საჯარო რეესტრში რეგისტრაციით დაცული აქვს თავისი საკუთრება სხვისი ხელყოფისაგან, ხოლო შემძენი, თავის მხრივ, ენდობა საჯარო რეესტრის ჩანაწერს.

ამდენად, კანონმდებელმა უძრავ ნივთებზე საკუთრების ნარმოშობისა და უკვე არსებული უფლების დაცვის გარანტად განსაზღვრა საჯარო რეესტრი, რასაც ადასტურებს კანონმდებლისვე ნება, რომლის შესაბამისადაც რეესტრს გააჩნია მყარი

ნდობა (პრეზუმუცია). ანუ, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის სავალდებულო პროცედურით კანონმდებელმა შექმნა ამ უფლებათა დაცვის მექანიზმი. სწორედ ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი დამატებით აღარ მიუთითებს შემძებნის კეთილსინდისიერების გამომრიცხავ ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა მესაკუთრისათვის ნივთის მოპარვა ან მისი ნების სანინაალმდეგოდ ნივთის მესაკუთრის მფლობელობიდან გასვლა. ნათელია, რომ უძრავი ქონების მოპარვა გამორიცხულია უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის განსაკუთრებული წესის არსებობის გამო, მაგრამ ამავე დროს შესაძლებელია უძრავ ქონებაზე საკუთრების დაკარგვა მესაკუთრის ნების სანინაალმდეგოდ, დანაშაულებრივი გზით, როგორც განსახილველ შემთხვევაში.

აღნიშნულის გამო, საჯარო რეესტრის, როგორც სამართლებრივი გარანტის ფუნქცია სასამართლომ განმარტა იმგვარად, რომ მას ეკისრება მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა – დაარეგისტრიროს ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ნამდვილი, კანონიერ საფუძველზე ნარმოშობილი უფლებები და რეესტრის სისწორის კანონისმიერი პრეზუმუცია სწორედ საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ნამდვილი უფლების ჩანაწერის მიმართ არსებობს. სხვაგვარი განმარტება ნარმოშობდა ზოგადსამართლებრივი პრინციპის – თანაბარი მოპყრობის პრინციპის სანინაალმდეგო პოზიციას. „თანაბარი მოპყრობის პრინციპი არის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ნიშნავს არსობრივად ერთნაირის თანაბრად და არსობრივად განსხვავებულის არათანაბრად მოპყრობას“.

სააპელაციო პალატამ მიუთითა აღნიშნულ პრინციპზე და მიიჩნია, რომ კანონმდებლის მიდგომა არსობრივად ერთნაირი შემთხვევისადმი ერთნაირი უნდა იყოს, კერძოდ, სასამართლომ იგულისხმა სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 185-ე მუხლები. ამ ორივე ნორმაში საუბარია ნივთების გასხვისებაზე (განხვავება მხოლოდ ნივთების კატეგორიაშია – მოძრავია თუ უძრავი), ხოლო სამართლებრივი შედეგი ნივთების მესაკუთრის ნების სანინაალმდეგოდ, მისი ჩარევის გარეშე განკარგვის შემთხვევაში განსხვავებულია.

პალატამ ზემოთ უკვე განმარტა, რომ 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კანონმდებელი გამორიცხავს შემძებნის კეთილსინდისიერებას ნივთის მესაკუთრის ნების სანინაალმდეგო განკარგვის დროს. ორივე ნორმის შესაბამისად, არსობრი-

ვად ერთი არის ის, რომ ნამდვილი მესაკუთრის გარეშე ხდება ნივთების გასხვისება. ერთ შემთხვევაში, (187.2 მუხლი) ასეთი გასხვისება ვერ იქცევა ლეგიტიმურად შემძენის კეთილსინდი-სიერების ნორმატიულად არაოსებობის გამო, რაც შესაძლებე-ლია მოხდეს უძრავი ნივთის გასხვისების დროს (185-ე მუხლი), რადგან შემძენი შესაძლოა, ყოველი კეთილსინდისერი. სწორედ აქ არის არათანაბარი მოპყრობის პრინციპი არსობრივად ერთი საკითხის მიმართ და რადგან იგი ენინაალმდეგება სამართლებ-რივი სახელმწიფოს პრინციპს, პალატამ მიიჩნია, რომ უძრავი ნივთის შემძენის დროს, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის ფარგლებში უნდა გამოირიცხოს შემძენის კეთილსინდისერე-ბა მესაკუთრის ნების სანინაალმდეგოდ ნივთის გასხვისების შემთხვევაში, როგორც ეს ხდება ამავე კოდექსის 187-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილის დანაწესით.

აღნიშნულ განმარტებათა საფუძველზე სასამართლომ ჩათ-ვალა, რომ კ. ბ-ეს, როგორც შემძენს არ იცავს ის ფაქტი, რომ მან სადაც ბინის შეძენისას არ იცოდა საჯარო რეესტრის ჩანა-წერის უზუსტობის შესახებ, რადგან გამსხვისებელ ა.ყ-ის მესა-კუთრედ რეგისტრაცია განხორციელდა დანაშაულებრივი გზით, ნამდვილი მესაკუთრის – მ. მ-ას ნების გამოვლენის გარეშე.

პალატამ ასევე ყურადღება გამამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ა. ყ-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუ-მენტის – 2008 წლის 17 სექტემბრის №1/7929 ნასყიდობის ხელ-შეკრულების პირველადი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში გან-ხორციელდა 2009 წლის 6 აგვისტოს, კ. ბ-ან იპოთეკის ხელშეკ-რულების დადებამდე ერთი დღით ადრე, რაც ნათლად ჩანს სა-ჯარო რეესტრის ამონანერში.

ამდენად, ა. ყ-მა თავისი საკუთრების წარმომშობი გარიგება საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა ამ გარიგების დადებიდან დაახლოებით 10 თვის შემდეგ. ფაქტია, რომ აღნიშნულ გარე-მოებაზე შემძენ კ. ბ-ეს ყურადღება არ გაუმახვილებია, თუმცა ა. ყ-ის ბინის მიმყიდველს შეეძლო ამ ხნის განმავლობაში სხვა ხელშეკრულების დადება, ხოლო რეესტრში გარიგების დაურე-გისტრირებლობით ა. ყ-ი თავის საკუთრებას საფრთხეში აგდებ-და. ამგვარი მოცემულობა გარკვეულ ეჭვებს გამოიწვევდა ნე-ბისმიერი კეთილსინდისერი და სამართლიანად მოაზროვნე ადამიანში. საკუთრების შეძენის უფლება თავის თავში გულის-ხმიბს გარკვეული წინდახედულობის ზომების გამოყენებას, ხო-ლო მისი გამოყენებლობა გამორიცხავს შემძენის ინტერესე-ბის დაცვას კეთილსინდისერებაზე მითითებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რომ ნასყიდობის ხელშეკრუ-

ლების დადება შეუძლია საამისოდ უფლებამოსილ პირს – მესაკუთრეს, ამგვარი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია მესაკუთრის ნების გამოვლენა.

განსახილველ შემთხვევაში ა. ყ-ს 2008 წლის 17 სექტემბრის ხელშეკრულებითა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციით საკუთრების უფლება არ წარმოშობია. ნამდვილ მესაკუთრე მ. მ-ას კი, 2009 წლის 14 აგვისტოს ხელშეკრულებაში ბინის გაყიდვის ნება არ გამოულენია, ამდენად, ნაყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას რეალურად მოხდა არანამდვილი მესაკუთრე პირისა და შემძენის ნებათა თანხვედრა, ე.ი. სადავო ბინის გასხვისება მოხდა არამესაკუთრის ნების გამოვლენით, შესაბამისად, საქმე გვაქვს გარიგებასთან, რომელმაც დაარღვია კანონით დადგენილი წესრიგი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 477-ე, 183-ე მუხლების დანაწესი, რის გამოც იგი, როგორც მართლასაწინააღმდეგო გარიგება, ამავე კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და ქ.თბილისში, მ-ი, II მიკრო/რაიონის №2 კორპუსის №38 ბინაზე მ. მ-ას საკუთრების უფლება უნდა აღდგეს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კ. ბ-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა და უნდა გაუქმდეს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ეცულირებს საქართველოს საერთო სასამართლოთა უფლებებსა და კომპეტენციის ფარგლებს. მითითებული კანონების თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებაზე ზედამხედველობას და სასამართლო პრაქტიკის შემუშავებას ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო სააპელაციო სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის დადგენის უფლებამოსილება არ გააჩნია, პირიქით, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ უნდა განსხვავდებოდეს მსგავსი კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. აღნიშნულ მოთხოვნას შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, სადაც საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ პირობად სწორედ სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ მოთხოვნის დარღვევაა მითითებული.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ შეგნებულად უხეშად დაარღვია კანონი. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სააპელაციო პალატი-

სათვის ცნობილია მსგავს საკითხებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობას ქვეყნის სამართლებრივი განვითარების პროცესში, მაგრამ მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავა ამ პრაქტიკის შესაბამისად არ უნდა გადაწყდეს.

სააპელაციო პალატას აღნიშნულის უფლებამოსილება არ გააჩნდა, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ უზენაესი სასამართლოს შეფასებას არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატა, სასამართლო პრაქტიკას ადგენს მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი, რომელიც ადგენს მოძრავი ნივთის შემძენის კეთილსინდისიერებას. აღნიშნული ნორმა სპეციალური ხასიათისაა და მისი გამოყენება უძრავი ნივთის შემძენზე დაუშვებელია, მითუმეტეს, რომ უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენზეც არსებობს სპეციალური სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი. მისი გამოყენება მოძრავი ნივთის შემძენთან მიმართებით ასევე დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა მხოლოდ 185-ე მუხლი უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენთან დაკავშირებით. მან კი არასწორად განმარტა ეს ნორმა და შეავსო იგი 187-ე მუხლის შინაარსით.

სააპელაციო სასამართლომ არ უარყო ის გარემოება, რომ კ. ბ-ე კეთილსინდისიერი შემძენია, მაგრამ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა სამართლებრივ ნორმებს, მოახდინა 185-ე და 187-ე მუხლების სინთეზური განმარტება და მივიდა დასკვნამდე, რომ კ. ბ-ეს ვერ დაიცავს მისი კეთილსინდისიერი შემძენის სტატუსი, ვინაიდან უძრავი ნივთი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი საკუთრებიდან. ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი, უპირატესად უნდა ჩაითვალოს მესაკუთრის და არა კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები.

სააპელაციო სასამართლოს ამგვარი მსჯელობა ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებს, რომელთა მიხედვით პრიორიტეტული სწორედ კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებია. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ადრე მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს ითვალისწინებდა იმის განუსხვავებლად, საკითხი ეხებოდა მოძრავი თუ უძრავი ნივთის შემძენს. ამ ნორმის თანახმად, ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის

187-ე მუხლის მსგავსად კეთილსინდისიერი შემძენისაგან ნივთის გამოთხოვა დაიმტვებოდა, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა ან სხვა გზით მისი ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი საკუთრებიდან. ამჟამად მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა უარი თქვა უძრავ ნივთან მიმართებით კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების ამგვარ შეზღუდვაზე. სხვადასხვანაირად გაიმიჯნა შემძენის კეთილსინდისიერება უძრავ და მოძრავ ნივთებზე და დაადგინა უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების უპირატესობა მაშინაც კი, თუ ნივთი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი საკუთრებიდან.

თუ კანონმდებელს სურდა, რომ უპირატესობა მესაკუთრის ინტერესებს მინიჭებოდა, იგი ცალკე არ გამიჯნავდა უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის პირობებს და არ დაადგენდა ორ ნორმას ამ საკითხის დასარეგულირებლად. სამოქალაქო კოდექსის 187 მუხლი იქნებოდა არა მოძრავ ნივთან დაკავშირებით, არამედ ნივთის კატეგორიის მიუხედავად გამოსაყენებელი ზოგადი ნორმა. ამდენად, უძრავი ნივთის შემძენის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 185-ე და არა 187-ე მუხლი.

ასევე, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ რეესტრის სისწორის კანონისმიერი პრეზუმაცია სწორედ საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ნამდვილი უფლების ჩანაწერის მიმართ არსებობს.

გაურკვეველია, რას გულისხმობს სააპელაციო სასამართლო ნამდვილი უფლების ჩანაწერის მიმართ სისწორის პრეზუმაციაში, კანონის მიხედვით კი რეესტრის მონაცემთა სისწორის პრეზუმაცია სწორედ იმას გულისხმობს, რომ ჩანაწერი შეიძლება არ იყოს ნამდვილი, მაგრამ არსებობს მისი სისწორის პრეზუმაცია, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, ან თუ შემძენმა არ იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე ან კიდევ, არ იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.

არასწორია სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან ა. ყ-მა თავისი საკუთრების უფლება გარიგების დადებიდან 10 თვეს შემდეგ დაარეგისტრირა, კ. ბ-ეს ამისათვის ყურადღება უნდა მიექცია და ეჭვი გასჩენოდა, რადგან ა. ყ-ი ამდენი ხნის მანძილზე გარიგების დაურეგისტრირებლობით თავისი საკუთრებას საფრთხეში აგდებდა. სასამართლომ ვერ დაასაბუთა, რატომ არის ეს გარემოება საეჭვო.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის სა-

ფუძვლები, შეამონმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კ: ბის საკასაციო საჩივარი 2009 წლის 14 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ასევე მ. მ-ას მესაკუთრედ აღდგენის მოთხოვნათა ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 8 სექტემბერს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ.თბილისში, მ-ის II მიკრო/რაიონი, კორპუსი №2, ბინა №38-ზე რეგისტრირებული იყო მ. მ-ას საკუთრების უფლება.

2009 წლის 6 აგვისტოს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სადავო ბინა საჯარო რეესტრში აღირიცხა ა. ყ-ის სახელზე, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა მ. მ-სა და ა. ყ-ს შორის 2008 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის გაყალბებული ხელშეკრულება.

2009 წლის 7 აგვისტოს დადგებული იპოთეკის ხელშეკრულების თანახმად, 2009 წლის 7 აგვისტოს კ. ბ-ის მიერ ა. ყ-ზე გაცემული სესხის (23 000 აშშ დოლარი) უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა სადავო ბინა.

2009 წლის 14 აგვისტოს შედგენილი უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, ა. ყ-მა კ. ბ-ეს 30 000 ლარად მიჰყიდა სადავო ბინა, რომელიც საკუთრების უფლებით აღირიცხა ამ უკანასკნელის სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ა. ყ-მა ნასყიდობის ხელშეკრულების პირველადი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში განახორციელა კ. ბ-ან იპოთეკის ხელშეკრულების დადებამდე ერთი დღით ადრე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა კ. ბ-ემ, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი შეამონმოს ა. ყ-ან მიმართებაში გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერება, თუმცა, ზო-

გადად მიმოვიხილავთ ბათილი გარიგების სამართლებრივ შე-დეგებს.

როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასა-ტორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებს, ამასთან, მიიჩნევს, რომ ნასყიდობის ხელშეკრუ-ლების დადებიდან ათი თვის შემდეგ, გარიგების საფუძველზე უფლების რეგისტრაცია, ასევე უფლების რეგისტრაციიდან მე-ორე დღეს ქონების იპოთეკით დატვირთვა არ წარმოადგენს ისეთ გარემობას, რომელიც საკმარისია შემძენის არაკეთილ-სინდისიერად მიჩნევისათვის, ხოლო სხვა მხრივ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია შემძენის არაკეთილსინდისიერე-ბა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამარ-თლომ სწორად დასვა მოცემული დავის გადაწყვეტისათვის საკ-ვანძო კითხვები, კერძოდ: რამდენად გააჩნდა 2009 წლის 14 აგ-ვისტონ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს გამყიდ-ველ ა. ყ-ს სადაც ბინის გასხვისების უფლება; ასეთი გასხვისე-ბის შემთხვევაში, რა სამართლებრივი შედეგები წარმოიშობა; თუკი მივიჩნევთ, რომ ა. ყ-ს არ გააჩნდა ბინის განკარგვის უფ-ლება; იცავს თუ არა კეთილსინდისიერების ინსტიტუტი შემძენს. რაც შეეხება დასმულ კითხვებთან დაკავშირებით სამართლებ-რივ ანალიზს, უფრო ზუსტად კი პასუხს კითხვაზე, არსებობს თუ არა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძ-ველი კ. ბ-ან მიმართებაში, საკასაციო პალატა განმარტავს შემ-დეგს:

მოსარჩელე მ. მ-ა სარჩელით ითხოვს ა. ყ-ან 2008 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული უძრავი ქონების (მდებარე ქ. თბი-ლისში, მ-ის II მიურო/რაიონი, კორპუსი №2, ბინა №38) ნასყი-დობის ხელშეკრულებისა და ა. ყ-სა და კ. ბ-ეს შორის იმავე ბი-ნაზე 2009 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული ნასყიდობის ხელ-შეკრულების ბათილად ცნობას, ასევე საკუთრების უფლების აღდგენას.

პირველ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოსარჩელის პოზიცია ემყარება იმ გარემოებებს, რომ ა.ყ-მა გა-აყალბა ნასყიდობის ხელშეკრულება, მ. მ-ას არ გამოუვლენია უძრავი ქონების გასხვისების ნება, რის გამოც ა.ყ-ი უკანონოდ იქნა აღრიცხული სადაცო ბინის მესაკუთრედ საჯარო რეეს-ტრში. მეორე ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კი მოსარჩელე უთითებს შემძენის არაკეთილსინდისიერებაზე. მოსარჩელის განმარტებით, შემძენს უნდა სცოდნოდა, რომ გამ-სხვისებელი არ იყო მესაკუთრე, ვინაიდან ა.ყ-მა შემძენი კ. ბ-ე

მოსარჩელის ბინის დამქირავებელთან მიიყვანა იპოთეკარის სტატუსით, რომელსაც მ. ჩ-ამ განუცხადა, რომ ის წარმოადგენდა მ. მ-ას მდგმურს, რომელსაც უხდიდა ყოველთვიურად 400 ლარს ქირის სახით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ა.ყ-ის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ მ. მ-სა და ა. ყ-ს შორის დაიღო უცილოდ ბათილი, არარა გარიგება, ვინაიდან დადასტურდა გარიგების სიყალბეჭერს, რაც ნიშნავს იმას, რომ მ. მ-ას 2008 წლის 17 სექტემბერს ხელშეკრულების გაფორმებისას სადაც უძრავი ნივთის გასხვისების ნება არ გამოუვლენია. აქედან გამომდინარე, პასუხი კითხვაზე – ჰქონდა თუ ა. ყ-ს სადაც ბინის გასხვისების უფლება, უარყოფითია, ვინაიდან უცილოდ ბათილი გარიგება არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგებს, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია, რომ გამყიდველი წარმოადგენდეს ნივთის მესაკუთრეს.

საკასაციო საჩივრის პრეტენზია ძირითად შემძენის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული ნორმების, როგორც შემძენის დამცავი ნორმების განმარტებას ეძღვნება, რომელიც სააპელაციო სასამართლომ კონცეპტუალურად განსხვავებულ ჭრილში შემოგვთავაზა. ამიტომ, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს შეაფასოს, საკითხის ახლებური გადაწყვეტა რამდენად შეესაბამება ერთის მხრივ საკუთრების კონსტიტუციურ გარანტიას, ხოლო მეორეს მხრივ სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებას და სტაბილურობას.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს იმგვარ მიდგომას, რომლის თანახმადაც, საკუთრების უფლების შინაარსს, რაც ვლინდება მესაკუთრის უფლებაში, განახორციელოს სრული ბატონობა ნივთზე და თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს იგი, არ უნდა შეექმნას საფრთხე. მესაკუთრეს არ უნდა აწესებდეს მუდმივი შიში იმისა, რომ მისა ამგვარი უფლება შესაძლოა ერთ დღესაც მისი ნებისგან დამოუკიდებლად გაუქმდეს ან საერთოდ გაქრეს. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა შემოგვთავაზა საკუთრების უფლების იმგვარი მონესრიგება, რომლითაც მეტნაკლებად დაცულია სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაბილის უფლებები.

ვინაიდან განსახილველი დავა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების განკარგვას ეხება, მნიშვნელოვანია მოხდეს ნორმათა მართებული გამოყენება-განმარტება. უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის წესს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი

განსაზღვრავს, რომლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადგება და შეძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ მ. მ-სა და ა. ყ-ს შორის ფაქტიურად არ დადგებულა მ. მ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულება, ლოგიკურია, ა.ყ-ს მხოლოდ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაცია ვერ აქცევდა ნამდვილ მესაკუთრედ.

რადგან საჯარო რეესტრს შევეხეთ, აქვე უნდა განიმარტოს საჯარო რეესტრის დანიშნულება. საჯარო რეესტრის უმთავრესი დანიშნულება სწორად ასახოს რეგისტრაციას დაქვემდებარებული ყოველგვარი უფლება, მათ შორის საკუთრების უფლება და მათი მდგომარეობა. საჯარობის პრინციპი კი გულისმობს იმას, რომ რეგისტრაციის მომენტიდან იძენს ამგვარი უფლება იურიდიულ ძალას მესამე პირებისათვის. კანონმდებლობა უშვებს საჯარო რეესტრის სისწორის პრეზუმაციას, რაც ნიშნავს იმას, რომ მესამე პირებისათვის რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამდენად საჯარო რეესტრი ერთის მხრივ სამოქალაქო ბრუნვის გარანტის ფუნქციას ასრულებს, ხოლო მეორეს მხრივ იგი სრულ კონსესუსშია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან.

კონფლიქტი წარმოიშობა მაშინ, როდესაც რეესტრში რეგისტრირებული უფლება არ შეესაბამება ამ უფლების ნამდვილ შინაარსს, ხოლო მესამე პირისათვის ეს ფაქტი უცნობია. უფრო მეტად რომ დაკონკრეტდეთ, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს კონფლიქტი წამდვილ მესაკუთრე მ. მ-სა და მესამე პირს – კ. ბ-ეს შორის. ამდენად, მივადექით იმ საკითხის გადაწყვეტას, ვის უნდა მიენიჭოს უპირატესობა – მესაკუთრეს თუ შეძენს და რა შემთხვევაში თითოეულს. ანუ იცავს თუ არა მსგავს სიტუაციაში შემძენს რომელიმე ნორმა, რაც დააბრკოლებდა სარჩელის დაკმაყოფილებას. მესამე პირთა დაცვის გარანტიები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. მოცემული ნორმა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაციას, როგორც მესამე პირთა დაცვის სამუალებას, ამასთან, უშვებს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებაში ხარვეზის შესაძლებლობას, თუმ-

ცა, მიუხედავად ამისა, იცავს ისეთ შემძენს, რომელიც ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. შემძენის ინტერესების დაცვის გარანტიებს შეიცავს ასევე სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული კონფლიქტი კანონმდებელმა სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლების მიხედვით, შემძენის სასარგებლოდ გადაწყვიტა, რაც ნიშნავს იმას, რომ მესაკუთრეს აქვს უფლება შესაბამისი საზღაური მოითხოვოს არამართლზომიერი გამსხვისებლის მიმართ, ხოლო კეთილსინდისიერ შემძენს უნარჩუნდება საკუთრების უფლება.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ განვითარებულ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმუტცია ვერ დაიცავს შემძენს, თუკი საჯარო რეესტრის ჩანაწერს საფუძვლად უდევს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ისე, როგორც ეს კანონმდებელმა მოძრავ ნივთებთან მიმართებაში მოაწესრიგა (სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი). რა თქმა უნდა საჯარო რეესტრის სამსახურს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება დაარეგისტრიროს ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ნამდვილი, კანონიერ საფუძველზე წარმომობილი უფლებები, თუმცა, რეესტრის სამსახურის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოება არ გამორიცხავს შეცდომის დაშვების ალბათობას. შესაბამისად, თუ გავიზიარებდით იმ მსჯელობას, რომლის თანახმადაც, რეესტრის სისწორის პრეზუმუტცია არსებობს მხოლოდ საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ნამდვილი უფლების მიმართ, დიდ საფრთხეს შევუქმნიდით სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, ვინაიდან შემძენს დავაკისრებდით რეესტრის მონაცემების ნამდვილობის შემოწმების ტვირთს, რაც მისთვის შეუძლებელი იქნებოდა.

მართალია, სააპელაციო სასამართლო პრობლემის გადაწყვეტას ასევე სხვა გზით, ზოგადსამართლებრივი პრინციპის – თანაბარი მოპერობის პრინციპის გამოყენების გზით შეეცადა, თუმცა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ამ პრინციპის გამოყენების წინაპირობები,

კერძოდ, აღნიშნული პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც სახეზეა საკანონმდებლო ხარვეზი, რაც გამოიხატება იმაში, რომ სამართლის ნორმები არსობრივად ერთნაირ შემთხვევას განსხვავებულად ანესრიგებს და აუცილებელია „თანაბარი მოპყრობის პრინციპის“ გამოყენების გზით ხარვეზის აღმოფხვრა. სააპელაციო პალატამ ასეთ ხარვეზად მიჩნია კანონმდებლის განსხვავებული მიდგომა მოძრავი და უძრავი ნივთების მიმართ, როდესაც ნივთი მესაკუთრის ნების სანინააღმდეგოდ გასხვისდ. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, უძრავი ნივთის შექნის დროს, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის ფარგლებში, უნდა გამოირიცხოს შემქნის კეთილსინდისიერება მესაკუთრის ნების სანინააღმდეგოდ ნივთის გასხვისებისას, როგორც ეს ხდება ამავე კოდექსის 187.2. მუხლის დანაწესით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოცემულ დასკვნას და მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად განიხილა უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების შექნა არსობრივად ერთნაირ შემთხვევად. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სანივთო სამართალი განსხვავებულად ანესრიგებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე, როგორც საკუთრების ვარაუდს, ასევე საკუთრების გადასვლის წესს. კერძოდ, მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით საკუთრების პრეზუმაცია ვლინდება მფლობელობიდან, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებით – საჯარო რეესტრიდან. მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადასვლა უფრო გამარტივებულია, იგულისხმება გარიგების ფორმის თავისიუფლება და ნივთზე მფლობელობის გადაცემა შემქნისათვის, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებით საკუთრების გადასვლისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემქნის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მოძრავი ნივთების სამოქალაქო ბრუნვა უფრო გაითლებულია და დაკავშირებულია მეტ რისკთან, ვიდრე ეს უძრავი ნივთებთან მიმართებაში ხდება. მფლობელობა უფრო წაკლებად იცავს კეთილსინდისიერ შემქნეს, ვიდრე საჯარო რეესტრის რეგისტრაცია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კეთილსინდისიერება უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს და არა ობიექტურს. ამასთან, კეთილსინდისიერება არსებობს უფლების წარმოშობამდე. ამ თვალსაზრისით თუ შევადარებთ სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 187-ე მუხლებს, აშკარად დაგინახავთ განსხვავებას. კერძოდ, კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემქნი, თუ მან იცოდა ან უნდა

სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ხოლო 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამდენად, მოძრავი ნივთების შემთხვევაში, შემძენის კეთილსინდისირების შემოწმების არეალი უფრო ფართოა ვიდრე უძრავი ნივთების შემთხვევაში. მოყვანილი მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმე არ გვაქვს კანონის ხარვეზთან, ასევე სახეზე არ არის არსობრივად ერთნაირის მიმართ არათანაბარი მოპყრობა.

რაც შეეხება საჯარო რეესტრის უსწორობის ცოდნას, პალატა განმარტავს, რომ უფლების შემძენს ტვირთად აწევს არა ყოველგვარი უზუსტო მონაცემის ცოდნა, არამედ მხოლოდ ისეთის, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს უფლების შეძენის ნამდვილობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩანაწერის უზუსტობის ცოდნა ნიშნავს იმ გარემოებათა ცოდნას, რის გამოც ჩანაწერია უზუსტო კვლავ რომ დაუბრუნდეთ სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლებს, სადაც მოსარჩელე განმარტავდა, რომ შემძენისათვის მოსარჩელის დამქირავებლის მეშვეობით გახდა ცნობილი სადაც ბინის ნამდვილი მესაკუთრის შესახებ, აღნიშნული ვერ გამოიდგება იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ შემძენმა იცოდა იმ მიზეზთა შესახებ, რომლის გამოც ჩანაწერი იყო უზუსტო. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული მ. ჩ-ას ჩვენებას, რომელიც არსად, პირდაპირ არ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომელიც უფლების წარმოშობამდე კ.ბ-ის კეთილსინდისიერებას დააყენებდა ეჭვებეშ. უფრო მეტიც, მისივე განმარტებიდან იკვეთება ისეთი სურათი, რომ მან კ.ბ-ეს მას შემდეგ აცნობა მ. მ-ას შესახებ, რაც კ.ბ-ემ შეიძინა ქონება და წარუდგინა დამქირავებელს საჯარო რეესტრის ამონაწერი. შესაბამისად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ შემძენს არ ევალებოდა იმაზე მეტი წინდახედულობის გამოჩენა, რაც გამოიჩინა. რადგან უდავოა, რომ კ.ბ-ემ არა მხოლოდ საჯარო რეესტრში არსებული მონაცემები შეამოწმა, არამედ იმყოფებოდა კიდეც სადაც ბინაში იპოთეკარის სტატუსით. ამასთან, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა.ყ-სა და კ.ბ-ეს შორის პირველად დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, ხოლო შემდეგ ნასყიდობის ხელშეკრულება.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, შემძენს არ უნდა მოეთ-

ხოვოს იმაზე მეტის ცოდნა, რაც გონივრულ შესაძლებლობებს სცილდება. აქედან გამომდინარე, იმ ფაქტზე აპელირება, რომ გარიგება საჯარო რეესტრში წარდგენილ იქნა ათი თვის შემდეგ, ხოლო ბინა მეორე დღეს დაიტვირთა იპოთეკით, არ არის ისეთი გარემოებანი, რომელთა არსებობაც შეარყევდა რეესტრის უტყუარობის პრეზუმაციას. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ კუთხით კასატორის პრეტენზია საფუძვლიანია და გაზიარებულ უნდა იქნეს, რის გამოც ა. ყ-სა და კ. ბ-ეს შორის 2009 წლის 14 აგვისტოს დადგებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელი უსაფუძვლოა შემძენის კეთილსინდისიერების გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, ხოლო საკასაციო საჩივარი გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას ეხება, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ გადაწყვიტოს დავა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავსუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საკასაციო საჩივარზე დართული სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრიდან დგინდება, რომ კასატორმა საკასაციო საჩივარზე გადაიხდა 1500 ლარი. შესაბამისად, კასატორის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მ. მ-ას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. კ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-

ლაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ა. ყ-სა და კ. ბ-ეს შორის 2009 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ასევე ქ.თბილისში, მ-ის II მიკრო/რაიონი, №2 კორპუსში, №38 ბინის მესაკუთრედ აღირიცხა მ. მ-ა და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. მ. მ-ას უარი ეთქვას ა. ყ-სა და კ. ბ-ეს შორის 2009 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და ქ.თბილისში, მ-ის II მიკრო/რაიონი, №2 კორპუსში, №38 ბინის მესაკუთრედ აღრიცხვაზე.

4. მ. მ-ას კ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 1500 ლარის გადახდა.

5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საკუთრების შეძენა უფლებებსა და მოთხოვების

### განებინება

№ას-400-380-2011

11 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა

#### აღნერილობითი ნაწილი:

ჯ. ა-მა და ი. ა-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჭ-ე 37<sup>ა</sup>-ის“ მიმართ და მოითხოვეს მოსარჩელე ჯ.ა-ისათვის ქ.თბილისში, ჭ-ის ქ№37<sup>ა</sup>-ში მდებარე უძრავი ქონებიდან 460.2 კვ.მ ფართის, ასევე 2 ავტოფარეხის, ხოლო ი. ა-ისათვის, ამავე მისამართზე მდებარე 228.8 კვ.მ ფართისა და ავტოფარეხის საკუთრებაში გადაცემა შემდეგ გარემოებათა გამო:

1999 წლის 24 ივნისს, ერთი მხრივ, ჯ.ა-სა და მეორე მხრივ 6. ო-ესა და გ. ხ-ეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა ჯ.ა-ის კუთვნილი, ქ.თბილისში, ჭ-ის გამზი-

რის №37<sup>ა</sup>-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და ამ ნაკვეთზე გან-თავსებული ერთსართულიანი სახლის საკუთრებაში გადაცემა შემდგომში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აქტე-ნების მიზნით. ხელშეკრულების ხელმოწერის, ნოტარიულად და-მოწმების, საცხოვრებელი სახლის პროექტისა და მშენებლო-ბის ნებართვის მიღების შემდგომ „მშენებლებს“ (ნ.ო-ე და გ.ხ-ე) ახალაშენებული ბინის ჩაბარებამდე, უნდა უზრუნველყოთ ჯ.ა-ისა და მისი ოჯახისათვის 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტით ბინის ქირის გადახდა მხარეთა მიერ წი-ნასწარ შეთანხმებულ ბინაში გადასვლისათვის.

მიწის გადაცემის სანაცვლოდ „მშენებლებმა“ იკისრეს ვალ-დებულება, მშენებლობის დაწყებიდან 18 თვის განმავლობაში „მეპატრონისათვის“ (ჯ.ა-ისათვის) გადაეცათ 530 კვ.მ საერთო ფართის სამი ხუთოთახიანი გარემონტებული ბინა: 2 ბინა მდე-ბარე მე-3 სართულზე, ხოლო 1 – მე-5 სართულზე, ასევე სამი ავტოსადგომი. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ „მე-პატრონის“ მიერ უსაფუძვლო პრეტენზიებით მშენებლობის შე-ჩერების შემთხვევაში იგი „მშენებელს“ უნაზღაურებდა განე-ულ ხარჯებს, ხოლო „მშენებლების“ მიერ ნაკისრი ვალდებულე-ბის დარღვევის, აგრეთვე ბინების დროულად ჩაუბარებლობის შემთხვევაში, „მშენებლები“, „მეპატრონეს“ დამატებით გადაუხ-დიდნენ პირგასამტკებლოს – 250 აშშ დოლარს ყოველთვიურად.

„მშენებლებმა“ შექმნეს ინდივიდუალურ მენაშენეთა მხანა-გობა „ჭ-ე 37<sup>ა</sup>“, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა ნ.ო-ე.

2000 წლის 14 აგვისტოს ქ.თბილისის მთავარი არქიტექტო-რის №309 პრძანებით დამტკიცდა მრავალბინიანი საცხოვრე-ბელი სახლის პროექტი, ხოლო ქ.თბილისის არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციის მიერ 2000 წლის 2 ივნი-სის მშენებლობის დაწყების თაობაზე გაიცა №118 ნებართვა.

2004 წლის 26 ნოემბერს გაფორმდა ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება იბა „ჭ-ე 37<sup>ა</sup>-ს“ თავმჯდომარე ნ.ო-ეს, ჯ.ა-სა („უფლების დამთმობი“) და ი. ა-ს („უფლების მიმღები“) შორის, რომლის საფუძველზეც უფლების დამთმობმა უფლების მიმ-ღებს გადასცა მოთხოვნის უფლება ქ.თბილისში, ი.ჭ-ის გამზი-რის №37<sup>ა</sup>-ში ერთ ხუთოთახიან ბინასა და ავტოფარებზე. ალ-ნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ კი ჯ.ა-ს დარ-ჩა 354 კვ.მ საერთო ფართის 2 ხუთოთახიანი ბინა და 2 ავტოფა-რები, ხოლო ი.ა-ს – 176 კვ.მ ფართის 1-ხუთოთახიანი ბინა და ავტოფარები. ალნიშნული ხელშეკრულების გაფორმებით ნ.ო-ემ, როგორც „მშენებელმა“, ალიარა ჯ.ა-ისათვის 530 კვ.მ ფარ-თის გადაცემის ვალდებულება, თუმცა მას ალნიშნული არ გა-

ნუხორციელებია, ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მონაცემების თანახმად, იბა „ჭ-ე 37<sup>ა</sup>-ის“ თავმჯდომარემ გაასხვისა მშენებარე ბინის მე-3 და მე-5 სართულზე არსებული ფართები, ასევე ავტოსადგომთა უმრავლესობა და ეს ფართები ყადაღადადებულია, ასევე დატვირთულია იპოთეკით სხვადასხვა კრედიტორების სასარგებლოდ.

მოპასუხებ ი.ა-ის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ ცნო, ხოლო ჯ.ა-ის მოთხოვნის ნაწილში ნაწილობრივ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას, კერძოდ, მოპასუხებ აღიარა მსი ვალდებულება ჯ.ა-ისათვის 179 კვ.მ ფართის ბინისა და ერთი ავტოსადგომის გადაცემის თაობაზე შემდეგი დასაბუთებით:

2006 წლის 2 აპრილის ხელშეკრულებით ჯ.ა-მა ლ. წ-სა და გ. ა-ეს კუთვნილი 530 კვ. მეტრიდან დაუთმო 100 კვ.მ ფართი, ხოლო, 75 კვ.მ ფართის სანაცვლოდ, ნ.ო-ებ ჯ.ა-ს გადასცა 35000 აშშ დოლარი, ამდენად, ჯ.ა-ის კუთვნილი ფართი შემცირდა 355 კვ. მეტრამდე. 2006 წლის 2 აპრილის შეთანხმების საფუძველზე, რომლითაც მან ი.ა-ს დაუთმო 1 ხუთოთახიანი ბინა და ავტოფარეხი, ჯ.ა-ის საცხოვრებელი ფართი შემცირდა 175 კვ. მეტრამდე.

2007 წლის 10 იანვრის ვალის აღიარების ხელშეკრულების თანახმად, ნ.ო-ებ აღიარა ი.ა-ის მიმართ 70000 აშშ დოლარის ოდენობით ვალის არსებობა, საიდანაც გასტუმრებული აქვს 52000 აშშ დოლარი, ამდენად, ამ უკანასკნელის მოთხოვნა 228.8 კვ.მ ფართის გადაცემაზე უსაფუძვლოა, ვინაიდან ნ.ო-ებ მოსარჩელეს ფართის სანაცვლოდ გადაუხადა თანხა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ჯ. ა-ის სარჩელი დაემაყოფილდა ნაწილობრივ, ჯ. ა-ს სამომავლო საკუთრების უფლებით გადაეცა ქ.თბილისში, ჭ-ის გამზირის №37<sup>ა</sup>-ში მშენებარე მრავალბინიან სახლში 179 კვ.მ ბინა (მშენებარე) და ორი ავტოსადგომი (მშენებარე), ხოლო ი. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის განჩინებით ჯ. ა-ისა და ი. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებას, რომ 1999 წლის 24 ივნისს დაიდო ხელშეკრულება ჯ. ა-ს, ნ. ო-ესა და გ. ხ-ეს შორის. შეთანხმების საგანს წარმოადგენდა ჯ. ა-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის და ერთსართულიანი სახლის ნ. ო-ისა და გ. ხ-ისათვის საკუთრებაში გადაცემა შემდგომში მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის მიზნით. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, ნ. ო-ე და გ. ხ-ე კისრულობდნენ ვალდებულებას ჯ. ა-ისათვის აეშენებინათ და გარემონტებული სახით საკუთრებაში გადაეცათ 530 კვ.მ საერთო ფართის სამი ხუთოთაბიანი ბინა და სამი ავტოსადგომი, ორი ბინა განთავსებული უნდა ყოფილიყო მესამე, ხოლო ერთი ბინა მეხუთე – სართულზე. 2001 წლის 12 ნოემბრის კრების ოქმით 6 ფიზიკური პირის (ნ. ო-ე, ჯ. ა-ი, ი. ამალიობელი, ე. ა-ი, გ. სიხარულიძე) მიერ დაფუძნდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჭ-ე 37“<sup>3</sup>. ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ნ. ო-ე. ჯ. ა-ი და ინგა ამალიობელი განერირიანდნენ ამხანაგობაში და მათ შენატანად ამხანაგობაში განისაზღვრა ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირის №37<sup>3</sup>-ში მდებარე 1086 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი. 2004 წლის 26 ნოემბერს დაიდო ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჭ-ე 37<sup>3</sup>-ს“, ჯ. ა-სა და ი. ა-ს შორის. ხელშეკრულების თანახმად, ჯ. ა-ი ამხანაგობაში მისი კუთვნილი წილიდან უთმობდა ი. ა-ს უფლებას, მიეღო ერთი ხუთოთაბიანი ბინა ფართით 176-კვ.მ და ავტოფარეხი. მე-3 და მე-5 სართულზე მდებარე მშენებარე ბინებზე რეგისტრირებულია სხვა პირთა სამომავლო საკუთრების უფლება, მშენებარე მრავალბინიანი სახლი სარჩელის აღძვრის მომენტისათვის წარმოადგენდა ე.ნ. „შავი კარკასის“ ტიპის ნაგებობას. ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირის №37<sup>3</sup>-ში მდებარე მრავალბინიან სახლში მშენებარე ბინებზე რეგისტრირებულია ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა 37<sup>3</sup>-ის საკუთრება.

სააპელაციო სასამართლო მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლზე, 932-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და განმარტა, რომ სანივთო უფლების, საკუთრების უფლების ნივთზე ამხანაგობაში შენატანის სახით განხორციელებით ამხანაგობის წევრებს წარმოეშობათ საერთო საკუთრების უფლება. ამასთან, ამხანაგობის წევრებს წარმოეშობათ საერთო საკუთრების უფლება არა მარტო ამ შენატანის მიმართ, არამედ ერთობლივი საქმიანობის შედეგად შეძენილ ქონებაზეც.

სასამართლომ ჩათვალა, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, ამხანაგობაში განევრიანებისა და შენატანის განხორციელებით,

სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ჯ.ა-ი გახდა ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრების მონილე, ხოლო დასახელებულ მინის ნაკვეთზე, რომელიც წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას, განხორციელებული მშენებლობის შედეგად აშენებული შენობა ამხანაგობის საერთო საკუთრებას. ერთობლივი საქმიანობის მონაწილე წევრს აქვს კანონით გარანტირებული უფლება, როგორც საზიარო უფლების მონაწილემ მოითხოვოს საერთო საკუთრებიდან, მისი წილის შესაბამისად ამ შემთხვევაში მრავალბინაზი საცხოვრებელი სახლიდან ბინის გამოყოფა. შესაბამისად, ჯ.ა-ი, ერთობლივი საქმიანობის წევრი და ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული საერთო საკუთრებაში წილის მესაკუთრე, ზოგადად, უფლებამოსილია, მოითხოვოს მისი წილის შესაბამისად უძრავი ნივთის გამოყოფა. კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებით ვინაიდან უდავოდ დადგენილია, რომ ჯ.ა-ისათვის მისი წილის შესაბამისად ინდივიდუალური ბინათმენებლობის ამახანაგობა „ჭ-ე 37-ა“ საკუთრებაში უნდა გადაეცა 530 კვ.მ საერთო ფართის სამი ხუთოთახიანი ბინა და სამი ავტოსადგომი, 2 ბინა განთავსებული უნდა ყოფილყო მესამე, ხოლო ერთი ბინა – მეხუთე სართულზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ჯ.ა-მა კუთვნილი წილიდან 2004 წლის 26 ნოემბრის ხელშეკრულების საფუძველზე ი. ა-ს დაუთმო 176 კვ.მ ერთი ხუთოთახიანი ბინისა და ავტოფარეხის მიღების უფლება. მხარეთა შორის სადაცო ჯ.ა-ის მიერ დარჩენილი წილიდან – 354 კვ.მ ფართისა და ორი ავტოფარეხის მიღების უფლება, 175 კვ.მ ფართის მიღების უფლების გასხვისების შესახებ ფაქტობრივი გარემოება, ასევე ი.ა-ის მიერ 2004 წლის 26 ნოემბრის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული წილის – 176 კვ.მ ფართისა და ერთი ავტოფარეხის მიღების უფლება.

სასამართლომ მიუთითა აპელანტების წარმომადგენლის მოსაზრებაზე, რომლის თანახმადაც არ არსებობს არც ჯ. ა-ის და არც ი. ა-ის მიერ კუთვნილი ფართის გასხვისების შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ, ერთ შემთხვევაში, ჯ. ა-ს ამ დროისთვისაც გააჩინა 354 კვ.მ ფართისა და ორი ავტოფარეხის მოთხოვნის უფლება, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ი. ა-ს – 176 კვ.მ ფართისა და ერთი ავტოფარეხის მიღების უფლება. ამასთან, აპელანტების წარმომადგენელი თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა რა სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა, სასამართლოს მიერ უსაფუძლოდ იქნა მიჩნეული, ერთ შემთხვევაში, ჯ. ა-ის კუთვნილი წილიდან 175 კვ.მ ფართის გასხვისების, ხოლო, მეო-

რე შემთხვევაში, ი. ა-ის მიერ 176 კვ.მ ფართისა და ავტოფარების გასხვისების შესახებ გარემოებები დადგენილ გარემოებებად მიჩნეული, ამასთან, პალატამ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა ჯ. ა-ის, ასევე ი. ა-ის მიერ კუთვნილ წილთა გასხვისების ფაქტი და არა უძრავი ნივთის ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობა. ამდენად, არ არსებობდა 323-ე მუხლით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ გარემოებათა დადგენის საჭიროება და ამ ნორმის გამოყენების საფუძველი, რომლითაც გათვალისწინებულია უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის სავალდებულო ფორმის დაცვის აუცილებლობა.

სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტის ნარმომადგენლის მოსაზრება, რომ ი. ა-ს, ასევე ჯ. ა-ს არ დაუკარგავთ სადავო ფართების მიღების უფლება, რამდენადაც არ არსებობს კანონის (სკ 323-ე მუხ.) მოთხოვნის შესაბამისად გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებები, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საუბარია ი. ა-ის, ასევე ჯ. ა-ის, როგორც ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა მიერ კუთვნილი წილების გასხვისებაზე.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, 199-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, 933-ე მუხლის პირველ ნაწილზე და მიიჩნია, რომ, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წილის გადაცემის ნამდვილობისათვის რაიმე სავალდებულო ფორმის დაცვა არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად, ამგვარი გარიგების დადებისათვის საკმარისია ზეპირი სახის ხელშეკრულების გაფორმებაც.

სასამართლო დაეყრდნო მოწმე ვ. ჯ-ის ჩვენებას, ასევე მოწინააღმდეგ მხარის (მოპასუხის) ახსნ-განმარტებას და დადგენილად მიიჩნია, რომ, ერთ შემთხვევაში, ი. ა-სა და ნ. ო-ეს შორის, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ერთი მხრივ, ჯ. ა-სა და, მეორე მხრივ, ლ. წ-სა და გ. ა-ეს შორის, ასევე ჯ. ა-სა და ნ. ო-ეს შორის ადგილი ჰქონდა წილის გადაცემის სამართლებრივ ურთიერთობას. ამასთან, მოწმე ვ. ჯ-ის ჩვენების გასაბათილებად აპელანტების მიერ მტკიცებულება არ ყოფილა ნარმოდგენილი. მოწმე ვ. ჯ-ე ვ. ა-ისა და ი. ა-ის ნათესავია (დეიდაშვილი) და იგი უშუალო მონაწილე იყო საქმისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით მხარეთა შორის განვითარებული მოვლენებისა. აღნიშნული ჩვენება, აპელანტებს სადავოდ არ გაუხდიათ.

პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლ ნაწილზე და ჩათვალა, რომ ი. ა-მა და ჯ. ა-მა ვერ შეძლეს მოპა-

სუხის შესაგებლის გაქარწყლება წილის დათმობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ი. ა-მა, როგორც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში მონაწილე პირმა, თავისი წილი, რომელიც იძლეოდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხნავობა 37°-ში 176-კვ.მ-ის ერთი ხუთოთახიანი ბინისა და ავტოფარეხის მიღების უფლებას, გასახვისა 80000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ ამავე ამხანაგობის წევრ 6. ო-ეზე, რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა ამხანაგობის თავმჯდომარეს. ასევე დგინდება, რომ 6. ო-ეზ ი. ა-ს გადაუხადა 10000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილ 70000 აშშ დოლარზე მოგვიანებით მხარეებს შორის შედგა ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულება. ჯ. ა-მა ლ. წ-სა და გ. ა-ეს ამხანაგობის თავმჯდომარესთან – 6. ო-ესთან შეთანხმებით ამხანაგობაში მისი კუთვნილი წილიდან დაუთმო უფლება 100 კვ.მ ფართობის (ერთი ხუთოთახიანი ბინიდან) მიღებაზე, მოსარჩელე ჯ. ა-მა ხუთოთახიანი ბინის ფართობიდან დარჩენილი 75 კვ.მ ფართობზე უფლება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დაუთმო 6. ო-ეს 35000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, საიდანაც 6. ო-ეს გადახდილი აქვს 30000 აშშ დოლარი და დარჩენილია 5000 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 წინადადებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ჩათვალა, რომ ჯ. ა-ის ამჟამინდელი წილი ამხანაგობაში განისაზღვრება მხოლოდ 179 კვ.მ ფართის ბინისა და ორი ავტოსადგომის მიღების უფლებით, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა ჯ. ა-ის მოთხოვნა, ხოლო დანარჩენ ნაწილში (დამატებით 176 კვ.მ ფართის ბინის გადაცემა) არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რამდენადაც ჯ.ა-ს სხვა ფართის მიღების მოთხოვნის უფლება არ გააჩნია, ასევე არ არსებობს ი. ა-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან დადასტურებულია მის მიერ კუთვნილი წილის გასხვისების ფაქტი.

გარემონტებული ბინის სანაცვლოდ დამატებითი ფართის გადაცემის მოთხოვნის ნაწილში პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტთა მოსაზრება მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას, რასთან დაკავშირებითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ დანაწესზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გა-

ასაჩივრეს აპელანტებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების, ასევე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით არ გამოიყენა სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლის დებულება და დადგენილად მიიჩნია მოსარჩელეთა კუთვნილი ფართების მოთხოვნის უფლების ზეპირი გარიგების საფუძველზე გასხვისების ფაქტი, მაშინ, როდესაც იმ დროს მოქმედი კანონი სავალდებულოდ ითვალისწინებდა ამ გარიგების წერილობითი ფორმით დადებასა და მის სანოტარო წესით დამონმებას. სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი კანონის ზემოაღნიშნული ნორმის დაცვით, სწორედ სანოტარო წესით დადასტურდა იბა „ჭ-ე 37<sup>o</sup>-ის“ სადამფუძნებლო ხელშეკრულება, რომლითაც იბა „ჭ-ე 37<sup>o</sup>“ იღებდა ვალდებულებას, გადაეცა წილის მფლობელი-სათვის შესაბამისი საკუთრება ბინის ფართზე. ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, საწესდებო კაპიტალში ამხანაგობის წევრთა ნილები შეიძლება შემცირდეს მათი წანილის გასხვისებით. ახალი შემძები ხდება ამხანაგობის წევრი და უფლებას იღებს მიიღოს საკუთრებაში ქონება საწესდებო კაპიტალში მის მიერ დაკავებული წილის პროპორციულად. კასატორთა მოსაზრებით, ამხანაგობის წევრის მიერ წილის გასხვისების თაობაზე წებისმიერი გარიგება, ხელშეკრულების აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, მოითხოვს კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვას.

გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ ზეპირი განმარტების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია კასატორთა მიერ წილის გასხვისების ფაქტი, ამასთან, არ გაითვალისწინა სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 321-ე მუხლის მოთხოვნა, რომელიც ამ გარიგების ნამდვილობისათვის სავალდებულოდ მიიჩნევდა მის სანოტარო წესით დადასტურებას. კასატორები ასევე განმარტავენ, რომ მხარეთა კუთვნილი წილები წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს და სამოქალაქო კოდექსის 147-ე და 148-ე მუხლების შესაბამისად, ისინი ქონების ცალკეულ ნაწილებად ვერ იქნება მიჩნეული, ამასთან, პალატამ არ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომლის თანახმადაც ფორმასავალდებულო გარიგების ძალაში შესვლისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ან მხარეთა მიერ განსაზღვრუ-

ლი ფორმის დაცვა.

სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით ასევე დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი, კერძოდ მან მხოლოდ ზეპირი განმარტების საფუძველზე მიიჩნია დადგენილად მოთხოვნის უფლების გასხვისების ფაქტი ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე, მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსის იმ დროს მოქმედი წორმები ამ გარიგების ნამდვილობისათვის მოითხოვდა მათი სანოტარო წესით დადასტურებას.

კასატორებმა მიუთითეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლზე და განმარტეს, რომ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის შესაძლოა მოპასუხეს სადავო ქონება აღარ აღმოაჩნდეს, შესაბამისად, იშუამდგომლეს კანონის ზემოაღნიშნული დანაწესით ხელმძღვანელობის თაობაზე, ასევე მიუთითეს თითოეული კასატორის მოთხოვნის ოდენობა, კერძოდ, ჯ.ა-ის მიერ მოთხოვნილი ფართის ღირებულება განსაზღვრეს 350000 აშშ დოლარით, ხოლო ი.ა-ისა – 362000 აშშ დოლარით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინებით ჯ. ა-ისა და ი. ა-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ა-ისა და ი. ა-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააგემაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციომ სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემობები:

ჯ.ა-ისათვის მისი წილის შესაბამისად ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამასანაგობა „ჭ-ე 37°-ს“ საკუთრებაში უნდა გადაეცა 530 კვ.მ საკრთო ფართის სამი ხუთოთახიანი ბინა და სამი ავტოსადგომი, 2 ბინა განთავსებული უნდა ყოფილიყო მესამე, ხოლო ერთი ბინა – მეხუთე სართულზე.

2004 წლის 26 ნოემბერს დაიღო ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამსანაგობა „ჭ-ე 37°-ს“, ჯ. ა-სა და ი. ა-ს შორის. ხელშეკრულების თანახმად, ჯ.ა-მა კუთვნილი წილიდან ი. ა-ს დაუთმო 176 კვ.მ ერთი ხუთოთახიანი ბინისა და ავტოფარეხის მიღების უფლება.

ჯ. ა-მა მისი კუთვნილი დარჩენილი წილიდან ლ. ნ-სა და გ. ა-ეს ამხანაგობის თავმჯდომარესთან შეთანხმებით დაუთმო უფლება 100 კვ.მ ფართობის მიღებაზე, ხოლო 75 კვ.მ ფართობზე უფლება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დაუთმო 6. ო-ეს 35000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, საიდანაც 6. ო-ეს გადახდილი აქვს 30000 აშშ დოლარი და დარჩენილია 5000 აშშ დოლარი.

ი. ა-მა, როგორც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში მონაწილე პირმა, თავისი წილი, რომელიც იძლეოდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა 37°-ში 176-კვ.მ-ის ერთი ხუთოთახიანი ბინისა და ავტოფარეხის მიღების უფლებას, გაასხვისა 80000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ ამავე ამხანაგობის წევრ 6. ო-ეზე, რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა ამხანაგობის თავმჯდომარეს. ამასთან, 6. ო-ემ ი. ა-ს გადაუხადა 10000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილ 70000 აშშ დოლარზე მოგვიანებით მხარეებს შორის შედგა ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულება.

მესამე და მეხუთე სართულებზე მდებარე მშენებარე ბინებზე რეგისტრირებულია სხვა პირთა სამომავლო საკუთრების უფლება, ასევე ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჭ-ე 37°“-ის საკუთრების უფლება.

საკასაციო პალატა მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ საკითხს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, რაც ამ სახის წარმოების ამოსავალი პრინციპია და დავის გადაწყვეტის ბედიც ამ პროცესში მიიჩნილება მხარეთა პოზიციითაა განსაზღვრული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4.1 მუხლის მიხედვით, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლო-

ბებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას ხელმძღვანელობს მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით, რომელთა შეფასების კრიტერიუმები გრძელვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით. ამასთან, სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების სტანდარტს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი).

კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, მან მხოლოდ ზეპირი განმარტების საფუძველზე მიიჩნია დადგენილად მოთხოვნის უფლების გასხვისების ფაქტი ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე, მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსის იმ დროს მოქმედი წორმები ამ გარიგების ნამდვილობისათვის მოითხოვდა მათი სანოტარო წესით დადასტურებას. საკასაციო პალატა კასატორთა აღნიშნულ პოზიციას უსაფუძვლოდ მიიჩნევს შემდეგ გარემოებათა გამო: როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოპასუხე მხარე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითებდა მოსარჩელეთა მხრიდან წილის დათმობის შესახებ გარიგების არსებობაზე. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მიცემულ ახსნა-განმარტებაში მოსარჩელე ჯ.ა-ის წარმომადგენელმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ ჯ.ა-მა 100 კვ.მ ფართი დაუთმო ლ. წს, ასევე ი.ა-ის წარმომადგენელმა მოსამართლის შეკითხვაზე, ვალის აღიარება გამომდინარეობდა თუ არა გარკვეული ვალდებულებითი ურთიერთობიდან, უპასუხა: „აღიარება გამომდინარეობს იმ ურთიერთობიდან, რომ ამხანაგობას პინა უნდა გადაეცა ი. ა-ისთვის და წლების განმავლობაში ვერ შეასრულა ეს ვალდებულება, სწორედ ამას მოჰყვა აღიარება და შედგა 2007 წლის 10 იანვრის ვალის აღიარების ხელშეკრულება“.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის დებულებაზე, რომლის მიხედვითაც, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყა-

რებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. აღნიშნული ნორმის ანალიზისა და ზემოთ მოყვანილი მოსარჩელეთა ახსნა-განმარტებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ი. ა-მა და ჯ. ა-მა არა მხოლოდ ვერ შეძლეს მოპასუხის შესაგებლის გაქარნებულება წილის დათმობასთან დაკავშირებით, არამედ ჯ.ა-მა ნანილობრივ, ხოლო ი.ა-მა სრულად აღიარა მოპასუხის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება.

რაც შეეხება ჯ. ა-ის მიერ 75 კვ.მ ფართობზე ნ. ო-ის სასარგებლოდ უფლების დათმობის ფაქტს 35000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ზოგადად კასატორები მიუთითებენ გარიგების სავალდებულო ფორმის დაუცველობაზე. კასატორთა განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობა გამოიხატა იმაში, რომ სასამართლომ არ გამოიყენა სადავო ურთიერთობის ნარმოშობის დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 321-ე, 323-ე და 328-ე მუხლების მოთხოვნები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს გარიგების ფორმასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე 199-ე და 933-ე მუხლებით. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ინდივიდუალური პინათმშენებლობის ამხანაგობა „ჭ-ე 37“-ის დაფუძნება მოხდა წერილობითი ფორმით დადებული და ნოტარიულურად დამოწმებული მრავალმხრივი ხელშეკრულებით, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ წილის გასხვისებაც ამ ფორმით უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ასეთი დათქმა არ გამომდინარეობს არც კანონიდან და არც მხარეთა შეთანხმებიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონტებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ ირის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენიათ, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნები დასაბუთებულია საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.

რაც შეეხება კასატორთა აპელირებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლზე, პალატა განმარტავს შემდეგს: მითითებული მუხლის მიხედვით, ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება. როგორც საკასაციო საჩივარშია აღნიშნული, არსებობს საფრთხე, რომ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის მოპასუხეს სადაც ქონება აღარ აღმოაჩნდეს, აქედან გამომდინარე, ჯ.ა-ის მიერ მოთხოვნილი ფართის ღირებულება უნდა განისაზღვროს 350000 აშშ დოლარით, ხოლო ი.ა-ის – 362000 აშშ დოლარით. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯ.ა-ის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების ნაზილში აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, კერძოდ, ყადაღა ადგევს მოპასუხების საკუთრებაში არსებულ ბინებს 136,5 კვ.მ. და 140 კვ.მ. ფართით. ამდენად იმ პირობებში, როდესაც ჯ.ა-ის სარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია სათანადო უზრუნველყოფის ღონისძიება, საკასაციო პალატა ქონების მიკუთვნების ნაცვლად მისი ღირებულების დაკისრების შესახებ მოთხოვნას უსაფუძლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ჯ. ა-ის და ი. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საკუთრების უფლება პრივატიზაციულ პირები

### განჩინება

№ას-329-314-2012

19 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოლდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** ბინაზე თანამესაკუთრედ ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

6. 6-მ თავისი და თავისი შეილის გ. ი-ის სახელით სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე კ. ი-ის ნინააღმდევ და მოითხოვა კ. ი-ის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, თ-ს მე-.. მ/რ-ის მე-3 კვარტლის 50-ე კორპუსში მდებარე №95 ბინის 1/4 ნაწილზე მათი საკუთრების უფლების აღიარება შემდეგი საფუძვლებით:

სარჩელის თანახმად, 6. 6-ე 1993 წლიდან ფაქტობრივ ქორნინებაში იმყოფებოდა გრ. ი-თან. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ შეილი – გ. ი-ი. მათი ოჯახი 1993 წლიდან ცხოვრობდა ქ. თბილისში, თ-ს მე-.. მ/რ-ის მე-3 კვარტლის 50-ე კორპუსში მდებარე №95 ბინაში. 6. 6-ის მეუღლე მშობლებსა და ძმებთან ერთად რეგისტრირებული იყო ბინის მიღების ორდერში, რომელიც მიიღეს სულადობის გათვალისწინებით. მოსარჩელები პროვატიზების მომენტისათვის რეგისტრირებულები იყვნენ სადაც ბინაში. 2002 წლის 31 დეკემბერს გაიდაიცვალა მოსარჩელის მეუღლე გრ. ი-ი, შემდეგ დედამთილი, მაზლი, ხოლო 2010 წელს – მამამთილი. მეორე მაზლმა კ. ი-მა სადაც ბინის პრივატიზება საკუთარ სახელზე განახორციელა და იგი საკუთრების უფლებით აღრიცხა საჯარო რეესტრში.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელებს არასდროს უცხოვრიათ სადაც ბინაში და პრივატიზაცია განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით 6. 6-ისა და გ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, 6. 6-ე ცნობილი იქნა ქ. თბილისში, თ-ის მე-.. მ/რ-ის მე-3 კვარტლის 50-ე კორპუსში მდებარების შემდეგი საფუძვლით.

რე №95 ბინის 1/4 ნაწილის მესაკუთრედ. გ. ი-ი ცნობილი იქნა ქ.თბილისში, თ-ის მე-... მ/რ-ის მე-3 კვარტლის 50-ე კორპუსში მდებარე №95 ბინის 1/4 ნაწილის მესაკუთრედ.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. ი-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 იანვრის საოქმო განჩინებით გ. ი-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნის ნაწილში, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, შეწყდა საქმის ნარმოება და გასაჩივრებული გადაწყვეტილება გ. ი-ის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე დარჩა ძალაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით კ. ი-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებულ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, 6. 6-ის სარჩელი, ქ. თბილისში, თ-ის მე-... მ/რ-ის მე-3 კვარტლის 50-ე კორპუსში მდებარე №95 ბინის j ნაწილის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ჩათვალა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1993 წლიდან 6. 6-ე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა გრ. ი-თან, რომელთანაც თანაცხოვრების პერიოდში შეეძინა შვილი – 1994 წლის .. თებერვალს დაბადებული გ. ი-ი;

გრ. ი-ი გარდაიცვალა 2002 წლის .. დეკემბერს, მოგვიანებით გარდაიცვალნენ მისი ძმა და მშობლები.

კ. ი-მა ქ. თბილისში, თ-ის მე-.. მ/რ-ის მე-3 კვარტლის 50-ე კორპუსში მდებარე №95 ბინაზე საკუთრების უფლება მოიპოვა 2011 წლის 14 თებერვალს ბინის პრივატიზების გზით.

6. 6-ე სადაცო ბინაში რეგისტრირებულია 1999 წლის 12 მაისიდან.

ქ. თბილისში, თ-ის მე-.. მ/რ-ის მე-3 კვარტლის 50-ე კორპუსში მდებარე №95 ბინა საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია კ. ი-ის სახელზე. 1998 წლიდან 6. 6-ს სადაცო ბინაში არ უცხოვრია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებაზე, რომლი-

თაც დამტკიცდა კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესი და ამავე წესის მე-2 მუხლის „ვ“ და „ე“ ქვეპუნქტებზე მითითებით განმარტა, რომ კანონიერი მოსარგებლის სტატუსის დასადგენად საჭიროა არსებობდეს ერთდროულად ორი წინაპირობა: 1) უფლებამოსილი ორგანოს მიერ ფიზიკურ პირზე გაცემული უნდა იყოს დოკუმენტი (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვ.), რომელიც ამ პირს ანიჭებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან არაიზოლირებული) ფართობით სარგებლობის უფლებას და 2) ფიზიკური პირი აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ფაქტობრივად უნდა სარგებლობდეს აღნიშნული ფართობით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სადაცვო საცხოვრებელ ბინაზე ნ. 6-ის კანონიერ მოსარგებლედ მიჩნევის არც ერთი წინაპირობა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ 1999 წელს სადაცვო საცხოვრებელ ბინაში რეგისტრაციით ნ. 6-მ მოიპოვა აღნიშნული ბინით სარგებლობის უფლება.

სააპელაციო პალატამ „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონზე მითითებით აღნიშნა, რომ საცხოვრებელ ბინაში პირის რეგისტრაციია წარმოადგენს არა საცხოვრებელ ბინაზე რაიმე უფლების მომპოვებელ აქტს, არამედ ამ პირის იდენტიფიცირების საშუალებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების მიზნებიდან გამომდინარე, საცხოვრებელ ბინაში რეგისტრაცია არ წარმოადგენდა მოსარჩელის საცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით აღმჯურველ აქტს.

ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ იმ დაგენილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ ნ. 6-ს სადაცვო ბინაში 1998 წლის შემდეგ არ უცხოვრია, პალატამ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა პრივატიზაციის მომენტისათვის ნ. 6-ის მხრიდან სადაცვო ბინით სარგებლობის ფაქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქა-

ლაქო კოდექსის 173.1-ე მუხლზე მითითებით, პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა სადაც ბინაზე 6. 6-ის თანამესაკუთრედ ცნობის არც კანონით გათვალისწინებული და არც გარიგებიდან გამომდინარე რაიმე საფუძვლები, რის გამოც 6. 6-ის სარჩელი, უსაფუძვლობის გამო, დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა 6. 6-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქეის პასპორტის გაცემის წესის“ შესახებ პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებები. ამასთან, არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მსაზე, რომ თითქოსდა არ დასტურდებოდა 1998 წლიდან კასატორის სადაც ბინაში ცხოვრების ფაქტი, მაშინ, როდესაც, აღნიშნული 1999 წლის რეგისტრაციის მონმობითა და მონმეთა ჩვენებებით დგინდებოდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ 6. 6-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ 1993 წლიდან 6. 6-ე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა გრ. ი-თან, რომელთანაც თანაცხოვრების პერიოდში შეეძინა შეიილი – 1994 წლის .. თებერვალს დაბადებული გ. ი-ი;

გრ. ი-ი გარდაიცვალა 2002 წლის .. დეკემბერს, მოგვიანებით გარდაიცვალენ მისი ძმა და მშობლები;

კ. ი-მა ქ.თბილისში, თ-ის მე-.. მ/რ-ის მე-3 კვარტლის 50-ე კორპუსში მდებარე №95 ბინაზე საკუთრების უფლება მოიპოვა 2011 წლის 14 თებერვალს ბინის პრივატიზების გზით;

6. 6-ე სადაც ბინაში რეგისტრირებულია 1999 წლის 12 მაისიდან.

ქ.თბილისში, თ-ის მე-.. მ/რ-ის მე-3 კვარტლის 50-ე კორპუსში მდებარე №95 ბინა საკუთრების უფლებით რეგისტრირებუ-

ლია კ. ი-ის სახელზე. 1998 წლიდან 6. 6-ს სადაც ბინაში არ უცხოვრია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებაზე, რომლითაც დამტკიცდა კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესი და მიიჩნია, რომ, ამავე წესის შე-2 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, არ არსებობდა სადაც საცხოვრებელ ბინაზე 6. 6-ის კანონიერ მოსარგებლედ მიჩნევის არც ერთი წინაპირობა, კერძოდ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ ფიზიკურ პირზე გაცემული დოკუმენტი (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვა), რომელიც ამ პირს ანიჭებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან არაიზოლირებული) ფართობით სარგებლობის უფლებას და ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული ფართობის სარგებლობის ფაქტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულების „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ეს დებულება არეგულირებს სახელმწიფო საბინაო ფონდში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საცხოვრებელ ფონდში არსებული, მათ შორის ამ დებულების ამოქმედებამდე დროებით გადაცემული, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს, ამ პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს და განსაზღვრავს დებულებით გათვალისწინებული ურთიერთობის მხარეებსა და მათ უფლებამოსილებებს.

ამდენად, ამ წესის მიზანია არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელის მიერ კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს, ამ პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს და განსაზღვრავს დებულებით გათვალისწინებული ურთიერთობის მხარეებსა და მათ უფლებამოსილებებს.

რულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის პროცესის უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მივაქციოთ განსახილველი ნორმით მარეგულირებელ ორ ელემენტზე: პირველი, ეს დებულება არეგულირებს სახელმწიფო საბინაო ფონდში და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საცხოვრებელ ფონდში ამ დებულების ამოქმედებამდე (მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე) დროებით გადაცემული, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს და ა.შ. მეორე, ეს დებულება არეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საცხოვრებელ ფონდში (ანუ ამ დებულების მოქმედების პერიოდში) არსებული ზემომითითებული ფართების კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოთ საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს და ა.შ.

კონკრეტულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 1998 წლამდე 6. ნ-ე ცხოვრობდა სადავო ფართოში გრ. ი-თან (რომელთანაც იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში) და მათ შვილთახ - 1994 წლის .. თებერვალს დაბადებულ გ. იაშვილთან, ასევე სხვა ოჯახის წევრებთან. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სადავო ბინა უფლებამოსილ პირებს სარგებლობაში გადაცემული ჰქონდათ ამ წესის (2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული) ამოქმედებამდე. მოცემულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, თუ რა უფლება გააჩნია 6. ნ-ს.

განსახილველი წესის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერი მოსარგებლეა – ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვ.) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან არაიზოლირებული) ფართობით, ხოლო კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მეტკვიდრე.

ამდენად, ამ შემთხვევაში იმისათვის, რომ გავცეთ პასუხი კითხვას, თუ რა უფლება გააჩნია 6. ნ-ს, უნდა განისაზღვროს ის სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც მას ანიჭებნდენ სარგებლობის უფლებას 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის ამოქმედებამდე. გასათვალისწინებელია, რომ განსახილველი წესის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის

„ე“ ქვეპუნქტით მოცემული კანონიერი მოსარგებლის დეფინიცია არ ითვალისწინებს ამომწურავ ჩამონათვალს. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ დოკუმენტში იგულისხმება არა მარტო ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი, არამედ, ასევე, სხვა საფუძვლები.

ამდენად, იმ ურთიერთობებისათვის, რომლებიც წარმოიშვა 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის ამოქმედებამდე, კანონიერ მოსარგებლის მოპოვების საფუძველი (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვა) უნდა შემოწმებს იმ დროს მოქმედი სამართლებრივი აქტების საფუძველზე. მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელია 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის შესაბამისად სადაც ურთიერთობის დარეგულირება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს რესპუბლიკის ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107-ე დადგენილებაზე და 1983 წლის 4 ივნისის „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსზე“, რომლითაც განისაზღვრებოდა საცხოვრებელი ფართის მოსარგებლის უფლებები, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107-ე დადგენილების პირველი პუნქტის თანახმად, ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობითი შეღავთიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. განსახილველი ნორმის თანახმად, გასათვალისწინებელია, რომ საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ის პირები, ვინც წარმოადგენენ ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლებს ან მათი ოჯახის წევრებს, ანუ აღნიშნული ნორმატიული აქტი არ აყენებს საცხოვრებელი სახლის (ბინის) არც ერთ დამქირავებელს ან მისი ოჯახის წევრს პრივილეგირებულ მდგომარეობაში.

განსახილველი ნორმატიული აქტის თანახმად, საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან მისი ოჯახის წევრები გამოთქვამენ ნებას, თავისი კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის მიზნით, საკუთრებაში მიიღონ საცხოვრებელი სახლი (ბინა), რომელიც მათ გადაცემული პქონდათ სარგებლობაში.

აღნიშნული ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის, საქართველოს სამოქალაქო კოექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამოყენებულ უნდა იქნეს 1983წ. 4 ივნისის „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი“ (ძალადაკარგულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1505-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად), რადგან განსახილველი ურთიერთობა წარმოშობილია ამ კოდექსის ამოქმედებამდე, კერძოდ, „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის“ მე-60 მუხლის 1-ლი აბზაცის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება იდება წერილობით საცხოვრებელი სადგომის ორდერის საფუძველზე გამქირავებელს – საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციისა და დამქირავებელს – მოქალაქეს შორის, რომლის სახლებზეც გაცემულია ორდერი. ამავე კოდექსის 62-ე მუხლის 1-ლი აბზაცის 1-ლი ნინადადების თანახმად, განსაზღვრულია, ასევე, იმ პირთა უფლება-ვალდებულებები, რომლებიც დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან და მასთან ერთად ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ დადებული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის შესახებ ხელშეკრულება, ისინი სარგებლობენ ყველა უფლებით და ეკისრებათ ყველა მოვალეობა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ამავე აბზაცის მე-2 ნინადადების თანახმად, ოჯახის სრულწლოვან წევრებს დამქირავებელთან ერთად ეკისრებათ სოლიდარული ქონებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107-ე დაგენილებით განისაზღვრა უფლება, რომლის რეალიზაციის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი“, რომლის თანახმად, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება ასევე, გააჩნიათ, დანარჩენ ოჯახის წევრებს. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ სარგებლობის უფლება, ერთ შემთხვევაში, წარმოშობა წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სხვა შემთხვევაში დამქირავებელთან მცხოვრები ოჯახის წევრობის ინსტიტუტის არსებობის შემთხვევაში და მათ გააჩნიათ ყველა ის უფლება, რომლითაც სარგებლობს დამქირავებელი. ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992წ. 1 თებერვლის №107-ე დაგენილებით მინიჭებული უფლების რეალიზაცია ვრცელდება დამქირავებელთა ერთად მცხოვრები ყველა ოჯახის წევრზე და, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება

მათი თანხმობით შეიძლება აღირიცხოს ერთ-ერთ დამქირავებელზე, საერთო უფლებებთან ერთად მათ ეკისრებათ სარგებლობიდან გამომდინარე მესაკუთრის ყველა ვალდებულება. აღნიშნული დებულება დაცულია, ასევე დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი აბზაცით, რომლის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან.

გასათვალისწინებელია, რომ პრივატიზაციის განხორციელებაზე ყველა ოჯახის წევრის ნების არსებობა გულისხმობს საკუთრების უფლების მოპოვებას ყველა ოჯახის წევრის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება შეიძლება, რეგისტრირებულ იქნეს მხოლოდ ერთ-ერთ დამქირავებელზე. ამ შემთხვევაში არ შეიძლება საკუთრების ინსტიტუტი განვმარტოთ მხოლოდ უძრავი ნივთების შეძენის იურიდიული დეფინიციის ფარგლებში. კონკრეტულ შემთხვევაში მას გააჩნია სოციალური დაინიშნულება, რაც პოზიტიურ-სამართლებრივი სახით ვლინდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107-ე დადგენილების პირველ აბზაცში, ანუ საქართველოს მოქალაქეთა ბინის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის, დაჩქარების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მოქალაქეთათვის საკუთრებაში გადაცემის, საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობისათვის მოქალაქეთა დაინტერესების გაზრდის მიზნის მიღწევაში.

ამრიგად, საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულებით დანარჩენი ოჯახის წევრებს წარმოეშობათ უფლება საჯარო რეესტრში დაარეგისტრირონ (შესაბამის წილის გათვალისწინებით) საკუთრების უფლება. (აღნიშნული საკითხი ასევე დარეგულირებული იყო იმ დროს მოქმედი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1996 წლის 2 აპრილის 1 დადგენილების მე-2 პუნქტით, რომლის თანახმად, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 აგვისტოს №520 დადგენილებამ გააუქმა ბინების პრივატიზაციისათვის ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობის აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, პრივატიზებულ ბინებზე საკუთრების უფლება აქვს ყველა იმ პირს, რომელსაც საცხოვრებელ ფართობზე უფლება მოპოვებული აქვს ბინის პრივატიზაციის დროისათვის).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს არა აქვს სრულად დადგენილი საქმისათვის მნიშვნელო-

ვანი ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლო ადგენს, რომ 1993 წლიდან ნ. ნ-ე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა გრ. ი-თან, ხოლო 1998 წლიდან ნ. ნ-ს სადაცო ბინაში არ უცხოვრია. აქვე ადგენს, რომ ნ. ნ-ე სადაცო ბინაში რეგისტრირებულია 1999 წლის 12 მაისიდან. რა თქმა უნდა, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საცხოვრებელ ბინაში პირის რეგისტრაცია წარმოადგენს არა საცხოვრებელ ბინაზე რაიმე უფლების მომპოვებელ აქტს, არამედ ამ პირის იდენტიფიცირების საშუალებას. დამატებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რეგისტრაციის ფაქტით არ დასტურდება მფლობელობის მართლზომიერება. რეგისტრაციის არსებობა არ შეიძლება გახდეს უფლების, მათ შორის, საკუთრების უფლების შეზღუდვის, განკარგვის ან მათი განხორციელების საფუძველი, კერძოდ, „საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „რეგისტრაცია ან რეგისტრაციის არქონა არ შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის მათ შორის საკუთრების განკარგვის უფლების საფუძველი ან მათი განხორციელების პირობა, გარდა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა ფაქტობრივი გარემოებები, რომლითაც 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის ამოქმედებამდე არსებული სამართლებრივი აქტების საფუძველზე განისაზღვრებოდა ნ. ნ-ის მიერ საცხოვრებელი ფართით სარგებლობის უფლება.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, 1993 წლიდან მუდმივად ცხოვრობდა თუ არა ნ. ნ-ე სადაცო ბინაში და, შესაბამისად, წარმოადგენდა თუ არა ძირითად დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრს, ხომ არ ჰქონდა ნ. ნ-ს იმ დროს დაკარგული ამ ფართზე უფლება. მხოლოდ ამ ფაქტების დადგენის შემთხვევაში შესაძლებელია ნ. ნ-ის კანონიერი სარგებლობის უფლების განსაზღვრა 2007 წლის 29 იან-

ვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## **საკუთვებელი მესაკუთრედ ყოფილი პრეზენცია**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელი**

№ას-204-197-2013

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება

### **აღნერილობითი ნაწილი:**

მ. რ-ემ, გ. გ-ემ და თ. გ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში სა „თ. ბ-სა“ და თ. რ-ის მიმართ თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ 2012 წლის 20 აპრილის მოძრავი ქონების აღნერისა და დაყადაღების აქტით ქ. თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევის №5-ში აღნერილი და დაყადაღებული მოძრავი ნივ-

თების: 1. „სამსუნგის“ მარკის ტელევიზორის; 2. მუსიკალური ცენტრის; 3. „ეფლის“ მარკის თეთრი ნოუთბუქის; 4. თეთრი ფერის კარმის; 5. 2 სავარძელისა და ტახტის; 6. სავარჯიშო ტრენა-ჟორის 7; მაგიდის 6 სკამით; 8. „სამსუნგის“ ფირმის პატარა ტელევიზორის; 9. სერვანდის; 10. „დესაუს“; 11. „სამსუნგის“ მარკის შავი ფერის პლაზმური ტელევიზორის; 12. დიდი მაცივრის; 13. სარეცხი მანქანა „ინდეზიტის“ ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

2012 წლის 20 აპრილს თბილისის საადსრულებო ბიურომ და-აყადაღა მოსარჩელეთა კუთვნილი მოძრავი ნივთები იმ მოტი-ვით, რომ ისინი ეკუთვნის ამავე მისამართზე მცხოვრებ მოპა-სუხე თ. რ-ეს. ფაქტობრივად, თ. რ-ე ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შე-სახვევ ქ. №5-ში არ ცხოვრობს. აღნიშნული ბინა მხოლოდ მო-სარჩელეთა სარგებლობაშია.

მოპასუხე სს „თ. ბ-მა“ სარჩელი ნაწილობრივ, „სამსუნგის“ მარკის შავი ფერის პლაზმური ტელევიზორისა და სავარჯიშო ტრენაჟორის ნაწილში ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით მ. რ-ის, გ. გ-სა და თ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ყადაღი-საგან გათავისუფლდა თბილისის საადსრულებო ბიუროს აღმას-რულების მიერ 2012 წლის 20 აპრილს მოძრავი ქონების აღწე-რისა და დაყადაღების აქტით ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახვევ №5-ში დაყადაღებული მოძრავი ნივთები: 1. სავარჯიშო ტრენა-ჟორი; 2. „სამსუნგის“ მარკის შავი ფერის პლაზმური ტელევი-ზორი და 3. სარეცხი მანქანა „ინდეზიტი“.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკ-მაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მ. რ-ემ, გ. გ-ემ და თ. გ-მა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2012 წლის 18 დეკემბრის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, ხოლო სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი განხილვის საგანია მოძრავი ქონების: „სამსუნგის“ ფირმის შავი ფერის პლაზმური ტელევიზორის, იმავე ფირმის პატარა ტელევიზო-რის, მუსიკალური ცენტრის, თეთრი ფერის ნოუთბუქის, თეთ-რი ფერის „კარმას“, 2 სავარძელისა და ტახტის, მაგიდის 6 სკა-მით, სერვანდის, დესაუს და მაცივრის ყადაღისაგან გათავი-სუფლებაზე უარის თქმის ნაწილში პირველი ინსტანციის სასა-მართლოს გადაწყვეტილების მართლზომიერების შემოწმება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ შეფასებებს.

„საალსრულებო ნარმოებათა შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის (მესამე პირის სარჩელი სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონების საკუთრების უფლების შესახებ) თანახმად, მესამე პირის ვალდებულებას ნარმოადგენს ამტკიცოს, რომ გააჩნია ალსრულების საგანზე უფლება.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო უძრავი ქონების მოსარჩელეთათვის კუთვნილების ფაქტის მტკიცების ტვირთი მოსარჩელე მხარეს ეკისრება, ვინაიდან სარჩელი ქონების ყადალისაგან გათავისუფლების თაობაზე სწორედ დასახელებულ გარემოებას ეფუძნება.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ აპელანტებმა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს თავიანთი მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება ვერ მოახდინეს. მოსარჩელეთა მიერ ნარდგენილი მოწმის ჩვენებით სადავო ნივთების მოსარჩელეებისათვის კუთვნილების ფაქტი ცალსახად ვერ დადასტურდა. ასევე, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ აღნიშნული ნივთები შეძენილია მოსარჩელეთა მიერ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა სადავო მოძრავი ნივთების ყადალისაგან გათავისუფლების თაობაზე უსაფუძვლოა და სარჩელი გასაჩივრებულ ნაწილში მართებულად არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. რ-ემ, გ. გ-ემ და ო. გ-მა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

„საალსრულებო ნარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლი მოძრავი ქონების მოვალისადმი კუთვნილების ვარაუდს უკავშირებს მხოლოდ ამ მისამართზე მოვალის ფაქტობრივ, რეალურ ცხოვრებას და არა მოვალის რეგისტრირებულ საცხოვრებელს. მოძრავი ნივთების შეძენა, ხშირ შემთხვევაში, წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე არ ხდება, ხოლო შენაძენის საფასურის ანაზღაურების დამადასტურებელ ქვითარს შემძენი შესაძლოა არც ინახავდეს. ასეთ დროს მოძრავი ნივთის კუთვნილების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს სამოქალაქო კოდექსის 155-ე, 158-ე, 166-ე და 186-ე მუხლების საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე თ. რ-ე 5 წელია, რაც საც-

ხოვრებლად ქ.თბილისში, ფ-ის ქ. №11-ში გადავიდა, შესაბამისად, ნივთები სწორედ აღნიშნულ მისამართზე მდებარე ბინაში უნდა დაყადაღებულიყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის განჩინებით გ. გ-ის საკა-საციო საჩივარი დარჩა განუხილველად, ხოლო 2013 წლის 26 მარტის განჩინებით მ. რ-სა და თ. გ-ის საკასაციო საჩივარი წარ-მოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლითა და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შე-მოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. რ-სა და თ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდე შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელა-ციონ სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის მი-ხედვით კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწ-ყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხ-ლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად არასწორად იქ-ნა შეფასებული სააპელაციო სასამართლოს მიერ, ამასთან, სა-აპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებისას მხედველობაში არ მიიღო როგორც კანონისმიე-რი, ასევე ფაქტობრივი პრეზუმუციები, რასაც შედეგად არას-წორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყება.

როგორც გასაჩივრებული განჩინების შინაარსიდან ირკვე-ვა, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინ-სტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობ-რივი გარემოებები:

თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ 2012 წლის 20 აპრილს მოძრავი ქონების აღწერისა და დაყადა-ღების აქტით ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახევი, №5-ში აღწე-რილ და დაყადაღებულ იქნა მოძრავი ნივთები: ტელევიზორი „სამსუნგი“; მუსიკალური ცენტრი; ნოუთბუქი თეთრი ფერის;

კარმა თეთრი ფერის; სავარძელი და ტახტი; სავარჯიშო ტრენა-ჟორი; მაგიდა 6 სკამით; სამსუნგის პატარა; სერვანდი; დესაუ; ტელევიზორი „სამსუნგი“; შავი ფერის პლაზმური; მაცივარი დი-დი; სარეცხი მანქანა „ინდეზიტი“.

საჯარო რეესტრის ამონანერის მიხედვით დადგენილია, რომ ქ.თბილისში, კას მე-2 შესახეევი №5 (საკადასტრო კოდი №...) რეგისტრირებულია მ. რ-ის საკუთრებად.

მ. რ-ის მიერ შეძენილია სარეცხი მანქანა „ინდეზიტი“ და სა-ვარჯიშო ტრენაჟორი.

გ. გ-ის მიერ შეძენილია თხევადკრისტალური ტელევიზორი და ტელევიზორის კრონშტეინი.

მ. რ-ე და თ. რ-ე არიან დები, რომლებიც ცხოვრობენ მშობ-ლების დატოვებულ ბინაში, თუმცა, მათ მორის არსებული კონ-ფლიქტური სიტუაციის გამო თ. რ-ე ამჟამად ცხოვრობს სხვას-თან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნა-ნილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცე-ბულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის და-სამეცნიერებელი და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქო-ნების დაყადალების აქტიდან ამორიცებულ იქნა სავარჯიშო ტრე-ნაჟორი, ტელევიზორი „სამსუნგი“ შავი ფერის პლაზმური და სა-რეცხი მანქანა „ინდეზიტი“. აღნიშნულ ნაწილში პირველი ინ-სტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს განხილვის სა-განია დაყადალების აქტით გათვალისწინებული სხვა მოძრავი ნივთების ყადაღისაგან განთავისუფლების კანონიერების სა-კითხი.

კასატორის განმარტებით, არ არსებობს კანონისმიერი ვა-რაუდი იმისა, რომ დაყადალების აქტში მოხვედრილი ნივთები მოვალე თ. რ-ეს ეკუთვნის, ვინაიდან „საალსრულებო წარმოე-ბათა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლი მოძრავი ნივ-თების კუთვნილების საკითხს პირდაპირ და უშუალოდ აკავში-რებს მოვალის ფაქტობრივ და რეალურ საცხოვრებელთან და არა მოვალის რეგისტრაციასთან. ამასთან, კასატორი უთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი ნა-ნილით გათვალისწინებულ მოძრავი ნივთის მესაკუთრის პრე-ზუმფციაზე. კასატორის მითითებული პრეტენზიის დასაბუთე-ბულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო სასამართლო ყურად-ღებას გაამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

განსახილველი დავის საგანია ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება. მოცემული სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის „უფლება გამომდინარეობს „სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლიდან, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება აღსრულება, მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ).

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ მსგავსი დავების განხილვისას, როგორც საპროცესო-სამართლებრივი, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტით, მტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზეა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოსარჩელის პოზიციისა და ამ პოზიციის დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების სწორად შეფასება.

„სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ყადაღას ექვემდებარება მოვალის ყველა ნივთი, გარდა ამ კანონის 45-ე მუხლში ჩამოთვლილი ქონებისა (იგულისხმება, რომ ნივთები, რომლებსაც პოულობენ მოვალესთან, მას ეკუთვნის). მოცემული ნორმით კანონმდებელმა შემოგვთავაზა შემდეგი პრეზუმუფია – ნივთები, რომლებსაც მოვალესთან პოულობენ მას ეკუთვნის. შესაბამისად, თუ პრეტენზიის ნარმდგენი პირი ვერ შეარყევს ამგვარ კანონისმიერ პრეზუმუფიას, იგი წააგებს პროცესს.

როგორც მოსარჩელეთა ახსნა-განმარტებებიდან და სასამართლო გადაწყვეტილებიდან ირკვევა, სადაც მოძრავი ნივთები განთავსებულია მ. რ-ის საკუთრებაში არსებულ ბინაში. მოსარჩელები ასევე განმარტავენ, რომ მოვალე თ. რ-ეს არ შეუძენია არანაირი ქონება და არ ცხოვრობს დაყადალების აქტში მითითებულ მისამართზე, ხოლო სადაც ნივთები შეძენილ იქნა მათ მიერ.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ სარჩელი დაკმაყოფილდა მხოლოდ იმ ნივთების ნაწილში, რომლებზედაც მოსარჩელეთა მიერ ნარდგენილ იქნა მათი შეძენის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის 1-

ლი ნაწილით გათვალისწინებული პრეზუმუცია – ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვარაუდი (პრეზუმუცია) ასახავს იმ შემთხვევებს, როდესაც ბრუნვის მონაწილეთათვის უცნობია მფლობელობის უკან არსებული უფლება, ხშირ შემთხვევაში უცნობია მფლობელის უფლებები, მაგრამ სამართლებრივი წესრიგი მოითხოვს, დაგვეყრდნოთ მფლობელის კეთილსინდისიერებას და იგი, სანინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ნივთის მესაკუთრედ მივიჩნოთ.

სააპელაციო სასამართლოს არ უარყყვია ის ფაქტი, რომ მოსარჩელები ფლობენ სადაცვო ნივთებს, უფრო მეტიც, დადგენილია, რომ სადაცვო ნივთები განთავსებულია მოსარჩელე მ. რის საკუთრებაში არსებულ ბინაში. ამდენად, მოსარჩელის სასარგებლოდ არსებული სამართლებრივი პრეზუმუციის პირბებში, რომელიც უნდა გაქარნებულიყო მოპასუხე მხარის მიერ, დაუშვებელია კვლავ მოსარჩელეზე დარჩეს მტკიცების ტვირთი, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა სათანადო მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა სადაცვო ნივთების შეძენა.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად. საკუთვნებლის თვისებას შეადგენს ის, რომ იგი მთავარ ნივთთან დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ საკუთვნებელი განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის. საკუთვნებელი სივრცობრივად უკავშირდება მთავარ ნივთს, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნებლის მესაკუთრედ მიიჩნევა. საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯი განკუთვნილია მისი სამსახურისათვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით. საქმის მასალებით დასტურდება და სადაცვოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საცხოვრებელი ბინა რეგისტრირებულია მ. რ-ის სახელზე, შესაბამისად, იგარაუდება, რომ ამ ბინაში განთავსებული ნივთების მესაკუთრე და კეთილსინდისიერი მფლობელია მ. რ-ე. ამდენად ამ უკანასკნე-

ლის სასარგებლოდ გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კო-დექსის 151-ე და 158-ე მუხლებით გათვალისწინებული პრეზუმ-ციიები.

კვლავ, რომ დავუბრუნდეთ მთავარ კითხვას, დასძლია თუ არა მოსარჩელე მხარემ მტკიცების ტეირთი და შეუქმნა თუ არა საფრთხე „საადასრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ სამართლებრივ პრეზუმაციის, დადებითად უნდა იქნეს გადაწყვეტილი. უდავოა, რომ აღმასრულებელმა ქონების აღწერისა და დაყადალების აქტი შეადგინა მოვალის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. დაყადალების აქტიდან არ იკვეთება, რომ სადაც ნივთები იმყოფებოდა მოვალის მფლობელობაში. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე მ. რ-ე და მოვალე თ. რ-ე არიან დები, რომლებიც ცხოვრობენ მშობლების დატოვებულ ბინაში, ვერ იქნება გამოყენებული მოსარჩელეთა წინააღმდეგ, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 151-ე და 158-ე მუხლებით გათვალისწინებული პრეზუმაციები, ასევე ის ფაქტი, რომ მ. რ-ე წარმოადგენს უძრავი ქონების (მთავარი ნივთის) მესაკუთრეს არ შედავებულა მოპასუხე მხარის მიერ, რაც საკმარისია სასარჩელო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამასთან, საკასაციო სასამართლოს ამგვარი განმარტება სრულად შესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას (№ას-262-253-2012, 25.06.2012.; №ას-1777-1755-2011, 04.06.2012).).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისძიება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოტანის ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელეთა მიერ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილია, სახელმწიფო ბაჟი 160 ლარის ოდენობით, ხოლო საკასაციო ინსტანცი-

ის სასამართლოში 300 ლარის ოდენობით. ვინაიდან საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, მიწინააღმდეგე მხარეს მოსარჩელეთა სასარგებლოდ უნდა დაეკისროს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:**

1. მ. რ-სა და თ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. მ. რ-სა და თ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს სრულად.
4. თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის მიერ 2012 წლის 20 აპრილის მოძრავი ქონების აღნერისა და დაყადაღების აქტით ქ.თბილისში, კ-ას მე-2 შესახევი, №5-ში დაყადაღებული მოძრავი ნივთები: „სამსუნგის“ ჟირმის შავი ფერის პლაზმური ტელევიზორი, იმავე ფირმის პატარა ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი, თეთრი ფერის ნოუთბუქი, თეთრი ფერის „კარმა“, ორი სავარძელი და ტახტი, მაგიდა ექვსი სკამით, „სერვანდი“, „დესაუ“ და მაცივარი გათავისუფლდეს ყადაღისაგან.
5. სს „თ.“ ბ-ს და თ. რ-ეს დაეკისროთ მ. რ-სა და თ. გ-ის სასარგებლოდ 460 ლარის გადახდა.
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## უძრავი ნივთით სარგებლობაში ხელშემსრულის აღავეთა

### გადაცევის ფილება საქართველოს სახელით

№ას-439-415-2013

30 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთით  
სარგებლობაში ხელშემსრულის აღკვეთა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. გ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-ის მიმართ და  
მოითხოვა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთით სარ-  
გებლობაში ხელშემსრულის აღკვეთა შემდეგი დასაბუთებით: ჯ. გ-  
ამ 2011 წლის აპრილში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  
აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამართულ საჯარო აუქ-  
ციონზე თბილისში, ვ-ის ქ. 15/10-ში მდებარე უძრავი ქონების  
ნაწილი შეიძინა. აუქციონის შესახებ განცხადებაში მითითებუ-  
ლი იყო, რომ ნასყიდობის საგანი ეზოსაც მოიცავდა. მოპასუხე  
ჯ. გ-ას არ აძლევს საშუალებას ისარგებლოს სადაცო ქონებით.

მოპასუხე მ. მ-მა ნარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ  
ცნო შემდეგი დასაბუთებით: უძრავი ქონება ფაქტობრივად გა-  
ყოფილია და მოპასუხე ხელს არ უშლის. მოსარჩელეს უძრავ ქო-  
ნებასთან აქვს დამოუკიდებელი მისასვლელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 ნოემბრის  
გადაწყვეტილებით ჯ. გ-ას უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყო-  
ფილებაზე, რომელიც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ.გ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 მარტის  
განჩინებით სააპელაციო საჩივრა არ დაკმაყოფილდა. პალა-  
ტამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:  
საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დადასტურებულია, რომ სისიპ  
აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 14 დეკემბრის  
№1 1056524-018/003 განკარგულების საფუძველზე ჯ. გ-ა რე-  
გისტრირებულია მისამართზე: ქ. თბილისში, ვ-ის, ი-ის №15/10-  
ში მდებარე №1 შენობის პირველ სართულზე 88,55 კვ.მ-ისა და

65,09 კვ.მ სარდაფის, სულ საერთო ფართის 153,64 კვ.მ-ის (საკადასტრო კოდი ...) მესაკუთრედ. მ. მ-ი არის იმავე მისამართზე მდებარე 289,69 კვ.-ის მესაკუთრე (საკადასტრო კოდი ...). მ. მ-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია 2010 წლის 13 ოქტომბერის ნოტარიუს ე. მ-ას მიერ დამოწმებული სამკვიდრო მოწმობა № 101034980. აღნიშნული შენობა-ნაგებობები განთავსებულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე 456 კვ.მ-ის მინის ნაკვეთზე. ამონაწერში მინის ნაკვეთის საკუთრების ტიპად მითითებულია თანასაკუთრება.

მხარეთა შორის სადაცვო არ არის ის გარემოება, რომ თბილიში, ვ-ის ქ. № 15/10-ში (ი-ის ქუჩა) მდებარე 456 კვ.მ. მინის ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობები (საკადასტრო კოდი ...) განაწილებულია მხარეთა შორის და, როგორც მოსარჩევე ჯ. გ-ა, ასევე მოპასუხე მ. მ-ი, სარგებლობენ თავ-თავიანთი ინდივიდუალური საკუთრებით. მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ თბილიში, ვ-ის ქ. № 15/10 (იმ-ის ქუჩა) მისამართზე მდებარე 456 კვ.მ ფართის მქონე მინის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...) განაშენიანებისაგან თავისუფალ ნაწილს (საეზოვე ფართს) ფლობს მხოლოდ მოპასუხე მ. მ-ი. ამასთან, არც ის გარემოებაა სადაცვო, რომ ჯ. გ-ას საკუთრებად რეგისტრირებული შენობის ნაწილიდან შეუძლებელია ეზოს ფართთან დაკავშირება, არ არსებობს აღნიშნული შენობის ნაწილიდან სადაცვო ეზოში გასვლის შესაძლებლობა და ის, რაც შესაძლებელია აღქმული იქნას ჯ. გ-ას ბინის დამაკავშირებლად ეზოსთან, არის მხოლოდ ფანჯარა, რომლითაც შესაძლებელია სადაცვო ეზოში გადახედვა.

სააპელაციო სასამართლომ, მხარეთა ახსნა-განმარტებების, მოწმეების: ა. შ-ის, მ. ქ-ის და გ. ი-ის ჩეკების, 2011 წლის 18 იანვრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, სსიპ ალსრულების ეროვნული ბიუროს № 11056524-016/004 და № 11056524-018/003 განკარგულებების, გაზეთ „სიტყვა და საქმიდან“ ამონაერის ერთობლივად შეფასების შედეგად, იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩევე ჯ. გ-ას მიერ აუქციონზე უძრავი ქონების შეძენის დროისათვის, 30 ნელზე მეტი დროის განმავლობაში, მხარეთა თანასაკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე არსებობდა შეთანხმება განაშენიანებისგან თავისუფალ მინის ნაკვეთის სარგებლობის წესის შესახებ. ამდენად, დადგენილია, რომ 1997 წლამდე (ხასალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე) მხარეთა საკუთრებაში არსებული ფართების წინამორბედი მესაკუთრეები შეთანხმდნენ მათ თანასაკუთრებაში არსებული მი-

წის ნაკვეთის სარგებლობის წესზე და 1997 წლის შემდგომაც სარგებლობდნენ შეთანხმებული წესის დაცვით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმისათვის მნიშვნელოვან საკითხები; სასამართლომ მართებულად შეაფასა მხარეთა შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები, რის შედეგადაც შესაბამისი გადაწყვეტილბა გამოიტანა. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, მიწა, მისი წიალი, წყალი და ტყე წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას და გაიცემოდა სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკურ პირთა საკუთრება ვრცელდებოდა საცხოვრებელ სახლებზე, ხოლო მიწის ნაკვეთი მათ გადაეცემოდათ სარგებლობაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებაში და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, ფიზიკურ პირებს საკუთრებაში გადაეცათ მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც მათი საცხოვრებელი სახლები მდებარეობდა. პირთა ერთობლივ კანონიერ სარგებლობაში არსებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთები გამოცხადდა მათ თანასაკუთრებად.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 30 წელზე მეტია, რაც თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანებისგან თავისუფალი ნაწილით (საეზოვე ფართით) სარგებლობდა და სარგებლობს მხოლოდ მოპასუხე მ. მ-ი და მის საკუთრებაში არსებული ქონების წინამორბედი მესაკუთრეები. ზემოაღნიშნულ ნორმათა შესაბამისად, მხარეებს საკუთრების უფლება წარმოეშვათ მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო ამ კოდექსის ამოქმედებამდე და არა მათ საერთო საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე მიმაგრებულ მთელ მიწის ნაკვეთზე. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული მიწა გახდა არა თანასაკუთრების, არამედ ამ პირთა დამოუკიდებელი საკუთრების საგანი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ რამდე-

ნადაც ჯ. გ-ა არ არის სადავო ეზოს ფართის მოწილე, შესაბამისად, მ. მ-ი საზიარო საგნით სარგებლობაში უკანონოდ ხელს ვერ შეუშლის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 მარტის განჩინება საკასაციო საჩივრით გასასაჩივრა ჯ. გ-ამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ფიზიკურ პირებს საკუთრებაში გადაეცათ მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული ის მიწის ნაკვეთები, რომებზეც განლაგებული იყო მათი საცხოვრებელი სახლები. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 30 წლზე მეტია, რაც თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანებისაგან თავისუფალი ნაწილით სარგებლობდა მოწინააღმდეგე მხარე და მისი წინამორბედი მესაკუთრეები. აქედან გამომდინარე, პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ საკუთრების უფლება წარმოეშვათ მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და არა მთელ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მიმაგრებულია საერთო საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე. სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლის თანახმად, თუ პირი 15 წლის განმავლობაში რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში მესაკუთრედ, იგი მოიპოვებს საკუთრების უფლებას ამ ნივთზე. კონკრეტულ შემთხვევაში, ნ.დ-ი მესაკუთრეს წარმოადგენდა 1991 წლიდან იძულებით აღსრულებამდე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. გ-ას საკასაციო საჩივრი უნდა დაკამაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 30 წლზე მეტია, რაც თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანებისგან თავისუფალი ნაწილი (საეზოვე ფართით) სარგებლობდა და სარგებლობს მხოლოდ მოპასუხე მ. მ-ი და მის საკუთრებაში არსებული ქონების წინამორბედი მესაკუთრეები.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ აღ-

ნიშნა, რომ მხარეებს საკუთრების უფლება წარმოეშვათ მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო ამ კოდექსის ამოქმედებამდე და არა – მთელ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მიმაგრებული იყო მათ საერთო საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული მიწა გახდა არა თანასაკუთრების, არამედ – ამ პირთა დამოუკიდებელი საკუთრების საგანი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენადაც ჯ. გ-ა არ არის სადაცო ეზოს ფართის მოწილე, შესაბამისად, მ. მ-ი საზიარო საგნით სარგებლობაში უკანონოდ ხელს ვერ შეუშლის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება შედგება ორ ნაწილისაგან. პირველი, სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ 1997 წლამდე (ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე) მხარეთა საკუთრებაში არსებული ფართების წინამორბედი მესაკუთრეები შეთანხმდნენ მათ თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესზე და 1997 წლის შემდგომაც სარგებლობდნენ შეთანხმებული წესის დაცვით.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მეზობლებს შორის არსებობდა შეთანხმება თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის წესზე.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის საფუძველზე მხარეებს საკუთრების უფლება წარმოეშვათ მიწის ნაკვეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მათ სარგებლობაში იყო ამ კოდექსის ამოქმედებამდე და არა – მთელ მიწის ნაკვეთზე.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, მხარეები წარმოადგენენ მესაკუთრეებს ფაქტობრივად მათ სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რაც განსხვავდება საჯარო რეესტრის ჩანაწერისაგან.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ თავისებურებაზე, რომ განსახილველი საქმე ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მეზობლებს შორის არსებობდა შეთანხმება თანასაკუთ-

რეპაში არსებული ფართის არა გამიჯვნის (იგულისხმება განა-შენიანებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთი, რადგან ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართულია შენობა-ნაგებობა, ვერ იქ-ნება განკარგვის ცალკე ობიექტი), არამედ განაშენიანებისაგან თავისუფალი მთელი მიწის ნაკვეთის დათმობის შესახებ, რი-თაც ეს საქმე განსხვავდება მსგავსი კატეგორიის საქმეებისა-გან.

ამის გათვალისწინებით ისმის შემდეგი კითხვები: შეიძლება თუ არა მხარეები შეთანხმდნენ თანასაკუთრებით სარგებლო-ბის ისეთ წესზე, რომლითაც მესაკუთრეს სამუდამოდ ეზღუ-დება საკუთრებით სარგებლობა? არსებობდა თუ არა მხარეთა შორის კანონიერი შეთანხმება თანასაკუთრებაში არსებული მი-წის ნაკვეთის საეზოვე ფართის საკუთრებაში გადაცემის თაო-ბაზე? წარმოეშვა თუ არა მ. მ-ს კანონიერი სარგებლობის უფ-ლება ნ. დ-ის (ჯ. გ-ას წინამორბედი თანამესაკუთრე) მიერ დათ-მობილ თავის წილ მიწის ნაკვეთზე?

ამ კითხვებზე უნდა გავცეთ უარყოფითი პასუხი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლის თა-ნახმად, მეზობლები შეთანხმებულები იყვნენ მიწის ნაკვეთის სარგებლობის (გადაცემის) წესზე ჯერ კიდევ 30 წლის წინ, შე-ფასებულ უნდა იქნეს იმ დროს მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა 1964 წლის 26 დეკემბრის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მიწა, მისი წიაღი, წყალი და ტყე ნარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას და გაიცე-მოდა სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის შე-საბამისად, ფიზიკურ პირთა საკუთრება ვრცელდებოდა საც-ხოვრებელ სახლებზე, ხოლო მიწის ნაკვეთი მათ გადაეცემო-დათ სარგებლობაში.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის წესს არეგულირებდა იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობა, კერძოდ, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-3 მუხლის თანახმად, მოქალაქეს მიწის ნაკვეთი სარგებლო-ბაში გადაეცემოდა ამ საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბ-ლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ საფუძვლე-ბის მე-20 მუხლის თანახმად მოქალაქეს უფლება ჰქონდა, საც-ხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიეღო მფლობელობა-

ში მიწის ნაკვეთი და ესარგებლა ამ ნიწის ნაკვეთით სიცოცხლის ბოლომდე მეტყვიდრეობით გადაცემის უფლებით. შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლების გადაცემით გადადიოდა, ასევე მიწის ნაკვეთზე მფლობელობის უფლება (საფუძვლების მე-10 მუხლი). ამასთან ერთად, მიწის მფლობელებს ჰქონდათ მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთისა ან მისი ნაწილის მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემის უფლება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით (საფუძვლების მე-16 მუხლის მე-7 ქვეპუნქტი), ხოლო ამავე ნორმატიული აქტის 53-ე მუხლი ითვალისწინებდა უკანონო გარიგებების დადებისას პასუხისმგებლობას, რომლის თანახმად ბათილია მიწის ნაკვეთების თაობაზე დადებული ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, გირავნობის ხელშეკრულებები. ასევე გასათვალისწინებელია იმ დროს მოქმედი საქართველოს მიწის კოდექსის (1971 წლის 1 ნოემბერი) 151-ე მუხლი, რომლის თანახმად მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ანდერძით დატოვება, ჩუქება, იჯარით გაცემა, თვითნებური გაცვლა და სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

შესაბამისად, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, ისიც კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება იყო ბათილი.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის მე-3 ნაწილი კრძალავს თანაზიარი საკუთრების უფლების სარგებლობის ისეთ წესზე შეთანხმებას, რომლითაც გაუქმების მოთხოვნის უფლება გამოირიცხება ან იზღუდება ამ წესების საწინააღმდეგოდ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ შეთანხმებით გაუქმების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით, მაშინ პატივსადები მიზეზის არსებობისას გაუქმება მაიც შეიძლება იქნეს მოთხოვილი.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მივიჩნევთ, რომ მეზობლები 30 წლის წინ შეთანხმებულები იყვნენ მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესზე, ზემოაღნიშნული ხორმები ცხადყოფს, რომ იმ დროს არსებული კანონი არ ითვალისწინებდა საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის სახელმწიფოსაგან მფლობელობაში გადაცემული მიწის ნაკვეთის მფლობელის მიერ სხვა პირის მფლობელობაში სამუდამოდ გადაცემას. მიწა არაგასხვისებადი იყო, შესაბამისად, ამ

მიწის ნაკვეთის გასხვისების ან სხვაგვარი კანონსაწინააღმდეგო გადაცემის ხელშეკრულება იყო ბათილი.

მოქმედ სამართლებრივ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობების შემთხვევაშიც კანონი ითვალისწინებს პატივსადები მიზზის არსებობისას გაუქმებულ იქნეს სამუდამოდ განსაზღვრული თანასაკუთრებაში არსებული ნივთით სარგებლობის შეთანხმება. ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, ფაქტობრივ გარემოებათა თავისებურების გათვალისწინებით, არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი.

განსახილველი ნორმის თანახმად ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლები მდებარეობს, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ამ პირთა საკუთრებად მიიჩნევა და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნორმის მიზანია, აღადგინოს სამართლებრივი წესრიგი იმ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშვნენ მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გაუქმებული ნორმატიული აქტების საფუძველზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, სახელმწიფოსაგან მფლობელობაში მიღებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე რჩებოდა სახელმწიფო, ხოლო ამ მიწის ნაკვეთზე აღმართული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოქალაქე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანხმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეცუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. შესაბამისად, ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართულია შენობა-ნაგებობა, არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამიტომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი უთითებს ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. „კანონიერ სარგებლობაში“, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ინდივიდუალური პინაომშენებლობისათვის კანონით დადგენილი წესით გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, შესაბამისად, კანონის საწინააღმდეგოდ (იმ დროს მოქმედი, ზემოთ განხილული) მოპოვებული სარგებლო-

ბა არ წარმოადგენს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის წინაპირობას. ამდენად, როგორც უკვე აღინიშნა, იმ დროს მოქმედი მიწის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, მიწის მფლობელს უფლება ჰქონდა, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მიწის ნაკვეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება, რომლითაც ხდებოდა ამ მიწის ნაკვეთებზე ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, გირავნობის ხელშეკრულებების დადება, ბათილი იყო.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ სააპელაციო სასამართლოს შეფასებებზე, რომლითაც, სასამართლოს მოსაზრებით, ჯ. გ-ას წინამორბედმა სამუდამოდ დათმო სადავო მიწის ნაკვეთი, რაც მიგვითითებს იმაზე, რომ მ. მ-ი არ იყო განაშენიანებისაგან თავისუფალი (საეზოვე ფართი) მთელი მიწის ნაკვეთის კანონიერი მოსარგებლე, და, შესაბამისად, ის ვერ იქნება ცნობილი ამ მიწის ნაკვეთის ერთადერთ მესაკუთრედ სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის მიხედვით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ისეთ სარგებლობის წესზე შეთანხმდნენ, რომლითაც განხორციელდა განაშენიანებისაგან თავისუფალი მთელი მიწის ნაკვეთის დათმობა. უფლებათა შორის კონფლიქტზე მიგვითითებს საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომლის თანახმად, კასატიორი რჩება სადაც მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრე, თუმცა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით მას ეს უფლება არ გააჩინა.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ მიწის ნაკვეთით სარგებლობის ამგვარი წესი გრძელდებოდა 1997 წლის შემდეგაც, ანუ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის პირობებში.

ამ შემთხვევაშიც, როგორც უკვე აღინიშნა მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი გამორიცხავს ისეთ ურთიერთობას, რომლითაც სარგებლობის წესით ისპობა საკუთრების უფლება. ამ ნორმის ზემოთ მოყვანილ განმარტებასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ყურადსალებია საკუთრების სოციალური ფუნქცია, რომელიც გარკვეულ წილად განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და მის სოციალურ ბოჭვას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულები შებოჭვის ფარგლებში ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით.... .“

აღნიშნული დანაწესი ითვალისწინებს საკუთრების კანონის-მიერ და სახელშეკრულებო ბოჭვას, მაგრამ მას გააჩინა თავისი ფარგლები, კერძოდ, არ შეიძლება, რომ საკუთრების ბოჭვამ, შეზღუდვამ მოსპოს საკუთრება. საკუთრების სუბსტანცია, რო-

მელშიც იგულისხმება საკუთრების ინსტიტუტით გათვალისწინებული შინაარსის რეალიზაცია, უნდა შენარჩუნდეს, ე.ო კერძო საკუთრების შეზღუდვა არ უნდა ნიშნავდეს საკუთრების უფლების რეალიზაციის მოსპობას. არ შეიძლება, რომ პირს ფორმალურად გააჩნდეს საკუთრების უფლება, ხოლო ფაქტობრივად არა, ანუ ვერ სარგებლობდეს საკუთრების უფლებით. ამ მხრივ ყურადსალებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე (AFFAIRE SPORRONG ET LIJNNROTH c. SUEDE), რომლის თანახმად, საკუთრების უფლების შეზღუდვებით არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი საკუთრების უფლების არსი. ამით საკუთრების უფლება ხდება პირობითი და გაუქმებადი. შესაბამისად, ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონცეციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

ამდენად, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელი იყო სადაც მიწის ნაკვეთზე საკუთრების გადაცემა ან ერთი ფიზიკური პირის მიერ მეორესათვის სარგებლობის სამუდამოდ დათმობა (მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-16, 53-ე მუხლები). მოქმედი სამოქალაქო კოდექსის თანახმად უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნისათვის აუცილებელია, დაცული იყოს ამავე კოდექსის 183-ე მუხლი, რომელიც მოითხოვს გარიგების ნერილობითი ფორმით დადებას და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, ხოლო საკუთრებაში არსებული ნივთის სხვა პირის სარგებლობით სახელშეკრულებო ბოჭვამ არ უნდა მოსპოს საკუთრების უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 961-ე მუხლები).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ჯ. გ-ა ნარმოადგენს სადაც მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეს, შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, ხელის შემშლელს მოსთხოვოს ხელშეშლის აღკვეთა. კერძოდ, თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედებს აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია, მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია საფუძვლიანია და უნდა

დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამ ნორმის თანახმად, იმ ხარჯების გადახდა, რაც მოსარჩელემ შეიტანა სახელმწიფო ბაჟის სახით (აგრეთვე, სხვა ხარჯები), დაეკისრება მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილა ან უარი უთხრა გადაწყვეტილებით. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, დაკმაყოფილდა ჯ. გ-ას სარჩელის მოთხოვნა მოწინააღმდეგე მხარე მ. მ-ს, ჯ. გ-ას სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს კასატორის მიერ პირველ, მეორე და საკასაციო ინსტანციებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (120+160+300), სულ 580 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ჯ. გ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 მარტის განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების თაობაზე;
3. ჯ. გ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. მ. მ-ს აეკრძალოს თბილისში, ვ-ის ქ. №15/10-ში (ი-ის ქუჩა) მდებარე, ჯ. გ-სა და მ. მ-ის თანასაკუთრებაში არსებული 456 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი ...) საეზოვე ფართით სარგებლობაში ჯ. გ-ის უკანონო ხელშეშლა;
5. მოწინააღმდეგე მხარე მ. მ-ს, ჯ. გ-ას სასარგებლოდ, დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 580 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ამხანაგობის ნევროზუ უფლებები ამხანაგობის ერთეული

### განჩინება

№ას-1098-1029-2012

3 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენეველი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბმა „გ.-ის“ თავმჯდომარე მ. დ.-ემ თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შპს „კ.-ის“ წინა-  
აღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა ამ უკანასკნელის მფლო-  
ბელობიდან ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის 26-ე  
კორპუსის პირველ სართულზე მდებარე არასაცხოვრებელი  
ფართის გამოთხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, ... მე-4 მიკრორაიონის 26-ე კორ-  
პუსის პირველ სართულზე მდებარე ფართი და სარდაფი კორ-  
პუსის მცხოვრებელთა საერთო საკუთრებაა. აღნიშნულ არა-  
საცხოვრებელ ფართს მოპასუხე უკანონოდ ფლობს.

შპს „კ.-მა“ სარჩელი არ ცნონ და განმარტა, რომ სადაცო ფარ-  
თიდან 42 კვ.მ მისი ინდივიდუალური საკუთრებაა, ხოლო და-  
ნარჩენ ფართს 1996 წლიდან ფლობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2011 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბმა „გ.-  
ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წე-  
სით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2012 წლის 26 ივნისის განჩინებით ბმა „გ.-ის“ საა-  
პელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა  
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის 2011 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია,  
რომ ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის 26-ე კორპუსის პირველ  
სართულზე მდებარე ფართის 42 კვ.მ შპს „კ.-ის“ ინდივიდუა-

ლური საკუთრებაა. შპს „კ.-ის“ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გ.-ის“ წევრია, რომელიც, მის კუთვნილ 42 კვ.მ-სთან ერთად, 1996 წლიდან ინდივიდუალურად ფლობს სადავო არასაცხოვრებელ ფართს და მის ქვეშ მდებარე სარდაფს, ამასთან, დადგენილია, რომ შპს „კ.-ის“ მფლობელობაში არსებული ფართები საინვენტარიზაციო გეგმაზე მონიშნულია, როგორც ოთახები №1, 11, 2, 22. მათი საერთო ფართობი, ამავე გეგმის მიხედვით, 87 კვ.მ-ს შეადგენს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ამხანაგობის წევრის მიერ ამხანაგობის საერთო ქონების თვითნებურად მისაკუთრება დაუშვებელია და საკითხს მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსებზე (სარდაფებზე, სხვენებზე და ა.შ) საკუთრების უფლების დასარეგისტრირებლად წყვეტს ამხანაგობა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით; ამასთან, ამავე მუხლის მიხედვით, შპს „კ.-ის“ სადავო არასაცხოვრებელ ფართს მართლზომიერად ფლობს, რადგანაც, მას, როგორც ამხანაგობის წევრს, ამხანაგობის ფართით სარგებლობის უფლება გააჩნია.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება ბმა „გ.-ის“ თავმჯდომარე მ. დ.ემ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით და არასწორად მიიჩნია, რომ შპს „კ.-ს“ სადავო ფართის ფლობის უფლება აქვს. მართალია, დასახელებული ნორმა ამხანაგობის წევრს ამგვარ უფლებამოსილებას აზიფებს, მაგრამ მფლობელობის გადაცემა იმავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით უნდა განხორციელდეს, რაც ამ შემთხვევაში არ შესრულებულა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სადავო ფართს, რომელიც მოვასუხის კუთვნილ 42 კვ. მ-საც მოიცავს, აქვს ერთი შესასვლელი. თავად შპს „კ.-ის“ მიერ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზი ადასტურებს, რომ ფართს ორი კარი აქვს. საქმეში წარმოდგენილია შპს „კ.-ის“ განცხადება, რომლითაც ეს უკანასკნელი ამხანაგობისაგან სადავო ფართის მფლობელობის დადასტურებას ითხოვს. აღნიშნული ადასტურებს, რომ შპს „კ.-ის“ სადავო არასაცხოვრებელ ფართს არამართობილზომიერად ფლობს. სააპელაციო სასამართლომ კი, აღნიშნული მტკიცებულება არ შეაფასა.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ ბმა „გ.-ის“ თავმჯდომარე მ. დ. -ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის 26-ე კორპუსის პირველ სართულზე მდებარე ფართის 42 კვ.მ შპს „კ.-ის“ ინდივიდუალური საკუთრებაა. შპს „კ.-ის“ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გ.-ის“ წევრია, რომელიც, მის კუთვნილ 42 კვ.მ-სთან ერთად, 1996 წლიდან ინდივიდუალურად ფლობს სადავო არასაცხოვრებელ ფართს და მის ქვეშ მდებარე სარდაფს, ამასთან, დადგენილია, რომ შპს „კ.-ის“ მფლობელობაში არსებული ფართები საინვენტარიზაციო გეგმაზე მონიშნულია, როგორც ოთახები №1, 11, 2, 22. მათი საერთო ფართობი, ამავე გეგმის მიხედვით, 87 კვ.მ-ს შეადგენს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაშვები და დასაბუთებული“ პრეტენზია გულისხმობს მხარის მითითებას საპროცესო ნორმების დარღვევაზე, რის შედეგადაც დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები არასწორად დადგინდა. განსახილველ შემთხვევაში მხარეს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ არ შეიძლება ამხანაგობის რომელიმე წევრმა მიითვისოს ამხანაგობის კუთვნილი საერთო საკუთრება, ამასთან, განმარტავს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის არსებითა ამხანაგობის თავმჯდომარისა და კრების უფლებამოსილებათა გამიჯვნა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ამხანაგობის ნებისმიერ წევრს შეუძლია ამხანაგობის საერთო ქონების ფლობა და სარგებლობა, ამასთან, დამატებით აღნიშნავს, რომ ამგვარი მფლობელობა არ უნდა იყოს თვითნებური და ზიანს არ უნდა აყენებდეს ამხანაგობის დანარჩენი წევრების ინტერესებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა „პინა-

მესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, თუმცა არ იზიარებს აღნიშნული ნორმის მის მიერ შემოთავაზებულ განმარტებას.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრების საგანია ცალკეულ პირთა საკუთრებაში არსებული ბინა, აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები (სარდაფები, სხვენები და ა. შ.). აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მართებულია, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ შესაბამისი პირობების არსებობისას, ამხანაგობის წევრს შეუძლია, ერთი-როვნულად ფლობდეს ამხანაგობის კუთვნილ სამეურნეო სათავსებს. რაც შეეხება კონკრეტულ პირობებს, თუ როგორ ხდება მათი მფლობელობაში გადაცემა, განსაზღვრულია იმავე მუხლის მე-2 პუნქტით.

მითითებული ნორმის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები კრებაზე აფიქსირებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა მიერ მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსების (სარდაფების, სხვენების და ა. შ.) მფლობელობის ამ კანონის ძალაში შესვლის დროს არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას და ხმათა 2/3-ით იღებენ გადაწყვეტილებას, რომლის თაობაზედაც დგება შესაბამისი ოქმი, თუ წესდებით არ განისაზღვრება განსხვავებული კვორუმი. მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსებზე (სარდაფებზე, სხვენებზე და ა. შ.) საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრმა უნდა წარმოადგინოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების მიერ შედგენილი ოქმი და ნახაზი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამეურნეო სათავსის ადგილმდებარეობის დადგენა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მითითებული ნორმიდან გამომდინარე, თუ ამხანაგობის წევრი ამხანაგობის საერთო საკუთრებას „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე, ანუ 2007 წლის 1 აგვისტომდე ფლობდა, საჭიროა ამხანაგობის კრების მოწვევა არსებული მდგომარეობის დასაფიქსირებლად. კრება ამგვარ მფლობელობას ან ლეგიტიმურად ცნობს, ან მიიღებს გადაწყვეტილებას ამხანაგობის წვერის მფლობელობიდან ქონების გამოთხვის შესახებ. მხოლოდ ამგვარი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი ამხანაგობის წევრს სამეურნეო სათავსის მფლობელობა შეუწყდეს, ნინააღმდეგ შემთხვევაში, მის მი-

ერ ფართის ფლობა არამართლზომიერად ვერ ჩაითვლება. სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე, ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომ ნივთის მფლობელს ნივთის ფლობის უფლებამოსილება არ უნდა გააჩნდეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსგავს ვითარებაში, მფლობელობის მართლზომიერების საკითხს ამხანაგობს წევრები წყვეტენ და მხოლოდ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოიშობა ამხანაგობის წევრის მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის მოთხოვნის უფლება. ამხანაგობის წევრების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე კი, პირი ქონების არამართლზომიერ მფლობელად ვერ ჩაითვლება.

განსახილველ შემთხვევაში, შპს „კ.-ი“ სადავო ქონებას 1996 წლიდან ფლობს, საქმეში კი, არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ბმა „გ.-ის“ წევრებმა კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება ამ ფართზე მფლობელობის შეწყვეტის თაობაზე. მხოლოდ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გახდებოდა შპს „კ.-ი“ უძრავი ქონების არამართლზომიერ მფლობელი და ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი იარსებებდა. მოცემულ შემთხვევაში კი, საქმეში წარმოდგენილია ბმა „გ.-ის“ წევრების განცხადება, რომლის მიხედვითაც, შპს „კ.-ის“ მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის თაობაზე კრება არ ჩატარებულა და ამხანაგობის წევრებს თავმჯდომარისათვის სარჩელის აღძრვის უფლებამოსილება არ მიუნიჭებიათ. განცხადების თანახმად, ამხანაგობის წევრებს შპს „კ.-ის“ მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ. გარდა ამისა, თავად კასატორი მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია შპს „კ.-ის“ განცხადება, რომლითაც ეს უკანასკნელი ამხანაგობისაგან სადავო ფართის მფლობელობის დადასტურებას ითხოვს. იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ამ საკითხზე კრება შეიკრიბა და ამხანაგობის წევრებმა შპს „კ.-ის“ მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, საქმეში წარმოდგენილი არ არის. ამ გარემოების გათვალისწინებით, ამხანაგობის წევრების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, შპს „კ.-ი“ სადავო ფართის მართლზომიერი მფლობელია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, სარჩელი ბმა „გ.-ის“ თავმჯდომარეს აქვს აღძრული. ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი ამომწურავადა ჩამოთვლილი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლში. მართალია, ამხანაგობის თავმჯდომარე სასამართლოში ამხანაგობის სახელით გამოდის,

მაგრამ, მითითებული მუხლიდან გამომდინარე, იგი არ განკარგავს ამხანაგობის საერთო ქონებას, არ იღებს გადაწყვეტილებას ამხანაგობის კუთვნილი ქონების მფლობელობაში გადაცემის ან გამოთხოვის შესახებ. ამ შემთხვევაში, ამხანაგობის თავმჯდომარე კრების გადაწყვეტილების შესრულებას უზრუნველყოფს და იგი უფლებამოსილია, მსგავსი საკითხების გადასაწყვეტიდად ამხანაგობის წევრთა კრება მოიწვიოს, მაგრამ არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით სასამართლოში სარჩელი აღძრას. ამხანაგობის თავმჯდომარის მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველს მხოლოდ კრების გადაწყვეტილების არსებობის პირობებში იძენს, განსახილველ შემთხვევაში კი, ამგვარი გადაწყვეტილება საქმეში წარმოდგენილი არ არის. ამ გარემოების გათვალისწინებით, მ. დ.-ის სარჩელი უსაფუძვლოა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სწორედ აღნიშნული სამართლებრივი შეფასების საფუძველზე უნდა მიეღო, ამასთან, სასამართლო ეყრდნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტს რომლის თანახმადაც, საკასაციო სასამართლო არ დაკამაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო წაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ სწორ სამართლებრივ შეფასებას არ ემყარება და მიიჩნევს, რომ ბმა „გ.-ის“ თავმჯდომარე მ. დ.-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკამაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

### **დადგინდება:**

1. ბმა „გ.-ის“ თავმჯდომარე მ. დ.-ის საკასაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივნისის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ამხანაგობიდან წევრთა მიღება-გარიცხვის შესახებ

### განხილვა

№ას-743-696-2010

20 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** საერთო კრების ოქმისა და დებულების ბა-  
თილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 19 მაისს ლ. ს-იას, ვ. დ-ძის, ე. ჯ-ძის, ს. თ-ელის, ჯ.  
ბ-ძის, ი. დ-ძის, კ. შ-ავას, მ. მ-შვილის, ხ. გ-იას, შ. გ-ძის, რ. ხ-იას  
წარმომადგენელმა ბ. ბ-ულმა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სა-  
სამართლოს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ სა-  
ინიციატივო ჯგუფის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა.

მოსარჩელების განმარტებით, ისინი 1990 წლიდან „ს.-ს“ წევ-  
რები არიან. 2003 წლის მაისში აღნიშნულ ამხანაგობას 15461  
კვ.მ. მინის ნაკვეთი დაუმაგრდა. ამ დროისათვის ამხანაგობის  
წევრების რაოდენობა 54-ს შეადგენდა. 2003 წლის 15 ოქტომ-  
ბრის №30 ოქმით ამხანაგობის 9-კაციანი საინიციატივო ჯგუ-  
ფის 4 წევრმა უკანონოდ მიიღო 60 ახალი წევრი, რითაც შემ-  
ცირდა დანარჩენი წევრების წილობრივი მონაწილეობა, გარდა  
ამისა, საინიციატივო ჯგუფის 2003 წლის 27 დეკემბრის №21  
ოქმით ზემოთდასახელებული 16 წევრი ყოველგვარი გაფრთხი-  
ლებისა და შეტყობინების გარეშე გაირიცხა ამხანაგობიდან. მო-  
სარჩელეთა მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 930-940 მუხ-  
ლების თანახმად, საინიციატივი ჯგუფი არ იყო უფლებამოსილი  
წევრების მიღების ან გარიცხვის საკითხი გადაეწყვიტა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელე-  
ებმა მოითხოვეს:

1. „ს.-ს“ საინიციატივი ჯგუფის კრების 2003 წლის 15 ოქტომ-  
ბრის №20 ოქმის ახალი წევრების მიღებისა და ამხანაგობის წვე-  
რების ხელალხალი რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების  
მიღების ნაწილში ბათილად ცნობა;

2. „ს.-ს“ საინიციატივი ჯგუფის კრების 2003 წლის 27 დეკემ-  
ბრის №21 ოქმის წევრების გარიცხვის ნაწილში ბათილად ცნობა.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 2 თებერვლის განჩინებით საქმეშე მესამე პირებად ჩაეცნენ მ. ე-ავი და სხვანი.

2005 წლის 24 თებერვლის დაზუსტებული სარჩელით მოსარჩელებმა ასევე მოითხოვეს „ს.-ს“ თავმჯდომარის მიერ 2003 წლის 5 მარტს ინდ. მენარმე ვ. ხ-ძესთან გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

2006 წლის 1 მარტს მოსარჩელებმა მოთხოვნა კვლავ დააზუსტეს და ასევე მოითხოვეს „ს.-ს“ საერთო კრების 2004 წლის 22 მარტის №23 ოქმის, აგრეთვე ამხანაგობის დებულების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2006 წლის 27 დეკემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაეცნენ ლ. ფ-ძე, ჯ. ზ-შვილი და ლ. მ-იანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2009 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ს-იას, ვ. დ-ძის, ე. ჯ-ძის, ს. თ-ელის, ჯ. ბ-ძის, ი. დ-ძის, კ. შ-ავას, მ. მ-შვილის, ხ. გ-იას, შ. გ-ძის, რ. ხ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ საინიციატივო ჯგუფის 2003 წლის 15 ოქტომბრის კრების ოქმი №20 ახალი წევრების მიღების ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ საინიციატივო ჯგუფის 2003 წლის 27 დეკემბრის კრების ოქმი №21 ლ. ს-იას, ვ. დ-ძის, ე. ჯ-ძის, ს. თ-ელის, ჯ. ბ-ძის, ი. დ-ძის, კ. შ-ავას, გ. მ-შვილის, ხ. გ-იას, შ. გ-ძის, რ. ხ-იას ამხანაგობის წევრობიდან გარიცხვის ნაწილში. ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ საინიციატივო ჯგუფის 2004 წლის 22 მარტის კრების ოქმი №23 და ოქმით დამტკიცებული ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ დებულება. მოსარჩელებს უარ ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე 2003 წლის 5 მარტს ინდ. მენარმე „ვ. ხ-ძეს“ და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ნოემბრის განჩინებით საქმეზე თანამოპასუხეებად ჩაეცნენ მ. ჭ-ძე და სხვანი.

იმავე სასამართლოს 2010 წლის 7 აპრილის განჩინებით ლ. ს-იას, ვ. დ-ძის, ე. ჯ-ძის, ს. თ-ელის, ჯ. ბ-ძის, ი. დ-ძის, კ. შ-ავას, მ. მ-შვილის, ხ. გ-იას, შ. გ-ძის და რ. ხ-იას სააპელაციო საჩივარი არ

დაკმაყოფილდა; გ. თ-იას, ვ. გ-იას, ჯ. ძ-ძის, გ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი ასევე არ დაკმაყოფილდა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები მიიჩნია:

1. საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1982 წლის 5 აგვისტოს №393 გადაწყვეტილებით საქართველოს მხატვართა კავშირთან ჩამოყალიბდა №501 საბინაო სამშენებლო კოოპერატივი, რომელსაც 1987 წლის 1 აგვისტოს №1309 განკარგულებით დაუმაგრდა მიწის ნაკვეთი ... III მ/რ-ში;

2. სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 18 მაისის №10.27.262 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულდა ჩაითვალი საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1982 წლის 5 აგვისტოს №393 და კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის 1986 წლის 21 მაისის №1033 გადაწყვეტილებები საქართველოს სსრ მხატვართა კავშირთან №501 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის შექმნის შესახებ; 2. საქართველოს სსრ მხატვართა კავშირთან შეიქმნა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა, რომელსაც დამაგრებული დარჩა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1987 წლის 31 აგვისტოს განკარგულებით გამოყოფილი მიწის ნაკვეთი – ... ქუჩის ფერდობებზე მესამე მიკრორაიონში საბინაო მეურნეობის სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ორჯონიკიძის რაიონის სპეცავტომეურნეობის და ავტოტექქმომსახურეობის სადგურის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე;

3. თ-ისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 16 აგვისტოს 19.26.610 გადაწყვეტილებით საინიციატივო ჯგუფის წევრებს ნება დართეს საბინაო მეურნეობების სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს საბურთალოს რაიონის სპეცავტომეურნეობის და ავტოტექქმომსახურეობის სადგურის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ინდივიდიალური მენაშენეების ამხანაგობის საცხოვრებლი სახლის აშენებაზე; საინიციატივო ჯგუფის წევრების გ. თ-იას, გ. ხ-ავას, გ. გ-ევის, ჯ. ძ-ძის, ბ. ძ-იას, ვ. გ-იას, ი. ფ-შვილის, ე. ფ-იანის და ბ. კ-ავას შემადგენლობით ჩამოყალიბდა ინდივიდუალური მენაშენეების ამხანაგობა და ენოდა „ს.“; ამხანაგობა „ს.-ს“ გამგეობის თავმჯდომარედ დამტკიცდა გ. თ-ია;

4. თ-ისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 7 თებერვლის

გადაწყვეტილებით ამხანაგობაში განევრიანდა 16 ფიზიკური პი-რი (1. გ. თ-ია, 2. ს. რ-შვილი, 3. ქ. კ-ძე, 4. მ. ჭ-ძე, 5. ო. კ-შვილი, 6. კ. შ-ავა, 7. ლ. ს-ია, 8. ბ. კ-ავა, 9. გ. მ-შვილი, 10. ვ. ნ-ია, 11. თ. შ-შვილი, 12. ჯ. ძ-ძე, 13. ე. ფ-იანი, 14. გ. ხ-ავა, 15. ვ. ხ-ია, 16. ვ. მ-შვილი);

5. თ-ისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ამხანაგობაში განევრიანდა 12 ფიზიკური პი-რი (1. ა. კ-ძე, 2. რ. ხ-ია, 3. ვ. ფ-შვილი, 4. ი. დ-ძე, 5. ო. ფ-ძე, 6. ბ. ძ-ია, 7. ა. წ-ული, 8. ლ. კ-შვილი, 9. ვ. გ-ია, 10. შ. გ-ძე, 11. ხ. გ-ია, 12. ც. ძ-შვილი);

6. თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონუ-ლი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 3 ოქტომ-ბრის გადაწყვეტილებით ამხანაგობაში განევრიანდა 36 ფიზი-კური პირი;

7. 2003 წლის 5 მარტს მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ სახე-ლით მის თავმჯდომარეს გ. თ-იას და ინდ. მენარემე „ვ. ხ-ძეს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. თ-ისში, ... ქ. №125-ში მრავალსართულიანი შე-ნობის მშენებლობა;

8. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ საინიცია-ტივო ჯგუფის (გამგების) 2003 წლის 15 ოქტომბრის კრების №20 ოქმის თანახმად, ამხანაგობის წევრებმა გ. თ-იამ, ვ. გ-იამ, ჯ. ძ-ძემ და გ. გ-შვილმა მიიღეს გადაწყვეტილება ამხანაგობის ახალი 60 წევრის მიღების შესახებ;

9. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ საინიცია-ტივო ჯგუფის ოთხი წევრის გ. თ-იას, ვ. გ-იას, ჯ. ძ-ძის და გ. გ- შვილის მიერ 2003 წლის 27 დეკემბრის №21 კრებაზე მიღებუ-ლი იქნა გადაწყვეტილება ამხანაგობის წევრობიდან ვ. დ-ძის, ლ. ს-იას, ე. ჯ-ძის, თ. ქ-შვილის, ს. თ-ელის, ჯ. ბ-ძის, ო. დ-ძის, კ. შ-ავას, გ. მ-შვილის, ო. კ-შვილის, ხ. გ-იას, მ. გ-იას, შ. გ-ძის, ლ. ხ-ავას, რ. ხ-იას, გ. ხ-იას გარიცხვის შესახებ. ამხანაგობის წევრე-ბის გარიცხვის საფუძვლად მიეთითა ამხანაგობის დებულების მე-20 მუხლი, კერძოდ, ამხანაგობის წევრების გარიცხვის მი-ზეზი გახდა შესატანის შეტანის ვალდებულების შეუსრულებ-ლობა;

10. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ საერთო კრებაზე 2004 წლის 22 მარტს დამტკიცდა საინიციატივო ჯგუ-ფის მიერ წარმოადგენილი ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანა-გობა „ს.-ს“ დებულება; ამხანაგობამ მოიწონა ს.-ს თავმჯდომა-რის გ. თ-იას მიერ განეული შრომა; ამხანაგობის წევრებმა მოი-

წონეს სამშენელო კომპანიის წარმომადგენლის ვ. ხარშლაძის ინფორმაცია, ასაშენებელი სახლის პროექტი და ხელშეკრულებების შინაარსი; დამტკიცდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამ-სანაგობა „ს.-ს“ წევრების სია მშენებელთან გაფორმებული ხელ-შეკრულებების საფუძველზე; საინიციატივო ჯგუფში მე-5 წევ-რად არჩეული და შეყვანილ იქნა დ. სამხარაძე; შეიქმნა საკონ-სულტაციო საბჭო თავმჯდომარედ არჩეული იქნა ო. ა-ძე და რო წევრი: ა. ჭ-ია და ო. გ-ია; ამხანაგობა „ს.-ს“ საერთო კრებაზე დამ-ტკიცდა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ოქმები №18, №19, №20, №21, №22.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობები, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმას-კომის 1998 წლის 8 სექტემბრის №582 გადაწყვეტილებით დამ-ტკიცებული დებულების თანახმად, იქმნებოდნენ საცხოვრე-ბელი სახლების მშენებლობის, შემდგომი ექსპლუატაციის მიზ-ნით და ექვემდებარებოდნენ რეგისტრაციას შესაბამისი რაოთ-ნის გამგეობაში. სამოქალაქო კოდექსის 1506-ე მუხლით ძალა-დაკარგულად ჩაითვალა ის ნორმატიული აქტები, რომლებიც განსხვავებულად აწესრიგებდნენ სამოქალაქო კოდექსით მო-ნესრიგებულ ურთიერთობებს. ვინაიდან ამხანაგობათა წევრე-ბის ურთიერთობა გრძელდებოდა 1997 წლის 25 ნოემბრის შემ-დეგაც, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ახალი სამოქალაქო კო-დექსი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ახალი სა-მოქალაქო კოდექსის საფუძველზე ყველა საკითხი, რაც დაკავ-შირებულია საერთო საქმიანობის მიზნის მისაღწევად, მათ შო-რის ამხანაგობის წევრის ამხანაგობიდან გარიცხვისა და ამხა-ნაგობაში წევრად მიღების საკითხები, წყდება ამხანაგობის სა-ერთო კრებაზე. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითი-თება, რომ 1989 წლის 16 აგვისტოს №19.29.610 გადაწყვეტილე-ბის შესაბამისად გამგეობა უფლებამოსილი იყო მიეღო ამხანა-გობაში ახალი წევრები, ასევე წევრების გარიცხვის შესახებ გა-დაწყვეტილებები, ვინაიდან გადაწყვეტილების მეხუთე პუნ-ქტიდან აღნიშნული არ გამომდინარეობდა. ამასთან, სასამარ-თლომ განმარტა, რომ იმ დროს მოქმედი ნორმების შესაბამი-სად, ამხანაგობაში წევრის მიღებისა და გარიცხვის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებდა საერთო კრება, რომელსაც ამტკი-ცებდა გამგეობა. მოპასუხის განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (წევრის მიღება და გარიცხვა) გამგეობის უფ-ლებამოსილების შესახებ ემყარება მხოლოდ ზეპირ განმარტე-

ბას, რაც ვერ იქნებოდა გაზიარებული.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომ 2003 წლის 15 ოქტომბრის და 2003 წლის 27 დეკემბრის №21 კრების გადაწყვეტილებები მოწოდებული იქნა ამხანაგობის 2004 წლის 22 მარტის კრებაზე, ვინაიდან აღნიშნულ კრებას ესწრებოდა ამხანაგობის 30 წევრი. კრებაზე დამსწრე სხვა პირები არ წამოადგენენ ამხანაგობის წევრებს, ვინაიდან ამხანაგობაში მათი განვითარების შესახებ გადაწყვეტილება (2003 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება) ბათილი იყო, ამასთან, აღნიშნულ კრებაზე არ იყო მოწვეული ამხანაგობის 34 წევრი. სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ წევრების გარიცხვა ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის გარეშე, არამართლზომიერი საქციელი იყო.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ნოემბრის განჩინებით დღ. ს-იას, ვ. დძის, ე. ჯ-ძის, ს. თ-ელის, ჯ. ბ-ძის, ი. დ-ძის, კ. შ-ავას, მ. მ-შვილის, ხ. გ-იას, შ. გ-ძის, რ. ხ-იას საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

გ. თ-იამ, ვ. გ-იამ, ჯ. ძ-ძემ, გ. გ-შვილმა თავინათი საკასაციო საჩივრის დასასაბუთებლად შემდეგ ფაქტობრვი-სამართლებრივ წანამძღვრებზე მიუთითეს:

1. მოწინააღმდეგე მხარემ დუმილით მისცა თანხმობა საინიციატივო ჯგუფს ამხანაგობის სახელით გადაწყვეტილებები მიეღო;

2. მოსარჩელებმა სადაცოდ გამგეობის მხოლოდ მათთვის მიუღებელი გადაწყვეტილებები გახადეს, ამდენად გამგეობის უფლებამოსილება, ზოგადად, ეჭვეშ არ დაუყენებიათ;

3. ამხანაგობის 16 წევრის გარიცხვისა და ახალი წევრების მიღების შესახებ გადაწყვეტილებები მოიწონა ამხანაგობის საერთო კრებამ, რითაც აღნიშნული გარიგება წამდვილი გახდა;

4. ახალი წევრების მიღების ფორმალური წანილი დარღვეული რომც ყოფილიყო, ამ გზით ამხანაგობამ აუთვისებელი მინების ჩამორთმევის საფრთხე აიცილა. ამდენად, ეს გადაწყვეტილება უკიდურეს აუცილებლობას წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში, აცილებული საფრთხე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მიყენებული ზიანი;

5. ამხანაგობის გარიცხულმა წევრებმა ხელშეკრულების მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ ჯერ კიდევ 1992 წლის 15 დეკემბრიდან იცოდნენ, როდესაც პირობით დადებული გარიგება

დაარღვიეს;

6. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი;

7. საქმეში თანამოპასუხეებად ჩაბმული პირები სათანადო წესით არ ყოფილან დაბარებული. მათვის განკუთვნილი უწყებები არასწორ მისამართებზე ამოიწერა;

8. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ამ-სანაგობაში 64 წევრი იყო გაერთიანებული, მაგრამ არ გაითვალისწინა, რომ ამხანაგობიდან, თავიანთი განცხადების საფუძვლზე, სხვადასხვა დროს 5 წევრი გაირიცხა;

9. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საერთო კრებაზე მოწვეული არ ყოფილა ამხანაგობის 34 წევრი. ეს გარემოება სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგანაც კრების მოწვევისა და დღის წესრიგების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „მთელი კვირის“ 069(4161) ნომერში.

ხ. კ-ოვამ, მ. ე-ავამ და ნ. ქ-ავამ თავინათ საკასაციო საჩივარში მიუთითეს, რომ სასამართლო სხდომზე დაბარებული არ ყოფილან კანონმდებლობით დადგენილი წესით და არც საბოლოო განჩინება ჩაბარდათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით გ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

იმავე პალატის 2010 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ჯ. ძ-ძის საკასაციო საჩივარზე საქმის ნარმოება შეწყდა, ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა, განიხილა საკასაციო საჩივარი და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1982 წლის 5 აგვისტოს №393 გადაწყვეტილებით საქართველოს მხატვართა კავშირთან ჩამოყალიბდა №501 საბინაო სამშენებლო კოოპერატივი, რომელსაც 1987 წლის 1 აგვისტოს №1309 განკარგულებით დაუმაგრდა მინის ნაკვეთი ... III მ/რ-ში;

2. სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 18 მაისის №10.27.262 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საქალაქო საბჭოს აღმასკო-

მის 1982 წლის 5 აგვისტოს №393 და კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის 1986 წლის 21 მაისის №1033 გადაწყვეტილებები საქართველოს სსრ მხატვართა კავშირთან №501 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის შექმნის შესახებ; 2. საქართველოს სსრ მხატვართა კავშირთან შეიქმნა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამსანაგობა, რომელსაც დამაგრებული დარჩა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1987 წლის 31 აგვისტოს განკარგულებით გამოყოფილი მიწის ნაკვეთი – ... ქუჩის ფერდობებზე მესამე მიკრორაინში საბინაო მეურნეობის სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ორჯონიერის რაიონის სპეცავტომეურნეობის და ავტოტექმომსახურეობის სადგურის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე;

3. თ-ისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 16 აგვისტოს 19.26.610 გადაწყვეტილებით საინიციატივო ჯგუფის წევრებს ნება დართეს საბინაო მეურნეობების სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს საბურთალოს რაიონის სპეცავტომეურნეობის და ავტოტექმომსახურეობის სადგურის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ინდივიდუალური მენაშენეების ამხანაგობის საცხოვრებლი სახლის აშენებაზე; საინიციატივო ჯგუფის წევრების გ. თ-იას, გ. ხ-ავას, გ. გ-ევის, ჯ. ძ-ძის, ბ. ძ-იას, ვ. გ-იას, ი. ფ-შვილის, ე. ფ-იანის და ბ. კ-ავას შემადგენლობით ჩამოყალიბდა ინდივიდუალური მენაშენეების ამხანაგობა და ეწოდა „ს.-“; ამხანაგობა „ს.-ს“ გამეობის თავმჯდომარედ დამტკიცდა გ. თ-ია;

4. თ-ისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით ამხანაგობაში განცევრიანდა 16 ფიზიკური პირი (1. გ. თ-ია, 2. ს. რ-შვილი, 3. ქ. კ-ძე, 4. მ. ჭ-ძე, 5. ო. კ-შვილი, 6. კ. შ-ავა, 7. ლ. ს-ია, 8. ბ. კ-ავა, 9. გ. მ-შვილი, 10. ვ. ნ-ია, 11. თ. შ-შვილი, 12. ჯ. ძ-ძე, 13. ე. ფ-იანი, 14. გ. ხ-ავა, 15. ვ. ბ-ია, 16. ვ. მ-შვილი);

5. თ-ისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ამხანაგობაში განცევრიანდა 12 ფიზიკური პირი (1. ა. კ-ძე, 2. რ. ხ-ია, 3. ვ. ფ-შვილი, 4. ი. დ-ძე, 5. ი. ფ-ძე, 6. ბ. ძ-ია, 7. ა. წ-ული, 8. ლ. კ-შვილი, 9. ვ. გ-ია, 10. მ. გ-ძე, 11. ბ. გ-ია, 12. ც. ბ-შვილი);

6. თ-ისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ამხანაგობაში განცევრიანდა 36 ფიზიკური;

7. 2003 წლის 5 მარტს მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ სახელით მის თავმჯდომარეს გ. თ-იას და ინდ. მენარემე „ვ. ხ-ძეს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. თ-ისში, ... ქ. №125-ში მრავალსართულიანი შენობის მშენებლობა;

8. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ საინიციატივო ჯგუფის (გამგეობის) 2003 წლის 15 ოქტომბრის კრების №20 ოქმის თანახმად, ამხანაგობის წევრებმა გ. თ-იამ, ვ. გ-იამ, ჯ. ძ-ძემ და გ. გ-შვილმა მიიღეს გადაწყვეტილება ამხანაგობის ახალი 60 წევრის მიღების შესახებ;

9. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ საინიციატივო ჯგუფის ოთხი წევრის გ. თ-იას, ვ. გ-იას, ჯ. ძ-ძის და გ. გ-შვილის მიერ 2003 წლის 27 დეკემბრის №21 კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ამხანაგობის წევრობიდან ვ. დ-ძის, ლ. ს-იას, ე. ჯ-ძის, თ. ქ-შვილის, ს. თ-ელის, ჯ. ბ-ძის, ი. დ-ძის, კ. შ-ავას, გ. მ-შვილის, ო. კ-შვილის, ხ. გ-იას, მ. გ-იას, შ. გ-ძის, ლ. ხ-ავას, რ. ხ-იას, გ. ხ-იას გარიცხვის შესახებ. ამხანაგობის წევრების გარიცხვის საფუძვლად მიეთითა ამხანაგობის დებულების მე-20 მუხლი, კერძოდ, ამხანაგობის წევრების გარიცხვის მიზეზი გახდა შესატანის შეტანის ვალდებულების შეუსრულებლობა;

10. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ საერთო კრებაზე 2004 წლის 22 მარტს დამტკიცდა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოადგენილი ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ დებულება; ამხანაგობამ მოიწონა ს.-ს თავმჯდომარის გ. თ-იას მიერ განეული შრომა; ამხანაგობის წევრებმა მოიწონეს სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლის ვ. ხ-ის ინფორმაცია, ასაშენებელი სახლის პროექტი და ხელშეკრულებების შინაარსი; დამტკიცდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-ს“ წევრების სია მშენებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე; საინიციატივო ჯგუფში მე-5 წევრად არჩეული და შეყვანილ იქნა დ. ს-ე; შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო თავმჯდომარისა და 2 წევრისაგან. საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ო. ა-ძე და ორი წევრი: ო. ჭ-ია და ო. გ-იაა; ამხანაგობა „ს.-ს“ საერთო კრებაზე დამტკიცდა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოადგენილი ოქმები №18, №19, №20, №21, №22.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და

დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგენს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რომლებმაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა განაპირობეს. კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო პალატისათვის სავალდებულოა.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოცემული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული.

აღნიშნული კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად, შესაბამისად, უდავოა, რომ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ს.-თან“ დაკავშირებული ურთიერთობა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებას წარმოადგენს.

იმავე კოდექსის 934-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივად უძლვებიან საქმეებს და წარმოადგენნ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ყოველი გარიგების დადებისას საჭიროა ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობა.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ როგორც ამხანაგობაში ახალი წევრების მიღების, ისე არსებული წევრების გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიეღო საერთო კრებას. სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა მხარის მტკიცება, რომ 1989 წლის 16 აგვისტოს №19.29.610 გადაწყვეტილებით საინიციატივო ჯგუფს (გამგეობას) ამგვარი უფლებამოსილება გააჩნდა, რადგანაც აღნიშნული გადაწყვეტილება მსგავს პირობას არ შეიცავს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ გამგეობის გადაწყვეტილება ახალი წევრების მიღებისა და ამხანაგობის 16 წევრის გარიცხვის შესახებ უფლებამოსილმა პირმა (საერთო კრებამ) მოიწონა, რითაც ნების გამოვლენა ნამდვილი გახდა.

საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ, ვინაიდან 2004 წლის 22 მარტის საერთო კრებას არ ესწრებოდა ამხანაგო-

ბის ყველა წევრი, აღნიშნული კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა არ აქვს.

რაც შეეხება კასატორის მტკიცებას, რომ ახალი წევრების მიღებით აცილებულ იქნა უფრო დიდი საფრთხე (აუთვისებელი მიწების ჩამორთმევა), ამდენად, ადგილი ჰქონდა უკიდურეს აუცილებლობას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ინსტიტუტი სრულიად სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს და მოცემულ დავასთან კავშირი არ აქვს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხ. კ-ოვას, მ. ე-ავისა და ხ. ქ-ავას საკასაციო საჩივარი ასევე უსაფუძვლოა.

აღნიშნული კასატორების ძირითად არგუმენტი ისაა, რომ სააპელაციო სასამართლომ ისინი არ მიიჩნია საქმის განხილვაზე და არ გაუგზავნა საბოლოო განჩინება. დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი გ. თ-იასა და ვ. გ-იას საჩივრის ანალოგიურ ნანამდლვრებს შეიცავს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ხ. კ-ოვას, მ. ე-ავისა და ხ. ქ-ავას მტკიცებას, რომ ისინი საქმის განხილვისას მიწვეულები არ ყოფილან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმეში მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, მოწინააღმდეგე მხარე 10-ზე მეტი პირია და არ არსებობს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები, სასამართლო უწყება ეგზავნება სარჩელზე (საჩივარზე, შესაგებელზე) ხელის მომზერ პირველ სამ პირს. უწყების ჩაბარება ერთ-ერთი მათგანისათვის ნიშავს უწყების ჩაბარებას მის მხარეზე მონაწილე ყველა პირისათვის.

როგორც საქმის მასალებით ოკევევა, სააპელაციო სასამართლომ უწყებები მოპასუხეებად ჩაბმულ ყველა პირს გაუგზავნა, მათ შორის ხ. კ-ოვას, ხ. ქ-ავასა და მ. ე-ავს. აღნიშნული უწყებები ჩაპბარდა 24 პირს, ხ. კ-ოვას ჩათვლით, ხოლო ხ. ქ-ავასა და მ. ერითავს უწყება ვერ ჩაპბარდა მისამართის დაუზუსტებლობის გამო.

რაც შეეხება გასაჩივრებულ განჩინებას, სააპელაციო სასამართლომ იგი მოპასუხეების ადვოკატს – ბ. ვ-ს გაუგზავნა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის საფუძველზე კი, დასაშვებია განჩინების ასლის გაგზავნა წარმომადგენილისათვის და მხარისათვის ასევე გაგზავნა სავალდებულო არაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევგია სასამართლო შეტყობინებისა და დაბარების პროცესუალური წესები, რაც შეეხება კასატორების პრეტენზიას, რომ უწყებები

არასწორ მისამართზე ამოიწერა, საკასაციო პალატა ვერ გაიზარებს, ვინაიდან, როგორც საქმიდან ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს უწყებები მხარის მიერ წარდგენილ მისამართებზე აქვს გაგზავნილი, მისამართის სიზუსტესა და სისწორეზე კი, თავად მხარე პასუხისმგებელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩინაოს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ადგილი:**

1. გ. თ-იასა და ვ. გ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ხ. კ-ოვას, მ. ე-ავისა და ნ. ქ-ავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

3. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თ-ისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საოჯახო სამართლი  
ეუდლებისა თანასაკუთრება**

**გადაცევეფილება  
საქართველოს სახელის**

№ას-290-276-2013

23 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. სილაგაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** მოძრავი ნივთების ყადაღისგან გათავისუფ-  
ლება

**აღნერილობითი ნაწილი:**

ი. ც-მა სარჩელი აღმრა მ. ნ-ის, ხ. ა-სა და საქართველოს ეკო-  
ნომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ მოძ-  
რავი ქონების: ავეჯის – ე.წ. „გორკას“, ატლასის ფირმის გაზტუ-  
რისა და „BAXI“-ის ფირმის გაზის ცენტრალურ გამათბობლის  
ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნით შემდეგ გარემოე-  
ბათა გამო:

იგი არის შპს „ლ“-ის ერთადერთი დამფუძნებელი და ეწევა  
სამენარმეო საქმიანობას, საიდანაც აქვს საკუთარი შემოსავა-  
ლი. საკუთარი შემოსავლით შეიძინა აღნიშნული ნივთები, რაც  
ნარმოადგენს მის პირად საკუთრებას. ამასთან, ეს ნივთები მის  
კუთვნილ სახლში არის განთავსებული. მ. ნ-ე ფაქტიურად ცხოვ-  
რობს მის კუთვნილ ბინაში, მაგრამ მონაწილეობა არ მიუღია ნივ-  
თების შეძენაში, მას დაფუძნებული აქვს შპს „ზ-ი“ და ეწევა  
სხვადასხვა საქმიანობას, აქვს ვალები და მისი კრედიტების გა-  
მო საცხოვრებელი ბინაც იპოთეკით არის დატვირთული. დაყა-  
დალებული მოძრავი ნივთები შეიძინა პირადად და ისინი არ წარ-  
მოადგენს სამინისტროს და ხ. ა-ის მოვალე მ. ნ-ის საკუთრებას.

მოპასუხე მ. ნ-ე დაეთანხმა ყველა ფაქტობრივ გარემოებას  
და ცნო სარჩელი.

მოპასუხე ხ. ა-ეს სასამართლოში არც შესაგებელი წარუდ-  
გენია და არც სხდომაზე არ გამოცხადებულა.

მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვი-  
თარების სამინისტრო არ დაეთანხმება არცერთ ფაქტობრივ გა-

რემონტას და მოითხოვა სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლით: მოძრავი ნივთები შეძენილია ქორნინების პერიოდში, არის თანასაკუთრება და ყადაღა სწორად ადევს მოვალის ქონებას.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით ყადაღა მოეხსნა მოვალე მ. ნ-ის ქონების აღნერისა და დაყადალების შესახებ აღსრულების ეროვნული ბიუროს სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 22 თებერვლის აქტის საფუძველზე დაყადალებულ მოძრავ ქონებას, კერძოდ, ავეჯა – ე.წ. „გორკას“, ატლასის ფირმის გაზეურასა და „BAXI“-ის ფირმის გაზის ცენტრალურ გამათბობელს.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინორა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2013 წლის 11 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩინო არ დაქმაყოფილდა და უცველელად დარჩა გასაჩინორებული გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2012 წლის 22 თებერვალს მოვალე მ. ნ-ის საცხოვრებელ ადგილას – ქ. ახალციხეში, ს-ას ქ. №13/4-ში არსებულ მოძრავ ნივთებს ყადაღა დაედო სააღსრულებო წარმოების შესაბამისად, ფიზიკური პირის ხ. ა-ის (კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, სააღსრულებო ფურცელი №01/08-274) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით, სააღსრულებო ფურცელი №3/494-10) სასარგებლოდ დაკისრებული თანხების იძულებითი წესით გადახდის მიზნით.

დადგენილია, რომ ი. ც-ი და მ. ნ-ე 2007 წლის 21 სექტემბრიდან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორნინებაში. ი. ც-ი ეწევა სამენარმეო საქმიანობას და წარმოადგენს 2009 წლის 2 თებერვალს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ლ“-ის 100%-იანი წილის მფლობელს. საზოგადოების საიდენტიფიკაციო კოდია №224092434, დირექტორი გ. ი-ე.

საქმის მასალებით დგინდება, რომ ქ. ახალციხე, ს-ას ქ. №14/4-ში – მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომელში არსებულ მოძრავ ნივთებსაც სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 22 თებერვლის მოვალის ქონების აღნერისა და დაყადალების შესახებ აქტით დაედო ყადაღა, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლებით აღრიცხულია ი. ც-ის სახელზე.

საქმეში ასევე წარმოდგენილია ი. ც-ს და სხვადასხვა ფიზიკურ პირს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომლითაც დგინდება, რომ აღნიშნული მოძრავი ნივთები შეიძინა ი. ც-მა, კერძოდ, 2009 წლის 20 ოქტომბერს ი. ც-მა 4500 ლარის გადახდის სანაცვლოდ ა. ც-ან შეიძინა ავეჯი „გორკა“, რომელიც შედგებოდა ორი მაგიდის, რვა სკამის, ორი კარადის და ერთი კედლისაგან. 2009 წლის 15 ოქტომბერს ი. ც-მა ქ. ახალციხეში მცხოვრებ ა. ზ-ან შეიძინა „ატლასის“ ფირმის გაზქურა 450 ლარად. 2010 წლის 15 ნოემბერს ი. ც-მა ა. ც-ან შეიძინა მეორადი გაზის ცენტრალური გამათბობელი 450 ლარად.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 151-ე და 158-ე მუხლებზე და აღნიშნა: ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის ნივთის მესაკუთრე, ხოლო საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად. საკუთვნებლის თვისებას შეადგენს ის, რომ იგი მთავარ ნივთთან დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ საკუთვნებელი განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის. საკუთვნებელი სივრცობრივად უკავშირდება მთავარ ნივთს, სანინაალმდეგოს დამტკიცებამდე, მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნებლის მესაკუთრედ მიიჩნევა. საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯი განკუთვნილია მისი სამსახურისათვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ი. ც-ი არის იმ საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე, რომელში არსებულ მოძრავ ნივთებსაც სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 22 თებერვლის მოვალის ქონების აღნერისა და დაყადაღების შესახებ აქტით დაედო ყადაღა და ცხოვრობს აღნიშნულ ბინაში. შესაბამისად, აღმასრულებლის მიერ ყადაღადადებული ნივთები წარმოადგენს ი. ც-ის კუთვნილი უძრავი ქონების – საცხოვრებელი სახლის საკუთვნებელს.

ი. ც-ის, როგორც უძრავი ნივთის მესაკუთრის და სადავო დაყადაღებული მოძრავი ნივთების მფლობელის, მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმეციის სანინაალმდეგო მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად, მოძრავი ნივთების მო-

სარჩელისადმი კუთვნილების ფაქტის მტკიცება სარწმუნოდ განახორციელა მოსარჩელემ – საქმის მასალებით დადასტურებულია სადაცო მოძრავი ნივთების პირადად ო. ც-ის მიერ შეძენის ფაქტი.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა მასზედ, რომ სადაცო მოძრავი ნივთები წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების შეძენის შემთხვევაში, ამ ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად მიჩნევისათვის უნდა დგინდებოდეს, მეორე მეუღლის მიერ დამოუკიდებელი შემოსავლის რაიმე საპატიო მიზეზით არ არსებობის ფაქტი. განსახილველ შემთხვევაში, რაიმე მტკიცებულება რაც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ იმ პერიოდში, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე – ო. ც-ი ენეოდა სამეურნეო საქმიანობას და შეიძინა რამოდენიმე მოძრავი ნივთი (მათ შორის ე.წ. „გორკა“, „ატლასის“ ფირმის გაზქურა და „BAXI“ -ს ფირმის გაზის ცენტრალური გამათბობელი), მეორე მეუღლეს – მ. ნ-ეს, რომ რაიმე საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი, საქმეში წარმოდგენილი არ არის. იმ პირობებში, როდესაც მოცემულ დავაზე მოსარჩელეგ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოებები დაადასტურა შესაბამისი მტკიცებულებებით, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარეზე იყო, რომელსაც არ გამოუყენებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მინიჭებული უფლებები თავისი შესაგებლის დასამტკიცებლად და მხოლოდ სარჩელის უარყოფით შემოიფარგლა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ო. ც-ის მიერ 2009-2010 წლებში შეძენილი სადაცო მოძრავი ნივთები არ წარმოადგენს მისი და მოპასუხე მ. ნ-ის თანასაკუთრებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, არასწორად დაადგინა, რომ დაყადაღებული ქონება წარმოადგენს მოსარჩელე ი. ც-ის პირად საკუთრებას, ვინაიდან ნივთები წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას, შეძენილია ქორწინე-

ბის პერიოდში და არის ერთობლივი მოხმარების საგნები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, რის შემდეგაც გააკეთა არასწორი დასკვნა:

1) სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2012 წლის 22 თებერვალს ქ. ახალციხეში, ს-ას ქ. №14/4-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში დაყადაღებული მოძრავი ნივთები – ავეჯი – ე.წ. „გორგა“, „ატლასის“ ფირმის გაზქურა და გაზის ცენტრალურ გამათბობელი წარმოადგენს ი. ც-ის საკუთრებას. აღნიშნულის დასადასტურებლად სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. ახალციხეში, ს-ას ქ. №14/4-ში – მდებარე საცხოვრებელი სახლი, რომელში არსებულ მოძრავ ნივთებსაც სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს 2012 წლის 22 თებერვლის მოვალის ქონების აღწერისა და დაყადაღების შესახებ აქტით დაედო ყადაღა, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლებით აღრიცხულია ი. ც-ის სახელზე. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ი. ც-ის საკუთრებაში რიცხულ საცხოვრებელ სახლში არსებული მოძრავი ნივთები, რომლებსაც დაედო ყადაღა წარმოადგენს ი. ც-ის კუთვნილი უძრავი ქონების – საცხოვრებელი სახლის საკუთვნებელს (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება №ას-1777-1755-2011). სასამართლომ განმარტა, რომ ი. ც-ის, როგორც უძრავი ნივთის მესაკუთრის და სადავო დაყადაღებული მოძრავი ნივთების მფლობელის, მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმუციის სანინააღმდეგო მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. ამასთან, დაყადაღებული ნივთები სხვადასხვა ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების შესაბამისად შეიძინა ი. ც-მა.

2) სადავო დაყადაღებული მოძრავი ნივთები არ წარმოადგენს მეუღლეთა – ი. ც-ის და მ. ნ-ის თანასაკუთრებას. აღნიშნულის დასადასტურებლად სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების შემთხვევა-

ში მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთ მათგანს საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა და-მოუკიდებელი შემოსავალი. სასამართლომ განმარტა, რომ ასე-თი ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად მიჩნევისაოვის უნ-და დგინდებოდეს, მეორე მეუღლის მიერ დამოუკიდებელი შე-მოსავლის რაიმე საპატიო მიზეზით არ არსებობის ფაქტი. გან-სახილველ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე – ი. ც-ი ეწეოდა სამეურნეო საქმიანობას და შეიძინა რამდენიმე მოძ-რავი ნივთი ის, რომ მეორე მეუღლეს – მ. ნ-ეს საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი, საქმეში წარ-მოდგენილი არ არის. აღნიშნულზე მტკიცების ტვირთი, როდე-საც მოსარჩელემ დაადასტურა ნივთების მის მიერ შეძენის ფაქ-ტი, დააკისრა მოპასუხე მხარეს – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გადაანაწილა მტკიცების ტვირთი, არასწორად გან-მარტა სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი და არასწორად მი-უთითა მეუღლეთა თანასაკუთრებასთან დაკავშირებულ საკით-ხებზე უძრავი ნივთის მესაკუთრის და სადაცო დაყადალებული მოძრავი ნივთების (როგორც უძრავი ნივთის საკუთვნებელის) მფლობელის, მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმაციის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნა-წილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გა-რემოვებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ხოლო, ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირვე-ლი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდ-გენენ მხარეები.

დადგენილია, რომ ი. ც-ი და მ. ნ-ე 2007 წლის 21 სექტემბრი-დან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში და მ. ნ-ე ცხოვ-რობს ქ. ახალციხეში, ს-ას ქ. № 14/4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლში, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლებით აღრიცხულია ი. ც-ის სახელზე. ასევე დადგენილია, რომ დაყადალებული, ზემოაღნიშნულ საცხოვრე-ბელ სახლში არსებული სადაცო ნივთები 2009-2010 წლებში სხვა-დასხვა დროს შეიძინა ი. ც-მა. ხოლო, ი. ც-ი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და წარმოადგენს 2009 წლის 2 თებერვალს დაფუძ-ნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/კ №224092434) „ლ-ის“ 100%-იანი ნილის მფლობელს.

მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი იყო ის გარემოება, რომ სადაცო ნივთები შეიძინა პირადად და იგი არ წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას.

მოსარჩელემ აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მიუთითა, რომ მას გააჩნია შპს „ლ“, ენევა სამენარმეო საქმიანობას, აქვს შემოსავალი და სადაც ნივთები შეიძინა პირადად, ხოლო მის მეუღლეს მ. ნ-ეს მის შეძენაში მონაწილეობა არ მიუღია. აღნიშნული საქმის მასალებით თანახმად, დაადასტურა ასევე მოპასუხე მ. ნ-ემ.

ის გარემოება, რომ ნივთები უშუალოდ შეიძინა ი. ც-ამ სადაც ვო არ არის, მაგრამ მოსარჩელის მტკიცების საგანს წარმოადგენს არა ის, რომ მან შეიძინა თავისი სახსრებით ნივთები, არა-მედ ის, რომ ეს ნივთები არ წარმოადგენ თანასაკუთრებას. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-103-ე მუხლების და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რომ ნივთებზე, რომლებიც შეძენილია ქორწინების პერიოდში მისი სახსრებით, არ წარმოიშობა თანასაკუთრება.

განსახილველ შემთხვევაში ერთ-ერთი მეუღლის (ი. ც-ის) მიერ ქონების შეძენისას, ამ ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად მიჩნევისათვის უნდა დგინდებოდეს, მეორე მეუღლის (მ. ნ-ის) მიერ დამოუკიდებელი შემოსავლის რაიმე საპატიო მიზეზით არ არსებობს ფაქტი. ამ ფაქტის დადასტურების მტკიცების ტვირთი ეკისრება მხოლოდ იმ მხარეს (მოსარჩელეს), რომლის მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველსაც წარმოადგენს იგი და რომელმაც უნდა ამტკიცოს არა მარტო ის, რომ ნივთები პირადად შეიძინა, არამედ ისიც, რომ ამ შემთხვევაშიც მასზე არ წარმოიშობა თანასაკუთრება, რადგან სახეზე არ არის სამოქალაქო კოდექსის 1158-მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული არცერთი ნინაპირობა და არც მეორე მეუღლეს სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

ის გარემოება, რომ მ. ნ-ეს არასაპატიო მიზეზის გამო არ გააჩნდა დამოუკიდებელი შემოსავალი, აღნიშნულის დასადასტურებლად მოსარჩელეს რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელემ წარადგინა ხელწერილები ნივთების უშუალოდ შეძენაზე და მეუღლემ – მ. ნ-აც დაუდასტურა, რომ მათ შეძენაში თავად მონაწილეობა არ მიუღია, არ არის საკმარისი საფუძველი მეორე მოპასუხე მხარისათვის დამატებით მტკიცების ტვირთის გადაკისრებაზე. რაც შეეხება ერთ-ერთი მოპასუხის, მოსარჩელე ი. ც-ის მეუღლე მ. ნ-ის პოზიციას, იგი როგორც ფაქტობრივად დაინტერესებული პირის პოზიცია, ზემოთ აღნიშნულზე არ არის საკმარისი მტკიცებულება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარე-მოებაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორნინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანა-საკუთრებას), თუ მათ შორის საქორნინ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგინდილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასა-კუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათ-განი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავა-ლი.

საკუთრება თავის თავში სამ კომპონენტს მოიცავს: ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას. ფლობა ნივთის უშუალო პყრობას ნიშნავს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი მესაკუთრედ მივიჩნევთ ნებისმიერ პირს, რომელიც კონკრეტულ მომენტში ფლობს ნივთს, შესაძლოა, სახეზე იყოს ცდომილება და მესა-კუთრის ინტერესების შელახვა. თუმცა, მფლობელიც სარგებ-ლობს მთელი რიგი უფლებებით. ფლობასთან ერთად მესაკუთ-რეს აქვს ნივთით სარგებლობის უფლება, რაც მოიცავს როგორც ნივთით უშუალო სარგებლობას, მისი მეშვეობით შემოსავლის მიღებას და ა.შ., აგრეთვე მესაკუთრის უფლებას, არ ისარგებ-ლოს კუთვნილი ნივთით. ამასთან, არც მხოლოდ მფლობელობი-სა და სარგებლობის კომბინაციაა სრულად საკუთრების ცნების გამომხატველი. აუცილებელია საკუთრების ცნების მესამე კომ-პონენტის არსებობა, ესაა განკარგვა, რაც გულისხმობს ნივთის ბედის გადაწყვეტის უფლებას, რაშიც იგულისხმება მისი გაყიდ-ვა, გაჩუქრება, განათხოვრება და საერთოდ მისი ბედის განკარ-გვა. შესაბამისად, საკუთრების უფლების არსებობისათვის სა-ხეზე უნდა იყოს სამივე კომპონენტი. საკუთრების ცნების ამ-გვარი განსაზღვრა აუცილებელია საიმისოდ, რომ პირმა შეიძი-ნოს საკუთრების უფლება უძრავ ან მოძრავ ნივთზე. უძრავ ნივ-თზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია წე-რილობითი გარიგების დადება და ამ გარიგების საფუძველზე წარმოშობილი უფლების (შემძენის, როგორც მესაკუთრის) რე-გისტრაცია საჯარო რეესტრში. მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია, მესაკუთრემ ნამდვი-ლი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. სწორედ ამ უფლების ნამდვილობის გარკვევის საშუალებაა ზემოაღნიშ-ნული სამი კომპონენტის ერთდროულად სახეზე არსებობის ფაქტი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მესაკუთ-რე არის პირი, რომელსაც გააჩნია ნივთის ფლობის, სარგებლო-ბისა და განკარგვის უფლება, ხოლო უძრავი ქონების შემთხვე-

ვაში მესაკუთრედ რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვების შემდეგ რაც ამ შემთხვევაში (ნივთის შეძენის ფაქტი) სადავო არ არის, მნიშვნელოვანია, რომ ერთსა და იმავე ნივთს შეიძლება ჰყავდეს როგორც ერთი, ისე რამდენიმე მესაკუთრე. ასეთ მესაკუთრეები არიან თანამესაკუთრები, ხოლო ქონება არის თანასაკუთრება. თანასაკუთრება ორი სახის არსებობს: საერთო თანაზიანი და საერთო წილადი. საერთო თანაზიარი არის საკუთრება, რომლის თანამესაკუთრებს შორის განსაზღვრული არ არის თითოეულის კუთვნილი წილი, არამედ ისინი მთლიანად ფლობენ ამ ნივთს, როგორც თანასაკუთრებას. სწორედ ეს განასხვავებს მისგან საერთო წილად საკუთრებას, რომლის შემადგენლობაშიც წინასწარვე არის განსაზღვრული თითოეული თანამესაკუთრის კუთვნილი წილი.

სამოქალაქო კოდექსისა მიხედვით მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები სპეციალური ნორმებითაა მოწესრიგებული და ექვემდებარება სამართლებრივ რეგულირებას. მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობები მოიაზრება მეუღლეთა კუთვნილი ქონება, ასევე, ქონებრივი სახის ვალდებულებები, თუ ის საერთო ქონების განკარგვის შედეგად წარმოიშვა. მეუღლეთა შორის კანონით დადგენილ ქონებრივ უფლება-მოვალეობათა შინაარსის გარკვევა, მათი ქონებრივი ინტერესების დაცვის საშუალებას წარმოადგენს. ქონებრივია ყველა ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრულ ქონებასთან, მის მფლობელობასთან, სარგებლობასა და განკარგვასთან.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ქონება შეიძლება სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმის იყოს. მათი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა სხვადასხვა საფუძველზე ხდება. საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად. ინდივიდუალურია ისეთი ქონება, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს. აღნიშნული დანაწესი რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 1161-ე-1162-ე მუხლებით. თანაზიარი საკუთრება მეუღლეებს ეკუთვნით თანაბრად, წილთა განუსაზღვრელად და გამოიყენება საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. მართალია, კანონი კონკრეტულად არ განსაზღვრავს ქონების იმ სახეებს, რომლებიც განცალკევებულ ან თანაზიარ საკუთრებას მიეკუთვნება, მაგრამ იმდენად გამოკვეთილია მათი დაყოფის ზოგადი კრიტერიუმები, რომ საკუსებით შესაძლებელია მეუღლეთა საკუთრებაში არსებული

ნებისმიერი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა. ასეთი კრიტერიუმებიდან გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ მეუღლებმა შეიძლება საქორწიო ხელშეკრულებით გაითვალისწინონ ქონების ამა თუ იმ სახისათვის მისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სამართლებრივი რეფიმის შეცვლა. ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა ნებას ენიჭება უპირატესობა და საქორწიო კონტრაქტის არსებობა ედება საფუძვლად მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების თანაზიარ საკუთრებად აღარებას. ხოლო, როდესაც ეს ურთიერთობა საქორწიონ კონტრაქტით არ რეგულირდება, თანაზიარ ქონებად ჩაითვლება მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ყოველგვარი ქონება (უძრავი და მოძრავი), რომელიც შეძენილია (ან შექმნილია) ორივე მეუღლის ერთობლივი შრომითა და სახსრებით, ასევე ის ქონება, რომელიც შეძენილია ერთერთი მეუღლის მიერ იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწყოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შეიღებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. საპატიო მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ პირის სურვილის საწინააღმდეგოდ, მისა ჯანმრთელობის ან სხვა მიზეზის გამო, დამოუკიდებელი შემოსავალის მიუღებლობას. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქონება შეძენილია ერთ-ერთი მათგანის თუ ორივე მეუღლის მიერ.

ამდენად, საოჯახო კანონმდებლობით სპეციალურად არის განსაზღვრული მეუღლეთა საერთო ქონების ობიექტის შემადგენლობა. მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას (მეუღლების საერთო ქონებას) მიეკუთვნება: როგორც შრომის საქმიანობით მიღებული ორივე მეუღლის შემოსავალი, რომელიც შეადგენდნენ ანაზღაურებას, ასევე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სხვა სახის შემოსავალი, რომლებსაც არ აქვთ სპეციალური მიზნობრივი დანიშნულება, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც შეძენილია მეუღლების მიერ ქორწინების განმავლობაში მიუხედავად იმისა, ვის სახელზეა იგი შეძენილი ან რომელი მეუღლის მიერ არის გადახდილი თანხა.

მეუღლეთა თანასაკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე უძრავი ნივთის მესაკუთრის და მასში არსებული მოძრავი ნივთების (როგორც უძრავი ნივთის საკუთვნებელის) მფლობელის, მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმეციასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხი არ შეიძლება ცალსახად იქნეს გავრცელებული და შეეხოს მეუღლე-

თა თანასაკუთრებაში არსებულ ნივთებსაც, ვინაიდან მეუღლე-  
თა თანასაკუთრება წესრიგდება სპეციალური ნორმებით.

უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა (რო-  
მელზედაც მითითებული აქვს სააპელაციო პალატას) მიუთი-  
თებს უძრავი ნივთების მესაკუთრესა და სხვა პირებს (გარდა  
მეუღლებისა) შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებ-  
ზე, მაგრამ მეუღლეთა თანასაკუთრება, როგორც კანონის სპე-  
ციალური ნირმებით დაცული ობიექტი, წარმოადგენს განსა-  
კუთრებულ ინსტიტუტს, რომლითაც დაცული უნდა იქნეს არა  
მარტო მეუღლეთა ინტერესები, არამედ მეუღლეთა მიმართ  
წარმოშობილი ვალდებულებებიდან გამომდინარე მესამე პირე-  
ბის ინტერესებიც, რათა მიღებული არ იქნეს არამართლზომიე-  
რი და უსამართლო შედეგები და თავიდან იქნეს აცილებული  
მესამე პირებისათვის საზიანო არაკეთილსინდისიერი ან წინას-  
ნარ შეთანხმებული ქმედებები.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მესაკუთრედ ყოფნის პრე-  
ზუმფციაზე მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ ნივთებ-  
ზე შეიძლება ვიმსჯელოთ მაშინ, როდესაც ცალსახად არ დგინ-  
დება ნივთების ქორნინების პერიოდში შეძენის ფაქტი და ისინი  
არ წარმოადგენენ მეუღლეთა საერთო მოხმარების საგნებს.

განსახილველ საქმეში საკასაციო სასამართლო ყურადღე-  
ბას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ შპს „ლ“, საიდანაც მოსარჩე-  
ლეს მისივე მითითებით გააჩნია შემოსავალი, რითაც შეიძინა  
ნივთები და წარმოადგენს მის ერთადერთ დამფუძნებელს, და-  
ფუძნებულია სწორედ მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდ-  
ში 2009 წლის 2 თებერვალს, ხოლო რაიმე გარემოება, რომ მო-  
სარჩელემ შპს დააფუძნა ინდივიდულაური საკუთარი სახსრე-  
ბით დადგენილი არ არის. მეორე მხრივ საქმის მასალებით დას-  
ტურდება, რომ მ. ნ-ეს, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული  
ეკონომიკის სამინისტროდან ქონება სამენარმეო საქმიანობის  
განხორციელების მიზნით და ასევე მოსარჩელისვე მითითებით  
გააჩნდა (გააჩნია) შპს „ზ-ი“, რომლითაც ეწეოდა სხვადასხვა საქ-  
მიანობას – ჰქონდა საკუთარი შემოსავლის წყარო. ასევე მნიშ-  
ვნელოვანია, რომ მ. ც-ის სახელზე რიცხული ბინაც, სადაც ცხოვ-  
რობს მისი მეუღლე მ. ნ-ეც და რომელში არსებული ნივთებიც  
არის დაყადალებული შეძენილია 2008 წლის 10 დეკემბერს, ასევე  
ქორნინების პერიოდში, რომელიც დატვირთულა იპოთეკით მ.  
ნ-ის საქმიანობიდან წარმოშობილი ვალების გადახდის მიზნით.  
ყოველივე ეს ერთობლიობაში მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ  
მეუღლეები ეწეოდნენ საერთო მეურნეობას და სარგებლობ-  
დნენ სადავო ნივთებით (გამათბობელით, გაზქურით, ავეჯით),

რომლებიც მათი საერთო მოხმარების საგნებს წარმოადგენენ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია და არ არსებობს საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო სასამართლო თავად იღებს გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული დასაბუთების გათვალისწინებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია, უნდა დაკმაყოფილდეს და მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება ი. ც-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ სადაც ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებაა, შესაბამისად, ამ ქონების ნახევარი წარმოადგენს ი. ც-ის საკუთრებას, მაგრამ თავად დაყადალებული ქონების არსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს მოძრავი ნივთების S ნილზე ყადალის მოხსნას და ამდენად, სარჩელი მთლიანად არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა ი. ც-ს რჩება მისი კუთვნილი წილის შესაბამისი კომპენსაციის (ქონების ღირებულების) მიღების უფლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ განეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო მოპასუხე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდება მოსარჩელეს, რომელიც არ არის განთავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასარჩელო მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომლის დაკმაყოფილებაზეც მას უარი ეთქვა.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევებში ი. ც-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ საპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადასახ-

დელი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება უნდა დაეკისროს. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, დავის საგნის ღირებულება 5400 ლარს შეადგენს, რომლის 4% არის 216 ლარი, ხოლო 5% – 270 ლარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო ინსტანციაში გადასახდელი ბაჟის ოდენობა 300 ლარით უნდა განისაზღვროს, შესაბამისად ი. ც-ს ჯამში 516 გადახდა უნდა დაეკისროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს ტ ა:**

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 იანვრის განჩინება და საქმეზე მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. ც-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ი. ც-ის დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 516 ლარის ოდენობით;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის სადაზღულობის ვალი

## გადაცევის დოკუმენტი საქართველოს სახელით

№ას-531-505-2013

9 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** სამკვიდროდან წილის მიკუთვნება (ძირითად სარჩელში), სავალდებულო წილის მიკუთვნება (შეგებებულ სარჩელში), მეუღლეთა თანასაკუთრებიდან წილის მიკუთვნება (მე-სამე პირის სარჩელში)

### აღნერილობითი ნაწილი:

ჯ. ჯ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ჯ-ის კანონიერი წარმომადგენლის – ი. ჯ-ის მიმართ შპს „ხ-ი“ 25%-იანი წილის მესაკუთრედ ცნობისა და სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების საპატიოდ ცნობის, გაგრძელებულად მიჩნევის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

ჯ. ჯ-ის ძმა – მ. ჯ-ე გარდაიცვალა 2005 წლის 5 თებერვალს. მის მიერ 2004 წლის 25 დეკემბერს შედგენილი ანდების არსებობის შესახებ ცნობილი გახდა 2012 წელს, რომლის თანახმადაც, მ. ჯ-ემ შპს „ხ-ი“ 25%-იანი წილი უანდერძა ჯ. ჯ-ეს. 2006 წლის 19 დეკემბერს სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 2007 წლის 23 მარტის ბრძანებით შპს „ხ-ას“ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილება შევიდა და მ. ჯ-ის კუთვნილი 25%-იანი წილის მესაკუთრედ აღირიცხა შვილი – ნ. ჯ-ე. 2012 წლის 19 აპრილს ნოტარიუს ე. ყ-ის მიერ განხორციელდა სანოტარო მოქმედება – „ანდერძის გამოქვეყნების ოქმის შედგენის შესახებ“, რომლითაც მ. ჯ-ის მიერ 2004 წლის 25 დეკემბერს შედგენილი ანდერძი ოფიციალურად გამოქვეყნდა.

ნ. ჯ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა ი. ჯ-ემ შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. ჯ-ის მიმართ სავალდებულო წილის – შპს „ხ-ი“ მამკვიდრებლის საკუთრებაში რიცხული წილის 1/2-ის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

6. ჯ-ემ მამის – მ. ჯ-ის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე აღირიცხა მამკვიდრებლის საკუთრებაში რიცხული შპს „ხ-ას“ 25%-იანი წილის მესაკუთრედ. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, 2004 წლის 25 დეკემბრის ანდერძით, რომლის არსებობა ადრე ცნობილი არ ყოფილა, შპს „ხ-ას“ 25%-იანი წილი მ. ჯ-ეს უანდერძებისა დმისთვის – ჯ. ჯ-ის, რომელმაც სარჩელი აღძრა სასამართლოში ზემოაღნიშნული ქონების სრულად მიღების მოთხოვნით. 6. ჯ-ეს, როგორც მ. ჯ-ის პირველი რიგის მემკვიდრეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, მამკვიდრებლის ქონებიდან სავალდებულო წილი ეკუთნის.

ი. ჯ-ემ – მესამე პირმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მიმართა სასამართლოს ჯ. ჯ-ის წინააღმდეგ, შპს „ხ-ი“ მ. ჯ-ის კუთვნილი წილის 1/2-ის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

ი. ჯ-ე და მ. ჯ-ე 1990 წლის 30 იანვრიდან 2004 წლის 15 სექტემბრამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. 2005 წლის 7 თებერვალს მ. ჯ-ე გარდაიცვალა. მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში, 2004 წლის 21 აგვისტოს, მეუღლეებმა – ი. და მ. ჯ-მა შეიძინეს შპს „ხ-ას“ 25%-იანი წილი, რაც აღირიცხა მ. ჯ-ის სახელზე. მამის გარდაცვალების შემდეგ, ზემოაღნიშნული ქონება მემკვიდრეობით მიიღო შვილმა – 6. ჯ-ემ. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ 2004 წლის 25 დეკემბრის ანდერძით შპს „ხ-ას“ 25%-იანი წილი მ. ჯ-ეს უანდერძებია ძმისთვის – ჯ. ჯ-ის.

სადავო ქონება – შპს „ხ-ის“ 25%-იანი წილი შეძენილია მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში და წარმოადგენს მათ თანასაკუთრებას (საერთო ქონებას). მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა შესაძლებელია, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე, მისი შეწყვეტის შემდეგ. ი. ჯ-ეს საერთო ქონების გაყოფის საკითხი არ დაუყენებია იმის გამო, რომ სამკვიდრო ქონება მიიღო მისმა მცირენლოვანმა შვილმა – 6. ჯ-ემ.

ძირითად სარჩელში მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლით:

მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეებისათვის – 6. და ი. ჯ-ის ანდერძის თაობაზე ცნობილი არ ყოფილა. სადავო ქონება წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. ამასთან, სამკვიდრო მასიდან 6. ჯ-ეს ეკუთვნის სავალდებულო წილი.

ჯ. ჯ-ემ შეგებებული სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლით:

6. ჯ-ე წარმოადგენს როგორც სავალდებულო წილის მიღე-

ბის უფლების მქონე პირს, ასევე, ანდერძით მემკვიდრესაც. ასეთ შემთხვევაში, მან უნდა მიიღოს ანდერძით გათვალისწინებული ქონება, რადგან სავალდებულო წილის მიღების საკითხი დგება იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრე ანდერძით არ არის გათვალისწინებული ან ანდერძით იმაზე ნაკლები ქონება იქნა გათვალისწინებული, რასაც იგი სავალდებულო წილის სახით მიიღებდა. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არც ერთი ზემოალნიშნულ გარემოება არ არსებობს, ნ. ჯ-ეს სადავო ქონებიდან სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.

ჯ. ჯ-ემ მესამე პირის სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია. ი. ჯ-ეს როგორც ქორნინების პერიოდში, ისე განქორნინებიდან სამი წლის განმავლობაში შეეძლო თავისი ქონებრივი უფლების რეალიზაცია, რაც არ განუხორციელებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ჯ. ჯ-ის ძმის – 2005 წლის 5 თებერვალს გარდაცვლილი მ. ჯ-ის სამკვიდროს მიღების ვადის გაშვება ცნობილ იქნა საპატიო მიზეზით გაშვებულად და ჩაითვალა გაგრძელებულად; ჯ. ჯ-ე ცნობილ იქნა შპს „ხ-ას“ (საიდენტიფიციაციო კოდი: №...) ნ. ჯ-ის საკუთრებაში რიცხული 25%-იანი წილის მესაკუთრედ. ნ. ჯ-ის კანონიერი წარმომადგენლის – ი. ჯ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მესამე პირის ი. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ნ. ჯ-ემ (კანონიერი წარმომადგენელი ი. ჯ-ე) და ი. ჯ-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ი. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2-ე და მე-3 პუნქტებში, ჯ. ჯ-ე ცნობილ იქნა შპს „ხ-ას“ (საიდენტიფიციაციო კოდი: №...) ნ. ჯ-ის საკუთრებაში რიცხული 25%-იანი წილიდან 12,5 %-იანი წილის მესაკუთრედ. ი. ჯ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. ჯ-ე ცნობილ იქნა შპს „ხ-ას“ (საიდენტიფიციაციო კოდი: №...) ნ. ჯ-ის საკუთრებაში რიცხული 25%-იანი წილიდან 12,5%-იანი წილის მესაკუთრედ. დანარჩენ ნაწილში უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მამ-

კვიდრებელი მ. ჯ-ე გარდაიცვალა 2005 წლის 5 თებერვალს. 6. ჯ-ე არის მ. ჯ-ის შვილი. ჯ. ჯ-ე - მ. ჯ-ის ძმა. მამკვიდრებლის გარდაცვალებისას მის საკუთრებაში ირიცხებოდა შპს „ხ-ი“ 25%-იანი წილი. 2004 წლის 25 დეკემბერს მ. ჯ-ემ სანოტარო წესით შედგენილ ანდერძში გამოავლინა უკანასკნელი ნება და შპს „ხ-ი“ კუთხის წილი უანდერძა ძმას – ჯ. ჯ-ეს, ხოლო შვილ 6. ჯ-ეს – ქ. მოსკოვში, ლ-ის გამზ. № 137-ისა კორპუსში მდებარე ბინა №4 და ქ. გელენჯიკში მდებარე პანსიონატ „ჰ-ის“ აქციები, დანარჩენი ქონება კი, გადანაწილდა მოანდერძის ყოფილ მეუღლე ი. ჯ-სა და დედა ლ. უ-ს შორის. მ. ჯ-ემ ანდერძს პირადად მოანერა ხელი ორი მოწმის თანდასწრებით. 2006 წლის 19 დეკემბერს ნოტარიუს დ. გ-ის მიერ მ. ჯ-ის სამკვიდრო ქონებაზე – შპს „ხ-ი“ 25%-იან წილზე გაცემულ იქნა სამკვიდრო მოწმობა შვილის – 6. ჯ-ის სასარგებლოდ, რომლის საფუძველზეც იგი დარეგისტრირდა ამ ქონების მესაკუთრედ მენარმეთა რეესტრში, ასევე განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები შპს „ხ-ას“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მონაცემებში. ი. ჯ-ე და მ. ჯ-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1990 წლის 1 თებერვლიდან 2004 წლის 14 სექტემბრამდე.

სააპელაციო სასამართლოს უდავოდ და საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ შპს „ხ-ი“ წილი მ. ჯ-ემ შეიძინა ი. ჯ-ან რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში – 2003 წლის 21 აგვისტოს. 2012 წლის 28 თებერვალს ჯ. ჯ-ემ განცხადებით მიმართ ნოტარიუს ე. ყ-ს ანდერძის თაობაზე ინფორმაციის მიღებისა და ანდერძის საფუძველზე სამკვიდროს მიღების შესახებ. 2012 წლის 28 მარტს ჯ. ჯ-ეს განემარტა, რომ ანდერძის გამოქვეყნება შესაძლებელია მხოლოდ მამკვიდრებლის გარდაცვალების მოწმობის წარდგენის შემთხვევაში, რის შემდეგაც დაინიშნება ანდერძის გამოქვეყნების დღე, მოწვეული იქნებიან დაინტერესებული პირები და გადაეცემათ ანდერძის დამოწმებული ასლი. 2012 წლის 19 აპრილს ნოტარიუს ე. ყ-ის სანოტარო ბიუროში გამოქვეყნდა მ. ჯ-ის 2004 წლის 25 დეკემბრის ანდერძი, ი. და ჯ. ჯ-ის წარმომადგენლოთა თანდასწრებით. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის იანვრის ბოლომდე ჯ. ჯ-ის ანდერძის თაობაზე არ იყო ცნობილი. ჯ. ჯ-ემ პირველად სასამართლოს სარჩელით მიმართა 2012 წლის აპრილის დასაწყისში, რა დროსაც სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში. მეორედ მან სარჩელი აღმდრა 2012 წლის 7 ივნისს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ფაქტობრივი გარემოება, რომ იმ ქო-

ნების ლირებულება, რომელიც მამკვიდრებლის შვილს, ნ. ჯ-ეს ეანდერძა, ნაკლებია იმ ქონების ლირებულებაზე, რომელსაც იგი მიიღებდა სავალდებულო წილის სახით, ანდერძით მემკვიდრე რომ არ ყოფილიყო.

სააპელაციო სასამართლომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ, განსახილველ შემთხვევაში, ნ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მ. ჯ-ის სამკვიდრო ქონებიდან შპს „ხ-ი“ 25%-იანი წილიდან მისთვის, როგორც პირველი რიგის მემკვიდრისთვის სავალდებულო წილის მიკუთვნება, მიიჩნია, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1379-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, სწორედ მოსარჩელის მტკიცების საგანს წარმოადგენდა, რომ მ. ჯ-ის მიერ ნ. ჯ-ის ნაანდერძევი ქონება იმ წილის ნახევარზე ნაკლები იყო, რომელსაც ნ. ჯ-ე კანონით მემკვიდრეობისას მიიღებდა. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ჯ-ის მიერ 2004 წლის 25 დეკემბერს სანოტარო წესით შედგენილი ანდერძის თანახმად, მ. ჯ-ემ შპს „ხ-ი“ კუთვნილი წილი უანდერძა ძმას – ჯ. ჯ-ეს, ხოლო შვილს ნ. ჯ-ეს უანდერძა ქ. მოსკოვში, ლ-ის გამზ. №137-ის, I კორპუსში მდებარე ბინა №44 და ქ. გელენჯიკში მდებარე პანსიონატ „ჰ-ის“ აქციები. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ იმ ქონების ლირებულება, რომელიც მამკვიდრებლის შვილს – ნ. ჯ-ეს ეანდერძა, ნაკლები იყო იმ ქონების ლირებულებაზე, რომელსაც იგი მიიღებდა სავალდებულო წილის სახით, ანდერძით მემკვიდრე რომ არ ყოფილიყო.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 115-ე, 1158-ე, 1159-ე, 1160-ე 1164-ე 1171-ე 130-ე მუხლებით და განმარტა, რომ ვინაიდან მ. ჯ-ე გარდაიცვალა განქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ხოლო განქორწინებიდან სამწლიან ვადაში სადავო უძრავი ქონება მემკვიდრეობით საკუთრებაში მიიღო ო. ჯ-ის მცირეწლოვანმა შვილმა, რომლის კანონიერი წარმომადგენელიც თავად ი. ჯ-ა, ვალატამ მიიჩნია, რომ მეუღლის მიერ ქონების თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე სარჩელის აღმდეგის ხანდაზმულობის ვადა უნდა ათვლილიყო არა უშუალოდ განქორწინების თარიღიდან, არამედ იმ მომენტიდან, როდესაც ო. ჯ-ის ცნობილი გახდა სადავო უძრავ ქონებაზე ჯ. ჯ-ის პრეტენზიის თაობაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ო. ჯ-ეს სარჩელი თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე აღძრული ჰქონდა ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის

სასამართლოს მსჯელობა და მიიჩნია, რომ ანდერძით მემკვიდრისათვის ანდერძის შესახებ ინფორმაციის არქონა მაშინ, როდესაც იგი არ წარმოადგენდა მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეს და მისთვის ცნობილი იყო მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეების არსებობის თაობაზე, რომელთაც სამკვიდროს მიღების უბირატესი უფლება გააჩნდათ სხვა რიგის მემკვიდრეებთან შედარებით, წარმოადგენდა სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიო მიზეზს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ, ვინაიდან შპს „ხ-ი“ 25%-იანი წილი მ. ჯ-ემ შეიძინა ი. ჯ-ან რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში და საფუძვლიანად იქნა მიჩნეული ი. ჯ-ის სარჩელი, მიიჩნია, რომ 2004 წლის 25 დეკემბრის ანდერძით მ. ჯ-ეს შეეძლო განეკარგა მხოლოდ მისი კუთვნილი, შპს „ხ-ას“ 12,5%-იანი წილი. შესაბამისად, ჯ. ჯ-ეს, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრეს უნდა მიკუთვნებოდა ანდერძით განკარგული ქონების, შპს „ხ-ას“ 12,5%-იანი წილი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯ. ჯ-ემ და ნ. ჯ-ემ (კანონიერი წარმომადგენელი ი. ჯ-ე) საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

ჯ. ჯ-ე გადაწყვეტილებას ასაჩივრებს მესამე პირის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1171-ე მუხლი, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისათვის სამწლიან ხანდაზმულობის ვადას ითვალისწინებს, ვადის ათვლა კი, მეუღლეთა განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან იწყება. უსაფუძვლოა იმ გარემოებაზე მითითება, რომ ი. ჯ-ის შვილის – ნ. ჯ-ის მიერ 2006 წელს სამკვიდროს მიღების გამო, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იმ დროიდან უნდა დაიწყოს, როდესაც ჯ. ჯ-ემ სარჩელი აღძრა.

ნ. ჯ-ის კანონიერი წარმომადგენელი – ი. ჯ-ე გადაწყვეტილებას შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ასაჩივრებს და მოითხოვს, ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას. კასატორის მითითებით, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, იმის თაობაზე, რომ პირველი რიგის მემკვიდრე ნ. ჯ-ემ ანდერძით რაიმე ქონება მიიღო. ქ. გ-ში მდებარე პანსიონატ „ჰის“ წილი, ანდერძის შედგენის დროისათვის მოანდერძეს არ ეკუთვნოდა.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შე-

ისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ჯ.-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარე-მოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია შპს „ხ-ას“ 25%-იანი წილიდან, როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებიდან, ი. ჯ.-ის S -ის მიუკუთვნების მართლზომიერება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მამკვიდრებელი მ. ჯ.-ე გარდაიცვალა 2005 წლის 5 თებერვალს. ნ. ჯ.-ე არის მ. ჯ.-ის შვილი. ჯ. ჯ.-ე – მ. ჯ.-ის ძმა. მამკვიდრებლის გარდაცვალებისას მის საკუთრებაში ირიცხებოდა შპს „ხ-ი“ 25%-იანი წილი. 2004 წლის 25 დეკემბერს მ. ჯ.-ემ სანოტარო წესით შედგენილ ანდერძში გამოაცვლინა უკანასკნელი ნება და შპს „ხ-ი“ კუთვნილი წილი უანდერძა ძმას – ჯ. ჯ.-ეს, ხოლო შვილ ნ. ჯ.-ეს – ქ. მოსკოვში, ლი-ის გამზ. №137-ის I კორპუსში მდებარე ბინა №4 და ქ. გელენ-ჯიეში მდებარე პანსიონატ „ჰ-ის“ აქციები, დანარჩენი ქონება კი, გადანაწილდა მოანდერძის ყოფილ მეუღლე ი. ჯ.-სა და დედა ლ. ქ.-ს შორის. მ. ჯ.-ემ ანდერძს პირადად მოაწერა ხელი ორი მოწმის თანდასწრებით. 2006 წლის 19 დეკემბერს ნოტარიუს დ. გ.-ის მიერ მ. ჯ.-ის სამკვიდრო ქონებაზე – შპს „ხ-ი“ 25%-იან წილზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა შვილის – ნ. ჯ.-ის სასარგებლოდ, რომლის საფუძველზეც იგი დარეგისტრირდა ამ ქონების მესაკუთრედ მენარმეთა რეესტრში, ასევე განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები შპს „ხ-ას“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მონაცემებში. ი. ჯ.-ე და მ. ჯ.-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1990 წლის 1 თებერვლიდან 2004 წლის 14 სექტემბრამდე. შპს „ხ-ი“ წილი მ. ჯ.-ემ შეიძინა ი. ჯ.-ან რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში – 2003 წლის 21 აგვისტოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია“ აღნიშნული ნორმის მიზნებისათვის გულისხმობს მხარის მითითებას იმ საპროცესო სამართლებრივ დარღვევებზე, რის შედეგადაც საქმის ფაქტობრივი გარემოებები არასწორად დადგინდა. განსაკუთრებით ეს ეხება მტკიცებულებათა არასწორად შეფასების საკითხს. განსახილველ შემთხვევაში, კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარ-

მოუდგენია, შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარე-მოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მ. ჯ-ე გარდაიცვალა განქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ხოლო განქორწინებიდან სამწლიან ვადაში სადაცო უძრავი ქონება მემკვიდრეობით მიიღო ი. ჯ-ის მცირენლოვანმა შვილმა, რომლის კანონიერი წარმომადგენელიც თავად ი. ჯ-ა, მეუღლის მიერ ქონების თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე სარჩელის აღძვრის ხანდაზმულობის ვადა უნდა ათვლილიყო არა უშუალოდ განქორწინების თარიღიდან, არამედ იმ მომენტიდან, როდესაც ი. ჯ-ის ცნობილი გახდა სადაცო უძრავ ქონებაზე ჯ. ჯ-ის პრეტენზიის თაობაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ჯ-ეს სარჩელი თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე აღძრული ჰქონდა ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.

სამოქალაქი კოდექსის 1158-ე მუხლის თანახმად, მეუღლე-თა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო 1164-ე მუხლის თანახმად კი, მეუღლეთა საერთო ქონება თითოეული მეუღლის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ. იმავე კოდექსის 1171-ე მუხლის თანახმად, განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია სამოქალაქი კოდექსის 1171-ე მუხლის განმარტების სისწორე, კერძოდ ის გარემოება, მეუღლის მიერ ქონების თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე სარჩელის აღძვრის ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა მოხდეს უშუალოდ განქორწინების თარიღიდან, თუ იმ მომენტიდან, როდესაც ი. ჯ-ის ცნობილი გახდა სადაცო უძრავ ქონებაზე ჯ. ჯ-ის პრეტენზიის შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტაეს, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაში პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა. სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის სწორად შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნის იძულებითი რეალიზაციის ვადის დენის დასაწყისის განსაზღვრას. სამოქალაქი კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შე-

ეტყო უფლების დარღვევის შესახებ, ე.ი, თუ მოთხოვნის წარმოშობისა და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს, ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანხვედრაშია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1171-ე მუხლის საფუძველზე, ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ობიექტური მომენტი განქორნინების რეგისტრაციაა, ვინაიდან, განქორნინებული მეუღლებისათვის იმთავითვე ცნობილი უნდა იყოს მოთხოვნის უფლების არსებობის თაობაზე, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მხარეებს შორის ქონებრივი დავის არსებობა-არარსებობა ერთ-ერთი კრიტერიუმია, რაც განსაზღვრავს განქორნინების საკითხის გადაწყვეტის ნესს.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ჯ. ჯ-ე განქორნინებიდან რამდენიმე თვეში გარდაიცვალა და სადაც კონება ი. ჯ-ის შვილმა მიიღო მემკვიდრეობით, ამდენად, ი. ჯ-ეს წილის მოთხოვნის უფლების ინტერესი არ გააჩნდა, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ამ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ ი. ჯ-ის მოთხოვნის უფლებაზე გავლენას არ ახდენს სამკვიდროს ნ. ჯ-ის მიერ მიღების ფაქტი. ი. ჯ-ე და ნ. ჯ-ე დამოუკიდებელი პირებია, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართლებრივი ინტერესებით, შესაბამისად, ქონების ნ. ჯ-ის მიკუთვნება ვერ უზრუნველყოფს ი. ჯ-ის კანონიერი ინტერესების დაცვას, მიუხედავად იმისა, რომ ი. ჯ-ე მცირებლოვანი ნ. ჯ-ის კანონიერი წარმომადგენელია. ამ გარემოების გათვალისწინებით, მართალია, სადაც კონებას მართავდა ი. ჯ-ე, მაგრამ იგი მოქმედებდა ნ. ჯ-ის და არა საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

ყოველივე ზემოალნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1171-ე მუხლი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმდის საფუძველია.

იმავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია, ხოლო საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება მიღებულია მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 1171-ე მუხლის არასწორი განმარტების გამო, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიღილს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ჯ.-ის სარჩელი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს და იგი შპს „ხ-ას“ 25%-იანი წილის მესაკუთრედ იქნეს ცნობილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც, ხოლო იმავე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ვინაიდან ჯ.-ის სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, ნ. ჯ.-ემ და ო. ჯ.-ემ მას სოლიდარულად უნდა აუნაზღაურონ პირველ და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სულ 545,80 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:**

1. ჯ.-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება ო. ჯ.-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და მისთვის შპს „ხ-ას“ 25%-იანი წილის 1/2-ის მიუთვნების, ასევე ჯ.-ის შპს „ხ-ას“ 12,5%-იანი წილის მიუთვნების ნაწილში (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2, მე-3, 3.1, 3.2 პუნქტები) და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:
  3. მესამე პირ ო. ჯ.-ის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს;
  4. ჯ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
  5. ჯ. ჯ.-ე ცნობილ იქნეს შპს „ხ-ას“ (საიდენტიფიკაციო კოდი

...) 25%-იანი წილის მესაკუთრედ;

6. ი. ჯ-სა და არასრულნლოვან 6. ჯ-ეს სოლიდარულად დაეკისროთ ჯ. ჯ-ის სასარგებლოდ პირველ და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, სულ 545,80 ლარის, ანაზღაურება;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ალიმენტის ოდეოპის განსაზღვრა სასამართლოს მიერ

### განხილვა

№ას-1610-1511-2012

4 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

### ალწერილობითი ნაწილი:

ს.კ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში 6.კ-ის მიმართ 2009 წლის 12 ნოემბერს დაბადებული არასრულნლოვანი შვილის, ა.კ-ის სასარგებლოდ ყოველთვიურად ალიმენტის – 500 ლარისა და სარჩელის აღძრამდე – 2009 წლის 12 ნოემბრიდან 2012 წლის 25 ივნისამდე დაგროვილი ალიმენტის ყოველთვიურად 500 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2009 წლის 12 ნოემბერს ს.კ-სა და 6.კ-ეს შეეძინათ შვილი. მიუხედავად მხარეთა შეთანხმებისა, მოპასუხე არ მონაწილეობს მის რჩენა-აღზრდაში. შვილის დაბადების მოწმობაში მამის გრაფაში მამა არ არის მითითებული, ხოლო გვარად დედის სურვილით მიეთითა კ-ე. შვილის რჩენა-აღზრდაზე უარის თქმის გამო ს.კ-ემ მამობის დადგენა სასამართლო წესით მოითხოვა, რაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაემაყოფილდა. მოსარჩელის განმარტებით, 6.კ-ის კმაყოფაზე არ იმყოფებიან მისი რეგისტრირებულ ქორნინებაში დაბადებული შვილები მათი სრულნლოვანების გამო,

ამასთან, მოპასუხე პროფესიით მეზღვაურია, ხშირადაა დასაქტებული უცხოური კომპანიების გემებზე და აქვს სოლიდური ანაზღაურება, თვეში საშუალოდ 4000 აშშ დოლარიდან 6000 აშშ დოლარამდე, აღნიშნული გარემოება სათანადო მტკიცებულებით არ დასტურდება, რადგანაც შპს „ბალტიკ გრუპ ინტერნეიშენალ ჯორჯიას“ მოსარჩელის მოთხოვნის საბასუხოდ არაფერი გაუკეთებია, ს.კ-ებ მიუთითა ასევე მის რთულ ქონებრივ მდგომარეობაზე, რომ, მიუხედავად დასაქმებისა, მისი მატერიალური სახსრები შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის არასაკმარისია.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ, ალიმენტის – 50 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში ცნო, დანარჩენ ნაწილში კი, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი დასაბუთებით:

მოპასუხების განმარტებით, ის 60 წლის ასაკს მიღწეულია, ანუ ხებს გულის დაავადება და თავად საჭიროებს მატერიალურ დახმარებას მედიკამენტების შესაძლებად, ნ.კ-ეს რაიმე შემოსავალი არ გააჩნია და შესაგებელში მითითებულზე მეტი თანხის გადახდა ფიზიკურად არ შეუძლია. უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა 2009 წლიდან სარჩელის აღდვრამდე ალიმენტის დაკისრების თაობაზე, რადგანაც ნ.კ-ის შვილის დაბადების თაობაზე ცნობილი მხოლოდ 2011 წელს, მოსარჩელის წერილობითი მიმართვის შედეგად გახდა ცნობილი. სწორედ ამ დრომდე არ არსებობდა ჩანაწერი მამის თაობაზე ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში. აღნიშნულის გათვალისწინებით, არასწორია სარჩელში მითითებული გარემოება ალიმენტის გადახდაზე თავის არიდების შესახებ, ამდენად, არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელეს გააჩნია მაღალი ანაზღაურება, მუშაობს სტილისტად, ასევე შეკვეთით კერავს ძვირადლირებულ სამოსს, სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლიდან გამომდინარე, მას თავადაც გააჩნია შვილის რჩენა-აღზრდის ვალდებულება, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლომ აღმიმენტის ოდენობა სამართლიანად უნდა შეაფასოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით ს.კ-ის სარჩელი ნ.კ-ის მიმართ ალიმენტის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნ.კ-ეს 2009 წლის 12 ნოემბერს დაბადებული არასრულწლოვანი შვილის – ა.კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა აღმიმენტის – 100 ლარის გადახდა ყოველთვიურად 2012 წლის 5 ივლისიდან მის სრულწლოვა-

ნებამდე, ასევე გასული პერიოდის, კერძოდ, 2011 წლის ივლი-სიდან 2012 წლის ივლისამდე ალიმენტის – 1200 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-სით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა ახალი გადაწყვეტი-ლებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ს.კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის სა-ქალაქო სასამართლოს 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება და ს.კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ.კ-ეს 2009 წლის 12 ნოემ-ბრის დაბადებული შვილის – ა.კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის, ასევე ყოველთვიურად 500 (ხუ-თასი) ლარის გადახდა 2012 წლის 5 ივლისიდან ა.კ-ის სრულ-ნლოვანებამდე. სააპელაციო პალატამ მიუთითა შემდეგ გარე-მოებებზე:

2009 წლის 12 ნოემბრის დაბადებული ა.კ-ე ს.კ-სა და ნ.კ-ის შვილია. ნ.კ-ე არ აღიარებდა, რომ იყო ა.კ-ის მამა, თუმცა ეს დადგინდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 26 დე-კემბრის გადაწყვეტილებით. ნ.კ-ეს ა.კ-ის აღზრდასა და რჩენა-ში მონაწილეობა არ მულია. ნ.კ-ე მეზღვაურია. 2012 წლის 7 აპრილამდე იგი დასაქმებული იყო საზღვაო კომპანიებში და მი-სი ყოველთვიური შემოსავალი შეადგნენდა 7 500 აშშ დოლარს. გარდა მცირენლოვანი ა.კ-სა, ნ.კ-ის კმაყოფაზე არ იმყოფება არც ერთი პირი, რომლის რჩენის ვალდებულებაც მას კანონით ევალება. ს.კ-ე ა.კ-ის დაბადებიდან სთხოვდა ნ.კ-ეს სარჩოს ა.კ-ის, თუმცა ნ.კ-ე ამ ვალდებულებას თავს არიდებდა.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 102-ე მუხლით, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიუთითა „SHIPPING AND TOURISM CO. TLD-ს“ მიერ გაცემულ ცნობაზე, ასევე ს.კ-ის მიერ საქმეში წარდგენილ ინდივიდუალურ შრო-მით კონტრაქტზე და დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 7 სექტემბრს ნ.კ-ემ კონტრაქტი გააფორმა კომპანია „TRUE CO-OLORS SHIPPING INC-თან“ და 2011 წლის 7 სექტემბრიდან 2012 წლის 7 აპრილამდე საქმიანობდა თბომავალ „თრუე ჩოლორ-ზე“. ამ სამუშაოს შესრულებისათვის ნ.კ-ე ყოველთვიურად იღებდა ხელფასს, 7500 აშშ დოლარს. პალატის მოსაზრებით, მხოლოდ 2011 წლის 7 სექტემბერს გაფორმებული კონტრაქტის საფუძ-ველზე ნ.კ-ემ მიიღო  $7500 \times 7 = 52500$  აშშ დოლარი. „SHIPPING AND TOURISM CO. TLD-ს“ მიერ გაცემულ ცნობაში მითითებული იყო, რომ 2012 წლის ივლისისათვის ნ.კ-ე ვეღარ საქმიანობდა „ასა-

კის გამო“. პალატის მოსაზრებით, აღნიშნული ნიშნავდა იმას, რომ მანამდე, სანამ არ არსებობდა მითითებული ხელშემშლელი გარემოება, ნ.კ-ე იყო დასაქმებული და იღებდა შემოსავალს. იგივე დგინდებოდა მოწმე ლ. ბ-ას ჩვენებით. სასამართლომ მიუთითა აღნიშნულ ჩვენებაზე, რომლის თანახმადაც მოწმემ უჩვენა, რომ „ნ.კ-ე ხშირად მიერგვა ზარებოდა ნაოსნობაში, ხოლო ს.კ-ე მას მეულლესავით ელოდა“. პალატის მოსაზრებით, ა.კ-ის დაბადებიდან 2012 წლის 7 აპრილამდე ნ.კ-ემ მიიღო ხელფასი დაახლოებით 52500X3=157500 აშშ დოლარი. სანინაალმდევონ დამადასტურებელი მტკაცებულებები აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს არ წარუდგენია. პალატამ არ გაიზიარა ნ.კ-ის მოსაზრება, რომ 2004 წლიდან იგი ვერ საქმიანობდა ავადმყოფობის გამო. სასამართლოს მითითებით, უდავოდაა დადგენილი, რომ 2011 წლის სექტემბრიდან ნ.კ-ე დასაქმებული იყო და „SHIP-PING AND TOURISM CO. TLD-ს“ მიერ გაცემული ცნობის მიხედვით არ ირკვეოდა, თუ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს დასაქმებაში ავადმყოფობა უშლიდა ხელს რაც მიუთითებდა, რომ მიუხედავად 2004 წლის ივლისში გადატანილი ინფარქტისა, ნ.კ-ე საქმიანობდა და იღებდა შემოსავალს.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია სასამართლოს მიერ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის წესი და მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ მოთხოვნილი ალიმენტი აუცილებელი იყო მცირენლოვანი ბავშვის ნორმალური რჩენისა და აღზრდისათვის და მისი ოდენობა საცხებით შეესაბამებოდა ნ.კ-ის მატერიალურ მდგომარეობას – ნ.კ-ის ყოველთვიური შემოსავალი აღემატებოდა აპელანტის მიერ მოთხოვნილი ალიმენტის ოცდახუთმაგ ოდენობას, ე.ი მისი ერთი თვის ხელფასი საკმარისი იყო ა.კ-ის ორ წელზე მეტი წნის განმავლობაში ალიმენტის გადასახდელად. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის მოთხოვნა ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში დასაბუთებული იყო. გაზიარებულ იქნა აპელანტის პოზიცია, რომ იგი მოწინააღმდეგე მხარეს სარჩოს სთხოვდა ბავშვის დაბადების დღი-დან. პალატამ აღნიშნული დასკვნა დაამყარა სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებსა და შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების მიერ მოკვლეულ მასალებს, კერძოდ, რ. ვ-ის გამოკითხვის ოქმის თანახმად, ნ.კ-ის შეიღმა ლ. კ-მ ს.კ-ეს უთხრა: „შენ გინდა მამაჩემის ფული და მეტი არაფერი გაინტერესებსო“. სასამართლოს მოსაზრებით, ეს ფაქტი უდავოდ ადასტურებდა, რომ აპელან-

ტი მოწინააღმდეგე მხარისაგან თანხას ითხოვდა. რ. ვ-ის მითი-  
თებით, ს.კ-ემ გააჩინა შვილი, რომელსაც მამა არ აღიარებდა,  
რასაც დედა განიცდიდა, სასამართლოს შეფასებით, ეს ნიშნავს,  
რომ მხარეთა შორის დავა როგორც ბავშვის მამობის, ასევე მი-  
სი რჩენის თაობაზე ა.კ-ის დაბადებიდანვე დაიწყო. პალატამ  
ასევე მიუთითა მოწმე ლ. ბ-ას განმარტებაზე (ს.კ-ემ ნ.კ-ეს თან-  
ხა მოსთხოვა ბავშვის დაბადებამდეც – ორსულობისა და მშო-  
ბიარობის პერიოდში (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012  
წლის 25 ივლისის სხდომის ოქმი: 15:20:00-15:20:55). ამდენად,  
სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,  
აპელანტის მოთხოვნა მოწინააღმდეგე მხარისათვის ალიმენ-  
ტის 2009 წლის 12 ნოემბრიდან დაკისრების თაობაზე საფუძ-  
ვლიანად იქნა მიჩნეული. ნარსული დროისათვის აპელანტმა მო-  
ითხოვა მოწინააღმდეგე მხარისათვის 15000 ლარის დაკისრე-  
ბა. აღნიშნული თანხა შეესაბამებოდა 30 თვის განმავლობაში  
მისაღები ალიმენტის ოდენობას. 2009 წლის 12 ნოემბრიდან სარ-  
ჩელის აღძრამდე გასული იყო 31 თვე, რაც ს.კ-ის მოთხოვნის  
დასაბუთებულად მიჩნევის წინაპირობა გახდა. აღნიშნული გა-  
რემოებების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივ-  
რებული გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად დასაბუ-  
თებული არ იყო და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე  
მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, არსებობდა მისი გაუქმების  
წინაპირობები.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით  
გაასაჩივრა ნ.კ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქალაქო სასა-  
მართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შემდეგ საფუძ-  
ვლებით:

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კანონი, კერძოდ, არას-  
წორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხ-  
ლი, რომელიც თითოეულ მხარეს ავალდებულებს ფაქტობრივი  
გარემოების დადასტურების ტვირთს. სასამართლომ ყოველგვა-  
რი წერილობითი მტკიცებულების საფუძველზე დადგენილად  
მიიჩნია კასატორის მიერ შემოსავლის მიღების ფაქტი, მაშინ,  
როდესაც წებისმიერი ხელშეკრულების არსებობა, მისი შესრუ-  
ლების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება არ არის.  
გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ ნ.კ-ეს მძი-  
მე ფინანსური ვალდებულება დაკისრა, ხოლო მტკიცებულე-  
ბებთან მიმართებით სასამართლოს მსჯელობა არ გამომდინა-  
რეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთ-  
ხოვნიდან. სააპელაციო პალატამ ასევე დაარღვია სამოქალაქო  
კოდექსის 1214-ე მუხლის მოთხოვნა, რაც იმაში გამოიხატა, რომ

არ იქნა გაზიარებული ნ.კ-ის მძიმე ფინანსური და ჯანმრთელობის მდგომარეობა, ის თავად საჭიროებს მზრუნველობას, ფიზიკურად ვეღარ მუშაობს და არ გააჩნია შემოსავალი. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილება დაამყარა მოწმეთა ჩვენებაზე და არ გაიზიარა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მითითება, რომ მოწმეები სასამართლო სხდომაზე ადასტურებდნენ არა უშუალოდ მათ მიერ ნანახ გარემოებებს, არამედ ს.კ-ის ნაამბობს, აღნიშნული მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან არ გამომდინარეობს. რაც შეეხება წარსული დროისათვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობას, აღნიშნული ასევე არასწორად დაადგინა სასამართლომ, საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება ს.კ-ის მიერ ალიმენტის მოთხოვნით კასატორისათვის მიმართვის ფაქტი. მიმართვამდე არსებული დროისათვის ს.კ-ის თავად იყო უცნობი ბავშვის მამის ვინაობა, აღნიშნულს ადასტურებს ბავშვის დაბადების მოწმობაში მამის ვინაობის მიუთითებლობა. პალატამ არ გაიზიარა მშობლების რეალური ქონებრივი მდგომარეობა, კერძოდ ის, რომ ბავშვის დედას საკმაოდ მაღლი ანაზღაურება გააჩნია, მუშაობს ერთ-ერთ პრესტიულ სალონში სტილისტად და შეკვეთით კერავს ძვირადლირებულ ტანსაცმელს.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა ის გარემოება, რომ 2009 წლის 12 ნოემბრის შემდგომ ნ.კ-ე მხოლოდ ერთხელ იყო მეზღვაურად სამუშაოდ, ინფარქტის გადატანის შემდგომ საჭიროებდა მკურნალობას, თავად კონტრაქტი მოკლევადიანი იყო 4 თვიდან 6 თვემდე, ხოლო სასამართლომ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 7 აპრილამდე მოპასუხე დასაქმებული იყო და 7500 აშშ დოლარის ოდენობით შემოსავალს იღებდა, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ ნ.კ-ეს ანუხებდა გულის დაავადება, რაც გამორიცხავს მის დასაქმებას. საყურადღებოა, რომ მოსარჩელემ თანხის გადახდა მხოლოდ მას შემდეგ მოითხოვა, რაც ექსპერტიზის ჩატარების შედეგად, ბავშვის დაბადებიდან 2 წლის შემდეგ დაადგინა შვილის მამის ვინაობა, ექსპერტიზის პროცედურის გამო, კასატორმა გადაიტანა გულის ინფარქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 21 იანვრის განჩინებით ნ.კ-ის საკასაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობილ იქნა დასაშვე-

ბად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიაონობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ.კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (მედავება). აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებული საკასაციო საჩივრის (პრეტენზის), შემთხვევაში, შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, ანუ შეამოწმოს, დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები.

როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასატორი სადაცოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შეეხება გასული პერიოდის ალიმენტის დაკისრებასა და ალიმენტის ოდენობის განსაზღვრას, კერძოდ, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ მტკიცებულებათა არასწორი შეფასებით განსაზღვრა მოჰპასუხის მატერიალური მდგომარეობა, ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია, რომ მოსარჩევე ალიმენტის გადახდას ითხოვდა ბავშვის დაბადების მომენტიდან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შეილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი

საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. ამავე კოდექსის 1202-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ, ხოლო ამავე კოდექსის 1212-ე მუხლის თანახმად, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო რეგულაცია მშობლების სააღმიენტო მოვალეობასთან დაკავშირებით ითვალისწინებს როგორც ნებაყოფლობით, ასევე იძულებით მექანიზმებს, კერძოდ, კოდექსის 1214-ე მუხლის შესაბამისად, თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ აღმიენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადახუცეტს სასამართლო. აღმიენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შეილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. აღმიენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შეილის რეალურ მატერიალურ მდგრმარეობას. ამდენად, კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალიმენტის მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორიცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია იმასთან დაკავშირებით, რომ 2009 წლის 12 ნოემბერს დაბადებული ა.კ-ე ს.კ-სა და 6.კ-ის შეილია. გარდა მცირერელვანი ა.კ-სა, 6.კ-ის კმაყოფაზე არ იმყოფება არც ერთი პირი, რომლის რჩენის ვალდებულებაც მას კანონით ევალება. 2011 წლის 7 სექტემბერს 6.კ-ემ კონტრაქტი გააფორმა კომპანია „TRUE COLORS SHIPPING INC-თან“ და 2011 წლის 7 სექტემბრიდან 2012 წლის 7 აპრილამდე საქმიანობდა თბომავალ „თრუე ჩოლორ-ზე“, „SHIPPING AND TOURISM CO. LTD-ს“ მიერ გაცემული ცნობის თანახმად, 2012 წლის ივლისისათვის 6.კ-ე ველარ საქმიანობდა ხანდაზმულობის გამო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას

იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, უნდა წარედგინა სასამართლოსთვის სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში ნ.კ-ის მიერ ყოველთვიური შემოსავლის, 7500 აშშ დოლარის, მიღების ფაქტის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ „TRUE COLORS SHIPPING INC-თან“ ინდივიდუალური შრომითი კონტრაქტის გაფორმების ფაქტი და მხარეთა შორის შრომის ანაზღაურებაზე შეთანხმება იძლევა იმ პრეზუმუციის დაშვების შესაძლებლობას, რომ ნ.კ-ე კონტრაქტის მოქმედების ვადაში ყოველთვიურად იღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემოსავალს (7500 აშშ დოლარს). საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ეკისრება კასატორს, რაც მან არ განახორციელა. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ნ.კ-ის ავადმყოფობის ფაქტი. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ მართებულად აღნიშნა ის გარემოება, რომ ნ.კ-ის მიერ 2004 წელს გადატანილი ინფარქტი არ ადასტურებდა მის შრომისუნარობას, ვინაიდან მოპასუხის ამ პოზიციას აქარნლებდა საქმეში წარმოდგენილი შრომითი კონტრაქტი, რომელიც გაფორმებულია „TRUE COLORS SHIPPING INC-თან“ 2011 წლის 7 სექტემბერს.

საკასაციო პალატა მიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, სადაც დადგენილია, რომ ა.კ-ის დაბადებიდან 2012 წლის 7 აპრილამდე ნ.კ-ებ მიიღო ხელფასი – დაახლოებით  $52500 \times 3 = 157500$  აშშ დოლარი, ასევე ნ.კ-ე 2012 წლის 7 აპრილამდე იყო დასაქმებული საზღვაო კომპანიებში და მისი ყოველთვიური შემოსავალი შეადგენდა 7 500 აშშ დოლარს, არ გამომდინარეობს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა-გამოკვლევიდან.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ გაამახვილებს ყურადღებას საქმეში წარმოდგენილ იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც მიუთითებენ მოპასუხის ფინანსურ შესაძლებლობაზე, კერძოდ: „Baltic Group International Ltd-ის“ მიერ სასამართლოსადმი გაგზავნილ მიმართვაში, აღნიშნული კომპანია აცხადებს, რომ ნ.კ-ე 2009 წლის 12 ნოემბრიდან არ ყოფილა დასაქმებული მითითებული კომპანიის შუამავლობით და მათ არ გააჩნიათ რაიმე ინფორმაცია მისი შრომითი საქმიანობისა და ანაზღაურების შესახებ; „SHIPPING AND TOURISM CO. TLD-ს“ მიერ 2012 წლის 16 ივლისს გაცემულ წერილში, აღნიშნული კომპანია აცხადებს, რომ 6. კ-ე 2011 წელს მხოლოდ ერთი კონტრაქტით იყო დასაქ-

მებული; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 24 აგვისტოს ნერილში აღნიშნულია, რომ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს არ გააჩნია ინფორმაცია მეზღვაურთა შრომითი კონტრაქტების და მათი ანაზღაურების თაობაზე.

ამდენად, ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი მტკიცებულება არ ადასტურებს მოპასუხის მიერ მუდმივი დასაქმებისა და შემოსავლის მუდმივად მიღების ფაქტს. ერთადერთი მტკიცებულება, რაც ადასტურებს ა. კ-ის დაბადების შემდეგ განსაზღვრული ვადით ნ. კ-ის მიერ დასაქმებისა და შემოსავლის მიღების ფაქტს, არის შრომითი კონტრაქტი. მართალია, სასამართლო დამატებით მიუთითებს მოწმე ლ. ბ-ას ჩვენებაზე, თუმცა, სასამართლომ მოწმის ჩვენება ისე გაიზიარა, რომ არაფერს ამბობს აღნიშნული მტკიცებულების სარწმუნობასა და დამაჯერებლობაზე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოთ დასახელებული მტკიცებულებები, მართალია, აქმაყოფილებენ დასაშეებობის მოთხოვნებს, თუმცა, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებენ კასატორის მატერიალურ მდგომარეობას იმ სახით, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია დადგენილად, შესაბამისად, დაუსაბუთებელია სასამართლოს შინაგანი რწმენა და იგი არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შესრულებული მტკიცებულებათა შეფასებიდან. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, ხოლო, რაც შეეხება ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, აღნიშნული გულისხმობს მტკიცებულებათა შეფასებას მათი დასაშეებობის, განკუთვნადობის, სარწმუნობის, იურიდიული ძალის მიხედვით. ასეთ დროს მნიშვნელოვანია ასევე სასამართლომ სწორად განსაზღვროს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებს ესა თუ ის მტკიცებულება.

მნიშნელოვანია კასატორის დასაბუთებული პრეტენზია, რომელიც მოწმეთა ჩვენებებით ბავშვის დაბადებიდან სარჩოს მოთხოვნისა და ვალდებული პირის მიერ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებაზე თავის არიდების ფაქტებს ეხება. მოსარჩელემ სადაცო გარემოების დასადასტურებლად წარადგინა მოწმეთა ჩვენებები, ასევე შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების მიერ მოკვლეული მა-

სალები. დაკითხულ მოწმეთაგან ერთი მოსარჩელის დედაა, ხოლო მეორე მოსარჩელის ნათესავი. საგულისხმოა, რომ მოპასუნებმ მიანიშნა სასამართლოს მოსარჩელესთან მათი დამოკიდებულების, ასევე იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი მოწმე, ლ. ბაგადმოსცემდა არა უშუალოდ მის მიერ აღქმულ მოვლენებს, არამედ მოსარჩელის მონაყოლს (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი: 15:22:57, 15:23:06). რაც შეეხება შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განცყოფილების მიერ მოკვლეულ მასალებს, სასამართლომ შეაფასა ოქმში გადმოცემული ცალკეული გამონათქვამები და არა მთლიანი შინაარსი სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას, სასამართლო ვალდებულია, ისევე, როგორც სხვა სახის მტკიცებულება, მოწმის ჩვენება შეაფასოს მისი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით, იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულება, ფიზიკური მდგომარეობა, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოწმის ჩვენებაზე და სხვა) გათვალისწინებით, რომელიც ამ მტკიცებულებისთვისაა დამახასიათებელი. ამ მიმართებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს სრულად და უტყუარად არ გამოუკვლევია მოწმეთა ჩვენებები.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, როგორც ალიმენტის ოდენობის, ასევე წარსული დროის ალიმენტის განსაზღვრის ნაწილში საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ უნდა გამოიტანოს დასკვნები საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობა-არარსებობის თაობაზე და სამართლებრივად შეაფასოს ისინი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსაზილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაიწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**  
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. 6.კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-  
ლაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვე-  
ტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმა-  
ვე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-  
რდება.

### **ალიგათის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახალის**

№ას-1299-1226-2012

24 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

მ.ბ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ.ბ-ის მიმართ და მო-  
ითხოვა მხარეთა საერთო შვილის სასარგებლოდ დაკისრებული  
20-ლარიანი ალიმენტის 280 ლარით გაზრდა და ერთჯერადი დახ-  
მარების სახით 2000 ლარის გადახდა შემდეგი საფუძვლებით:

2002 წლის 29 იანვრიდან მხარეები იმყოფებოდნენ ქორწი-  
ნებაში. 2002 წლის 19 თებერვალს მათ შეეძინათ შვილი – გ. ბ-ე.

ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 26 თებერ-  
ვლის გადაწყვეტილებით ზ.ბ-ეს შვილის სარჩენად დაეკისრა ყო-

ველთვიურად 20 ლარის, ხოლო ერთჯერადად 100 ლარის ანაზღაურება. აღნიშნულ დროს მოპასუხე იყო უმუშევარი, რამაც იმოქმედა ალიმენტის ოდენობაზე. ამჟამად იგი მუშაობს შპს „საქართველოს ფოსტის“ ლანჩეუთის ფილიალში და მისი ხელფასი შეადგენს 200 ლარს. ამასთან, ზ.ბ-ეს ეკუთვნის ქ.ლანჩეუთში, კ-ის ქ. №11-ში მდებარე სახლის ნაწილი.

არასრულწლოვანი ბავშვის ზრდასთან ერთად ლანჩეუთის რაიონული სასამართლოს მიერ დანიშნული ალიმენტი მისი ნორმალური აღზრდისა და მოვლისათვის საკმარისი აღარ არის.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ამჟამად ჰყავს სხვა მეუღლე და ორი მცირებლოვანი შვილი, შესაბამისად, მეტი ოდენობით ალიმენტის გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია. უმუშევრობისას მას დაგროვილი ჰქონდა მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელი ალიმენტი – 2300 ლარი, რის დასაფარადაც ბანკიდან გამოიტანა სესხი – 2200 ლარი და 200-ლარიანი ხელფასის პირობებში ყოველთვე იხდის 70 ლარს. რაც შეეხება ერთჯერადად გადასახდელ თანხას, მისი დაკისრება ხდება ბავშვის ავადყოფობისას. მოცემულ შემთხვევაში გ. ბ-ე ჯანმრთელია, მოსარჩელემ შეცდომაში შეიყვანა ექიმი, რის საფუძველზეც სასამართლომ უკანონოდ დააკისრა მოპასუხეს 100 ლარის გადახდა. შესაბამისად, ერთჯერადად 2000 ლარის გადახდის საფუძველი არც ახლა არსებობს.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით მ.ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის სარჩენად დაეკისრა სულ 40 ლარის გადახდა, რაც მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ.ბ-ე რეგისტრირებულ ქორნიზებაში იმყოფებოდა ზ.ბ-ან. 2002 წლის 19 თებერვალს, თანაცხოვრების პერიოდში მათ შეეძინათ შვილი – გ. ე.

ლანჩეუთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით მ.ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ზ.ბ-ეს შვილის – გ.ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით ბავშვის სრულწლოვანებამდე.

გ.ბ-ე სწავლობს ლანჩეუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის

სახელობის სასულიერო გიმნაზიაში, სწავლის ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 15 ლარს.

2010 წლის 12 იანვრიდან ზ.პ-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება პ. ი-ან. მათ ჰყავთ ორი შვილი – 2006 წლის 28 მარტს დაბადებული ლ. პ-ე და 2010 წლის 7 თებერვალს დაბადებული ნ. პ-ე.

2012 წლის 2 თებერვალს ზ.პ-სა და სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკს“ შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ზ.პ-ის მიერ კრედიტის დაფარვის მიზნით გადასახდელი თანხა 2016 წლამდე ყოველთვიურად შეადგენს 68 ლარსა და 12 თეთრს.

ზ.პ-ე მუშაობს შპს „საქართველოს ფოსტის“ აჭარისა და გურიის ფოსტის რეგიონალური სამმართველოს ლანჩქუთის საფოსტო ქვეგანყოფილებაში უმცროსი კურიერის თანამდებობაზე და მისი დარიცხული ხელფასი შეადგენს 250 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1212-ე, 1214-ე მუხლებით, 1221-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიიჩნია, რომ ზ. პ-ის მატერიალური მდგომარეობა შეიცვალა, კერძოდ, ხელფასის სახით მას გაუჩნდა შემოსავლის სტაბილური წყარო. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ზ. პ-ის შემოსავალი შეადგენს 250 ლარს. ზ.პ-ის ხელფასიდან – 250 ლარიდან 68,12 ლარი არის საბანკო კრედიტის დაფარვის მიზნით გათვალისწინებული ხარჯი.

ზ. პ-ეს ჰყავს ახალი ოჯახი, მათ შორის, ორი მცირენლოვანი შვილი, რომელებიც, ასევე, იმყოფებიან მის კმაყოფაზე.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ზ. პ-ემ განმარტა, რომ შვილის რჩებისა და ალიმენტის დაკისრების პასუხისმგებლობას თავს არ არიდებს, მაგრამ, მისი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, გონივრულად თვლის, ოზურგეთის სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის 20 ლარით გაზრდას, ანუ ეს იმ თანხას შეესაბამება, რისა გადახდაც მისი ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობით არის შესაძლებელი.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით პალატამ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა ალიმენტის ოდენობის გაზრდაზე 20 ლარით გონივრული და სამართლანია. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა ზ. პ-ის 260 ლარის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო კოდექსის 1215-ე მუხლის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, მე-4 და 103-ე მუხლების თანახმად, პალატამ განმარტა, რომ მ. პ-ის არც განმარტებიდან და არც მის

მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან არ დგინდება გ. ბ-ის მძიმე ავალმყოფობა, დასახიჩრება ან სხვა რამე ისეთი გარემოება, რომელიც ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, ზ. ბ-ის ერთჯერადი დახმარების დაკისრების სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლები არ არსებობს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება მ. ბ-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ არასწორად განსაზღვრა სადაც ალიმენტის ოდენობა, როდესაც მოპასუხის ხარჯებში გაითვალისწინა მის მიერ აღებული სესხი. აღნიშნული სახის ხარჯში შეიძლება, შესულიყო მხოლოდ სესხის სარგებელი და არა მთლიანი თანხა.

სადაც ალიმენტის ოდენობის დადგენისას ასევე არ უნდა მიღებულიყო მხედველობაში ის ფაქტი, რომ ზ.ბ-ეს, შეიღების გარდა, კმაყოფაზე ჰყავდა მეუღლე და დედა.

აღსანიშნავია, რომ მოპასუხე წლების განმავლობაში არ იხდიდა სასამართლოს მიერ დადგენილ ალიმენტს, რის გამოც სისხლის სამართლის პასუხისგებაშიც კი იქნა მიცემული. ალიმენტის გადახდა მან მხოლოდ იმის შემდეგ დაიწყო, რაც მისი უძრავი ქონების მიმართ დაიწყო სააღსრულებო წარმოება.

სასამართლომ უგულებელყო „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 27-ე მუხლის პირველი ნაწილი, სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 1212-ე მუხლი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნია, რომ მ.ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, მ.ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ზ.ბ-ეს მ.ბ-ის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – გ.ბ-ის სარჩენად დაეკისროს ყოველთვიურად ალიმენტის – 60 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელს უნდა ეთქას უარი, ხოლო განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაად-

გინა და სადაცოდ არ გამხდარა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

მ.ბ-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ზ.ბ-ან. 2002 წლის 19 თებერვალს, თანაცხოვრების პერიოდში მათ შეეძინათ შვილი – გ.ბ-ე.

ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით მ.ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ზ.ბ-ეს შვილის – გ.ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით ბავშვის სრულწლოვანებამდე.

გ.ბ-ე სწავლობს ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში, სწავლის ყოველთვიური გადასახად შეადგენს 15 ლარს.

2010 წლის 12 იანვრიდან ზ.ბ-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ბ. ი-ან. მათ ჰყავთ ორი შვილი – 2006 წლის 28 მარტს დაბადებული ლ. ბ-ე და 2010 წლის 7 თებერვალს დაბადებული 6. ბ-ე.

2012 წლის 2 თებერვალს ზ.ბ-სა და სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკს“ შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ზ.ბ-ის მიერ კრედიტის დაფარვის მიზნით გადასახდელი თანხა 2016 წლამდე ყოველთვიურად შეადგენს 68 ლარსა და 12 თეთრს.

ზ.ბ-ე მუშაობს შპს „საქართველოს ფოსტის“ აჭარისა და გურიის ფოსტის რეგიონალური სამმართველოს ლანჩხუთის საფოსტო ქვეგანყოფილებაში უმცროსი კურიერის თანამდებობაზე და მისი დარიცხული ხელფასი შეადგენს 250 ლარს.

კასატორი მ.ბ-ე ითხოვს მხარეთა საერთო არასრულწლოვანი შვილის სარჩენად სასამართლოს მიერ დადგენილი ყოველთვიურად გადასახდელი ალიმენტის – 20 ლარის 300 ლარამდე გაზრდასა და ერთჯერადად 2000 ლარის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს გასაჩივრებული განმინებით დადგენილ ზემოხსენებულ ფაქტებს, თუმცა მიმიჩევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა ისინი, როდესაც მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის სარჩენად განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა მხოლოდ 20 ლარით გაუზარდა, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლი ადგენს, რომ მშობლები მოვალენი არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. ამავე კოდექსის 1213-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტების ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით, თუმცა

ასეთი შეთანხმების მიუღწევლობისას 1214-ე მუხლი დავის გა-დაწყეტას სასამართლოს მიანდობს. ალიმენტის ოდენობის სა-სამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასე-ბის საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

ხსენებული ნორმებიდან გამომდინარე, კანონმდებელი გან-საზღვრავს ყოველი მშობლის ვალდებულებას, იზრუნოს თავის შეილზე, რაც გულისხმობს მისი მატერიალურად უზრუნველ-ყოფის მოვალეობასაც. ჩვეულებრივ, შვილისათვის გადასახდე-ლი თანხის იდენობაზე თანხმდებიან მშობლები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სასამართლო შეფასებს ბავშვის საჭირობებს მისი ასაკისა და სხვა ინდივიდუალური ფაქტორების გათვალის-წინებით, თითოეული მშობლის ოჯახურ და მატერიალურ მდგო-მარობას (იმყოფება თუ არა მათ კმაყოფაზე ოჯახის ისეთი წევ-რი, რომელსაც დამოუკიდებლად თავის რჩენა არ შეუძლია), რის შედეგადაც დაადგენს ალიმენტის ობიექტურ იდენობას, რო-მელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანის რეალურ და აუცი-ლებელ მოთხოვნილებებს.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ზ. ბ-ეს სასამართლომ უკვე დააკისრა არასრულწლოვანი შვილის – გ. ბ-ის სარჩენად ალი-მენტის – 20 ლარის გადახდა.

სამოქალაქო კოდექსის 1221-ე მუხლის მიხედვით, მშობელს, რომელიც არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ალი-მენტს, უფლება აქვს აღძრას სარჩელი სასამართლოს მიერ დად-გენილი აღიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ. იმ მშობ-ლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც ალიმენტს იხდიან მტკიცე თანხის სა-ხით, სასამართლოს უფლება აქვს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, შეამციროს ან გაადიონს ალიმენტის ოდენობა.

განსახილველ შემთხვევაში ზ. ბ-ის მატერიალური მდგომა-რეობა გაუმჯობესდა, მისი ყოველთვიური შემოსავალია 250 ლა-რი, შესაბამისად, მ. ბ-ის მოთხოვნა ალიმენტის ოდენობის გაზ-რდის შესახებ ნაწილობრივ საფუძვლიანია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ ზ. ბ-ის კმაყოფაზე იმყოფება ახალ ქორწინებაში შეძენილი ორი არას-რულწლოვანი შვილი. რაც შეეხება მის ამჟამინდელ მეუღლე ბ. ი-ს, საქმის მასალებში არ არის ნარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ამ უკანასკნელს დამოუკიდებ-

ლად თავის რჩენა არ შეუძლია და მეუღლისაგან განსაკუთრებულ, კანონით დადგენილ მზრუნველობას საჭიროებს.

ამდენად, ზემოხსენებული გარემოებების შეფასების შედეგად სასამართლო მართლზომიერად თვლის ყოველთვიური ალიმენტის გაზრდას 60 ლარამდე, დანარჩენ ნაწილში კი სასარჩელო მოთხოვნის დაკამაყოფილების სამართლებრივი წინაპირობების არსებობა კასატორმა ვერ დაასაბუთა.

სადავო ალმენტის ოდენობაზე გავლენას ვერ მოახდენს ზ. ბ-ის მიერ ყოველთვიურად კრედიტის დასაფარად დადგენილი გადასახადის გადახდა, რაც მისივე მითითებით, წარმოადგენს წლების განმავლობაში გ. ბ-ის სასარგებლოდ დაკისრებულ საალიმენტო დაგალიანებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარის მიერ ძველი ვალდებულებების შეუსრულებლობა ამჟამად არსებული მოვალეობების შესრულებისაგან თავის არიდების საფუძველი ვერ გახდება.

საკასაციო პალატა საკესებით ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას ზ. ბ-ის ერთჯედად თანხის დაკისრებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1215-ე მუხლის თანახმად, მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულნლოვან შევილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახირებით და სხვა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულნლოვანის სარჩენად ალიმენტის გადამხდელი მშობლისათვის დამატებითი ხარჯის სახით ერთჯერადად თანხის გადახდის დაკისრება დასაშვებია მხოლოდ ისეთი განსაკუთრებული გარემოებების დადასტურებისას, როგორიცაა ბავშვის მძიმე ავადმყოფობა, დასახირება და სხვა ობიექტური ფაქტორები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელე მ. ბ-ეს ეკისრებოდა, რაც მან ვერ განახორციელა. შესაბამისად, ამ ნაწილში მისი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ მ.ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, მ. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, ზ. ბ-ეს მ. ბ-ის სასარგებლოდ არასრულნლოვანი შევილის – გ. ბ-ის სარჩენად 2012 წლის 20 თებერვლი-

დან, მზია ბაქანიძის მიერ სარჩელის შეტანის დღიდან დაეკის-როს ყოველთვიურად ალიმენტის – 60 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელს უარი უნდა ეთქვას, ხოლო განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:**

მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაქმაყოფილდეს. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 აგვისტოს განჩინება ალიმენ-ტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

მ. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაქმაყოფილდეს.

2012 წლის 20 თებერვლიდან, მ. ბ-ის მიერ სარჩელის შეტა-ნის დღიდან ზ. ბ-ეს მ. ბ-ის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – 2002 წლის 19 თებერვალს დაბადებული გ. ბ-ის სარჩე-ნად დაეკისროს ყოველთვიურად ალიმენტის, სულ – 60 ლარის გადახდა.

დანარჩენ ნაწილში განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## გავლის საცხოვრებელი აღგილის განსაზღვრა

### განვითარება

№ას-1062-996-2012

22 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი  
აღგილის განსაზღვრა და აღსაზრდელად გადაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. კ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ა-ის წინააღმდეგ  
და მოითხოვა შვილის, 2005 წლის 3 ოქტომბერს დაბადებული მ.  
ა-ის, საცხოვრებელი აღგილის განსაზღვრა დედის საცხოვრე-  
ბელი ადგილის მიხედვით და ბავშვის დედისთვის აღსაზრდე-  
ლად გადაცემა.

მოპასუხე გ. ა-ემ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ ბავშვის  
დამოკიდებულება დედის მიმართ უარყოფითია, მასთან ცხოვ-  
რება არ სურს, ხოლო თავად შექმნილი აქვს ყველა საჭირო პი-  
რობა შვილის აღსაზრდელად.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23  
აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა,  
2005 წლის 3 ოქტომბერს დაბადებული მ. ა-ის საცხოვრებელ  
აღგილად განისაზღვრა დედის – მ. კ-ის საცხოვრებელი აღგი-  
ლი და მ. ა-ე აღსაზრდელად გადაეცა დედას.

რაიონული სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილე-  
ბა სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-ემ, მოითხოვა მისი გაუქ-  
მება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმა-  
ყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით გ. ა-ის სა-  
აპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა, დედოფლისწყაროს რაი-  
ონული სასამართლოს 2011 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილე-  
ბის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. კ-ის  
სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის  
1198-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, მშობლები უფლებამო-

სილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზ-რუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ, თუ ვისთან უნდა იცხოვროს შვილმა. მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისარებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა შვილებთან, განსაზღვრონ თავიანთ შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება, ხოლო, 1197-ე მუხლის თანახმად, ბავშვს აქვს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამავე კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიაღეს ბავშვის ინტერესებს. ამასთან, სახელმწიფოს დამოკიდებულება მშობლის მიმართ მხოლოდ მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრით არ შემოიფარგლება, არამედ სახელმწიფო იცავს მშობლის უფლებას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს შვილის აღზრდაში და გადაწყვიტონ, ვისთან და სად იცხოვროს შვილმა (სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლი).

პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშვნული ნორმები სრულად შეესაბამება რა, „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციით ბავშვთა უფლებების დამცავ ხორმებს, ერთმნიშვნელოვნად ადგენს ბავშვის ინტერესების დაცვის პრიორიტეტს. ამასთან, ეს ინტერესი არ შეიძლება ვიზროდ იქნეს გაგებული.

პალატამ მიუთითა „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლზე, რომლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. მშობლებთან დაშორება შეიძლება, აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც აუცილებელია ერთ-ერთ მშობელთან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. ამასთან, ეს გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვების ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებს, აღზარდონ და იცხოვრონ მატერიალურად და მორალურად ჯანსაღ გარემოში. ბავშვის აღზრდისათვის გარემოს შესაბამისობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დეტალურად და დამაჯერებლად უნდა შემოწმდეს. ამ მიმართებით გადამწყვეტი მნიშვნელობა არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ მო-

რაღურ მხარეს უნდა მიენიჭოს. ამდენად, კანონი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ბავშვი დაშორდეს მშობელს და ზოგ შემთხვევაში სხვა ოჯახის წევრთან ან უფლებამოსილ პირთან განისაზღვროს მისი საცხოვრებელი ადგილი, თუმცა ასეთი დაშორება მხოლოდ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული, ვინაიდან ბავშვისა და მშობლის დაშორება, ამ აუცილებლობის შემთხვევაშიც კი, უარყოფით გავლენას ახდენს მშობლის გარემოცვას მოწყვეტილი ბავშვის ფსიქიკაზე. აღნიშნულის მიუხედავად, კანონი ბავშვის მშობელთან დაშორებას ითვალისწინებს, რასაც საფუძვლად უდევს, უპირველეს ყოვლისა, მშობლის უარყოფითი პიროვნული მახასიათებლები და ბავშვზე ნეგატიური ზეგავლენის დასაბუთებული საშიშროება. ამავდროულად, ამგვარი გადაწყვეტილების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი აუცილებლობა უფლებამოსილი ორგანოების მიერ დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული. აღნიშნულს ადასატურებს „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლის მითითება ბავშვის მშობელთან დაშორების დასაშვებობაზე, როდესაც „კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.“

საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XIII თავით დადგენილი წესებით უნდა იქნეს განხილული, რაც სამოქალაქო სამართლნარმოების განსხვავებულ წესს ადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით, სამართლნარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც დავისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების მითითებასა და დამტკიცებაში სასამართლოს ჩაურევლობას გულისხმობს. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები, რა დროსაც სასამართლო აქტიურად ერთვება მტკიცების პროცესში და შეუძლია, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება თავისი ინიციატივით დაადგინოს, კერძოდ: საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვისას, 354-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. კანონის ასეთი დამოკიდებულება

(შეჯიბრებითობის პრინციპის ნაცვლად სასამართლოს მიერ სა-მოქალაქო საქმის ინკვიზიციური პრინციპით განხილვა) განპი-რობებულია საოჯახო ურთიერთობათა სპეციფიკითა და განსა-კუთრებული მნიშვნელობით, რასაც ადასტურებს კონსტიტუცი-ის 36-ე მუხლით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულე-ბა, ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას. საოჯახო ურთიერ-თობებში ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული და-ვის გადაწყვეტისას სასამართლომ უტყუარად და სარწმუნოდ უნ-და დაადგინოს მიღებული გადაწყვეტილების ბავშვის ინტერე-სებისათვის ყველაზე უკეთ შესაბამისობა. ამ მოსაზრებას განამ-ტკიცებს „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხ-ლი, რომლის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებელი, უპირველესი უურადღება ეთმობა ბავშვის ინ-ტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი იყო სოციალური მომსახურების სააგენტოს კახეთის საკონრ-დინაციო ცენტრის რეგიონული განყოფილების სოციალური მუ-შავის ქ. გ-ის დასკვნა და ამავე სააგენტოს რეგიონული განყო-ფილების ფსიქოლოგ ქ. კ-ის დასკვნა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 01.03.2012 წლის განჩინებით საჭიროდ მიიჩნია, რომ დავის სწორად გადაწყვე-ტის მიზნით, ფსიქოლოგის მიერ დამატებით უნდა მომზადებუ-ლიყო დასკვნა, არასრულწლოვან მ. ა-ესთან რამდენიმე ვიზი-ტის შემდეგ, რომლის საფუძველზეც, სოციალური მომსახურე-ბის სააგენტოს დედოფლის სწყაროს რაიონული განყოფილების მიერ ასევე წარდგენილი უნდა ყოფილიყო მოსაზრება, რომლი-თაც შესწავლილი იქნებოდა საკითხთა წრე, კერძოდ: „არასრულ-წლოვან მ. ა-ის ჩვეული გარემოდან, მამის ოჯახიდან, მოწყვე-ტა ხომ არ იქონიებდა ნეგატიურ გავლენას ბავშვის ფსიქიაზე, მის ფსიქოემციურ მდგომარეობაზე და რამდენად აუცილებე-ლი იყო ბავშვის სრულყოფილი აღზრდისათვის მისი მამის ოჯა-ხიდან მოწყვეტა და დაშორება იმ ფაქტორის გათვალისწინე-ბით, რომ არასრულწლოვანი მ. ა-ის მუდმივი საცხოვრებელი ად-გილი იყო მამის საცხოვრებელი ადგილი. ხომ არ აღმოჩნდებო-და ბავშვის ჩვეული გარემოდან მოწყვეტა უფრო საზანო, ვიდ-რე ჩვეულებრივი ინტერესი, რომ ბავშვი გაზრდილიყო დედას-თან“. ამასთან, დასკვნის მოსამზადებლად სოციალური მომსა-ხურების სააგენტოს დედოფლის სწყაროს რაიონულ განყოფილე-ბას, ქ. კ-ის ნაცვლად, დაევალა სხვა ფსიქოლოგის მოწყვევა.

06.04.2012 წელს „საქართველოს ბავშვების“ ფსიქოლოგ ლ. კ-ის მუშაობის შედეგად მომზადდა დასკვნა, რომლის თანახმად, „ამ დროისათვის მ.ა-ის ამჟამინდელ საცხოვრებელ გარემოში დაკმაყოფილებულია ბავშვის ძირითადი საჭიროებები, თუმცა მისი ფსიქიური ჯანმრთელობისათვის აუცილებელია, სწორი სტრატეგიები შემუშავდეს ბავშვთან სტრესის დასაძლევად და დედაშვილის ურთიერთობის აღდგენა-გასაღრმავებლად. სავარაუდოა, რომ დედის საცხოვრებელი გარემოც იქნება მისაღები ბავშვის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით, თუმცა არ იკვეთება ადამიანური რესურსი ბავშვის ემოციური მხარდაჭერისათვის, რაც განსაკუთრებით საჭირო გახდება, თუ ბავშვი განიცდის კიდევ ერთ სტრესს მის ცხოვრებაში (ჩვეული გარემოდან განშორებასთან დაკავშირებით).

ზემოაღნიშნული დასკვნის საფუძველზე, 10.03.2010 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილების მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა მოსაზრება, სადაც აღნიშნა, რომ ბავშვი უნდა დარჩენილიყო ჩვეულ გარემოში, ამასთან, აუცილებელი იყო, რომ ოჯახის წევრებს ეზრუნათ ბავშვის ფსიქიკურ სიჯანსაღეზე.

საქმეში წარმოდგენილი მ. ა-ის დახასიათებით, რომელიც გაცემულია სკოლის დირექტორისა და დამრიგებლის მიერ, ირკვევა, რომ მ. ა-ე არის აქტიური და წარჩინებული მოსწავლე. ყველა საგანს პასუხისმგებლობით ეკიდება. უზრუნველყოფილია ყველა სახის სასკოლო ნივთებითა და ტანსაცმლით. ყოველდღიურად სკოლაში ცხადდება დროულად, აცვია მოსწავლისათვის შესაფერისად. უყვარს სახელმძღვანელოების მოვლა. ადვილად ამყარებს ურთიერთობას თანატოლებთან. ა-ის ოჯახი ყოველდღიურად ზრუნავს ბავშვის სწავლა-აღზრდაზე. ოჯახის წევრები სისტემატურად ურთიერთობენ სკოლასთან. ზოგადად იგი ხასიათდება დადებითად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 24.05.2012 წლის სასამართლო სხდომაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილების წარმომადგენელმა თ. ბ-მა მხარი დაუჭირა დასკვნას და მიზანშენონილად მიიჩნია, მ.ა-ის საცხოვრებელ ადგილად დარჩენილიყო მამის, გ. ა-ის საცხოვრებელი ადგილი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1200-ე მუხლის თანახმად შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტილ. მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადაცო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის

წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს. ამავე კოდექსის 1201-ე მუხლის თანახმად, თუ, განქორწინების გამო, ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხებიაზე დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

მოცემულ შემთხვევაში, დავის სპეციფიკურობიდან და არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დეტალურად გამოიკვლია რა საქმის მასალები ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე და მივიდა დასკვნამდე, რომ მ. კ-ის სარჩელი ბავშვის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩინორა მ.კ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის აზრით გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ფსიქოლოგის დასკვნაში მითითებული მთელი რიგი რისკის შემცველი ფაქტორები იმ შემთხვევისათვის, თუ არასრულწლოვანი ბავშვი აღსაზრდელად დარჩება მამასთან, შესაბამისად, პალატმ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბავშვის აღსაზრდელად მამასთან დატოვების შემთხვევაში, დედის, როგორც აღმზრდელის, როლი, უნდა შეასრულოს ბავშვის ბებიამ და მამიდებმა, თუმცა ისიც უდავოა, რომ აღნიშნული პირები ვერ შეცვლან დედის მიერ ბავშვზე განეულ მზრუნველობასა და რაც მთავარია ფსიქოლოგიურ მომენტს.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ბავშვის მხრიდან ნეგატიური განწყობა დედისადმი, მონინააღმდეგე მხარის ბავშვზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგია.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას დარღვენა ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენცია და რისკის ქვეშ დააყენა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები იმას-

თან დაკავშირებით, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს, იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაების ატმოსფეროში.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლი, ვინაიდან ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, შეიღება უნდა იზრდებოდეს დედასთან, მისი ფსიქოემოციური დამოკიდებულება დედასთან ურთეირთობაში, პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ ასევე დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი, ვინაიდან თავისი გადაწყვეტილებით დაარღვია როგორც დედის, ასევე, შვილის უფლებები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ.კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

უპირველეს ყოვლისა, ყურადსალებია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი და შეფასებული ფაქტობრივი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო 06.04.2012 წელს „საქართველოს ბავშვების“ ფსიქოლოგ ლ. კ-ის დასკვნას. ამ დასკვნის შეფასებისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო ფსიქოლოგის მოსაზრებას, რომლის თანახმად: „ამ დროისათვის მ.ა-ის ამჟამინდელ საცხოვრებელ გარემოში დაკმაყოფილებულია

ბავშვის ძირითადი საჭიროებები, თუმცა მისი ფსიქიური ჯანმრთელობისათვის აუცილებელია, სწორი სტრატეგიები იქნეს შემუშავებული ბავშვთან სტრესის დაძლევაზე და დედა-შვილის ურთიერთობის აღდგენა-გაღრმავებაზე. სავარაუდოა, რომ დედის საცხოვრებელი გარემოც იქნება მისაღები ბავშვის ძირითადი საჭიროებების დაკამაყოფილების კუთხით, თუმცა არ იყვეტება ადამიანური რესურსი ბავშვის ემოციური მხარდაჭერისათვის, რაც განსაკუთრებით საჭირო გახდება, თუ ბავშვი განიცდის კიდევ ერთ სტრესს მის ცხოვრებაში (ჩვეული გარემოდან განშორებასთან დაკავშირებით)“.

ზემოაღნიშნული დასკვნის საფუძველზე, 10.03.2010 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილების მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა მოსაზრება, სადაც აღინიშნა, რომ ბავშვი უნდა დარჩენილიყო ჩვეულ გარემოში, ამასთან, აუცილებელი იყო, რომ ოჯახის წევრებს მისი ფსიქიური ჯანმრთელობისათვის სწორი სტრატეგიები შეემუშავებინათ ბავშვთან სტრესის დაძლევისა და დედაშვილის ურთიერთობის აღდგენა-გასაღრმავებლად.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც აუცილებელია სამართლებრივი დასკვნებისათვის. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ძირითადი ყურადღება გადატანილი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებულ შედეგებზე, რასაც გააჩნია ერთ-ერთი და არა ერთადერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა სადაცო ურთიერთობის გადაწყვეტისათვის.

საკასაციო მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური შეფასების დასკვნითი ნაწილი, რომლის თანახმად, ბავშვის ფსიქიური ჯანმრთელობისათვის აუცილებელია, შემუშავდეს სტრესის დასაძლევად სწორი სტრატეგიები და დედა-შვილის ურთიერთობის აღდგენა-გაღრმავებისთვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, დასკვნაში მითითებული რისკების გათვალისწინებით, უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად შესაძლებელია დედა-შვილის ურთიერთობის აღდგენა-გაღრმავება იმ პირობებში, როდესაც ბავშვი რჩება მამასთან. ამასთან ერთად, არ არის გამოკვეთილი ბავშვის მამასთან დარჩენის უპირატესობა, გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა ბავშვის დედისათვის გადაცემის მიზანშეუწონლობა.

ამასთან ერთად, უნდა შეჯერდეს ბავშვთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც ერთ შემთხვევაში, ეხება ბავშვის საც-

ხოვრებელი ადგილისა და გარემოს შეცვლას და, მეორე შემთხვევაში, დედასთან დაშორებას. ამასთან ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისათვის აუცილებელია ისეთი კრიტერიუმების შესწავლა, როგორიცაა: ბავშვის მიჯაჭულობა ერთერთ მშობელთან, ბავშვის ასაკი, მშობლების ზნეობრივი და სხვა პირადი თვისებები, ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობა, ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის შესაძლებლობა, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების ოჯახური მდგომარეობა. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს დედის მიერ ბავშვის მიტოვების მიზეზი, ხომ არ იყო მისი საქციელი გამოწვეული ოჯახში არსებული დაძაბული სიტუაციით. ამ სიტუაციის სიმძიმემ ხომ არ განაპირობა ბავშვთან სრულყოფილი ურთიერთობის აღდგენის შეფერხება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, შეილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვის აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. აღნიშნული ნორმით განმტკიცებულია მშობლების თანაბრობის პრინციპი ბავშვის მიმართ. არც ერთ მშობელს არა აქვს უპირატესობა ბავშვის მიმართ უფლება-ვალდებულებების განხორციელებაზე.

ამავე კოდექსის 1201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ განქორნინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის ნარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის ნარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს ნარმოადგენს.

როგორც ჩანს, ზემოაღნიშნული ნორმები არ მოიცავს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების ნორმატიულ აღწერილობას, რაც მოგვცემდა კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების კვლევას. ამდენად, ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ბავშვის ინტერესების“ განსაზღვრას, სასამართლო პრაქტიკისა და საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის გათვალისწინებით.

ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების ეფექტური უზრუნველყოფა, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, ითვალისწინებს იმ ზომების განხორციელების უფლებას, რომელიც მიმართულია მშობლისა და ბავშვის გაერთინებისაკენ, მაგრამ ამასთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ გარკვეული ზომების მიღების ვალდებულება არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. შესაძლებელია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ ყველა სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობის გათვალისწინებით დადგება მშობლისა და ბავშვის გაერთიანებს აუცილებლობა, წარმოიშვას ბავშვის მშობელთან დაბრუნების პროცესთან დაკავშირებული საკითხები, რისთვისაც აუცილებელია გარკვეული წინაპირობების შესწავლა.

გაერთიანებული ერების „ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

ამდენად, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის მიჯაჭვულობას ერთ-ერთ მშობელთან. სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ფსიქო-პედაგოგიური ექსპერტიზის მიხედვით, თუ რომელი მშობლის მიმართ განიცდის უფრო მეტ სიმპათიას ბავშვი და რომელთან დარჩენა უფრო სასარგებლო იქნება მისი ფსიქიური განვითარებისათვის. რა თქმა უნდა, ბავშვის მშობელთან დამოკიდებულებას არ გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ აღნიშნული კრიტერიუმი სხვა კრიტერიუმებთან ერთად მოითხოვს შესაბამის კვლევას.

ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს ლ. კ-ის დასკვნა, რომლის თანახმად, ბავშვის დედასთან დაშორება საკმაოდ დიდ სტრესთან არის დაკავშირებული და მამის ოჯახი დედასთან დაახლოებაში ბავშვს ხელს არაფრით უწყობს, კერძოდ, დასკვნაში აღნიშნულია, რომ „მნიშვნელოვანი სირთულე, რაც შეიმჩნევა ბავშვის ფსიქიკაში, არის განრიცხება დედისაგან: მ. განზრას არიდებს თავს დედაზე

საუბარს, არ მოიხსენიებს მას ახლობელთა შორის, და არც იმ ადა-  
მიანებში, რომლებიც ენატრება“. საკასაციო პალატა მიიჩნევს,  
რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა დასკვნაში მოყვანი-  
ლი ბავშვის ფსიქოლოგიური აღწერა, რომელშიც საკმაოდ მნიშ-  
ვნელოვანია შემდეგი: „როდესაც საუბარს ბუნებრივად მოაქვს  
დედის თემა, ის ამბობს, რომ არ უყვარს დედა, რაღაც არც  
დედას უყვარს იგი – ამას კი იქედან ასკვნის, რომ დედამ მიატო-  
ვა“. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკმა-  
ოდ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის დასკვნა, სადაც იგი უთითებს,  
რომ, მიუხედავად იმისა, რომ საუბრის განმავლობაში ეს არავის  
არ უხსენებია, ბავშვი „აღნიშნავს, რომ არსად წასვლას არ აპი-  
რებს და სულ „აქ“ დარჩება“. აქვე ფსიქოლოგი უთითებს, რომ „ამ  
ყოველივეს ბავშვი უხალისოდ ამბობს, და ცდილობს, მალე გა-  
დაიტანოს საუბრის თემა სხვა საკითხებზე“. საკასაციო პალა-  
ტის აზრით, ფსიქოლოგის დასკვნის ამ ნანილის შეფასებას საკ-  
მაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ჭეშმარიტი ფსიქიური  
მდგომარეობის დადგენისათვის, იმისათვის, რომ გამოირიცხოს  
მესამე პირთა მიერ მის (ბავშვის) ნება-სურვილზე სუბიექტური  
ზეგავლენის არსებობა. აქედან გამომდინარე, ლ. კ-ის დასკვნაში  
ყურადსალებია ის, რომ „ბავშვს არ აქვს გააზრებული და დაძლე-  
ული დედის მიერ მისი მიტოვებით გამოხვეული სტრესი. განრი-  
დება არის თავდაცვის ერთ-ერთი მექანიზმი, რომელსაც ფსიქი-  
კა ირჩევს ინდივიდისათვის მეტისმეტად მტკიცნეულ საკითხებ-  
თან გასამკლავებლად. ასეთი მექანიზმების მუშაობისათვის ხდე-  
ბა დიდი ოდენობით ფსიქიური ენერგიის ხარჯვა, რამაც, პო-  
ტენციურად, შესაძლოა მნიშვნელოვანი ემოციური სირთულეე-  
ბი გამოიწვიოს“.

ზემომითითებულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა  
მიიჩნევს, რომ ფსიქოლოგის მიერ გამოკვლეული ბავშვის ფსი-  
ქიური მდგომარეობა უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებ-  
საც გააჩნია იურიდიული მნიშვნელობა, კერძოდ, დედისგან ბავ-  
შვის განრიდება არ მიუთითებს ბავშვის კეთილდღეობაზე და,  
შესაბამისად, არ ემსახურება მის ჭეშმარიტი ინტერესებს. იმ ფაქ-  
ტორების გათვალისწინებით, რომ ბავშვი რამდენიმე წელი იზ-  
რდებოდა დედასთან და მამასთან ერთად, დედასთან განრი-  
დება წარმოადგენს ბავშვის მიერ მიღებულ სტრესს, რამაც შე-  
საძლოა მნიშვნელოვანი ემოციური სირთულეები გამოიწვიოს.  
კერძოდ, დასკვნაში, ასევე მითითებულია, რომ „საკითხი არ მი-  
ეკუთვნება მხოლოდ წარსულის კატეგორიას და ის აქტუალუ-  
რია აწმყოშიც, რაც ასევე შფოთვის გამომწვევია ბავშვში“.

მეორე კრიტერიუმი, რაზედაც უნდა გავამახვილოთ ყურად-

დება, არის ბავშვის ასაკი. აღნიშნული კრიტერიუმი მჭიდროდ უკავშირდება პირველ კრიტერიუმს. სააპელაციო სასამართლო არ აწარმოებს კვლევას ამ მიმართულებით, რასაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დავის სწორად გადაწყვეტისათვის. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბავშვის ასაკის გათვალისწინებას სხვა გარემოებებთან ერთად გააჩნია მნიშვნელობა ბავშვის მოთხოვნილების განსაზღვრაში, მისი საცხოვრებელი ადგილის (დედასა თუ მამასთან) პრიორიტეტების დადგენაში. მცირენლოვანი ბავშვისთვის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მშობლის ზრუნვა, სწორ ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბება, ბავშვის ნორმალური სოციალიზაცია. ამდენად, ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, შესაბამისი სპეციალისტების მეშვეობით სასამართლომ უნდა განსაზღვროს, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელ მშობელთან იქნება პრიორიტეტული ბავშვის დარჩენა. ამასთან ერთად, სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს ბავშვის ერთ-ერთ მშობელთან ყოფნის ხანგრძლივობის საკითხს, რაც უკავშირდება პირველი კრიტერიუმით განსაზღვრულ საკითხებს. ასაკთან ერთად სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია, მნიშვნელობა პერიოდებს სხვა საკითხებთან ერთობლიობაში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისათვის (მამასთან თუ დედასთან), ასევე ბავშვის სქესს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ აქვს გამოკვლეული ფსიქოლოგის დასკვნის ის ნაწილი, რომელშიც აღწერილია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მნიშვნელობის საკითხი, კერძოდ, ის რისკები, რომელიც უკავშირდება, ერთ შემთხვევაში, ბავშვის მამის ოჯახში დარჩენას, ხოლო, მეორე შემთხვევაში, იმ რისკებს, რომელიც უკავშირდება, ბავშვის დედის ოჯახში გადასვლას. საკმაოდ მნიშვნელოვანია ამ რისკების შედარება და სპეციალისტის მეშვეობით სწორი პრიორიტეტების დადგენა. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ, დედის მხრიდან, არ იკვეთება ადამიანური რესურსი ბავშვის ემოციური მხარდაჭერისათვის. აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ასევე ისეთი კრიტერიუმის განსაზღვრა, რომელიც ეხება მშობლების ზნეობრივ და სხვა პირად თვისებებს. მშობლის პიროვნება მნიშვნელოვანია სასამართლოსათვის იმისათვის, რომ გაიცეს პასუხი კითხვაზე: თუ რამდენად შესწევთ უნარი ყოველ მშობელს ბავშვის აღზრდის. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, ფსიქოლოგის დასკვნის მიხედვით, რა იგულისხმება ბავშვის ემოციური

მხარდაჭერისათვის ადამიანური რესურსში, კერძოდ, ფსიქო-ლოგიურ დასკვნაში მითითებულია, რომ „ბავშვის დედას არ აქვს ბოლომდე გაცნობიერებული ფუნქციური დედის როლი/ვალე-ბულებები. მისთვის ძნელი იქნება გაუმკლავდეს ბავშვის ემოციურ საჭიროებებს იქიდან გამომდინარე, რომ მას არ აქვს ნაფიქრი იმ სირთულეებზე, რაც შეიძლება წარმოქმნას ბავშვის მასთან გადმოსვლის შემდგომ“. აქვე დასკვნაში მაგალითის სახით განმარტებულია ზემოაღნიშნული, კერძოდ, ემოციური საჭიროების ნაკლებობა ახსნილია იმით, რომ დედა „თვლის, რომ ბავშვს მამასთან ურთიერთობა იქნება შუამავლის მეშვეობით, რათა მოხერხდეს ბავშვის შეხვედრა მამასთან, და ვერ ხედავს ყოფილ მეუღლესთან ცივილიზაციული ურთიერთობის დამყარების საჭიროებას“. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოსაზრება გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის ამავე დასკვნაში განვითარებულ მოსაზრებათან, რომლის თანახმად, ბავშვის დედასთან ყოფნის შემთხვევაში ბავშვს „მეტი შესაძლებლობა ექნება ორივე მშობელთან ურთიერთობის“. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ერთმანეთს უნდა შეუდარდეს ფსიქოლოგის დასკვნის ის ნაწილი, რომელიც ეხება ბავშვის მამის ოჯახში დარჩენის რისკებს, ამავე დასკვნაში განსაზღვრულ დედის ოჯახში გადასვლასთან დაკავშირებულ რისკფაქტორებს. საგულისხმოა, რომ ფსიქოლოგი მუთითებს მამის ოჯახში ბავშვის დარჩენის შემთხვევაში დედა-შვილის ჯანსაღი ურთიერთობის აღდგენის პრობლემებზე და აღნიშნავს, რომ: მამის მხარე ამ ეტაპზე არ ფლობს ადეკვატურ ხერხებს და ბოლომდე არც ესმით იმის საჭიროება, რომ დაეხმარონ ბავშვს ძლიერ სტრესთან გამკლავებაში. სტრესი, რომელიც უკავშირდება დედის საკითხს“. ფსიქოლოგის დასკვნის ეს ნაწილი უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვის მამის ოჯახში დატოვების შემთხვევაში დედა-შვილის ურთიერთობის აღდგენა-დაახლოებას საკმარდ დიდ პრობლემას უკავშირდება.

ამდენად, საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს ის რისკები, რომლებიც ეხება, ერთ შემთხვევები ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლით მიღებულ სტრესსა და დედასთან დაშორებით გამოწვეულ სტრესს და შესაბამისი სპეციალისტების (შესაძლებელი იმავე ფსიქოლოგის და, ასევე, სსაპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილების წარმომადგენელის) მეშვეობით გამოიკვლიოს თუ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე რომელი რისკის აცილება უფრო მნიშვნელოვანია ამ ასაკის ბავშვისათვის, შესაბამისად, ამ რისკების შე-

ფასებისას, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება უნდა გაა-მახვილოს ისეთ აუცილებელი კრიტერიუმებზე, როგორიცაა, ბავშვის მიჯაჭვულობა ერთ-ერთ მშობელთან, ბავშვის ასაკი, მშობლების ზნეობრივი და სხვა პირად ოვისებები, ბავშვის ორი-ვე მშობელთან ურთიერთობა, ბავშვის აღზრდა, განვითარები-სათვის შესაბამისი პირობების შექმნის შესაძლებლობა, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების ოჯახური მდგომარეობა, დედის მიერ ბავშვის მიტოვების მიზეზი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბავშვი დედას უნდა და-შორდეს მხოლოდ ისეთი გამონაკლისების შემთხვევაში, როდე-საც ასეთი კავშირი მიმართულია ბავშვის ფეშმარიტი ინტერე-სების საწინააღმდეგოდ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ბავშვის ასაკს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ არსებულ ეტაპზე ეყრდნობა საფუძველი ბავშვის პიროვნულ ჩამოყალიბებას, რა დროსაც დედის ავტორიტეტის შელახვა და მასთან არასაკმა-რისი სიახლოეს დამდუბებელი იქნება და უარყოფითად იმოქმე-დებს ინდივიდის ცხოვრების ფორმირებაზე.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აუცი-ლებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ბავშვის მამის ოჯახში დარჩენის შემთხვევაში ბავშვი აღსაზ-რდელად ფაქტობრივად გადაეცემა ბებიას (მამის დედას) და მამიდებს, რადგან გ. ა-ე, მუშაობს და დღის განმავლობაში ბავ-შვთან არ არის, გასულია ოჯახიდან სამუშაოდ და შვილს უტო-ვებს დედამისს და თავის დებს. სასამართლოს არ სურს, დააკ-ნინოს ბებია-პაპის როლი ბავშვის აღზრდაში, მაგრამ აღნიშნუ-ლი ვერანაირად ვერ შეცვლის დედასთან შვილების ურთიერ-თობის აუცილებლობას. მით უმეტეს, ანგარიშგასაწევია ფისი-ქოლოგის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მამიდების მიერ თა-ვიანთი ოჯახების შექმნის შემთხვევაში ბავშვზე მთელი მზრუნ-ველობა მოუწევს ბებიას, რაც შეფასებულია როგორც რისკფაქ-ტორი, მაგალითად საქმეზე, იოხანსენ ნორვეგიის წინააღმდეგ (Eur. Court H.R. Johansen v. Norway, Judgment of 7 August 1996. Reports. 1996-III.) სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთია-ნების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღ-ნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყუ-რადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლე-ბა, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერე-სებთან მიმართებით.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბავშვის მიერ აღნიშნული სი-

ტუაციის აღქმაც თავისი სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით განსხვავდება ყველა იმ პირისაგან, რომელიც ცდილობს, შეაფასოს აღნიშნული მოვლენა. მესამე პირის მიერ შეფასების პროცესის დროს პრევალირებს ისეთი ფაქტორები, რადროსაც ერთი მხრივ ჩვენს წინაშეა დედა, ხოლო მეორე მხრივ – ბავშვის მამა, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნეს ის, რომ, როდესაც სასამართლო აფასებს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებს, ერთ მხარეზე გამოდიან ბავშვის მშობლები, ხოლო მეორეზე კი, დგას ბავშვი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ შემდეგი: აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვისა და დედის გაერთიანება, დედას უნდა ჰქონდეს მშობლის უფლებების და ვალდებულებების რეალიზაციის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, დედას უფლება აქვს მოითხოვოს ბავშვის დაბრუნება. მაგრამ ამ უფლების რეალიზაციისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები. მშობლის და ბავშვის ინტერესებს შორის ბალანსის განსაზღვრის დროს ერთადერთ გადამწყვეტ კრიტერიუმს წარმოადგენს ამ უკანასკნელის ინტერესები. ამ საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას კი, წარმოადგენს აღნიშნული რეალობის დანახვა იმ რეალობისათვის ანგარიშგანევით, რომელიც არსებობს ბავშვისათვის, რომელსაც ამ საკითხზე გააჩნია საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლება, აღნიშნული რეალობისა და ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით საბოლოოდ მისი არსებობის, განვითარების, დაცვის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის პრიორიტეტების განსაზღვრა (იხ. ასევე პრაქტიკა ას-211-204-2012 19.07.2012 წ.).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დაადგინა:**

1. მ.კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საპირელო

პირადი არაქონებრივი უფლებები .....	3
თანხმობა გარიგებაში .....	
ბათილი გარიგება .....	10
გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა .....	24
სასარჩელო ხანდაზმულობის შეწყვეტა .....	55
არაკეთილსინდისიერი მფლობელის მოვალეობანი .....	63
შემძენის ინტერესების დაცვა .....	84
საკუთრების შეძენა უფლებებსა და მოთხოვნებზე .....	102
საკუთრების უფლება პრივატიზებულ ბინაზე .....	115
საკუთვნებელი. მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმუცია .....	125
უძრავი ნივთით სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთა .....	134
ამხანაგობის წევრთა უფლებები ამხანაგობის ქონებაზე .....	145
ამხანაგობიდან წევრთა მიღება-გარიცხვის შესახებ .....	151
საოჯახო სამართალი	
მეუღლეთა თანასაკუთრება .....	163
თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის	
ხანდაზმულობის ვადა .....	176
ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ ....	186; 197
ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა .....	205